ᲛᲝᲚᲐᲛᲑᲔ

 თვიური ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ XII

დეკემბერი, 1902

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲐᲜ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲐ. Т.—ᲨᲘ.

1902

შინაარსი

ᲒᲒ

I—ᲕᲐᲘ ᲨᲙᲣᲘᲡᲐᲒᲐᲜ.—ოთხ-მოქმედებიანი კომედია ბ. გრიბოედოვისა, თარგმანი განდეგილისა . . . 1

II—ᲡᲐᲛᲜᲘ.—მ. გორკისა, თარგმანი იგ. ᲨᲝᲚᲣᲛᲝᲠᲓᲒᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ. (გაგრძელება) 61

III—ᲮᲔᲜᲗᲘ.—რუს-ოსმალის (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ეკანგულოვისა (გაგრძელება) . 93

IV—ᲛᲔᲤᲔ ᲚᲘᲠᲘ 1

V—ᲣᲪᲮᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.—1. რუმინიის მეფე კარლოს ᲰᲝᲰᲔᲜᲪᲝᲚᲔᲠᲜᲘ.—2. ირლანდია.—3. გერმანიის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა.—4. „ევროპის ფედერაცია“ . . 15

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ.—ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲛᲓᲔ.—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა . . . 321—352

8(05)
280

მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ XII

დეკემბერი, 1902

ტფილისი
[illegible]
1902

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 декабря, 1902 г.

შინაარსი

ბეჯ

I—ვაი ჭკუისაგან.—ოთხ-მოქმედებიანი კომედია ა. გრიბოედოვისა, თარგმანი განდეგილისა . . . 1

II—სამნი.—მ. გორკისა, თარგმანი ივ. ბოლუმორდვინოვისა. (გაგრძელება) 61

III—ხენთი.—რუს-ოსმალთა (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის დროის ისტორიულ რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ეგანგულოვისა (გაგრძელება) . . 93

IV—მეფე ლირი 1

V—უცხოელთის მიმოხილვა.—1. რუმინიის მეფე კარლოს ჰოჰენცოლერნი.—2. ირლანდია.—3. გერმანიის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა.—4. „ევროპის ფედერაცია“ . . 15

დამატება.—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა . . . 321—352

ᲕᲐᲘ ᲭᲙᲣᲘᲡᲐᲒᲐᲜ

მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი

ფამუსოვი და მსახური

ფამუსოვი. პეტრუშკა, რაა რომ სულ ყოველთვის
მაგრე ხარ იდაყვ-გამოგლეჯილი!
მოიტა აქეთ ეგ კალენდარი,
ცულლუტო შენა, ხელში აიღე!
დიაკვანივით ნუ კი გააბამ—
გულ-დასმით, გრძნობით გადაიკითხე.
დაიცა. ე მაგ გვერდზედ ჩანიშნე:
მომავალ კვირის დღითი სამშაბათს
მე პრასკოვია ფეოდოროვნას
უნდა ვეწვიო ახალ კალმახზე.
საკვირველია ქვეყნის გაჩენა!
ტვინი გერევა, რომ დაფიქრდები!
ხან მშიერი ჰხარ, ხან სჭამ სამ საათს
და მონელებას სამ დღეს უნდები!
აბა, ჩანიშნე: იმავ სამშაბათს...
მაგრამ მოიცა—არა, ხუთშაბათს
უნდა დავესწრო მკვდრის გასვენებას.
ეჰ, ადამის ძევ! როგორ ივიწყებ,

*) იხ. „მოამბე“ № 11,

რომ იმ პატარა ყუთს ვერ ასცდები.
იქ უნდა ჩაძვრე, სადაც უძლური
ველარც ადგები და ვერც დაჯდები.
მაგრამ ვისაც ჰსურს, რომ ხალხს ახსოვდეს,
იმ განსვენებულს უნდა ჰბაძავდეს:
მისცეს სასახლის კამერჰერობა
და გასაღები გვერდზედ დაჰკიდეს;
შვილსაც უშოვნა ეს გასაღები
და ჰპატრონობდა დიდ-ძალ სიმდიდრეს!
მოჰკვდა, მის სიკვდილს სუყველა ჰნანობს:
კუზმა პეტროვიჩ, ღმერთმა აცხონოს!
ჰე, რამოდენი დიდიკაცობა
ამ ჩვენს მოსკოვში ცხოვრობს და ჰკვდება!
მანდვე ჩანიშნე: იმავ ხუთშაბათს...
მაგრამ მოიცა, იქნებ პარასკევს,
ან შაბათს, ან და როცა—დაჰბადებს,
ექიმის ქვრივი ბავშვს მანათვლინებს.
ჩემის ფიქრითა და ანგარიშით,
ჯერ არ ჰყავს, მაგრამ მალე კი ჰშობავს.

გამოსვლა მეორე

ფამუსოვი, მსახური და ჩაცკი

ფამუსოვი. აა, ალექსანდრ ანდრეიჩ, გთხოვთ რომ
მობრძანდეთ, დაჯდეთ.

ჩაცკი. არა გცალიანთ?

ფამუსოვი (მსახურს). წადი (მსახური კადის).
დიახ, აქ სხვა და სხვა საქმეს
წიგნებში ვნიშნავ, არ დამავიწყდეს.

ჩაცკი. თქვენ დღეს როგორლაც მოწყენილი ხართ!
იქნებ მე მოველ აქ უდროვო დროს?

გამაგებინეთ: სოფი პავლონას
ხომ არა სტკივა, ან არას დარდობს!...
მაგ თქვენს სახესა და მოძრაობას
ეტყობა რაღაც დაღვრემილობა?

ფამუსოვი. ჰო! კარგად მიჰხვდი! ჩემხელა კაცი
მაშ ასკინკილას ხომ არ მოჰყვება!

ჩაცკი. ვინ გეხვეწებათ! მე მხოლოდ გკითხეთ,
ხომ არრა სტკივა სოფი პავლოვნას!

ფამუსოვი. ფუი, დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა!
ერთს და იმავეს ათასჯერ მკითხავს...
ხან: „ყველასა სჯობს სოფი პავლოვნა!“
„სოფი პავლოვნა ხომ არაზ დარდობს!“
გამოტყდი—მოგწონს? მთელი ქვეყანა
რომ მოიარე—ცოლად შერთვა გსურს?

ჩაცკი. მერე თქვენ რაო?

ფამუსოვი. ცუდი არ არის,
რომ დამეკითხოთ, როგორც ნათესავს!
მოგეხსენებათ, რომ მე უბრალოდ
არ მეძახიან სოფიას მამას!...

ჩაცკი. თუნდაც მინდოდეს, თქვენ რას მეტყოდით?

ფამუსოვი. მე გეტყოდი, რომ ნუ ბედოვლათობ!
კარგად არ უვლი, ძმობილო, მამულს,
და—უმთავრესი—არსად მსახურობ,
უნდა მობრძანდე და იმსახურო.

ჩაცკი. სიამოვნებით, მხოლოდ ვერ შევძლებ,
რომ სამსახურში მსახური ვიყო.

ფამუსოვი. საქმეც ეგ არის, რომ კუდაბზიკობთ
და უფროსთაგან არაფერს სწავლობთ!
რას აკეთებდნენ თქვენი მამები,
როდი დაეძებთ, არც კი ჰკითხულობთ!
ჩვენ, მაგალითად, ან და ბიძია
მაქსიმ პეტროვიჩს, სულ განათლებულს,
ოქროს ჭურჭლებით აკმევდნენ საჭმელს,

ვინ შეჰკადრებდა იმას ვერცხლეულს!
მუდამ თავს ადგა ასი მსახური,
სულ ჯილდოებში იყო ჩამჯდარი.
მიჰქრი-მოჰქროდა და იმისათვის
სულ ღია იყო სასახლის კარი;
სასახლის, მერე ვისი სასახლის!
წინანდელი დრო ახლანდელს არ ჰგავს!
ეკატერინე ხელმწიფეს ახლდა
და სუყველანი მას სცემდნენ თაყვანს.
დარბაისელთა დიდებულ სალამს
ბევრჯელ პასუხსაც არ აღირსებდა—
სხვები რომ მიწას დაემხობოდნენ,
იგი თუ ოდნავ თავს გადუქნევდა!
წარჩინებული მით უფრო იყო
და სასახლეში ტოლი არ ჰყავდა,
რომ, სუყველაფრით განსხვავებული,
სულ სხვანაირად სჭამდა და სვამდა.
თითონ ბიძია თავადსა და გრაფს
ჭკუითა და ზნით განა არ სჯობდა?
მაგრამ, როდესაც საჭირო იყო,
წელში ას-კეცად მოიხრებოდა...
ერთხელ, უეცრად ფეხი გაუსხლტა,
ძირს გაიშხლართა მთლად მოწყვეტილი,
მოხუცს კინაღამ შუბლი გაუტყდა,
ძლივს-ღა ჰკვნესოდა ხმა-ჩახლეჩილი,
და მას უმაღლეს ჯილდოდ ებოძა
ხელმწიფისაგან ნაზი ღიმილი!
დიახ, ინება მან გაცინება!...
ის კი წამოდგა, კარგად გასწორდა,
ჰსურდა მეფისთვის თაყვანი ეცა,
გამოიჯგიმა, მაგრამ მეორეთ
თვით ხელმწიფის წინ განგებ დაეცა!
სიცილს და ხარხარს უფრო უმატეს,

ორჯელ დაცემას მესამეც მოჰყვა...
და თქვენ რას ჰფიქრობთ? ჩვენის აზრით კი,
მძიმედ დაეცა და მჩატედ ადგა...
სამაგიეროდ, ვის ჰპატიჟობდნენ?
ღია ვის ჰქონდა სასახლის კარი?—
მაქსიმ პეტროვიჩს! ვის ამაღლებდნენ?—
მაქსიმ პეტროვიჩს! ხუმრობა არი?!
ჩინს იღებს ვინმე, ან და პენსიას,
ვისის წყალობით, ვის უმადლიან?—
მაქსიმ პეტროვიჩს! დიახ და თქვენ კი
ერთი მიბრძანეთ რა შეგიძლიანთ?

ჩაცკი. თითქო ქვეყანა გასულელდაო?
გულის ტკივილით უნდა აღნიშნოთ!
რა სათქმელია, რომ უწინდელ დროს
ეს ახლანდელი დრო შეადაროთ?
როცა განსჭვრეტავთ ძველს და ახალს დროს
და ერთმანეთსა მათ შეადარებთ,—
სულ ახალია ეს გადმოცემა,
ცხადია, მაგრამ ვერ კი იჯერებთ.
მას ადიდებდნენ, რომლისაც ქედი
უფრო ხშირ-ხშირად ძირს იხრებოდა,—
ვისაც უომრად, მოსვენების დროს,
ცხოვრების ბურთი შუბლით გაჰქონდა...
იატაკზედაც თავს დაარტყამდნენ,
თუ კი საჭირო შეიქნებოდა.
თუ კი უჯობდა, თვით ღატაკიც-კი
თავს იწონებდა, ტოლი არ ჰყავდა,
მაგრამ თავისთან უფრო მაღალთან
ქება-დიდებას ხლართავ-ქსელავდა.
მონობისა და შიშის დრო იყო,—
ამით იჩენდნენ მეფის სამსახურს...
მე ბიძა თქვენზედ არ მოგახსენებთ,
ნუ შევაწუხებთ გადაცვალებულს!—

მაგრამ ჩვენს დროში ვინ მოისურვებს,
თუნდაც სხვისი ყმა, ან ძონა იყოს,
რომ ხალხის სიცილს დაუნანებლად
თავისი შუბლი მსხვერპლად შესწიროს?!
მათი ტოლნი კი, მოხუცებულნი,
სხვის ამაღლებას როცა ჰხედავდნენ,
„ნეტა მე მქნაო“—ამბობდნენ ოხვრით
და თავის ქერქში შურით დნებოდნენ.
თუმცა სულმდაბალთ ახლაც ბევრს ნახავთ,
მაგრამ ამ გვარებს ყველა დასცინის
და ღირსიც არის, თუ უფრო უხვად
არ ებოძებათ მათ ჯილდო მეფის.

ფამუსოვი. ოხ, ღმერთო ჩემო! ამას ის უნდა,
დიდი და მცირე რომ გაასწოროს.

ჩაცკი. არა, სულ სხვაა ახლანდელი დრო!

ფამუსოვი. ამას სუყველა უნდა ერიდოს!

ჩაცკი. ყველამ ნებაზე ამოისუნთქა,
თავისუფლებას ახლა მეტსა ჰგრძნობს
და როდი სცდილობს, როდი ისწრაფვის,
რომ მასხარათა გუნდს ჩაეწეროს!

ფამუსოვი. ნეტა რას ამბობს! როგორადაც სწერს,
ლაპარაკიცა იმგვარი იცის!

ჩაცკი. ეახლოს თავის მფარველ-მწყალობელს,
ამთქნაროს, ჭერზე ბუზები სთვალოს,
სკამი მიართვას, თან ხელ-მანდილი,
კარგად გამოძღეს და იმასხაროს.

ფამუსოვი. ეს გვიქადაგებს თავისუფლებას!...

ჩაცკი. ზოგმა ისურვა მოგზაურობა,
ზოგიც თავისთვის სოფელში სცხოვრობს...

ფამუსოვი. ეს მთავრობასაც არაფრად აგდებს!

ჩაცკი. ზოგი თვით საქმეს ემსახურება,
და არა ვისმეს პირადობასა...

ფამუსოვი. მე კი სასტიკად აღგიკრძალავდით,

რომ თქვენისთანა ვაჟბატონები
სატახტო ქალაქს არ შემოეშვით.

ჩაცკი. დასასრულ, მოგცემთ თქვენ მოსვენებას...

ფამუსოვი. ბოლო მოეღო ჩემს მოთმინებას!..

ჩაცკი. თქვენს დროს ვლანძღავდი შეუბრალებლად
და თქვენც ნება გაქვთ სამაგიეროთ
ცოტათი მაინც შეეხოთ ჩვენს დროს
და რამე წუნი გამოუძებნოთ.
ასეც რომ იქნეს, როდი ვიტირებ!

ფამუსოვი. თქვენი არა მწამს, არც რამე მინდა!
უწმაწურობას ყურს ვერ დავუგდებ!

ჩაცკი. აღარას ვამბობ!

ფამუსოვი. ყურებს დავიცობ!

ჩაცკი. რათა? თქვენს სმენას მე არ ვეხები!

ფამუსოვი (ჩქარა ამბობს). ამათგან უნდა კარგს მოველოდეთ?
ეს უსაქმურად მაწანწალები!

ჩაცკი. მე გავათავე!

ფამუსოვი. გთხოვ, შემიბრალე!

ჩაცკი. მე როდი მინდა დავის განგრძობა!

ფამუსოვი. მაცალე მაინც, სული მოვითქვა...

გამოსვლა მესამე

იგინივე და მსახური

მსახური. პოლკოვნიკ სკალოზუბი გეახლათ!

ფამუსოვი (არაფერს ხედავს და არც ესმის).
დამაცა, ნაცვლად თუ არ დაგსაჯო!..

ჩაცკი. თქვენთან ვიღაცა სტუმრად მოსულა!

ფამუსოვი. მე არა მესმის! სამართალს მიგცემ!

ჩაცკი. თქვენი ბიჭია, ეს მოგახსენებთ!

ფამუსოვი. არა მესმის-რა! სამართალს მეთქი!..

ჩაცკი. მობრუნდით რაღა! თქვენ გეძახიან!..

ფამუსოვი. (მობრუნდება) ჰა? აჯანყდნენო? მე ისე ველი
სოდომ-გომორის არევ-დარევას!

მსახური. აქ პოლკოვნიკი სკალოზუბია!
ვთხოვო თუ არა?—ველი ბრძანებას.

ფამუსოვი (წამოდგება). ვირებო! ასჯერ გაგიმეორებთ?
მიიღე, სთხოვე, უთხარ—შინა ვარ
და მისის ჩემთან მობრძანებითაც
დიდად და დიდად მხიარული ვარ.
გასწი საჩქაროდ! (**მსახური გადის**)
თუ ღმერთი გწამდეს,
იმასთან მაინც ფრთხილად იყავი:
ის სხვა ვინმეა, ყველგან ცნობილი,
დარბაისელი, შესანიშნავი.
განსაკუთრებულ გმირობისათვის
მრავალი ჯილდო მიუღია მას,
და რაც იმის ხანს შეეფერება,—
იმის-და კვალად, ჩინიც დიდი აქვს.
პოლკოვნიკია! და დღეს თუ არა,
ხვალ გენერლობას გვერდზე გაიკრავს.
თუ ღმერთი გწამდეს, იმასთან მაინც
დინჯად იყავი, თავ-დაჭერილად.
ოოჰ, ალექსანდრ ანდრეიჩ, ძმაო,
ცუდათ იქცევი, ძალიან ცუდათ!...
ის ჩვენთან ხშირად დაიარება
და მეც, ხომ იცი, სტუმარი მიყვარს!
ახლა მთელს მოსკოვს ყბად აუღია,
რომ სკალოზუბი სოფიას ირთავს!
სულ ჭორი არის! იქნება იმას
სულით და გულით კიდეც უნდოდეს!
მე კი მაგ რიგად არ მეჩქარება,
რომ ჩემი ქალი ადრე გათხოვდეს.
სოფია ჯერ ხომ ახალგაზრდაა!

მაგრამ რაც ღმერთს ჰსურს, იგი მოხდება!
შენ კი ამას გთხოვ, შენი აზრები
იმასთან მაინც ნუ წამოგცდება...
კი არა სჩანს და... რა მიზეზია?
უთუოდ იგი ჩემს ოთახშია!.. (საჩქარად კარის)

გამოსვლა მეოთხე

ჩაცკი მარტო

ჩაცკი. როგორ ფუსფუსებს!.. რა ამბავია?!!
სოფია! ეგებ მართლა საქმროა!
მე კი ახლოსაც ალარ მიკარებს!...
საქმრო რომ იყოს, აქ არ შემოვა?..
ვინ უნდა იყოს ეს სკალოზუბი,
რომ მამა ასე ჰბოდავს მის სახელს?
ვინ იცის, ეგებ მამას კი არა,
შვილსაც ყოველ წუთს იგი ახსოვდეს!..
ეჰ! ის სიყვარულს გამოესალმოს,
ვინც სამს წელიწადს სატრფოს განშორდეს!...

გამოსვლა მეხუთე

ჩაცკი, ფამუსოვი და სკალოზუბი

ფამუსოვი. სერგეი სერგიჩ! აქეთ, ჩვენს ახლოს!
აქ უფრო თბილა! უმდაბლესად გთხოვთ!
მგონი, გაჰყინდით! ფეჩის სახურავს
ეხლავ გამოვწევ, ხელათ გაგათბობთ.

სკალოზ. (ბოხი ხმით). თქვენ, მაგალითად, რისთვის სწუხდებით,
ამ სიმაღლეზე სად აბობღდებით!
ვით პატიოსანს მხედარს, მრცხვენია.

ფამუსოვი. ნუ თუ გულითად მეგობრისათვის,
ფეხის გადადგმაც არ შემიძლია!
სერგეი სერგიჩ, ჩემო ძვირფასო,
დადეთ ეგ ქუდი, ხმალი მოიხსენთ!
აი დივანი, როგორც გიამოთ,
შინაურულად მოიკალათეთ.

სკალოზუბი. საცა მიბრძანებთ, ოღონდ კი დავჯდე!

ფამუსოვი. ოჰ, ბარემ ვეტყვით, არ დამავიწყდეს:
ნება გვიბოძეთ, ჩვენც შევუერთდეთ,
თუნდაც შორეულს, თქვენს ნათესავებს.
სამკვიდროს კი არ შეგეცილებით...
ვერ ვიცნობდი და გაცნობისთვის
თქვენს ბიძაშვილსა ვწირავ მადლობას...
ნათესავი თქვენი, ან იცნობთ
ანასტასია ნიკოლაევნას?

სკალოზუბი. უკაცრავად ვარ, მაგრამ არ ვიცნობ,
ჩვენ ერთად არსად გვიმსახურნია!

ფამუსოვი. სერგეი სერგიჩ! ნუ თუ თქვენ ხართ ეს!
მე კი ნათესავს სხვაფრივ ვეძებევი.
მევე მოვძებნი! გინდა ზღვის ბსკერში
რომ იყოს სადმე,—იქაც ჩავწვდები.
ჩემთან უცხოებს ძვირად შეხვდებით,
ვინც კი მსახურებს, ყველა ჩემია:
ზოგი დისწული, ცოლის დის შვილი,
თითქმის სუყველა ნათესავია.
ერთი მყავს უცხო,—ეს მალჩალინი,
ისიც იმიტომ, რომ შრომა უყვარს!
ჯილდოს ვუშოვნი, ან ადგილს ვისმე,
ბარემ ვაამო ჩემსავ ნათესავს!..
აკი თქვენმა ძმამ მიამბო, რომ თქვენ
მას სამსახურში უხვად სწყალობდით.

სკალოზუბი. რვაას ცამეტში მე და ჩემმა ძმამ
თავი ვიჩინეთ ბრძოლაში ერთად—

მეოცდა ათე ეგერში, შემდეგ
რომ გადასცვალეს ორმოც-და ხუთად.

ფამუსოვი. ბედნიერია, ვისაც მაგეთი
გამოჩენილი ვაჟი შვილი ჰყავს!
იმას, მგონია, სხვა ჯილდოს გარდა
„პეტლიცაზედაც“ კიდევ ჯვარი აქვს?

სკალოზუბი. სამის აგვისტოს გამარჯვებისთვის,
როცა იდუმალ მტერს ჩავუსაფრდით.
მაშინ ჩვენ ორმა ჯილდო მივიღეთ:
მე ყელის ჯვარი, იმან კი—ბანტით.

ფამუსოვი. მართალი გითხრათ, იმ თქვენს ბიძაშვილს
სუყველა აქებს, ჩინებულია!

სკალოზუბი. კი, მაგრამ ახალ აზრებს გადაჰყვა,
თანამდებობას სულ ვერ ითვისებს.
ჩინს მიიღებდა, მაგრამ გაიქცა,
სოფელში ზის და კითხულობს წიგნებს.

ფამუსოვი. აი ბავშვობა!.. წიგნების კითხვა...
თქვენი მოქცევა მოსაწონია.
დიდიხანია პალკოვნიკი ხართ
და რაც მსახურებთ—ცოტა ხანია.

სკალოზუბი. დიახ, ამ მხრით კი ბედნიერი ვარ!
ჩემთვის ადგილი მუდამ იცლება:
უფროს ადგილზე მოსამსახურეთ
ზოგს გამოსცვლიან და ზოგიც ჰკვდება.

ფამუსოვი. ოღონდაც! ვისაც ღმერთი მფარველობს,
მას წარჩინება არ მოაკლდება...

სკალოზუბი. ზოგი ჩემზედაც ბედნიერია:
ჩვენს მეხუთმეტე დივიზიაში
თითონ ბრიგადის გენერალი კი
არ ჩაითვლება ბედნიერთ რიცხვში!

ფამუსოვი. თქვენი ჭირიმე! თქვენ რა გაკლიათ?

სკალოზუბი. როდი ვემდური! არ დამივიწყეს,
თუმცა ესეც კი სათქმელი არის,

რომ ორს წელიწადს პოლკში მატარეს.

ფამუსოვი. მერე რა ვუყოთ! სამაგიეროდ
ამხანაგები უკან ჩამოგრჩნენ.

სკალოზუბი. კორპუსით ჩემზე უფროსთაც ნახავთ:
მე რვაას ცხრიდან ვარ სამსახურში!
ჩინის საშოვნად ბევრი გზა არის
და მეც ამაზე სწორედ ბრძნულად ვსჯი...
მხოლოდ მივიღო გენერლის ჩინი.

ფამუსოვი. მშვენიერად სჯით, ღმერთმა გიშველოთ!
არ მოგეშალოთ სახელ-დიდება
და გენერლობაც ჩქარა მიგეღოთ.
მერე კი დიდს არ დავაგვიანებთ,
გენერალშაზეც ვილაპარაკებთ!...

სკალოზუბი. ცოლი შევირთო? მე თანახმა ვარ!

ფამუსოვი. აქ ხომ ქალები ურიცხვი არი!
ზოგს დისწული ჰყავს გასათხოვარი,
ზოგს ბიძაშვილი, ზოგს და, ზოგს ქალი.
წლითი წლობამდე სულ ემატება...
მოსკოვის მზგავსსა სად ნახავთ ქალაქს!
არა, გეთაყვა, მართალს არ ვამბობ?

სკალოზუბი. დიახაც! მოსკოვს დიდი სივრცე აქვს.

ფამუსოვი. საქმე გემოა, ჩემო კეთილო,
და ყველაფერზე წესიერება!
აქ, მაგალითად, იმ წესს მისდევენ,
რომ მამის დაგვარ შვილს პატივს სცემენ!
გინდ ცუდიც იყოს, თუ ყმა-მამულის
პატრონი არის, ქალს მას მისცემენ,
და სხვას, ასწილად რომ სჯობდეს ჭკუით,
ტყუილად სახლშიც არ შეუშვებენ.
აქ ჯერ ისევე მტკიცედ იცავენ
აზნაურობას და თავადობას!
განა მარტო ეს? აბა დაჰხედეთ
ჩვენს პურ-მარილსა და გულ-უხვობას!..

მოსვლა სურს ვისმე,—მობრძანდეს! კარი
ღია დახვდება ნაწვევს, უწვეველს.
ყველას ერთგვარად მივეგებებით
და უმეტესად ვინმე უცხოელს.
გინდ კარგი იყოს, და გინდა ავი
სუყველასათვის სუფრა მზად არის.
და რომ გასინჯოთ თავით ფეხამდე,
ყველა მოსკოველს სხვა დაღი აზის.
აი დახედეთ ჩვენს ახალგაზდებს:
ჭაბუკ შვილებსა და შვილის-შვილებს!
ისე ვწვრთნით, რომა თხუთმეტის წლისა
თვით მასწავლებელს გადააჭარბებს.
ჩვენი ბებრები! თუ ერთი ასტყდნენ
და სჯა დაიწყეს რამე საქმეზე?—
რასაც იტყვიან—განაჩენია...
სუყველა ტახტის აზნაურია.
წარბსაც ვერავინ შეახვრევინებთ!
მათ არავისი არ ერიდებათ.
მთავრობაზედაც ხან ისე სჯიან,
რომ გაიგონოთ,—გაგიკვირდებათ!..
ვითომ ახალი შემოიღონ რამ?
არას დროს! ამას ღმერთმა გვაშოროს!
არა! უბრალოდ ახირდებიან
ხან ერთ რამეზე, ხან მეორეზე
და უფრო ხშირად სულ არაფერზე...
იკამათებენ, იხმაურებენ
და ამნაირად დაიშლებიან.
მთავარ ვეზირნი არიან, თუმცა
ჭკუით სამსახურს გარეშე მყოფნი.
ამასაც გეტყვით, რომ უიმათოდ
ჩვენში ვერაფერს გააკეთებენ.
ახლა ქალები! ერთი გაჰბედონ
და მოინდომონ მათზე უფლება!..

თვითვე არიან სხვების მსაჯულნი
და მათს მსაჯულად ვინღა იქნება!..
ბანქოსს თამაშში რომ იგროვებენ
და ერთ ხმად შეჰქმნენ ჩხუბსა და ყაყანს,—
ვაი იმ წუთში მათს მაყურებელს,
მის ყურთა სმენას და მოთმინებას!..
მეც მყავდა ცოლი, გამოცდილი ვარ!
რომ უთხრათ, ჯარსაც კი უსარდლებენ,
თვით სენატშიაც რომ გააგზავნოთ,
არ შედრკებიან და იქაც წავლენ.
აი გინდ ირინა ვლასიევნა!
ან ლუკერია ალექსეევნა!
გინდ ტატიანა იურიევნა!
ან-და პულხერია ანდრეევნა!
გასათხოვარ ქალთ აღარ იკითხავთ!
ყველა ზრდილობით აღსავსე არი!
იმათი უდიდებულესობა
ბრძანდებოდა აქ პრუსთა მთავარი.
გაოცდა ჩვენის ყმაწვილ ქალების,
სახით კი არა—კეთილ ზნეობით!
მართალიცაა—მოსკოველ ქალებს
ვინ შეედრება აღზრდით და ქცევით!
იციან კარგად მორთვა-მოკაზმვა,
ჩაცმა-დახურვა დიბა-ხავერდით.
ერთ სიტყვას სწორათ არ გამოსთქვამენ,
ლაპარაკობენ პრანჭვით და გრეხვით.
ფრანგულ სიმღერებს კარგად მღერიან,
გაბედულათა და თან ხმა მაღლად,
სამხედრო კაცებს უფრო ეტრფიან...
ეს იმიტომ, რომ სამშობლო უყვართ...
გადაჭრით გეტყვით: ძნელად იპოვით
სატახტო ქალაქს მოსკოვისთანას!

სკვლოზუბი. მე კი მგონია ცეცხლის გაჩენამ

ხელი შეუწყო მის გამშვენებას.

ფამუსოვი. ნულარ მიბრძანებთ! ცოტა გაკეთდა
მერე გზები და ქვა-ფენილები!
სუყველა სახლი სხვა გვარად არის
ახალ გემოზედ ნაშენ-ნაგები.

ჩატკი. სახლები თუმცა თქვენ ახალი გაქვთ,
მაგრამ მსჯელობა ისევე ძველი!
და გიხაროდეთ: მას ვერ აღმოჰფხვრის
ვერც დრო, ვერც მოდა, ვერც თითონ ცეცხლი!

ფამუსოვი (ჩატკის). ეი! შენ ძაფი მაინც განასკვე,
რომ მოგაგონდეს, რაც მე გითხარი.
ხომ გთხოვე: ჩუმად იყავი მეთქი,
და რომ დაჩუმდე, დიდი რამ არი! (**სკალოზუბს**)
ნება მიბოძეთ! ეს შვილი არის
განსვენებულის ჩემის მეგობრის:
ანდრეი ილიჩ ჩაცკი რომ იყო;
სამსახურში კი არსად არ არის;
ესე იგი, ვთქვათ, სამსახურიდან
დიდ სარგებლობას არას მოელის;
თუ მოინდომებს, ყველას აჯობებს...
მებრალვის, სწორედ, დიდად მებრალვის.
მერე რა თავის პატრონია და...
მშვენიერად სწერს, მშვენივრად სთარგმნის.
როგორ იქნება არ შეიბრალო,
როცა პატრონი ასეთის ჭკუის...

ჩატკი. თუ შეიძლება, სხვა შეიბრალეთ,
მე თქვენგან ქებაც ძალიანა მწყინს.

ფამუსოვი. განა მე მარტო—ყველა გამტყუნებს.

ჩატკი. მერე ვინ არის ჩემი მსაჯული?
სიბერის გამო იმათი ჭკუა
ვერ ურიგდება ახლანდელს დრო-ჟამს.
ყველაფრით ჰგმობენ თავისუფლებას
და ვერ იცხრობენ მისდამი მტრობას.

სიბრძნეს ეძებენ იმ დროს გაზეთში,
როცა ყირიმი რუსთა დაიპყრეს;
მუდამ გვტუქსავენ, მუდამ გვკიცხავენ,
გაიძახიან ერთს და იმავეს.
თავის თავს კი არ უკვირდებიან,—
უარესობა მოსდევს სიძველეს.
სად არს, გვაჩვენეთ, ქვეყნის მამანი,
რომ მათ მივბაძოთ, ვისწავლოთ მათგან?
ნუ თუ ისინი არიან, ვინცა
სხვისის ნაძარცვით გამდიდრებულან!
ნათესავთა და მეგობართ კალთას...
მოჰფარებიან, თავი უხსნიათ,
და მათისავე უხვ-მასპინძლობით
მართლ მსაჯულებაც აუცდენიათ,
სად საქეიფოდ, დროს სატარებლად
ქვეყნის მსაჯულნი შეიყრებიან,
სად უცხოელნიც გარდასრულ დროის
საზიზღარ ნაშთთა ვერ აღმოჰფხვრიან...
ან კი ლხინმა და სადილ-ვახშამმა
მოსკოვში ვის არ აუკრა პირი?
იქნებ ის არის, ვისთანაც ერთხელ
ჯერ კიდევ ბალღი თქვენ წამიყვანეთ
და მოწიწებით თაყვანის ცემა
და თავის დაკვრა მისი მასწავლეთ?
იმ საძაგლობის გამავრცელებელს,
მსახურთა გროვა რომ ეხვია გარს
და თავის ერთგულ მონათა კრება
მთლად ანაცვლა სამ წუპაკ მწევარს?
ეგების არის, ვინც თავის ყმები
დააწიოკა, გაატიალა,
დედ-მამის ჭერს და მშობლების კალთას
ღვიძლი შვილები გამოაცალა!
გალალებული სხვისის ნაღვაწით

შეეთვისტომა სიბილწის მორევს
და მოსკოველთა განსაცვიფრებლად
ათამაშებდა მათს სილამაზეს!
მაგრამ მოვალეთ ეს რად უნდოდათ?
ვალის გადახდა ალარ აცალეს
და გლეხთა შვილნი სულ სათითაოდ
პირუტყვებივით ჩამოირიგეს.
აი, ისინი, ის თეთრ თმოსანნი,
რომელთაც უნდა პატივსა ვსცემდეთ
და ამ საბუდარს სულ მდაბლობისას,
ჩვენ, უკაცონი, კაცებად ვთვლიდეთ!
იმათ ხელ არის ჩვენი ავ-კარგი:
დაწუნებაცა და მოწონებაც!..
ახლა რომ ერთმა ჩვენგანმა ვინმემ
ხელი მოჰკიდოს მეცნიერებას,
სწავლა არჩიოს ჩინს და ორდენებს
და ხელოვნება—თანამდებობას—
მაშინვე ყველა ერთ-ხმად იყვირებს:
ავაზაკები დაგვესიაო!
და მათგან საშიშ კაცად ცნობილმა
კიდით კიდემდე ულნდა იარო!
მუნდირი მხოლოდ! მარტო მუნდირი!
რომ შეჰხაროდენ იმ კოხტად ნაკერს,
ის ერთ დროს, მართლაც, ჰფარავდა იმათს
სულ-მდაბლობას და ჭკუით სიგლახეს.
მაგრამ წარვიდა, იმათს კვალს გაჰყვა—
გზა მშვიდობისა დაგვილოცნია.
ქმრიანი, უქმრო, ყველა ერთ რიგად
მუნდირს შეტრფოდა და შეჰხაროდა.
მეც თვითონ განა დიდი ხანია,
რაც ეს მუნდირი მეტად მომწონდა?
მაგრამ უარ ვყავ! და ამის შემდეგ
როდი ჩავიდენ ამ გვარ ბავშვობას...

მაგრამ მაშინ კი ვინ შეიძლებდა,
არ აჰყოლოდა სხვების ფეხის ხმას!
როცა სასახლის გვარდიელები
ხან-და-ხან მოსკოვს ესტუმრებოდნენ,
„ურას“ ჰყვიროდნენ ჩვენი ქალები
და თავსაფარებს ცაში ისვროდნენ.

ფამუსოვი (თავისთვის). ეს მე კარგ საქმეს არას შემამთხვევს!
(ხმა მაღლა) სერგეი სერგიჩ, მე გიახლებით
და იქ მოგიცდით ჩემს კაბინეტში! (გადის).

გამოსვლა მეექვსე

სკალოზუბი და ჩატკი

სკალოზუბი. ძალიან მომწონს, რომ მაგრე რიგათ
მოიხსენიეთ მოსკოველები,
მათი საგანი გატაცებისა:
გვარდიელობა, გვარდიელები.
პირველ გვარდიას აღარ იკითხავთ?
თავით ბოლომდე კოპწიაობენ,
დაგისახელებთ ზოგ-ზოგ აფიცრებს,
რომ ფრანგულათაც ლაპარაკობენ.

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე, სოფიო და ლიზა

სოფია. (ფანჯრისკენ გარბის) ოჰ! გადმოვარდა! მოჰკვდა!
ჩატკი. ვინ! ვინა?
სკალოზუბი. ვის რა შეემთხვა?
ჩატკი. ეს შიშით ჰკვდება!
სკალოზუბი. ვინ გადმოვარდა?

ჩაცკი. ხომ არ დაშავდა!
სკალოზუბი. ჩვენი ბებერი ხომ არ წაიქცა!
ლიზა (თავის ქალბატონთან ფუსფუსებს).
კაცს რაც ბედი აქვს არ აშორდება!
მალჩალინს სურდა ცხენზე შეჯდომა
და უზანგოში რომ ფეხი შესდო,—
ცხენი უკან ფეხებზე დადგა...
ჩამოვარდა და კეფა ძირს დაჰკრა.
სკალოზუბი. თავი ძალიან მოუწევია!
რა გაეგება მას ცხენოსნობის!
ვნახავ, რა დაჰკრა, ან რა სტკენია! (გადის)

გამოსვლა მერვე

იგინაგე, სკალოზუბს გარდა

ჩაცკი. რითი ვუშველოთ! მითხარი, ჩქარა!
ლიზა. მოიტათ წყალი, იმ ოთახშია!
(ჩაცკი გაიქცევა და შემოიტანს წყალს. მერე ხმა დაბლა ლაპარაკობს, ვიდრე სოფიო გონს არ მოვა)
ლიზა. ჩაასხთ ჭიქაში!
ჩაცკი. ჩასხმული არის!..
ზონრები შესხენ უფრო ნებაზე.
აბა, საჩქაროდ აპკურე წყალი
და საფეთქლები ძმრით დაუზილე.
მგონი, მოუხდა, შშვიდათა სუნთქავს,
შეხედე... რითი მოვუნიავო?
ლიზა. აი, მიირთვით მაგის მარაო.
ჩაცკი. გადაიხედე! ჰხედავ მალჩალინს?
დიდი ხანია, რაც ის ფეხზე დგას.
ყველა უბრალო ამას აშფოთებს!..
ლიზა. დიახ, ქალბატონს სუსტი გული აქვს.—
მაშინვე გული შეუწუხდება,

თუ ვინმე ჰნახა დაცემული ძირს.

ჩაცკი. აპკურე წყალი, ე მაგრე, კიდევ!

სოფია. (დრმა ამოოხვრით) ვინა ხართ აქა?
ჩემთან ვინ არის? (ჩქარა და სმა მადლა)?
სად არის იგი? რა დაემართა?

ჩაცკი. იმას კისერიც მოუტეხია!
ცოტა დააკლდა, რომ თქვენც არ მოგკლათ.

სოფია. არ შემიძლიან, თქვენს მკვახე სიტყვებს
ყური დავუგდო და თქვენ გიმზიროთ.

ჩაცკი. გინდათ მის ნაცვლად მე ვიტანჯვოდე?

სოფია. მინდა გაიქცეთ, მას მიეშველოთ...

ჩაცკი. მერე თქვენ უნდა მარტო დაგაგდოთ?

სოფია. მე რად მინდიხართ? მაგრამ ჰო, მართლა!
სხვის მწუხარება თქვენთვის ხომ მხოლოდ
გართობა არის შესაქცევარი!
სულ ერთი არის, არად ჩააგდებთ
თვით ღვიძლი მამაც რომ ნახოთ მკვდარი. (ლიზას)
ჩქარა გავიქცეთ, მას მივეშველოთ.

ლიზა (გაიუვანს განზე). გონს მოეგვევით, საით მიდიხართ!
ის ცოცხალია, კარგათაც არის...
აი, ფანჯრიდან რად არ შეხედავთ!
(სოფიო უყურებს ფანჯარიდან)

ჩაცკი. შფოთვა, გულ-წასვლა, მოუთმენლობა!
და შიშით რისხვა, სულ სხვა ნაირათ!
ამაებს მხოლოდ მა'შინ ჩავიდენთ,
როცა გულითად მეგობარს ვკარგავთ!..

სოფია. აქეთ მოდიან! ხელს ველარა სწევს!

ჩაცკი. ნეტავი მასთან მოვმკვდარვიყავ მეც.

ლიზა. ნუთუ ხათრისთვის გსურდათ სიკვდილი?

სოფია, არა, ეგ ნატვრა თქვენთანვე დარჩეს.

გამოსვლა მეცხრე

იგინივე, სკალოზუბი და მალჩალინი ხელ-ჩამოკიდებული

სკალოზუბი. უვნებლად ადგა! ცოტათ ხელი აქვს
დაშავებული, ტყულად შეშინდით.
მალჩალინი. მე თქვენ დაგაფრთხეთ! გთხოვთ მაპატიოთ!
სკალოზუბი. რა მოგვიდათ ჩვენ არ ვიცოდით.
უცბათ იყვირეს—ჩამოვარდაო!
სუყველა შევკრთით! თქვენ ძირს დაეცით!
და რა აღმოჩნდა? სულ არაფრისგან
შეგეშინებია! ტყულად შევშფოთდით.
სოფია (არ უყურებს მალჩალინს). დიახ დავრწმუნდი ტყულათ
მაგრამ მე ჯერაც საოცარად ვთრთი. [შევშფოთდით,
ჩაცკი (თავისთვის). მალჩალინს ერთი სიტყვაც არ უთხრა!
სოფია. აი, მე ახლა ჩემზედაც ვიტყვი,
მშიშარა არ ვარ! ბევრჯერ მოხდება,
რომ ჩემი ეტლი გადაბრუნდება,
ასწევენ, მე კი ისევ ჩავჯდები—
და გავაქანებ, არ მეფიქრება.
მაგრამ სხვის მცირე მწუხარებასაც
ვერ გადავიტან! მტანჯავს და მაკრთობს,
და სულ ერთია, როდი დავეძებ
გინდა ნაცნობი, გინდ უცხო იყოს...
ჩაცკი (თავისთვის). მოტევებასა თხოულობს მისგან,
რომ ერთხელ ვიღაც შეჰბრალებია!
სკალოზუბი. აი, გიამბობთ ერთ ახალ ამბავს!
ვიღაც ვლასოვის ქვრივი კნეინა
არის თურმე აქ და, როგორც მითხრეს,
შესანიშნავი ცხენოსანია.
მაგრამ ამ ბოლოს, თურმე ცხენიდან
გადმოვარდნილა და დაჩეჩქვილა.

მხლებელსაც ველარ დაუჭერია,
ალბათ, ის მაშინ ბუზებს თუ სთვლიდა.
როგორც მიამბეს, უიმისოდაც
მოკლებულია ის სილამაზეს,
და ახლა, გვერდიც რომ ამოიგდო,
ყავარჯნად თურმე საქმროს დაეძებს.

სოფია. აი, ალექსანდრ ანდრეიჩ, თქვენ ხომ
სხვის უბედობას გაინაწილებთ!..
მოდით, და ამ ერთ შემთხვევაშიაც
მთლათ სულმაღლობა გამოიჩინეთ!...

ჩაცკი. დიახ, მე ჩემი გულკეთილობა
აი, ამ წუთშიც კი დაგიმტკიცეთ!
თუმცა არ ვიცი, რისთვის და ვისთვის—
მე მოგაბრუნეთ და აღგადგინეთ.
(აიდებს ქუდს და მიდის).

გამოსვლა მეათე

იგინივე, გარდა ჩაცკისა.

სოფია. თქვენ ხომ შემოხვალთ საღამოს ჩვენთან?

სკალოზუბი. რა დროს?

სოფია. რაც ადრე უკეთესია
ჩვენს შინაურულ მეგობრებს ველით,
მოვლენ საცეკვრად, სამხიარულოდ,
მგლოვიარეთ ვართ და ამიტომაც
ბალს ვერ გავმართავთ, ისე ვიცეკვოთ.
გახსოვდეთ კი არ დაიგვიანოთ.

სკალოზუბი. უთუოდ მოვალ, ახლა მამასთან
უნდა შევიდე გამოსათხოვრად.

სოფია. მშვიდობით!

სკალოზუბი (მაღჩადინს ხელს ჩამოართმევს).
თქვენი მორჩილი მონა! (კადის).

გამოსვლა მეთერთმეტე

სოფიო, მალჩალინი და ლიზა

სოფიო. მალჩალინ! ჭკუა როგორ-ღა შემრჩა?
ხომ იცით, ჩემთვის რა ძვირფასი ხართ!
თქვენ კი თავს სულაც არ უფრთხილდებით!
მითხარით, ხელი ძალიან გტკივათ?
კაპლი არ მოგცეთ? ან ახლა თქვენთვის
საჭირო არის ხომ მოსვენება?
ნუ მიაყრუებთ, ექიმს უჩვენეთ.

მალჩალინი. შევიხვიე და აღარა მტკივა.

ლიზა. წაძლევს მოვდივარ, ტყუილს იგონებს!
რომ არ შვენოდეს, ხელს არ შეიკრავს
და ეს კი ტყუილი არ არის, რომ თქვენ
ვერ აშორდებით მთელი ქვეყნის ხმას.
რაღა თქმა უნდა, ჩაცკი დაგცინებთ
და სკალოზუბიც გუდას თავს მოჰხსნის,
ყველას უამბობს თქვენს გულის წასვლას,
სიტყვის მასალად, ერთს ასად გაჰხდის.
ის სხვაზე უფროც ხუმარაც არის,
ან კი ამ დროში ვინ არა ხუმრობს...

სოფიო. მერე მე იმათ ვითომ რად ვაგდებ!
თუ მინდა მიყვარს,—თუ მინდა—ვიტყვი,
მალჩალინ! განა მე არ ვეცადე
და ძალად თავი არ შევიკავე?
რომ შემოხველით, არა გითხარით,
ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაგიბედეთ,
სული მიწუხდა, მაგრამ იმათთან
ვერა გკითხეთ-რა, ვერც შემოგხედეთ.

მალჩალინი. არა, ძვირფასო სოფი პავლოვნა,
თქვენ მეტის-მეტად გულ ახდილი ხართ!

სოფია. სიდან ვისწავლო გულში დაფარვა!
მე კი მინდოდა, რომ თქვენ საშველად
თვით ფანჯრიდანაც გადმოვჭრილიყავ!
რას დავდევ მე სხვებს! ვის რა საქმე აქვს?
ან რად ჩავაგდებ გინდ მთელ სამყაროს!
სასაცილოა,—დამცინოს ხალხმა,
საწყენი არის,—და ერთ ხმად დამგმოს!

მალჩალინი. კი არ გვევნოს და...

სოფია. ნუ თუ დუელში
გაგიწვევთ ვინმე? რა ამბავია?

მალჩალინი. განა არ იცით, რომ ავი ენა
ტყვიაზე უფრო საშიშარია!

ლიზა. ისინი მამათქვენთან არიან
და რა კარგს იზამთ, რომ შეეჭრიალდეთ!
ვითომც აქ არაფერი მომხდარა!
აუშფოთებლად, სახე მცინარედ...
როცა გვეტყვიან, რაც ჩვენს გულს უნდა,
სიამოვნებით ჩვენც დავიჯერებთ!
ჩაკიც იქ არის, მიდით იმასთან
და ყმაწვილობის დრო მოაგონეთ.
ისე ეჩვენეთ, ვითომც გიყვარდეთ!
გადაუკარით ალერზე სიტყვა,
პირ მომღიმარედ ელაპარაკეთ
და შეყვარებულს მეტიც არ უნდა:
ყველაფერს მალე დაიჯერებენ...

მალჩალინი. მე კი ვერ ვბედავ, რომ მოგცეთ რჩევა!

სოფია. (ტრემლმორეული) თქვენც გინდათ! წავალ, მაგრამ რალა
თუ ეშმაკობა ვერ მოვახერხე! [ვქნა,
ცრემლ მორეული ვეალერსო სხვას?..
ოჰ, ღმერთო, ჩაკკ რად მოიყვანე!.. (გადის)

გამოსვლა მეთორმეტე

მალჩალინი და ლიზა

მალჩალინი. ტურფა არსებავ, სიცოცხლით სავსევ!
ლიზა. გთხოვთ დამეთხოვოთ, თქვენ უჩემოდაც
ორნი ბრძანდებით.
მალჩალინი. — რა ლამაზი ხარ
და რომ იცოდე... როგორ მიყვარხარ!
ლიზა. „ბარიშნა?“
მალჩალინი. იგი სამსახურისთვის
და შენ კი.....
ლიზა. მისთვის რომ არ მოგწყინდეს?
ხელი გასწიეთ!
მალჩალინი. სამი რამა მაქვს,
ახლავ აგიწერ მათ სიმშვენივრეს:
საპირფარეშო მოწყობილობა,
უცხო ხელობით გაკეთებული,
გარეთ სარკე აქვს, შიგნითაც სარკე,
ორგვლივ ვარაყი შემოვლებული.
ერთი ბალიში, მძივით ნაკერი,
და სხვა ნივთები წმინდა სარდაფის,
სანემსე ყუთი და მაკრატელი,
თანაც ხელსაწყო ფერ-უმარილის,
ტუჩის მალამო, საუკეთესო,
ყველა ესენი მზათა მაქვს შენთვის
და ამას გარდა ნელსაცხებელი
სხვა-და-სხვა გვარი ყვავილ-ვარდების.
ლიზა. მე საჩუქრებით არ მოვტყუვდები.
მითხარით, ამას რატომ სჩადიხართ,

რომ ქალბატონთან კრძალვით იქცევით
და გოგოსთან კი მეტად ცელქი ხართ?

მალჩალინი. დღეს ავადა ვარ, ხელს ვერ შევიხსნი!
ჩემთან მოდი და ყველაფერს გეტყვი... (გადის).

გამოსვლა მეცამეტე

ლიზა და სოფია

სოფია. ვიყავ მამასთან! იქ არვინ არის,
სადილს იქ ვერ ვჭამ, ავადა ვარ დღეს!
წადი, მალჩალინს შეატყობინე
ჩემს სანახავად ახლავ მოვიდეს (გადის).

გამოსვლა მეთოთხმეტე

ლიზა (მარტო)

ლიზა. ოჰ, აქაურთ ხასიათი!..
ის მე მიწვევს, ეს კი—მას...
მე კი... მხოლოთ მე გავურბი
ამ სიყვარულს, როგორც ჟამს...
ვერა ვბედავ... მეშინიან...
ჩემთვისა ვარ მარტოკა...
მაგრამ როგორ არ მიყვარდეს
„ბუფეტჩიკი“ პეტრუშკა!...

მოქმედება მესამე

გამოსვლა პირველი

ჩაცკი, შემდეგ სოფია

ჩაცკი. დავუცდი... ვიხმარ ყოველგვარ ღონეს,
რომ მას სიმართლე დავაცდენინო!
მალჩალინს ეტრფის, თუ სკალოზუბსა,
ვინ უფრო მოსწონს—ეს ვათქმევინო!
მალჩალინი ხომ სულელი იყო,
ყოვლად საბრალო, ბრიყვი არსება!..
განა ამ ბოლო, დროს დაჭკვიანდა?!..
ან ის, მეორე, რას ემსგავსება!..
უშნო ბრტყელი რამ, ხმა ხრინწიანი,
ცეკვა-აღლუმით რომ იწონებს თავს!
მისთვის სიყვარულს იგივ ფასი აქვს,
რაც რომ ბავშვთათვის თვალხუჭანობას,
მე კი... (სოფია შემოდის) თქვენ აქ ხართ? მოხა-
[რული ვარ!
მეც ეს მინდოდა...

სოფია (თავისთვის). ტყუილათ ჰხარობთ!

ჩაცკი. უეჭველია, მე არ მეძებდით!

სოფია. თქვენ არ გეძებდით!

ჩაცკი. მინდა რამ გკითხოთ:—

თუმც დრო არ არის, ამის კითხვისა,
მაგრამ ვინ გიყვართ?

სოფია. მთელი ქვეყანა!

ჩაცკი. ყველაზე უფრო მეტად ვინ მოგწონთ?

სოფია. ბევრი! ჩემივე ნათესავები!

ჩაცკი. და ჩემზე უფრო სუყველა.

სოფია. ზოგი!

ჩაცკი. ან რაღა მინდა! მორჩა გათავდა!
მე ლამის ყელზე თოკი მოვიბა,
ეს არად აგდეს და იღიმება!..

სოფია. მართალი გითხრათ? თქვენ თუ სხვა ვინმეს
მცირე ოდენი რამ შეამჩნიეთ—
აუხირდებით მახვილ-სიტყვებით
და მის დაცინვას არ გაათავებთ.
მაგრამ თქვენ თითონ...

ჩაცკი. მე თითონ განა
სუყველაფერით ვარ სასაცილო?

სოფია. დიახ!. თქვენ ყველას რისხვით შეჰყურებთ
და ზედ ნადები გაქვთ მკაცრი კილო.
თქვენ ამაებით საოცარი ხართ,
მაგრამ თავის თავს ვინ დასდებს სწორ მსჯავრს!
კაცი, მარადის სხვის დამცინავი,
ვერა ჰგრძნობს თავის სასაცილობას.

ჩაცკი. მე ვარ ასეთი? მაშ ვინ არ არის
გასაოცარი და დასაცინი?—
ის, ვინც ყველაფრით სულელს წაგავს?.
გინდ, მაგალითად, ვთქვათ მალჩალინი?.

სოფია. ეგ მაგალითი ჩემთვის ძველია!
თქვენ გინდათ სხვებზე ჯავრი იყაროთ,
და მეც ამიტომ აქედან წავალ,
რომ ხელი რითმე არ შეგიშალოთ!

ჩაცკი (აჩერებს). დაიცათ! (განზე) ვნახოთ, მთელ სიცოცხლეში
ამ ერთხელ მაინც ვიფარისევლებ. (ხმა მაღლა)

სჯობს, სხვა რამე ვს ქვათ, დამნაშავე ვარ,
რომ მე მალჩალინს ცუდათ ვახსენებ.
იქნება მართლაც სამს წელიწადში
სულ სხვანაირად გამოიცვალა!
დედა მიწაზე ყველა იცვლება;
ჭკუა, ზნეობა და თვით ცის ძალა!
არიან კაცნი, პატივცემულნი,
რომ ერთ დროს იმათ სულელად სთვლიდნენ!
ზოგს ცუდ მეომრად, ზოგს—ცუდ პოეტად,
ზოგს.... მეშინიან დაგისახელოთ...
მაგრამ ისინი ამ ბოლო ხანში
ჭკუით ცნობილნი გახდნენ საქყეყნოდ.
ვთქვათ, მალჩალინი ჭკვიანი არის,
ნიჭით ილვსილი და გონიერი,
მაგრამ ულვივის ის ნაბერწკალი
და იმდენი აქვს გრძნობა ძლიერი,
რომ მას თქვენს გარდა მთელი ქვეყანა
და თვით სიცოცხლეც არად უნდოდეს
და უთქვენოდ მყოფს, მზისა სინათლეც
წყვდიად სამარედ ეჩვენებოდეს;
რომ თქვენი ტრფობა მის გულის ძგერას
ააჩქარებდეს, აათრთოლებდეს
და გატაცებულს ამ წმინდა გრძნობით
თქვენი არჩრდილი თვალის წინ უდგეს?
მე ვგრძნობ ამაებს! . თქმით კი ვერ ვამბობ,
მაგრამ რაც გულში ცეცხლი მიბრუნავს,—
ის ღმერთმა მტერსაც ნუ აცდევინოს...
მალჩალინი-კი თავს ძირს ჩაჰლუნავს
და გაჩუმდება! რალა თქმა უნდა,
ჩუმი იქნება, თუ არას იტყვის!
ჩუმია, მაგრამ რა საიდუმლოს
ატარებს გულით—ეს ღმერთმა უწყის!..
ვინ იცის, რა რიგ სიკეთით სრულად

თქვენ მალჩალინი წარმოიდგინეთ
და რაც მის თავში არა ყოფილა,
იმგვარი რამე მას მიაწერეთ!
ან, შეიძლება, იმას ალერსში,
თქვენი ღირსებაც გაუზიარეთ?..
ვთქვათ, ის ყოველ წუთს იმატებს ჭკუას,
თქვენზე ას წილათ უკეთესია,
უმანკო არის ყოვლის ღირსებით!
მაგრამ—გამოტყდით—თქვენი ღირსია?
აი, ეს ერთი კითხვა ჩემის მხრით
და, რომ გადვურჩე ამ ჩემს დანაკარგს,—
ნუ დამიფარავ, მართალი მითხარ,
ვით თანა შეზრდილს, ვით ძმას, მეგობარს.
გთხოვ დამარწმუნე! მერე მეც ჩემს თავს
მოვუფლი რითმე, არ გავგიჟდები,
გულში ჩავიქრობ ამ ანთებულს ცეცხლს,
წავალ, შორს საუმე გადვიკარგები...
შევძლებ როგორმე, გადავივიწყო,
აღარ ვიფიქრო ბრმა სიყვარულზე...

სოფია (თავისთვის). საკვირველია, რომ მე სრულიად
უნებლიეთად ეს გავაგიჟე!.. (ხმა მაღლა)
რად დაგიმალოთ! წელან მალჩალინს
კინაღამ ხელი მთლად გაუფუჭდა,
მე კი საჩქაროდ თანავუგრძენი
და მიშველება მისი მინდოდა!
თქვენ კი ესენი რომ დაინახეთ,
არც-კი ინებეთ ცოტა გეფიქრათ,
რომ შეიძლება მე ყველასათვის
კარგი მინდოდეს, განურჩეველად.
იქნებ თქვენს ეჭვში მართალიც არის,
მე გულ-მხურვალედ ვიფარავ იმას,
თქვენ კი რატომ თავს არ შეიკავებთ
და არ აჭლაგმავთ მაგ მახვილ ენას?

ყველას სიძულვილს აშკარად იჩენთ,
თვით წყნარსა და მშვიდს არაფრით ჰზოგავთ!
მისი სახელი რომ წასცდეს ვისმე, —
მწარე დაცინვას დააყრიდ უხვად.

ბაბა. ოჰ, ღმერთო! ნუთუ მე მათგანი ვარ,
ვისაც ყველა სძულს, სხვას ემტერება,
ვისთვის ცხოვრების უმთავრეს საგანს
შეადგენს მხოლოდ სხვის დაცინება!..
როცა დასაცინს ვხედავ—ვიცინი,
ხშირად კი მათთან მოწყენილი ვარ!

სოფია. თქვენ სულ ტყუილად ახსენებთ აქ სხვებს!
მალჩალინთან კი არ მოგწყინდებათ,
რომ უფრო ახლო იცნობდეთ იმას!..

ბაბა. თქვენ მაგრე ახლო რათ გაგიცვნიათ?

სოფია. მე არა ვცდილვარ! ღმერთმა შეგვყარა!
ხედავთ; ამ სახლში სუყველას უყვარს!
სამი წელია, რაც მამაჩემთან
მსახურებს იგი და ბევრსაც იტანს.
ხშირათ უბრალოდ უწყრება მამა,
ის კი—ხმას არ სცემს, სულ ჩუმათ არის,
კეთილის გულით შეუნდობს ხოლმე
და ამნაირად იარაღს აჭყრის.
და რომ უნდოდეს, მასაც, სხვებივით,
ხომ შეუძლიან დროს გატარება!
მაგრამ არა! ის ბებრის გვერდით ზის
და უიმისოთ კარს არ გასცდება.
ჩვენ აქ ვკისკისებთ! ის კი მთელი დღე,
ჰსურს თუ არა ჰსურს, ბანქოს თამაშობას!
იმასთან არის...

ბაბა. თამაშობს მთელ დღეს
და როცა ლანძღვენ, არაფერს ამბობს!..
(განზე) პატივს არა სცემს!

სოფია. მართალი არის

იმას არა აქვს ისეთი ჭკუა,
რაც ზოგს ჰგონია გენიოსობა
და ზოგისათვის მხოლოდ ჟამია!
ჭკუა, რომელიც მკვირცხლია, ჩქარი
და საჩქაროთვე ჰბეზრდება ყველას!..
ქვეყანას ლანძღავს, რომ ხალხმაც მასზე
კარგი თუ არა, — ავი მაინც სთქვას...
ამგვარი ჭკუის პატრონი კაცი
განა სახლობას კეთილს დააყრის?

ჩაცკი. რაც ახლა ბრძანეთ, იმისი აზრი
დარიგება, თუ დაცინვა არის? (განზე)
სჩანს, რომ ეს ამას ჩირად არ აგდებს.

სოფია. სხვაც მრავალი აქვს კარგი თვისება:
თავ-მდაბალია, წყნარი და მშვიდი,
ჭმუნვის არჩდილი სულ არ ემჩნევა.
სულიც წმინდა აქვს ცოდვებისაგან,
და არ ჰკადრულობს სხვების დაცინვას!
აი ამიტომ მიყვარს მე იგი!..

ჩაცკი (განზე). ცელქობს, ეტყობა, სულაც არ უყვარს!
(ხმა-მაღლა)
მეც ხელს მოგიწყობთ, რომ მალჩალინი
უფრო ადვილათ დაასურათოთ!
მაგრამ სკალოზუბს რაღას უპირებთ,
ან როგორ გნებავთ იგი აღწეროთ?
აი კარგი რამ! მართალი გითხრათ,
ზურგია მთელი? მხედრობა ლაშქრის
თავის ახოვან მოყვანილობით
და ვაჟკაცურ ხმით, ხომ გმირი არის!..

სოფია. ჩემი რომანის გმირი არაა!

ჩაცკი. არა? ვინ შესძლებს თქვენს გამოცნობას!

გამოსვლა მეორე

იკინივე და ლიზა

ლიზა (ჩურჩულით). ჩქარა წამოდით, ბატონო, იგი
ამ წუთში თქვენთან აპირებს მოსვლას!

სოფია. უკაცრავად ვარ! მივდივარ...

ჩატკი. საით?

სოფია. პარიკმახერთან მიმეჩქარება.

ჩატკი. ჯანდაბა იმას.

სოფია. უნდა წავიდე.
თმის დასახვევი გაუცივდება.

ჩატკი. დაე გაცივდეს, მე რას დავეძებ!

სოფია. დღეს სტუმრებს ველით, არ შეიძლება.

ჩატკი. გზა მშვიდობისა! ეს გამოცანა
აუხსნელადვე ჩემთანა რჩება!
მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ თქვენს ოთახში
ერთხელ შემოსვლის მომეცით ნება.
ვნახავ მის კედლებს, მის ჰაერს ვყნოსავ
და ეს ყოველი მე მიამება.
გამათბობს, კვალად გამომაცოცხლებს,
გულს დამიმშვიდებს და სულს არგია
კვლავ მოგონება იმ ძვირფას დროის,
რაც სამუდამოდ დამიკარგია!
კი არ დავჯდები! ორ წუთს შემოვალ...
მერე ვეწვევი ინგლისელთა კლუბს—
და ყურს დავუგდებ, როგორ უქებენ
ძალჩალინს ჭკუას, გრძნობას—სკალოზუბს.

(სოფია მხრებს აიწევს და თავის ოთახში მიდის,
ლიზაც თან მიჰყვება)

გამოსვლა მესამე

ჩაცკი, მერე მალჩალინი

ჩაცკი. ოოჰ, სოფია! ნუთუ მას მართლა
ამორჩეული მალჩალინი ჰყავს!
რა უშავს! ჭკუა აკლია, მაგრამ
რა ჭკუა უნდა შვილის კეთებას!
თავმდაბალია, მორიდებული,
ამასთანავე ლამაზიც არის!..
მჭევრ-მეტყველებით კი არ მოაწყენს,
(შემოდის მალჩალინი)
აგერ თითონაც!.. ცერებზე დადის...
ნეტა სოფიას რა ჯადო უყო,
რომ იმის გულში დაისადგურა!..
(მიუბრუნდება მალჩალინს)
მე და თქვენ, ალექსეი სტეფანიჩ,
ერთმანეთისთვის ჯერ არა გვითქვამს.
როგორა სცხოვრობთ? ხომ უდარდელად
და უზრუნველად ატარებთ დრო-ჟამს?

მალჩალინი. უწინდებურად!

ჩაცკი. მერე და უწინ
რაგვარ ცხოვრებით ატარებდით დროს?

მალჩალინი. სულ ერთნაირად!—რაც გუშინ, ის-დღეს!.

ჩაცკი. ბანქოდან კალამს, კალმიდან ბანქოს?
დანიშნულ დროზე წასვლა და მოსვლა!

მალჩალინი. რაც კი შეჰფერის ამ ჩემს ძალ-ღონეს,
თავს არ ვიზოგავ. რაც არხივში ვარ,
მას შემდეგ სამჯერ დამაჯილდოვეს.

ჩაცკი. თქვენც გაგიტაცათ პატივ-დიდებამ?

მალჩალინი. თითო რამ ნიჭი ყველას დაჰყვება...

ჩაცკი. თქვენ რის ნიჭი გაქვთ?

მალჩალინი. ორ გვარი ნიჭი:

ზომიერება, წესიერება.

ჩაცკი. საუცხოოა! მაგ ორის ნიჭით
მთელს ჩვენს ღირსებას გამოიყიდით...

მალჩალინი. თქვენ რაღას შვრებით? ჩინი არ მოგცესთ,
ვერც სამსახურში დაწინაურდით?

ჩაცკი. ჩინს ხომ კაცები ურიგებენ სხვებს
და შეიძლება, რომ კაცი შესცდეს.

მალჩალინი. როგორ ვკვირვობდით?

ჩაცკი. რა გაკვირვებდათ?

მალჩალინი. თქვენთვისა ვწუხდით!

ჩაცკი. ტყულად გარჯილხართ!

მალჩალინი. პეტერბურგიდან რომ ჩამოვიდა
აქ ტატიანა იურიევნა,
იმან გვიამბო რაღაც ამბები...
თვით მინისტრებთან თქვენი გაცნობა...
მერე კი ჩხუბი...

ჩაცკი. მას რა აწუხებს!

მალჩალინი. ვის? ტატიანა იურიევნას?

ჩაცკი. მე არც კი ვიცნობ!

მალჩალინი. როგორ არ იცნობთ
თქვენ ტატიანა იურიევნას?!

ჩაცკი. ჩემს დღეში არსად არ შემხვედრია!
გამიგონია, რომ მეჭორეა...

მალჩალინი. რას ამბობთ! ნუ თუ იმაზე გითხრეს!
ის ყველგან დიდად მიღებულია.
ამასთანავე ნათესავები
და ნაცნობები ყველა კარგი ჰყავს!
ყველა მათგანი ჩინოვნიკია,
თანამდებობა სადმე უჭირავს.
ერთხელ რომ მაინც ესტუმრებოდეთ...

ჩაცკი. რისთვის?

მალჩალინი. ისე... ჩვენ ბევრჯელ იქ მისვლით
მფარველს ვპოულობთ!..

ჩაცკი. მეც კი დავდივარ
ქალებთან, მაგრამ არა მაგისთვის!...
ძალჩალინი. რა კეთილია, რა თავ-მდაბალი!
და რა თავაზით ექცევა ყველას!
შობის კვრიდან მოყოლებული
დიდმარხვამდისინ სულ ბალებს ჰმართავს.
სააგარაკოდ რომ მიდის ხოლმე,
იქ ხომ ყოველ დღე წვეულება აქვს.
ეჰ, აქ რომ დარჩეთ ჩვენთან მოსკოვში
და იმსახუროთ, რა კარგად იზამთ!
იცხოვრებთ თქვენთვის მხიარულებით
და ჯილდოებსაც ბლომად ხელს აჰკრავთ!
ჩაცკი. როცა საქმე, მაქვს ლხინზე არ ვფიქრობ
და სულელობის დროს კი ვსულელობ!
სხვაც ბევრი არის მოხერხებული,
ამ ორ ხელობას რომ ერთად ჰხმარობს:
შრომას და ქეიფს. მე კი სულ სხვა ვარ
და არ ვეკუთვნი ამნაირთა გუნდს.
ძალჩალინი. უკაცრავად ვარ! მე, ჩემის აზრით,
აქ არას ვხედავ უწესოებას!
აი თუნდ თვითონ ფომა ფომიჩი!..
იცნობთ თუ არა?
ჩაცკი. მერე რა გნებავს?
ძალჩალინი. განყოფილების უფროსად იმას
სამს მინისტერთან უმსახურია.
ახლა აქ არის...
ჩაცკი. კარგი რამ არის!
ის ხომ უტვინო და უგნურია?
ძალჩალინი. როგორ იქნება! სამაგალითოდ
სთვლიან იმისი ნაწერის კილოს.
სულ ყველა აქებს იმის თხზულებას...
არ წაგიკითხავთ თქვენ ის არას დროს?
ჩაცკი. მე სისულელეს არა ვკითხულობ

და უფრო მეტად—სამაგალითოს.

მალჩალინი. მე კი ხალისით გადავიკითხე!
თუმც მთხზველი არ ვარ...

ჩაცკი. ყველაფრითა სჩანს!

მალჩალინი. და ვერ გავბედავ ჩემი აზრი ვსთქვა.

ჩაცკი. მაგრე რად სცდილობთ აზრის დაფარვას?

მალჩალინი. ჩემის ხნისამ ვერ უნდა გაჰბედოს
რომ იქონიოს თავის მსჯელობა.

ჩაცკი. ჩემო კეთილო, მე და თქვენ ახლა
ისე ყმაწვილი ხომ აღარა ვართ,
რომ მხოლოდ სხვისი აზრი მიგვაჩნდეს
უცილობელათ, წმინდათა წმინდათ!

მალჩალინი. ხომ საჭიროა სხვას ვემორჩილოთ!

ჩაცკი. რისთვის?

მალჩალინი. მისთვის, რომ მცირე ჩინი გვაქვს.

ჩაცკი (თითქმის ხმა მაღლა). ამ გრძნობა-სულის პატრონი
ის ცრუ, სცდილობდა ჩემს დაცინებას!.. [გვიყვარს!..

გაძოსვლა მეოთხე

(სადამო. ფეოდორ კარეგინ დაღებულია, გარდა სოფიას საწოლ ოთახის კარისა. მოსჩანს განათებული ოთახები. მოსამსახურეები ირევიან. ერთი მათგანი უფროსი იძახის):

აბა, ჰე, ფილკა, ფომკა, ყოჩაღათ!..
სტოლი, ჩოთქები, მელი, სანთლები.
(აკაკუნებენ სოფიას კარებზე).
ელიზავეტა! აბა ქალბატონს
შეატყობინე, ჩქარა უთხარი,
რომ ნატალია დიმიტრიევნა
მოვიდა და მას თან ახლავს ქმარი.
კიბესთან კიდევ დადგა კარეტა!
(მოსამსახურეები მიდიან. ჩაცკი მარტო დარჩება)

გამოსვლა მეხუთე

ნატალია დიმიტრიევნა და ჩაცკი.

ნატ. დმიტ. ხომ არა ვცდები? იმას ჰგავს სახით!
ააჰ, ალექსანდრ ანდრეიჩ, თქვენა!
ჩაცკი. თავით ბოლომდე ეჭვით მიცქერით!
ნუთუ სამის წლის განმავლობაში
ისეთ ნაირად გამოვიცვალე,
რომ ველარა მცნობთ?
ნატ. დმიტ. მე კი მეგონა,
რომ მოსკოვიდან შორს იყავთ სადმე!
როდის მოხველით.
ჩაცკი. დღეს გიახელით!
ნატ. დმიტ. დიდის ხნით?
ჩაცკი. როგორც საქმე მოითხოვს.
რა რიგად მიკვირს, რომ გხედავ უფრო
გალამაზებულს და დამშვენებულს.
სახე ვარდისფრად აყვავებული!
კისკისი... უფრო ახალგაზრდა ხართ!
მიმოსვლა მკვირცხლი...
ნატ. დმიტ. გავთხოვდი კიდეც!
ჩაცკი. რაღას უცდიდით, ადრევე გეთქვათ!
ნატ. დმიტ. ჩემი მეუღლე, ჩემი ძვირფასი
ეხლავ შემოვა; გაგაცნობთ, გნებავთ!
ჩაცკი. გთხოვთ.
ნატ. დმიტ. დაუკვირდეთ. თუმცა წინდაწინ
ვიცი, რომ მეტად მოგეწონებათ.
ჩაცკი. მჯერა, რადგანაც თქვენი ქმარია!
ნატ. დმიტ. განა მაგიტომ! თვით აქვს ღირსება
და ჩემის პლატონ მიხაილიჩის
ჭკუა-გონება არ დაფასდება.
სამხედრო იყო, მაგრამ ახლა კი

გამოსულია, არსად მსახურებს.
და ვინაც წინად იცნობდა ჩემს ქმარს,
სუყველა ამბობს, ყველა ამტკიცებს,
რომ მაგისთანა მხნე, ნიჭიერი,
სამსახურს თუ არ დასთხოვებოდა,
უეჭველია, იმას მოსკოვის
კამენდანტობა არ ასცდებოდა.

გამოსვლა მეექვსე

იგინივე და პლატონ მიხაილიჩი

ნატ. დმიტ. ჰა ჩემი პლატონ მიხაილიჩი!
ჩატკი. ოჰ! ჩვენ ერთმანეთს ხომ კარგად ვიცნობთ!
დიდი ხანია მეგობრები ვართ!
ეს რა ბედია, რა რიგად ვხარობ!
პლატ მიხაილ. გამარჯობა ძმავ, ჩაცკი!
ჩატკი. კარგია,
ძვირფასო პლატონ, ქების ღირსი ხარ.
ხომ კარგად სცხოვრობ?
პლატონ მიხაილ. როგორც ჰხედავ, ძმავ!
გავმოსკოველდი, ცოლიანი ვარ.
ჩატკი. მოშორდი ბანაკს, იმის ჟრიამულს,
ძმა-მეგობრები გადაივიწყე?
მოსვენებით ხარ, ზარმაცობ?
პლატ. მიხაილ. არა!
თავ გასართობში კიდევ მოვძებნე:
ფლეიტა მაქვს და სულ „დუეტს“ ვუკრავ..
ჩატკი. რასაც უკრავდი ხუთის წლის წინად?
ესეც კარგია, როდესაც ქმარი
ერთს გემოს მიზდევს გადაუცდენლად.
პლატ. მიხაილ. ეჰ, ძმავ, როდესაც ქმარი იქნები,
მაშინ ჩემს „დუეტს“ შენც მოიგონებ.

რომ მოგწყინდება, სხვას რალას იზამ,
სულ ერთ კილოზე დასტვენ და დასტვენ.

ჩაცკი. რომ მომწყინდება? როგორ? შენ განა
უკვე გრძნობ კიდეც მოწყენილობას?

ნატ. დმიტ. დიახ, ჩემს პლატონ მიხაილიჩსა
ისეთი შრომა მოსწონს და უყვარს,
რაც აღარა აქვს: ჯართა აღლუმი,
მათი სწავლება, მათი დახედვა
და რომ ესენი მოაკლდა, მიტომ
დილით ხან-და-ხან მოეწყინება.

ჩაცკი. ჩემო კეთილო, უქმად იჯექო,
ვინა გყავს ძალის დამტანებელი?
წადი, ესკადრონს მოგცემენ შენა.
ობერი ხარ თუ, შტაბს-აფიცერი?

ნატ. დმიტ. ჩემი პლატონი კარგად ვერ არის
და მაგის წასვლა სად შეიძლება!

ჩაცკი. კარგად ვერ არის? დიდი ხანია?

ნატ. დმიტ. სულ ქარები აქვს და თავი სტკივა.

ჩაცკი. სოფლად იცხოვრე სადმე ზაფხულში!
ამ დროს სოფელი ხომ სამოთხეს ჰგავს...
ცხენით იარე წმინდა ჰაერზე
და ხელი მიჰყავ მეტს მოძრაობას.

ნატ. დმიტ. ჩემს პლატონს მხოლოდ ქალაქი უყვარს
და ეს მოსკოვი ძალიან მოსწონს...
ყრუ სოფლად რისთვის უნდა წავიდეს
და თავის დღენი რად ჩაიმწაროს?

ჩაცკი. მოსკოვი უყვარს!.. სულელო შენა!
არ გახსოვს წინად როგორ სცხოვრობდი?

ბლატ მიხაილ. ეჰ, ძმაო, ახლა ის დრო არ არის!

ნატალია დმიტ. ჩემო ძვირფასო, ნეტა რას შვრები!
აქ ისე ცივა და შენ კი მაგრე
ჟილეტ-გახსნილი თამამად ზიხარ.

ბლატონ მიხაილ. ძმაო, რაც ვიყავ ის აღარა ვარ!

ნატ. დმიტ. შენ გენაცვალე, გული შეიკარ.
ბლატ. მიხაილ. (გულ-გრილათ) ახლავე
ნატალ. დმიტ. ჩქარა მოშორდი კარებს;
ყოვლის მხრიდან ქარი უბერავს!
ბლატ. მიხაილ. რაც ვიყავ, ძმაო, ის აღარა ვარ!
ნატ. დმიტ. შენ გენაცვალე, გთხოვ, თუ ღმერთი გწამს!
ბლატ. მიხ. (თვალებს ცისკენ მიაბურობს) ჰოი, დედავჯან!
ჩაცკი. უფალმა უწყის
რა რიგ შეცვლილხარ ამ მოკლე დროში!..
თითქო რაც იყავ, ის აღარა ხარ!
შარშან არ იყო, რომ გნახე პოლკში?
ირიჟრაჟებდა თუ არა, იმ წამს
ბედაურ ცხენზედ გადაჯდებოდი
და შემოდგომის ქარსა და სუსხში
შავარდენივით მ-ჰქრი-მოჰქროდი!
ბლატ. მიხ. (ამოიოხრებს) ეჰ, ძმაო, მაშინ უკედ ვცხოვრობდი!

გამოსვლა მეშვიდე

(იგინივე. ტუგოუხოვსკი და იმისი კნეინა თავის ექვსი ქალიშვილით)

ნატ. დმიტ. (წვრილის ხმით) კნიაზ პეტრ ილიჩ! ღმერთო, კნეინაც!
კნიაგინა ზიზი! მიმი! ყველანი!
(ჭკოტნიან ერთმანეთს, მერე დასხდებიან და თავით ფეხამდე ათვალიერებენ ერთმანეთსა)
1 კნიაგინა. რა მშვენიერად შეკერილია!
2 კნიაგინა. რა დაკეცილი აქვს კაბის განი!
1 კნიაგინა. ბლონდი უვლია!
ნატ. დმიტ. არა!...
რომ ნახოთ ჩემი ატლასის გადასაცმელი.
3 კნიაგინა. აი რა შარფი მიძღვნა კუზენმა!

4 კნიაზნა. ჰო, ეს ბარეჟის!
5 კნიაზნა. უცხო რამ არის!
6 კნიაზნა. ოჰ, რა კარგია, რა მშვენიერი!
კნეინა. სუ! ეს ვინ არის, აგერ კუთხეში?
რომ შემოვედით, თავი დაგვიკრა!
ნატ. დმიტ. ეს? ჩაცკი გახლავთ, ახლად მოსული.
კნეინა. მითხარ, გეთაყვა, ოტსტავნოია?
ნატ დმიტ. დიახ, სხვა და სხვა ქვეყნებისაკენ
მოგზაურობდა. ახლად დაბრუნდა.
კნეინა. უცოლო არის?
ნატალია დმიტ. დიახ, უცოლო.
კნეინა. კნიაზო, კნიაზ! აქ მოდი! ჩქარა!
კნიაზ. (მისკენ მიიბრუნებს სასმენელ ტრუბას) ჰა! ჰმ!
კნეინა. მიდი, სთხოვე აგერ იმ ყმაწვილს,
ხუთშაბათ ღამეს ეგეც გვეწვიოს.
კნიაზ. და, ჰმ! (მიდის, ჩაცკის ახლოს ტრიალებს და ახვევებს).
კნეინა. ოჰ, ეს შვილები! მათ ებალებათ
და მამამ უნდა სხვებს თაყვანი სცეს,
მაგრამ რას იზამთ! ისე გაძვირდა,
რომ სანთლით ვეძებთ კარგ მოცეკვავეს.
ეგ კამერ-იუნკერია?
ნატ. დმიტ. არა!
კნეინა. მდიდარი არის?
ნატ. დმიტ. ოჰ, სულაც არა!
კნეინა. (რაც ძალი და ღონე აქვს მაღალის ხმით) კნიაზო! კნიაზ!
დაბრუნდი ჩქარა!

გამოსვლა მეორე

(იგინივე. გრაფინია ხრუმინებისა ბებია და შვიდიშვილი)

გრაფ. შვილიშვილი. „გრან მამან“, ასე ადრე ვინ მოდის?
ჩვენ პირველნი ვართ! (გადის განის ოთახში).

ჟნეინა. რა პატივი გვცა!
პირველნი ვართო—ჩვენ არად გვაგდებს!
ბოროტი... უქმროდ რომ ჩამობერდა!

გრაფ. შვილიშვილი (გამობრუნდება და ჩაცკის დაუპირდაპირებს „მუსიო“ ჩაცკი, თქვენ აქ ბრძანდებით? [ლორნეტს). როგორც იყავით, ისევ ისეთი?

ჩაცკი. რა საჭიროა გამოვიცვალო!

გრაფ. შვილიშვილი. ცოლი შეირთეთ?

ჩაცკი. ვის შევირთავდი!

გრაფ. შვილიშვილი. უცხო მხარეში ვის შეირთავდით?
ოჰ, რამდენს ნახავთ ჩვენს ახალგაზდებს,
რომ „მოდისტკები“ და მკერავები
ცოლად შეირთეს, გაგვიპატარძლეს.

ჩაცკი. უბედურები! რარიგ უძლებენ
ამ „მოდისტკების“ მიმბაძველთ კიცხვას,
მხოლოთ იმიტომ, რომ მათ გაჰბედეს
და ამჯობინეს დედანი თარგმანს.

კამოსკლა მეცხრე

(იგინივე და სხვა მრავალი სტუმრები. სხვათა შორის ზაგორეცკი. კატები შემოდიან. ირევიან. ოთახიდან ოთახში დაიარებიან და სხვა. სოფია გამოდის თავის ოთახიდან, უველა მას ეგებება).

გრ. შვილიშვილი. Fh? bonsoir! vous voilà! Jamais trop diliqente,
Vous nous donnez toujours le plaisir de l'attente.

ზაგორეცკი. ხვალ სალამოის წარმოდგენისთვის
ბილეთი არ გაქვთ?

სოფია. არა! არა მაქვს!

ზაგორეცკი. ნება მეგოძეთ, რომ მე მოგართვათ!
სხვა რომ ცდილიყო თქვენს სამსახურსა,

შრომა ამაოდ ჩაუვლიდა მას.
სამაგიეროდ, სად არ ვირბინე?
კასაში მიველ—ერთიც არ დამხვდა.
თვით დირექტორი დიდ პატივსა მცემს
და მასთან წაველ, როგორც ინათლა.
მაგრამ რაღა დროს! წინა დღითაც კი
ველარ იშოვეს თურმე ბილეთი!
ამას ვეტაკე, ის წავაქციე,
ხან აქეთ ვეცი, ხან იქით ვეცი
და ეს ბილეთი ძალად წავართვი
ერთს ჩემს მეგობარ მოხუცებულ კაცს.
უიმისოდაც მუდამ სახლში ზის
და ხვალ რომ დაჯდეს, ვითომ რა უშავს!

სოფია. დიდათა გმადლობთ ბილეთისათვის
და ერთ ორად—მაგ შრომისათვის.
(შემოვდენ კიდევ ვიდაცები. ზაგორეცკი კარებთან მიდის).

ზაგორეცკი. ახ! პლატონ მიხაილიჩ!

ბლატ. მიხ. გამშორდი!
ქალებთან მიდი და იქ იცრუე;
მე შენზე ისეთ სიმართლეს ვიტყვი,
რომ ვერ უდრიდეს ვერა სიცრუე. (ჩაცეკის)
ჰა, ძმავ, გაიცან: სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ,
რას ეძახიან ამ გვარ ვაჟ-ბატონს?
ეს ყველგან დადის და გართულია,
ანტონ ანტონიჩ ზაგორეცკია...
დიდი ცულლუტი და ავაზაკი,
უფრთხილდი!.. კეთილს არას დაგაყრის,
მაგასთან ბანქო არ ითამაშო,
თორემ, იცოდე, წმინდათ გაგყიდის.

ზაგორეცკი. ახირებული კაცია, თუმცა
სულაც არა აქვს ცუდი განზრახვა.

ჩაცკი. საჭაცილოა, რომ ვისმესაგან
იუკადრისოთ ა. ვარი ლანძღვა.

პატიოსნებას გარდა სხვაც ბევრი
არის ისეთი, რაც კაცს ახარებს.
აქ თუ გაგლანძღვენ, სამაგიეროდ
სხვაგან მოისმენთ მადლობის სიტყვებს.

ბდატ. მახალდ. არა, ძმავ, მაგას რად ლაპარაკობ!
ჩვენში სუყველას ყოველგან ლანძღვენ,
მაგრამ თვისგანვე გალანძღულებსა
სიამოვნებით სახლში იღებენ.

(ზაგორეცკი ხადხში შეერევა).

კამოსვლა მეათე

იგინივე და ხლესტოვისა.

ხლესტოვისა. სამოცდა-ხუთი წლის ქალისათვის
ადვილი არის ამ სიშორეს მოსვლა!
სატანჯელია, ჩემო დისწულო,
ძლივს მოვახწიე, ლონე გამიწყდა.
რა ბრძანებაა! სიშორის გარდა,
ჯოჯოხეთია ეს ბნელი ლამე!
რომ არ მომწყინდეს—ჩემი ფინია
და ზანგის გოგოც წამოვიყვანე.
აჭამონ რამე, შენ გენაცვალე!
საღამო მშვიდობისა, კნეინა! (დაჯდება)
ოჰ, რა გოგო მყავს, ჩემო სოფიკო!
ზურგ კუზიანი და თმა ხუჭუჭა!
სიანჩხლით სწორედ ველურ კატას ჰგავს,
კუპრივით შავი და საშინელი...
ღმერთი რა გვარ ხალხს არ აჩენს ქვეყნად!
ნამდვილ ქაჯია ის საძაგელი!
დავუძახო თუ?

სოფია. ჯერ არა, მერე!

ხლესტოვისა. წარმოიდგინე, ოსმალთ ქალაქში
ეგენი, თურმე, ხალხთ საჩვენებლად
ნადირებივით დაჰყავთ ქუჩაში.
მერე და იცით, ვინ მომიყვანა?
ანტონ ანტონიჩ ზაგორეცკიმა.
(ზაგორეცკი წინ წამოვა)

მე იმას ერთხანს შინ არ ვუშვებდი!
ქალალდს თამაშობს, ქურდია და ცრუ.
(ზაგორეცკი იპარება)

მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ
მეც და ჩემს დასაც გული მოგვიგო.
მოგვგვარა ორი ზანგის გოგონა,
სადღაც ბაზარში ვიყიდეო—სთქვა,
მაგრამ ვინ იცის, იყიდა კია?
ბანქოში სადმე თუ იცულლუტა!
მე კი მაჩუქა, ღმერთმა უშველოს!..

ზატკი (სიცილით ბოტონ მიხაილიჩს).
არ იამება ამ ქების შესხმა:
სჩანს, ყური მოჭრა თვით ზაგორეცკიმ,
არ ეჭაშნიკა და ხალხში გაძვრა.

ხლესტოვისა. ვინა ბძანდება ეს მხიარული?
ან რა კაცია? მითხარი, შვილო!

სოფია. ისა? ჩაცკია!

ხლესტოვისა. რა აკისკისებს?
და ან რა ნახა აქ სასაცილო!
ბებრის დაცინვა დიდი ცოდვაა...
ჰო, მახსოვს, მახსოვს, შენ ბავშვობაში
მასთან ცეკვავდი და მეც ხან-და-ხან
ხელს წავავლებდი ხოლმე ყურებში.

გამოსვლა მეთერთმეტე

იგინივე და ფამუსოვი

ფამუსოვი (ხმა მაღლა). კნიაზ პეტრ ილიჩს ველოდებოდი
და კნიაზი კი აქა ყოფილა!
მე შევრჩი იქა სურათთა სინჯვას...
სკალოზუბი კი ჯერ არ მოსულა?
სად არის სერგეი სერგეიჩი?
ის აქ არსად სჩანს, არა, არ ვცდები!
დიახ ადვილად შესამჩნევია.
სერგეი სერგეიჩ სკალოზუბი!

ხლესტოვისა. ღმერთო დამიცევ! ნეტავი ამ კაცს
რა მოუვიდა, რომ ასე ჰყვირის?
თითქო ყანყრატო საყვირად ექცა?
გამომაყრუა... აღარა მესმის.

გამოსვლა მეთორმეტე

იგინიგე და სკალოზუბი, მერე მალჩალინი

ფამუსოვი. სერგეი სერგიჩ! დაიგვიანეთ!..
ჩვენ კი თქვენ გელით, გელით და გელით!
(მიჭეავს ხლესტოვისასთან)
ძალუა ჩემი გახლავთ, რომელსაც
თქვენზე ბევრი რამ კიდეც ვუთხარით..

ხლესტოვისა (დამჯდარი). თქვენ გრენადერის პოლკში იყავით?

სკალოზუბი (ბოხის ხმით). თქვენ ბრძანებთ მათის უმაღლესობის
ნოვოზემლიან მუშკატერის პოლკს?

ხლესტოვისა. პოლკის გარჩევა მე სულ არ მესმის.

სკალოზუბი. სხვა-და-სხვა ფორმის მუნდირები აქვთ:
ზოგს პაგონებით, ზოგს „პეტლიჩკებით“.

ფამუსოვი. რა სასაცილო ვისტი გავმართეთ.
მობრძანდით, კნიაზ! გთხოვთ, წამოგვყევით.
(მიჰყავს სკალოზუბი და კნიაზი.)

ხლესტოვისა (სოფიას). უჰ, თითქო ყელზე თოკი მომეხსნა.
მამაშენს სწორედ ჭკუა არა აქვს:
ვილაც ცხრა ადლის სიგრძე კაცს მაცნობს
და მსურს თუ არა—კი არა მკითხავს!

მალჩალინი (ბანქოს აძლევს). თქვენთვის „პარტია“ უკვე მზად არის,
მეჯფომა ფომიჩ, მუსიო კოკი.

ხლესტოვისა (ადგება). მადლობელი ვარ, ჩემო კეთილო.

მალჩალინი. რა ფინია გყავთ! ლამაზი, კარგი.
ბეწვი ნამდვილად აბრეშუმს უგავს!
პაწაწინაა და სასაცილო.
სულ ხელს ვუსვამდი და არ იწყინა.

ხლესტოვისა. მადლობელი ვარ, ძვირფასო შვილო.
(მიდის, თან მიჰყვება მალჩალინი და სხვები)

გამოსვლა მეცამეტე

(ჩატკი, სოფია და რამდენიმე უცხო ხმრნი, რომელნიც
სცენის კათავებამდე წავლენ-წამოვლენ).

ჩატკი. აი განფანტა შავი ღრუბლები...

სოფია. არ შეიძლება, რომ არ განაგრძოთ?

ჩატკი. მრისხანე ქალი რომ დამშვიდა,
მინდოდა მექო... თქვენ რისთვის შიშობთ?

სოფია. იმ ქებას გესლით დაათავებდით!

ჩატკი. რასა ვფიქრობდი, გითხრათ მართალი?
მოხუცი ყველა ავ-გული არის
და უმეტესად—მოხუცი ქალი.
თქვენ უნდა გყავდეთ მოხერხებული
ოსამსახურე! საჭირო არი,

რომ განრისხებულთ უფაროთ, ვითა
მეხთა ამრიდი რკინის ისარი.
მალჩალინი, მაშ სხვა ვინ შეიძლებს
ასე ადვილად მათს დამშვიდებას?
აქ ბანქოსათვის მიიპატიჟებს,
იქ მოუყვება ფინიის ქებას.
იგი უკვდავი ზაგორეცკია!
თქვენ მალჩალინის ბევრი თვისება
მითხარით წელან, მაგრამ მრავალი
დაგვიწყებიათ!—ასეა, განა? (კადის)

გამოსვლა მეთოთხმეტე

სოფია, მერე ბატონი №

სოფია (თავისთვის). ოჰ! ეს კაცი მე მუდამ მაშფოთებს.
რა რიგ ახარებს სხვის დამცირება!
შურიანია, ამპარტავანი
და როცა სხვას ჰკბენს, იმითი სტკბება!

ბატონი № (მიუახლოვდება). ფიქრში ბრძანდებით?

სოფია. ჩაცკიზე ვფიქრობ.

ბატ. №. მგზავრობის შემდეგ როგორ გეჩვენათ?

სოფია. ის აღარ არის თავის ჭკუაზე.

ბატ. №. ნუ თუ გაგიჟდა?

სოფია (ცოტა ხნის შემდეგ). არც თუ სრულიად...

ბატ. №. ეტყობა რამე?

სოფია (დაშტერებით მისჩერებია მას). მე კი მგონია!

ბატ. №. ასე ყმაწვილ კაცს! როგორ იქნება!..
რისგან შეემთხვა ნეტა საცოდავს?

სოფია. რაღა უნდა ვქნა! (განზე) ამასაც სჯერა!
აი ესეც თქვენ, ბატონო ჩაცკი...
თქვენ ხომ ის გიყვართ, რომ სხვებს დასცინოთ!

ახლა არ გნებავთ, ეს დაცინება
და დამცირება თვითონ იგემოთ? (გადის)

გაძოსვლა მეთსუთმეტე

ბატონი №, მერე ბ-ნი D.

ბატ. №. გაგიჟებულა!... ამას ჰგონია?
უთუოდ... აბა საიდან შესთხზა?
არ გაგიგია?
ბ-ნი D. რა?
ბ-ნი №. რა და ჩაცკი!
ბ-ნი D. რა დაემართა?
ბ-ნი №. გაგიჟებულა!
ბ-ნი D. ტყუილია.
ბ-ნი №. სხვები ლაპარაკობენ.
მე ჩემით კი არ მომიგონია!
ბ-ნი D. შენც სიხარულით ავრცელებ ყველგან?
ბ-ნი №. წავალ, შევიტყობ, რა ამბავია?.. (გადის).
უთუოდ ვინმეს ეცოდინება.

გამოვსლა მეთექვსმეტე

ბ-ნი D, მერე ზაგორეცკი.

ბ-ნი D. დაუჯერე ყბედს! ჭორს გაიგონებს
და ამ სულელსაც ნამდვილად სჯერა!
შენ გაიგონე რამე ჩაცკიზე?
ზაგორეცკი. რაო?
ბ-ნი D. რაო და გაგიჟებულა!
ზაგორეცკი. ჰო, ვიცი, მახსოვს, გამიგონია.
როგორ არ ვიცი! რა საქმე მოხდა:

ცბიერმა ბიძამ შეშლილად იცნო
და ის საწყალი გიჟებთან ჩასვა!
წაავლეს ხელი, ყვითელ სახლისკენ
გააქანეს და ჯაჭვით დაბეს!..

ბ-ნი D. რას ბრძანებთ! ის მე წელან აქ ვნახე!

ზაგორეცკ. მაშ, როგორცა სჩანს, ჯაჭვიდან ახსნეს.

ბ-ნი D. არა, ძმავ, შენი მე არა მჯერა!
წავალ ამ წუთში, ფრთებს გამოვისხამ,
ყველასთან მივალ, სათითეულოთ
და საიდუმლოდ გამოვიკითხავ. (გადის)

გამოსვლა მეჩვიდმეტე

ზაგორეცკი მერე გრაფინია შვილიშვილი.

ზაგორეცკი. აქ რომელია ჩაცკი? მითხარით!
ერთ დროს ვიცნობდი რომელღაც ჩაცკის.
გაიგეთ რამე?

გრაფ. შვილ. ვიზე?

ზაგორეც. ჩაცკიზე.
აქ ამ ოთახში იყო წელან ის.

გრაფ. შვილ. ვიცი, ჩვენ ერთად ვლაპარაკობდით.

ზაგორეც. მაშ, მომილოცავს, შესცდა ჭკუაზე!

გრაფ. შვილ. რას ამბობთ?

ზაგორეც. დიახ, სწორედ გაგიჟდა.

გრაფ. შვილ. წარმოიდგინეთ, რომ მეც შევატყე...
საკვირველია, რასაც ვფიქრობდი
თქვენმა სიტყვებმა დაადასტურეს.

გამოსვლა მეთვრამეტე

იგინივე და გრაფინია ბებია.

გრაფ. შვილ. დიდედავ, იცით, რა საქმე მოხდა
და რანაირი უბედურება?

ყური დაუგდეთ ამ ახალ ამბავს!..
აი კარგი რამ, მშვენიერება!..

გრაფ. ბებია. ჩემო ძვირფასო, ხმა მაღლა მითხარ,
ყურში ბამბა მაქვს, არ მეყურება!

გრაფ. შვილ. არა მცალიან, წავალ შევიტყობ!
(უჩვენებს **ზაგორეცკიზე**)
თქვენ კი ყველაფერს ეს მოგიყვება. (**გადის**)

გამოსვლა მეცხრამეტე

ზაგორეცკი და გრაფინია ბებია

გრაფ. ბებ. რაო? რა მოხდა? აქ ცეცხლი გაჩნდა?
ზაგორეც. ჩაცკიმ ჩაგვაგდო ამ განსაცდელში.
გრაფ. ბებ. როგორ? ჩაცკიმ ვის რა დაუშავა,
რომ გაგზავნეს იგი ციხეში?
ზაგორეც. ციხე კი არა, მთებში რომ იყო,
თურმე ვილაცამ შუბლში ტყვია ჰკრა.
ახლა უწია მძიმე ჭრილობამ
და შეიშალა...
გრაფ. ბებ. რაო? გათათრდა?
ზაგორეც. მე ვერ შევასმენ ამას ვერაფერს! (**მიდის**)
გრაფ. ბებ. ანტონ ანტონიჩ! ოჰ, ესეც მირბის!
ყველა იქითკენ მიეშურება,
სუყველა შფოთავს და სუყველა თრთის.

გამოსვლა მეოცე

გრაფინია ბებია და კნიაზი ტუგოუხოვსკი

გრაფ. ბებ. კნიაზ, კნიაზო! ოჰ, ეს კნიაზი—
ძლივს სული უდგას და ბალში დადის.

კნიაზო, იცით რა საქმე მოხდა?

ჭნიაზ. აა?

გრაფ. ბებ. ამ საცოდავს, სულ არ-რა ესმის...
იქნება ისე შეხედეთ მაინც
პოლიცმეისტერს, აქ რომ მოვიდა?

ჭნიაზ. ეე?

გრაფ. ბებ. ჩაცკი ჩასვა ციხეში.

ჭნიაზ. მერე!..

გრაფ. ბებ. გუდა-ნაბადი ზურგზე აჰკიდა!
გაასალდათა!—მაშ რა ეგონა,
ხუმრობა არის რჯულის გამოცვლა?!
ო, იმ წყეულმა ვოლტერიანმა
რჯული უარ ჰყო... დიახ, გათათრდა.
ჰა? რაო? ყრუ ხართ, არა გესმით-რა?
ჩემო მამაო, ყურს გაკლია.
სასმენი მაინც მიიდეთ ყურზე.
ოჰ, ეს სიყრუე დიდი მანკია.

გამოსვლა ოცდა-მეერთე

იგინივე და ხლესტოვისა, სოფია, მალჩალინი, ჰლატონ მიხაილიჩი, ნატალია დმიტრევნა, გრაფინია შვილი-შვილი, კნეინა თავის ქალიშვილებით, ზაგორეტკი, სკალოზუბი, მერე ფამუსოვი და მრავალი სხვა.

ხლესტოვისა. გაგიჟებულა? თქვენი ჭირიმე!
ასე უეცრად და ასე ჩქარა!...
სოფია, შენ არ გაგიგონია?

ჰლატ. მიხ. ეგ ხმა პირველად ვინ გაავრცელა?

ნატ. დმიტ. სუყველა ამბობს.

ჰლატ. მიხ. თუ ყველა ამბობს,
გინდა თუ არა, უნდა ირწმუნო!

თუმცა ეჭვი მაქვს!

ფამუსოვი (შემოდის). ვიზე! ჩაცკიზე?
ვერ გამიგია—რაა საეჭვო?
მე, ბატონებო, ყველაზე უწინ
მე შევამჩნიე, რომ გიჟი იყო.
მიკვირდა, რომ ის არვინ შეჰბოჭა
და დღემდე ხელი არავინ ახლო?
მთავრობაზე რომ ერთი სიტყვა ვთქვათ,
უფალმა უწყის, რაებს არ იტყვის,
მძიმედ რომ თავი დაუკრა ვისმე—
სულ-მდაბალ კაცად და უზნეოდ გთვლის.

ხლესტოვ. მაგისთანეებს გზაც იქითა აქვთ!..
ერთი რაღაც ვთქვი და ხარხარს მოჰყვა.

მოლჩალ. მე არხივიდან წასვლას მირჩევდა,

გრაფ. შვილ. მე კი „მოდისტკა“ ქალი დამარქვა!

ნატ. დმიტ. ჩემს ქმარს ურჩია სოფლად ცხოვრება!

ზაგორეცკ. ყველაფრითა სჩანს, რომ შეშლილია!

გრაფ. შვილ. მე შევამჩნიე გამოხედვაზე.

ფამუსოვი. რაც დედა იყო, ისიც შვილია:
განსვენებული დედა იმისი
სწორედ რომ რვაჯერ შესცდა ჭკუაზე.

ხლესტოვ. რა და რა გვარი საკვირველება
არ ჰხდება ხოლმე ამ ქვეყანაზე!
მაგ ხანში მყოფის ჭკუიდან შეშლა!
ეგებ ლოთობდა!

ჯნეანა ოჰ! ეგ კი მჯერა!.

გრაფ. შვილ. უეჭველია.

ხლესტოვ. შამპანით სავსე
ჭიქას ჭიქაზე მიაყოლებდა.

ნატ. დმიტ. ბოთლებით სვამდა, დიდი ბოთლებით...

ზაგორეცკ. (გაცხარებით). რაო, რას ბრძანებთ? ბოთლებით [სვამდა?
რა ბძანებაა! ორმოცეულ კასრს
მოიყუდებდა და გამოსცლიდა.

ფამუსოვი. მერე რა? დიდი საქმე მომხდარა,
თუ მამა კაცმა მეტი დალია!
სწავლა, ბატონო, სწავლა აგიჟებთ,
სუყველაფერი სწავლის ბრალია.
რაც ახლა არის, წინანდელ დროში
როდის ყოფილა ამდენი გიჟი!
გამრავლდა რიცხვი უჭკუოების;
იმათი საქმე და მათი აზრი...

ხლესტოვ. რაღა თქმა უნდა, კაცს გააგიჟებს
სკოლა, ლიცეი და პანსიონი..
კიდევ რა ჰქვიან? ჰო, ლანკარტთ სკოლა...
ღმერთმა დასწყევლოს იმის მომგონი.

ჭნეინა. არა, პეტერბურგს ინსტიტუტია
საპედაგოგო... მგონი, ეს ჰქვიან!
ვინაც იქ სწავლობს, იმას საჩვენო
ალარა სწამს-რა, იმგვარად ზრდიან.
იქ ასწავლიდნენ ერთს ჩემ ნათესავს,
გამოვიდა და ახლა აქ არის
ქალს სიახლოვეს არ ეკარება,
ასე გასინჯეთ, მეც კი მეკრძალვის.
აფთიაქშიაც კი გამოდგება.
არ მოსწონს ჩინი, არც სამსახური.
ვითომც ქიმიკოს-ბოტანიკოსობს
კნიაზ ფეოდორ, ჩემი ძმის წული.

სკალოზუბ. უნდა გახაროთ: ახლა ხმა დადის,
რომ სასწავლებლებს სხვა გვარად სცვლიან:
სკოლა, ლიცეი გიმნაზიებში
ჩვენსავით „რაზ-დვას“ შეასწავლიან.
წიგნებს კი ისე შეინახავენ
დიდ მნიშვნელოვან შემთხვევებისთვის.

ფამუსოვი. სერგეი სერგიჩ! თუ ბოროტების
მოსპობა უნდათ, ასე უნდა ჰქნან:
რაც ქვეყანაზე წიგნები არის,

უნდა მოჰკრიბონ და უნდა დასწვან!..

ზაგორეცკ. (კრძალვით). რათა, წიგნებშიც განსხვავებაა.
მე კი რომ მომცენ დღეს ცენზორობა,
მხოლოდ იგავებს მივჰყოფდი ხელსა...
ოჰ, იგავებმა სწორედ მომწამლა!...
სულ დაცინება ლომ-არწივებზე,
რაც უნდა ბრძანოთ, მე კი მგონია,
თუმც პირუტყვებს კი ასახლებენ,
მაგრამ მათგანი ყველა მეფეა.

ხლესტოვ. ეჰ, თუ კი ვინმე ჭკუიდან შესცდა,
რისგანაც არის, ეს სულ ერთია:
წიგნებისაგან, თუ ლოთობისგან—
რაღას უშველის, გიჟი გიჟია.
მე კი საწყალი ჩაცკი მებრალვის;
უნდა შეჰბრალდეს ყოველს ქრისტიანს.
ჭკვიანი იყო, ენა-მახვილი
და ბატონობდა სამას სულსა ყმას.

ფამუსოვი. ოთხასს
ხლესტოვ. სამასსა, ბატონო ჩემო!
ფამუსოვი. ოთხასს!
ხლესტოვ. სამასსა!
ფამუსოვი. ჩემს კალენდარში....
ხლესტოვ. კალენდრები ხომ ყველა სტყუიან.
ფამუსოვი. აი, ვიპოვე! სწორედ ოთხასი!
რა რიგად ჰყვირის!

ხლესტოვ. სამასი არის.
ვის რამდენი ჰყავს ყმა, მე არ ვიცი?
ფამუსოვი. ოთხასი არის, გთხოვთ გაიგონოთ!
ხლესტოვ. არა სამასი, გესმით? სამასი!

გამოსვლა ოცდამეორე

იგინივე და ჩაცკი

ნატ. დმიტრ. აი ისიცა!
გრაფ. შვილ. სუ!
ყველანი. სუ! (ყველანი ერიდებიან).
ხლესტოვ. რაღა ვქნათ,
ახლა რომ ჩხუბი დაგვიწყოს ყველას!
ფამუსოვი. ოი, უფალო, მოგვხედე ცოდვილთ! (შიშით)
ჩემო ძვირფასო, როგორ გრძნობ შენს თავს?
მაჯა მაჩვენე, მგონი ავად ხარ?
ძილი გჭირიან შორის გზით მოსულს.
ჩაცკი. დიახ! ცუდად ვარ! მეგობართ ნახვამ
ათასი ტანჯვა მოუძღვნა ჩემს გულს.
ფეხები მტკივა ტყულად ფრატუნით,
ყურს ესმის მხოლოდ გაოცების ხმა.
იმდენს უბრალო რამეს ყბედობენ,
რომ ველარ ვუძლებ, თავ-ბრუ დამეხვა.
(მიდის სოფიასთან)
აქ სული ჩემი რაღაც ვარამმა
მწარედ შეჰხუთა, თავს ველარა ვცნობ.
ასე მგონია, ამოდენ ხალხში
მარტოდ-მარტო ვარ, სიობლესა ვგრძნობ.
არა! მოსკოვი მე ვერ მახარებს!
ხლესტოვ. მოსკოვს აბრალებს ყველაფერს, ჰხედავთ?
ფამუსოვი (ანიშნებს სოფიას). მოშორდი მაგას! ჰმ! არცკი მიყუ-
სოფია (ჩაცკის). მითხარით, მაგრე რამ გაგაჯავრათ? [რებს!
ჩაცკი. აიმ ოთახში, მცირე შეხვედრამ:
ვილაც ბორდოდან მოსული ფრანგი
თავ-მოწონებით შუაზე იდგა
და მას გარშემო, წიწილებივით,

კნიაჟნათ გროვა შემოჰხვეოდა.
ის უამბობდა იმ დროის ამბავს
რუსეთისაკენ რომ მოდიოდა:
„სულ ვტიროდიო“! თურმე ეგონა,
ბარბაროსები დაუხვდებოდა...
როცა მოსულა, დარწმუნებულა,
მისდამი ალერსს ბოლო არა აქვს;
ერთ სიტყვას რუსულს ვერ გაიგონებს
და სახით რუსს ხომ ერთიც არა ჰგავს...
„ჩემს სამშობლოში, მეგობართ შორის
ტკბილად ვზივარო, ასე მგონია“.
რატომაც არა! აგერ მოსულა
და თავის თავი მეფე ჰგონია.
„სწორედ ფრანგივით სცოდნიათო აქ
სიტყვა-პასუხი, ჩაცმა-დახურვა.“
დიახ, ყველა ეს მოსწონს უცხოელს,
იმას ახარებს, მაგრამ ჩვენ—არა...
როცა დაჩუმდა, მოისმა გმინვა,
ქალთა გულიდან ამონაკვნესი:
„ოჰ, საფრანგეთო! დედა-მიწაზე
სად არის მხარე შენს უკეთესი!“
ორმა კნიაჟნამ, ორივე დებმა,
ეს რამდენჯერმე გაიმეორა
და ამ საერთო სიყრმის გაკვეთილს
ყველამ თამამად კვერი დაუკრა.
სად დავემალოთ თავადის ქალებს!
მე კი ხმა-მაღლა ღმერთს ვსთხოვდი იმ დროს,
რომ ჩვენებურებს ეს სულელური
სხვათა მიბაძვა მოაშლევინოს.
გადმოუვლინოს ერთს მაინც ვისმე
სულის სიმტკიცე სამაგალითოდ,
ვინც აღგვილაგმავს იმ მდაბალ სურვილს,
რომ ჩვენსას სხვისი არ ვამჯობინოთ!

დაე, ძველისა მიმდევრად მთვლიდნენ,—
მე კი მას ვიტყვი, ჩვენი ქვეყანა
ასს წილად უფრო წახდა მას შემდეგ,
რაც თავის სახე გამოიცვალა.
უარ ჰყო თვისი ზნე-ჩვეულება,
ენა მდიდარი და სამოსელი,
შეჰბღალა ერის წმიდათა წმიდა
და გადასცვალა ახალზე ძველი.
ახალზე, მაგრამ როგორ ახალზე?
რაც მასხარის მეტს, არვის შეჰფერის;
უკნიდან კუდი, წინ გული ღია,
არ მოსაწონი არც ღვთის, არც კაცის.
ველარ იძვრიან თავის ნებაზე,
თითქო ხელ-ფეხი რითმე შეუკრავთ;
როგორც კაბა და თმები აქვთ მოკლე,
ჭკუა გონებაც ისე მოკლე აქვთ.
ეჰ, თუ ჩვენ მიტომ გავჩნდით ამ ქვეყნად,
რომ უცხოთაგან რამ გადმოვიღოთ,—
ნეტავი ჩინელთ მივბაძოთ მაინც,
სხვის არ მიბაძვა მათგან ვისწავლოთ!
განა თავს ვიხსნით იმ სენისაგან,
რომ სხვათა „მოდებს“ აღარ მივდიოთ!
და ჩვენს ჭკვიან ხალხს, თუნდ ენით მაინც,
გადამთიელი აღარ ვეგონოთ?
ვიღაცამა სთქვა: ევროპიულთან
ჩვენი ენაო არ შეთანხმდება.
„როგორა სთარგმნით: მადამ, მადმაზელ?
ქალბატონოო? რომ არ უხდება!“
წარმოიდგინეთ, სუყველა ერთად
ჩემზე სიცილსა და ხარხარს მოჰყვა:
„ქალბატონოო! საუცხოვოა!
ქალბატონოო! ხა-ხა-ხა-ხა-ხა!“
მე-კი გავბრაზდი იმათს ხარხარზე,

და დავიფიცე ციური ძალა,
რომ მეხად დავსცემ ჩემს პასუხს მეთქი,
მაგრამ სუყველა შემომეცალა.
აი, ეს გახლდათ, ამას ვბრაზობდი:
ჩვენი მოსკოვი და პეტერბურგი
რუსეთისათვის იგივე არის,
რაც რომ ბორდოდან მოსული ფრანგი:
თუ რასმე იტყვის, იმავე წუთში
თვისკენ მიიმხრობს თავადის ქალებს
და ვაი იმას, ვინც თაყვანს არ სცემს
უცხოეთიდან გამოწერილებს.
ვის ვაგლახ თავსაც ბედმა არგუნა
ფხიზელი აზრი ცხოვრების სარკეთ
და ვინც ხალხს ამხელს ჭეშმარიტებას,
იმას ყველა ჰგმობს... მიმოიხედეთ...

(იქით-აქეთ იხედება: ყველანი ვალსს უვლიან; მოხუცებულნი ბანქოს სათამაშოდ სტოლებს შემოსხდომიან).

(დასასრული იქნება)

„ს ა მ ნ ი“

მ. გორკისა

თარგმნილი ივ. პილუმორდვინოვის მიერ

. . . . . .

. . . . . .

რამდენიმე დღის შემდეგ ილია პაშკა გრაჩოვს შეხვდა. საღამო ხანი იყო! თოვლი ბარდნიდა ზარმაცად და ფანჯრების სინათლეზედ ნაზათ ბზინავდა. მიუხედავათ იმისა, რომ კარში საკმაოდ ციოდა, პავლეს თხელი ბამბაზეის ბლუზა ეცვა და წელზედ ქამარიც კი არ ერტყა. თავი ჩაექინდრა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და წელში მოღუნული, თითქო რაღასაც დაეძებსო, ზლაზნით მოდიოდა. ილია გაუსწორდა თუ არა ამხანაგს დაუძახა, პავლემ თავი ასწია, შეხედა ილიას სახეში და ცივად წაილაპარაკა:

— ოჰ! შენა ხარ!..

— როგორა სცხოვრობ?—გაჰყვა გვერდზედ და დაეკითხა ილია.

— ამაზედ უფრო ცუდი ცხოვრება საჭიროა, მაგრამ ალარ შეიძლება... შენ როგორღა ხარ?

— არა მიშავს რა...

— ტკბილად არც შენა სცხოვრობ, როგორც გეტყობა...

---

*) იხ. „მოამბე“ მე-10 №-რი.

ცოტა ხანს გაჩუმებულნი მიდიოდნენ და იდაყვებით ეხლებოდნენ ერთმანეთს.

— ერთი რატომ აღარ შემოიარე ჩვენსკენ? ამდენს გეძახი, გვძახი.—საყვედურით უთხრა ილიამ..

— არა მცალიან, ძმაო, რავქნა... თავისუფალ დროს, ხომ იცი, ბევრს არ მოგცემენ...

— მოახერხებდი, რომ გდომებოდა...—უფრო მეტის საყვედურით განაგრძო ილიამ.

— მერე რა გაჯავრებს... მე მემდური, რატომ არ შემოივლიო და შენ არც კი მკითხე, სადა ვსცხოვრობ, არამც თუ მოსულიყავ... შენ კი არ გეკადრება?..

— მართლა, კაცო!—შესძახა ილიამ ღიმილით:—ნახე როგორ დამავიწყდა?

პავლემ გადახედა, გაიღიმა და უფრო გულიანად დაიწყო ლაპარაკი.

— მე მარტოკა ვსცხოვრობ, უამხანაგოთ,—როგორღაც ვერავის შეევწყე. ავად ვიყავ, სამი თვე მეტი საავათმყოფოში ვეგდე... ერთმა არავინ მომხედა...

— რა იყო, რა გტკიოდა?

— მთვრალი ვიყავ და გავცივდი... საოფლე მჭირდა... რჩენაში რომ შეველი, უფრო მეტი ტანჯვა გამოვიარე. ჰგდიხარ მარტოკა მთელი დღისა და ღამის განმავლობაში და გგონია, აღარც მესმის რამე და აღარც ლაპარაკი შემიძლიან და კატის კნუტსავით გადუგდივართ ორმოშიო... კიდევ კარგი, ექიმი პატიოსანი კაცი შემხვდა.. სულ წიგნებს მაძლევდა წასაკითხად... თორემ მოვკვდებოდი უსაქმობით.

— ხეირიან წიგნებს კი გაძლევდა?—დაეკითხა ლუნევი.

— ჰოო, მშვენიერი წიგნები იყო! სულ ლექსებსა ვკითხულობდი,—ლერმონტოვი წავიკითხე, პუშკინი, ნეკრასოვი, ხშირად ისე გამიტაცებდნენ, რომ სუყველაფერი მავიწყდებოდა. ეჰ, ძმაო, ისეთი ლექსები ყოფილა, რომ საყვარლის კოცნაზედ უტკბესად გეჩვენებიან ხანდახან, გადმოგკრავს ვულში მათრახს და სულ მთლად ცეცხლად აღგაგზნებს.

— მე კი გადავეჩვიე კიდეც წიგნების კითხვას,—ოხვრით უთხრა ილიამ.

— რას ამბობ?

— ღმერთმანი. რა? ჰკითხულობ ერთსა და ცხოვრებაში კი მეორესა ჰხედავ...

— კიდეც ეგ არის კარგი და!.. მოდი, დუქანში შევიდეთ პატარა ხანს! დავსხდეთ და პატარა ვილაყბოთ... მე ერთგანა ვარ წასასვლელი და ჯერ კი ადრეა... იქნება იქაც ერთად წავიდეთ...

— დუქანში? წამო!—დაეთანხმა ილია და მეგობრულად წაავლო პავლეს ხელი. პავლემ ერთი კიდევ გადახედა ამხანაგს, გაულიმა და უთხრა:

— მე და შენ მეგობრები არასოდეს არა ვყოფილვართ, მაგრამ შენ რომ შეგხვდები, ძალიან მესიამოვნება ხოლმე.

— ეგ არ ვიცი... გესიამოვნები თუ არა... თუმცა კი არა მჯერა... მაგრამ მე კი...

— ეჰ, ძმაო! — შეაწყვეტინა პავლემ: — ისეთ საქმეებზედ ვფიქრობდი როცა წამომეწია... რომ ისევ ისა სჯობს აღარ მოვიგონო!.— ჩაიქნია ხელი, გაჩუმდა და ფეხს მოუკლო ცოტა.

მეგობრები პირველსავე დუქანში შევიდნენ, მისხდნენ კუნჭულში და ლუდი მოითხოვეს. ლამპის შუქზედ ილიამ შენიშნა, რომ პავლე ჩამომხმარიყო, სახე ჩაჰყვითლებოდა, თვალები მოუსვენრად დაურბოდნენ და წინად ნახევარზედ დაღებული ტუჩები ეხლა მაგრა მოჰკუმშოდნენ.

— სადა მუშაობ ეხლა?—დაეკითხა ილია გრაჩევს.

— ისევ სტამბაში,—მიუგო უსიამოვნოთ პავლემ.

— ძნელი სამუშაოა?

— არა!.. მუშაობა კი არა მკლავს, დარდი, დარდი...

ილია რაღაც გამოურკვეველ სიამოვნებას ჰგრძნობდა, რომ ოდესღაც მხიარულს და ცოცხალ პაშკას ეხლა დაღვრემილს და დაფიქრებულს ჰხედავდა. მას ძალიან უნდოდა გაეგო ამ ცვლილების მიზეზი და ლუდს სთავაზობდა, თან გამოკითხვას მოუხშირა:

— ლექსების საქმე როგორღა მიდის?

— ეჰ, დავანებე თავი... წინად კი ბევრსა ვწერდი. ექიმსაც ვაჩვენე და ძალიან მოიწონა. ერთი იმათგანი გაზეთშიც დამიბეჭდა... ოც-და-ცხრამეტი კაპეიკი მომცეს.

— ბიჭოს!—შესძახა ილიამ:—ყოჩაღ! რა ლექსი იყო? მითხარი თუ არ გეზარება!

ილიას ცნობის მოყვარეობამ და ლუდის რამდენიმე ჭიქამ გრაჩევი გამოაცოცხლეს, თვალები გაუბრწყინვეს და ჩაყვითლებულ ლოყებზედ წითელი ფერი შეუთამაშეს.

— რა ლექსი იყო?— შეეკითხა გრაჩევი და შუბლზედ მოისვა ხელი. დამავიწყდა. მოიცა! ღმერთმანი, დამავიწყდა... დაიცა, იქნება მოვიგონო. ჩემ თავში ყოველთვის ისე ირევიან ლექსები, როგორც სკაში ფუტკრები.. ისევე ზმუიან! ხანდახან, რომ დავიწყებ თხზვას, ამიჩქროლდება გული და ცრემლებიც კი გადმომცვივა ხოლმე თვალებიდამ...

— ღმერთმანი? რისგანა მერე?—გაკვირვებით და ურწმუნოდ დაეკითხა ილია.

— რა ვიცი... ცეცხლი გიკიდია, რაღაცა სდუღს შენში, გინდა კარგად, ლამაზად გადასცე და სიტყვები ვერ გიპოვნია გადასაცემათ... გეწყინება და გაჯავრდები.—ამოიოხრა, ჩაიქნია თავი და დაუმატა:

— გულში სათქმელი სისხლში და ნაღველში გაქვს გადარეული, ქაღალდზე გადიღებ და ფუჭი გამოდის...

— ერთი რომელიმე ლექსი მითხარი! — შეეხვეწა ილია. რაც უფრო მეტს უყურებდა ილია პავლეს, მით უფრო მეტად ეზდებოდა ცნობის-მოყვარეობა, რასაც ნელ-ნელა რაღაც კარგი, თბილი და ნაღვლიანი გრძნობა ემატებოდა.

— მე უფრო სამასხარო ლექსებსა ვსწერ... ჩემი ცხოვრებიდან,—უთხრა გრაჩევმა და დარცხვენით გაიღიმა.

— სასაცილო იყოს, სთქვი, რაც იცი! — ჩასცივებოდა ილია. მაშინ კი გრაჩევმა მიიხედ-მოიხედა, ჩაახველა, თვალები კედელს მიაბჯინა და დაიწყო:

„ღამეა, სულის შემხუთი,
ცაზედა მთვარე გუშაგობს,
ჩემს ოთახში სხივებს ისვრის,
თითქოს ჩემთან ლაპარაკობს.
და დიმიდით, მეგობრულად
სხივებს სევდით მიმოფანტავს
და ნესტიან კედლებზედა
რაღაც სურათს გამოჭხატავს!
ვზივარ, შევტქერ განაბული
და ძილს არ მთხოვს, არა, გული!“

პავლე შეჩერდა, ღრმათ ამოიოხრა და უფრო ნელის ხმით, დინჯათ განაგრძო:

„მე ბედი მარჩობს, მან თვის ბრჭყალებში
რა მოიმწყვდია გასაწყალებული—
ხან გულს მიკუწავს, ხან ქოჩორში მტეკს,
მტრულად მექცევა გაბრაზებული.
ჩემ დამტანჯველმა მე რა მარგუნა?
აი, ეს ბოთლი არაყიანი;
მთვარისა შუქზედ ელავს დიმიდით
ჩემთვის მის ძალა გემოიანი.
გულის იარებს მე დვინით ვირჩენ—
დვინით თვალებსა ნისლი ედება,
დვინის წყალობით მე ძილსა ვიძენ—
ძილში ხომ ტანჯვა მიგავიწყდება?
ხომ არ გადავკრა კვლავ ერთი ჭიქა,
რომ თვალთ ბურუსი გადამეფაროს?!
სხვებმა რაც უნდ თქვან, მე კი გადავკრავ
ამ სიხარულის ტანჯვისა წყაროს!..“

რომ დაამთავრა, ცერად გადახედა ილიას, უფრო ძირს დაღუნა თავი და ნელის ხმით უთხრა.

— აი... მეტი წილი ესეთი ლექსები მაქვს... რაღაც სულელური..

პავლემ მაგიდის ნაპირს დაუწყო თითებით კაკუნი და მოუსვენრად შეინძრა სკამზედ.

ილია რამდენიმე წამს გაკვირვებით უყურებდა გრაჩევს. მას ჯერ კიდევ ყურში ედგა მწარე, მაგრამ მწყობრი სიტყვები და არ სჯეროდა, თუ ეს ჩამომხმარი, უწვე-რულვაშო და დაგლეჯილ ტანსაცმელში გამოწყობილი ყმაწვილი მათ შეთხზვას და გასულდგმულებას შესძლებდა.

— არა, ძმაო, აქ საცინელი ბევრი არაფერია! — დინჯათ, მაგრამ ხმა მაღლა ეუბნებოდა ილია და თან უფრო და უფრო აკვირდებოდა ამხანაგს. — მშვენიერია... მე კი გული მომიკლა და... ღმერთმანი! აბა, ერთი კიდევ გაიმეორე...

პავლემ უცებ თავი აიმაღლა, მხიარულის, მოცინარის თვალებით შეხედა ამხანაგს, უფრო ახლო ამოეკრა და ნელის ხმით დაეკითხა:

— მართალი მითხარი — მოგეწონა?

— ღმერთმანი... მარა, მოგატყუილებ?

— მჯერა, მჯერა... შენ პირში თქმა იცი ხოლმე... კაი ბიჭი ხარ, ღმერთმანი!

— ერთი კიდევ წამიკითხე რამე!

პავლემ დაფიქრებულად, ნელი ხმით დაიწყო კითხვა და როცა ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, მწარედ ოხრავდა. ახალმა ლექსმა ილიას ეჭვი დაუბადა — არა მგონია, რომ ეს ლექსები პავლეს დაწერილები იყვნენო.

— აბა, სხვები წაიკითხე? — უთხრა ილიამ.

— იცი, რა გითხრა? ისევ ისა სჯობიან მე როდისშე მოვალ შენთან და რვეულსაც წამოგიღებ... თორე უმეტესი ნაწილი ლექსებისა დიდრონია და მე კი წასასვლელი ვარ! მეორეც ეს ერთი — კარგად არ მახსოვს... თავი და ბოლოები მადგანან ენაზედ... აი, მაგალითად, ბოლო: არის ისეთი ლექსი, — მითომც მივდივარ ღამე ტყით და გზა დამეკარგა, დავიღალე... და მეშინიან... ირგვლივ სიჩუმეა... მხოლოდ მე ვარ მარტო... ვამოსასვლელ გზას ვეძებ და ვჩივი:

„ღონე დავკარგე,
გული მღალატობს
და გზა კი მაინც
ვერ გამიგნია!

—

მიწავ, დამბადო,
შენ მაინც მითხარ;
საით წავიდე,
და ვის მივმართო?

—

დავემხე ბირქვე
და ჩავეკარი
მის გულსა შავსა,
გაუმაძღარსა.

—

და გავიგონე
გულის სიღრმითა
მისი ჩურჩული:
„მოდი ჩემთანა!“

— ხომ მართალია, არა? სცხოვრობ, თითქოს ტყეში მიდიხარ, სინათლეს ჰხედავ, ბიილტვი მისკენ და გზისთვის კი ვერ მიგიგნია!.. მოდი — ილო, ერთად წავიდეთ, ღმერთმანი! არ მინდა მოგშორდე...

გრაჩევი ფეხზე წამოდგა, ეხვეწებოდა, კლავში ეწეოდა და ალერსიანი თვალით შეჰყურებდა ამხანაგს თვალებში.

— კარგი, მოვდივარ! — უთხრა: ილიამ. — არც მე მინდა შენი მოშორება... სწორე გითხრა — კიდეც მჯერა მე შენი სიტყვები და კიდეც არა... მეტად საინტერესო ხარ — მერე ლექსებსაც რა კარგათა სთხზავ...

— არა გჯერა, რომ ჩემებია, განა? არა უშავს-რა. როცა ნახავ დაიჯერებ... — ეუბნებოდა პავლე, დუქნიდან ქუჩაზე რომ გამოდიოდნენ.

— თუ მართლა შენებია და ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთ-მა!—გულწრფელად უთხრა ილიამ:—გაუსვი და გააგებინე ქვეყანას როგორა სცხოვრებენ ნამდვილი ადამიანნი...

— ცოტა გავვარჯიშდე კიდე, მერე ნახე, რაები დავ-წერო!

— სწერე, ეგებ გაიგონ და მიხვდნენ...

— მე ხანდახან ვფიქრობ: თქვე ოხრებო, თქვენ მაძღარ-ნიცა ხართ, ჩაცმულ-გამოწყობილნიცა და მე?

— მაშ, კაცო!

— რა—მე ადამიანი არა ვარ?

— ყველანი თანასწორნი ვართ!

— ვისაც ქულაჯა აცვია და კაბა,—იმას ქადა და ვისაც გული აქვს ტიტველი—იმას კუჭიც ცარიელი? არა, მიჰქარავ!

— მიჰქარავენ! სუყველანი თანასწორნი ვართ!

— ეჰ, ილია! მე რომ სწავლა მქონდეს მიღებული!..

ამხანაგნი გაჩქარებულნი მიდიოდნენ ქუჩაში და ერთმა-ნეთს სიტყვის დაბოლოვებას არ აცლიდნენ, პირიდან სტაცებდ-ნენ და თან-და-თან უფრო ფიცხდებოდნენ, უფრო უახლოვდე-ბოდნენ ერთმანერთს და უფრო მეგობრდებოდნენ. ორთავეს უხაროდათ, ჰხედავდნენ რა, რომ ერთიც ისევე ფიქრობდა და სჯიდა, როგორც მეორე, და ეს სიხარული უფრო აღფრთოვანებ-და და ასულდგმულებდა ორთავეს. ხშირ კვირტებად დაცემული თოვლი ადნებოდათ სახეზედ, აჩერდებოდათ ტანთსაცმელზედ და ფეხსაცმელზე ეკროდათ, ისინი კი მიტოპავდნენ თოვლ-ჭყაპსა და უხმაურო ბუქში და ვერას ამჩნევდნენ.

— მე კარგათა ვხედავ ყველაფერს!—დაბეჯითებით ამბობ-და პავლე.

— ასე ცხოვრება არ შეიძლება!—ბანს ეუბნებოდა ლუ-ნევი.

— შენ თუ გიმნაზიაში გისწავლია—ბატონი ხარ, თუ გინდ მამაშენი მენაგვეც ყოფილიყოს.

— მაშ! მერე, რა ჩემი ბრალია, რომ გემნაზიაში არ ვიყავი?

— შენ სწავლა-განათლებაც და მე კი სულ არაფერი?— ეუბნებოდა აღფრთოვანებული გრაჩევი:—ეგ სამართალია?

— ოჰ, დასწყევლოს ღმერთმა!—შეიგინა ილიამ, ფეხი რომ წუმპესა და თოვლში ჩაუვარდა.

— მარცხნივ წადი...

— სად მივდივართ, მერე?!..

— სიდორიხასთან...

— სადა?

— სიდორიხასთან... არ იცნობ?

— არა ვყოფილვარ...—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ სიცილით უთხრა ილიამ:—დიდი არ ყოფილა, ძმაო, ჩვენი გზა...

— ეჰ!—ნელის ხმით უთხრა პავლემ.—მეც კარგად მესმის, კარგათა ვხედავ, მაგრამ რას იზამ... საქმე მაქვს იქა...

— მე არაფერს გეუბნები... მეც წამოვალ, სულ ერთია!

— ეჰ ილია! ადვილი არ არის ჩემთვის ამაზედ ლაპარაკი...

პავლემ გააფურთხა და გაჩუმდა.

— რა იყო, რაზედ ლაპარაკი?—დაეკითხა ყურებ დაცქვეტილი ლუნევი.

— იცი,—უცბათ დაიწყო პავლემ,—იქ ერთი გოგოა... შენ თითონ ნახავ ეხლა, როგორიცაა... ცეცხლს მოუკიდებს ადამიანს, სულ ნაცრად და ფერფლად აქცევს... იმ ექიმს ჰყავდა მოსამსახურეთ, მე რომ მწამლობდა. მე ჯერ წიგნებისათვის დავიარებოდი... მერე, როცა მოვრჩი... მივდიოდი ხოლმე და თუ ექიმი სახლში არ იყო, სამზარეულოში ვუცდიდი... ისიც იქ იყო ხოლმე.. დახტოდა მხიარულად, კისკისებდა... მე ისე ვიყავ იმის გვერდით, როგორც დაგიზგიზებულ ცეცხლთან თივა... მიველი ერთხელ—უსიტყვოთ დამნებდა... მერე დაგვეწყო... ირაჟრაჟებდა თუ არა... მე იქ ვიყავი... ჩავეკონებოდით, ვკოცნიდით, ერთმანეთს — ტუჩები დაგვისივდებოდა, ძველები კვნესას დაგვიწყებდნენ, მაგრამ ეჰ! პაწაწკინტელაა და კოპწია სათამაშო ნივთსავით მოეხვევი და ხელში გიქრება! თითქო ჩიტად იქცა, შემოგიფრინდა გულში და ჭიკჭიკებს... მღერისო..

პავლემ გაჩუმდა და ღრმათ შეისუნთქა ჰაერი.

— მერე?—დაეკითხა მისი ამბით გატაცებული ილია.

— ექიმის ცოლმა მოგვასწრო... შეაჩვენოს ის ღმერთმა. კაი ადამიანი კი იყო ის ოხერი! ხშირად ისიც მელაპარაკებოდა ხოლმე... ტკბილად... ლამაზიც იყო...

— მერე?—გაუმეორა კითხვა ილიამ.

— მერე და ასტეხა ერთი ალიაქოთი... ვერკაც გააგდეს... და მეც... ისიც გალანძღეს... მეცა.. ვერკა, რასაკვირველია, ჩემთან მოვიდად, მე კი უადგილო ვიყავ იმჟამად... ეჰ, გაგვიჭირდა... სულ შევჭამეთ, რაც კი გვებადა, უკანასკნელ ძაფამდის... ჯიუტი რამ არის... გამექცა უცბათ... ორი კვირა ველარც სადმე ვნახე და ვერც ვერაფერი გავიგე იმის შესახებ... მერე მობრძანდა... მორთულ-მოკაზმული... ბრასლეტით, ფულებით...

პაშკამ კბილები გააკრაჭუნა და გაჩუმდა.

— კინალამ ცემით მოვკალი.

— მერე წავიდა?—დაეკითხა ილია.

— აარა!.. ის რომ წასულიყო, ხომ მე თავს დავირჩობდი.

— დარჩა?

— ან მომკალი, ან ხელს ნუ მახლებო... ასე მე ბარგი ვარ შენი... სულს კი არავის მივსცემო.

— მერე შენა?

— მე სუყველაფერი ვსცადე: ვსცემე... ბევრი ვიტირე... სხვა რალა შემეძლო? მე იმის შენახვის თავი არა მქონდა...

— ადგილზედ ყოფნა არ უნდა?

— იმას რა ეშმაკი გასტეხავს! კარგიო, ამბობს. ვსთქვათ დაგიჯერე და შენთან დავრჩი, მერე შვილები მოგვეცემიან, ისინი როგორ-ღა უნდა შეინახოო! ასე კი—არც შვილები გვეყოლება და მაინც შენი ვიქნებიო...

ლუნევმა, ცოტა დაფიქრების შემდეგ, სთქვა:

— ჭკვიანი ყოფილა.

თოვლის ბურუსში ჩქარის ნაბიჯით მიმავალმა პავლემ არა უთხრა-რა ილიას; მან ს

თუ ოთხი ნაბიჯით გაასწრო ამხანაგს, მერე მობრუნდა, შეჩერდა და ყრუდ, მსტვინავი ხმით უთხრა:

— როცა წარმოვიდგენ, რომ სხვებიც ჰკოცნიან... ტყვია ჩამესხმის ხოლმე გულში...

— თავს ვერ დაანებებ?

— იმასა?—შეჰკივლა გაკვირვებულმა პავლემ.

ილიამ მაშინ შეიგნო მისი გაკვირვება, როცა ვერკა ნახა.

მეგობარნი ქალაქის განაპირას მდგარ ერთ სართულიან სახლს მიადგნენ. მისი ექვსივე ფანჯარა დარაბებით იყო მჭიდროთ დახურული და ეს გრძელ სარაიას უფრო ამსგავსებდა მას. სველი თოვლი ხშირად შეჰკროდა მის კედლებსა და ჭერს, თითქოს დაფარვას ან გაჭყლეტას უპირებსო.

პაშკამ კარი დააკაკუნა და ამხანაგს მოუბრუნდა:

— ეს შესანიშნავი დაწესებულებაა. სიდორიხა ოთახებს გოგოებს მიაქირავებს ხოლმე, თითონვე ინახავს და ამაში ხუთ ხუთ თუმანს ართმევს თვეში... აქ სულ ოთხი გოგოა. რასაკვირველია, სიდორიხა ღვინოს ინახავს, ლუდსა, ტკბილეულობას და სხვას... მაგრამ არაფრით კი არ ავიწროებს გოგოებს: გინდა—წადი და ისეირნე, გინდა შინ იჯექ... მხოლოდ ხუთი თუმანი კი ჩაუჩხრიალე თვეში... გოგოები სულ კარგები არიან და ძვირფასნი... მათ ამ ფულის შოვნა არ გაუჭირდებათ... ერთია აქ—ოლიმპიადა—ოც და ხუთ მანათ ნაკლებ არა ფასობს..

— შენი როგორია?—დაეკითხა ილია და თოვლი ჩამოიბერტყა ტანთსაცმელიდან.

— არ ვიცი... არც ის არის იაფი...—მიუგო გრაჩევმა, ცოტა სიჩუმის შემდეგ.

კარებს იქიდან ხმაურობა მოისმა და ჰაერში სინათლის შუქმა შეითამაშა...

— ვინ არის?

— მე ვარ, ვასსა სიდოროვნა... გრაჩევი..

— ااا!—კარი გაიღო და დალეულმა, დიდ ცხვირა მოხუცმა გზის მინათებით ალერსიანად უთხრა:

— გამარჯობა, პაშა.. ვერუნკა კი თავს იკლავს, რად დაიგვიანაო. ეგ ვილაა?

— ამხანაგია...

— ვინ მოვიდა? -იკითხა ვიღაცამ გრძელი დერეფნის ბნელი კუნჭულიდან.

— ვერასთან მოვიდნენ, ლიპა...—მიუგო მოხუცმა.

— ვერკა, შენი მოვიდა!—დაიყვირა ისევ იმ ხმამ და დერეფანმა ბანი გამოსცა.

დერეფნის სილრმეში უცბათ კარები გაიღო და იქიდან მოფენილ სინათლეში პატარა, კეკლუცი, თეთრ ტანთსაცმელში გამოწყობილი და ოქროს ფრად მობიბინე ხუჭუჭ თმიანი ქალი გამოჩნდა.

— კარგა დაიგვიანე!—დაბალი, გულიდან ამონახეთქი ხმით შესძახა ქალმა. მერე ფეხის თითებზედ შესდგა, ხელები პავლეს დააწყო მხრებზედ და თავისი ცის ფერი ალერსიანი თვალებით ილიას გადმოხედა.

— ეს ჩემი ამხანაგია... ილია ლუნევი.. ამას შევხვდი და იმიტომ დავიგვიანე...—უთხრა პავლემ.

— გამარჯობათ!

ქალმა ხელი გაუწოდა ილიას და თეთრი კოფთის განიერი სახელო თითქმის მხრამდის აეწია. ილიამ მოწიწებით და ფრთხილად ჩამოართვა პატარა ცხელი ხელი და არა უთხრა რა. პავლეს მეგობარს ქალი იმისთანა ნათელის სიხარულით უყურებდა, როგორითაც ხშირ ტყეში, ჭაობის ჩირგვებს შორის სუნნელოვან და ლამაზ არყის ხეს რომ წააწყდები და გაშტერებული შეაჩერდები. როცა ქალი ჩამოეცალა გზიდან, რომ კარებში ილია გაეტარებინა, ილიამ თითონ წასდგა ფეხი უკან, პატივის ცემით დაუკრა თავი და უთხრა:

— თქვენ—პირველი!

— ჰხედავ, რა კავალერი ყოფილა!—გაიცინა ქალმა. სიცილიც მხიარული, ლამაზი და ნათელი ჰქონდა. პავლეც იცინოდა და ეუბნებოდა:

— სულ გადარიე, საწყალი... შეხე, ისე გაჩერებულა შენს წინ, როგორც დათვი გაჩერდება ხოლმე სკასთან.

— მართლა?— ‘ხიარულად დაეკითხა ქალი ილიას.

— მართალს ამბობს!—დაეთანხმა ღიმილით ილია. თქვენის სილამაზით ფეხებ ქვეშ ნიადაგი გამომაცალეთ, ბატონო!

— აბა შეიყვარე! დაგკლავ...—დაემუქრა პავლე მხიარულის ღიმილით. მას უხაროდა, რომ იმისმა სულიკომ ასეთი მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა ილიაზედ და ბედნიერი, ამაყად შესცქეროდა ვერკას. ისიც ჰგრძნობდა თვის დიაცურ ძალას და თავი მოჰქონდა. პერანგს ზევით მას მხოლოდ განიერი კოფთა ეცვა და თეთრივე, თოვლსავით სპეტაკი ქვედა ტანი. შეუკინძავი კოფთა უფარფარებდა და მაგარს, ქორფა ბოლოკსავით გატენილ-გაჭუკვნილ ხორცს უჩენდა. მისი კოპწია ბაგენი და მაყვლის ფერი ტუჩები ბავშვურ კმაყოფილების ღიმილით ჰკრთოდნენ; კაცს ეგონებოდა ეს საუცხოვო ქმნილება თითონვე სტკბება თვისი სიმშვენივრით, როგორც ბავშვი სტკბება ხოლმე იმ სათამაშო ნივთით, რომელიც ჯერ არ მოჰბეზრებიაო. ილია თვალ მოუშორებლად უყურებდა მის კოპწია სიარულს, ტურფა სიცილს და ლაპარაკს და ის აზრი, რომ მას არა ჰყავს ასეთი მეგობარი, ნაღველსა ჰგვრიდა და გულს უჩქროლებდა. ილია იჯდა გაჩუმებული და აქეთ-იქით იყურებოდა.

პატარა, ნათელ და სუფთად მორთულ-მოკაზმულ ოთახში თეთრ სუფრა გადაფარებული მაგიდა იდგა; მაგიდაზედ მხიარულად ჩუხჩუხებდა სამოვარი და ირგვლივ სინათლე იყო. მაგიდაზედ ჭიქები, ბოთლით ღვინო, ძეხვითა და პურით სავსე ჭურჭელი ელაგა და ყველა ეს ახალი და სუფთა ილიას მეტად მოსწონდა და მადას უღვიძებდა. პავლე იჯდა მხიარული და გატაცებით ლაპარაკობდა:

— შენ რომ გიყურებ, ასე მგონია მზეზე ვთბები-მეთქი... სუყველაფერი მავიწყდება და ბედნიერებას მოველი... კარგია, როცა ტურფა გყავს შენა, კარგია მასთან ყოფნა და ლხენა...

— ოჰ! ჩემო საყვარელო! რა კარგათ მოაწყე!.. შეჰყვირა აღტაცებულმა ვერკამ.

— ცხელ-ცხელია! ეს არის, ეხლა გამოვაცხე... ეი, ილია! გეყოფა, კაცო!... თუ, ჯერ ვერ გაძეხი ცქერითა? შენი გაიჩინე თუ გინდა, სხვისას რას შესცქნავი?...

— კარგისა კი იშოვნეთ!—საოცარი, რაღაც სხვა ხმით უთხრა ქალმა და ილიას თვალებში შეხედა.

— თქვენზედ კარგს ღმერთი ვარ მომცემს!—ოხვრით და ღიმილით მიუგო ილიამ.

— რაც არ იცით, ნუ ამბობთ იმას...—ნელის ხმით მიუგო ვერამ.

— მაგან იცის...—სთქვა პავლემ, მოიღუშა, მიუბრუნდა ილიას და უთხრა;—გესმის, ხარ ასე შენთვის კარგათ და მხიარულად... მაგრამ მოგაგონდება ყველა... და ტყვიასავით დაგეძგერება გულში!..

— შენც ადექი და ნუ მოიგონებ, რა,—სთქვა ვერამ და თავი მაგიდისკენ გადიხარა. ილიამ შეხედა და შეამჩნია, რომ ყურები დასწითლებოდნენ.

— ასე იფიქრე,—ნელის ხმით, მაგრამ დაბეჯითებით განაგრძო ქალი,—ერთი დღეა, მაგრამ ჩემია თქო!... არც მე მაქვს ადვილი ცხოვრება... მაგრამ დარდსა და სიხარულს კი არ გადურევ ერთმანეთში...—როგორც სიმღერაშია ნათქვამი—ტანჯვის ფიალას მე შევსვამ მარტო, სიხარულისას გავიზიარებ...

პავლე ყურს უგდებდა და უფრო იღუშებოდა. ილიამ რაიმე სანუგეშოს თქმა მოინდომა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ სთქვა:

— მაშ რა დაგრჩენია, თუ კი ვერა ხსნი კვანძსა? მე კი... აი, რას გეტყვით ორივეს: მე რომ ათასი, ათი ათასი მანათი მქონდეს—თქვენ მოგცემდით! მიყავით წყალობა და მიიღეთ-მეთქი, გეტყოდით.. თქვენი სიყვარულისა და მეგობრობის გულისთვის... იმიტომ, რომ მე ვგრძნობ—თქვენი საქმე სუფთა, სინიდისიერი და წმიდა არის... დანარჩენის ცოდნაც კი არ მინდა!

ილიას გულში რაღაცამ იფეთქა და ცხელ ტალღათ მოედო მთელს მის არსებას. ის ფეხზედაც კი წამოდგა, როცა დაინახა, რომ ქალს თავი აეწია და მადლიერის თვალებით შესცქე-

როდა და პავლეც ისე ულიმოდა, თითქოს კიდევ რაღასაც მოელის ამხანაგისაგანო.

— მე პირველად ვხედავ ჩემ სიცოცხლეში იმისთანა სილამაზეს, როგორიც თქვენა გაქვთ... და პირველადვე ვხედავ როგორ უყვართ თურმე ადამიანებს ერთმანეთი... შენი ფასიც, პავლე, დღეს გავიგე პირველად... გიცქერით და, არ დაგიმალავთ, მშურს თქვენი ბედნიერება... ნაღველითა ვარ სულ მთლად მოცული, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ... ღმერთმა ჰქნას, რომ ეგრევე კარგათ დასრულებულიყოს თქვენი საქმე. დანარჩენის შესახებ კი... აი რას გეტყვით: ბილწი, უსუფთაო ხალხი არ მიყვარს... მაგრამ იმავე მდინარეში ვბანაობ, რომელშიაც ისინი ბანაობენ... იმავე წყალს ვსვამ, რომელსაც ისინი სვამენ. ნუ თუ, იმათი სიბილწის გულისთვის მე მდინარეზედ უარი უნდა ვსთქვა? რადა? მე ძრწამს და მჯერა, რომ ღმერთი უნდა სწმინდავდეს მას.

— მართალს ამბობ, ილია! ყოჩაღ!—შესძახა გახარებულმა პავლემ.

— წყაროს წყალი სვით რა,—გაისმა ვერას ნელი, წკრიალა ხმა.

— მერე სად ნახავ?—დაეკითხა ილია.—ისევ ის სჯობს, ვერა, ჩაი დამისხათ!

— გვრიტიკო!—შესძახა ქალმა.—რა კარგი რამ ყოფილხართ!

— დიდათა გმადლობთ!—დინჯათ მიუგო ილიამ, დაუკრა თავი და დაჯდა.

ილიას სიტყვებმა და ამ პატარა სცენამ ღვინოსავით იმოქმედეს პავლეზედ. სახე წამოუწითლდა, თვალები ვაუბრწყინდა, წამოხტა და ოთახში სიარული დაიწყო.

— ეჰ, დასწყევლოს ღმერთმა, რა კარგია ცხოვრება, როცა ადამიანნი ბავშვებსავით არიან! რა კარგი ვქენი, რომ წამოგიყვანე, ილია... დავლიოთ, ძმაო! დაგვისხი, ვერუნკა...

— გამოცოცხლდა! — ალერსიანი ღიმილით სთქვა ქალმა და ილიას მიუბრუნდა:—აი, ასეა ყოველთვის—ხან განათდება მზესავით, ხან მოიღუშება, ჩამობნელდება და ვაბოროტდება...

— ეგ კარგი როდია!—წარმოსთქვა მტკიცეთ ლუნევმა და სამთავემ მხიარულად, უდარდელი სიცილით განაგრძეს ლაპარაკი.

კარები დააკაკუნეს და ვიღაცამ იკითხა:

— ვერა! შეიძლება შემოვიდე?..

— მოდი, მოდი! აი, ილია იაკოვლევიჩ, ეს ჩემი მეგობარი ლიპაა...

ილია წამოდგა და კარებისაკენ მიბრუნდა. მის წინ მაღალი, წერწეტი ტანის ქალი იდგა და დამშვიდებული ცის-ფერი თვალებით იყურებოდა, მის ტანთსაცმელისგან სასიამო და დამბნიდავი სურნელება მოკანკარებდა. ლოყები ქორფა, ალისფერი ჰქონდა და თავზედ კუნაპეტსავით შავი, საუცხოოთ დავარცხნილი თმა გვირგვინს მოგაგონებდათ.

— მარტოკა ვიყავ,—მომწყინდა... შენს ოთახში სიცილსა და ლაპარაკს მოვკარ ყური და წამოველი... ხომ არ დაგიშლით? აი, ერთი კავალერი უქალოთ არის... მე ამას გავართობ,—გინდათ?

— ქალმა კოხტად მისწია ილიასკენ სკამი, ჩამოჯდა და ჰკითხა:

— მოგწყინდათ მაგათთან, არა? ეგენი არშიყობენ და თქვენ კი გშურთ, ხომ?

— მაგათთან რა მომაწყენს?—უთხრა ქალის სიახლოვით დარცხვენილმა ილიამ.

— აფსუს! — სთქვა დინჯად ქალმა, მიბრუნდა და ვერას დაელაპარაკა:

— ბცი—გუშინ საღამოს ლოცვაზედ ქალების მონასტერში ვიყავ და ისეთი მონაზონი ვნახე, რომ ჰა!.. საუცხოო გოგონა იყო... უყურებდი და ვფიქრობდი: რად წასულა ეს საწყალი მონაზვნათ? მეტად მებრალებოდა საცოდავი.

— მე კი არ შევიბრალებდი,—მიუგო ვერამ.

— ჰო, მითომც! დაგიჯერებ, დიახ.

ილია ქალის ირგვლივ მოფენილ ტკბილ სუნს ჰყნოსავდა, შესცქეროდა მას გვერდიდან და მის ხმას გაუმაძღრათ ყურს

უგდებდა. ქალი კი საკვირვლად დინჯათ ლაპარაკობდა და მის ხმაში ისეთი რაღაც გამოიხატებოდა, რაც აყუჩებდა კაცს და ადუნებდა: კაცს ეგონებოდა, ამის სიტყვებსაც ისეთივე სასიამოვნო, ხშირი და დამათრობელი სუნი აქვსთ, როგორც მის ტანთსაცმელსაო...

— იცი, ვერა, მე სულ იმაზედ ვფიქრობ—წავყვე თუ არა პოლუეკტოვსა მეთქი?

— მე ვერაფერს გირჩევ, ჩემო კარგო...

— იქნება წავყვე... პოლუეკტოვი ბებერია—ეს ერთი, მდიდარია—ეს მეორე... მაგრამ ძუნწი კია... მე ვეუბნები: ხუთი ათასი ხაზინაში შეიტანე ჩემ სახელზედ და თვეში ხუთმეტი თუმანი მაძლიე-მეთქი და არა შვრება—სამი ათასი ხაზინაში და ათი თუმანიც თვეში შენაო...

— ლიპა! ნუ ლაპარაკობ მაგაზედ, —შეეხვეწა ვერა.

— კარგი, კარგი, აღარ ვილაპარაკებ, —დაეთანხმა დინჯათ ლიპა და ისევ ილიას მიუბრუნდა: აბა, ვილაპარაკოთ, ყმაწვილო... მე მომწონხართ... ლამაზი სახე გაქვთ და ჭკვიანი თვალები... თქვენ რას მეტყვით ამაზედ?

— რა შემიძლიან გითხრათ?—შეკრთომილი ღიმილით მიუგო ილიამ და იგრძნო, რომ ქალი თან-და-თან ღრუბელსავით ეხვეოდა ყოველი მხრით და თვისი სიმშვენიერით ჰხიბლავდა.

— აბა რას მეტყვით? თქვენთან კაცს დაეძინება, ისე მოსაწყენი ყოფილხართ.. რა ხელობისა ხართ?

— ხელზედ მოვაჭრე...

— ჰოო? მე კი მეგონა სადმე ბანკში თუ მსახურებს-მეთქი, ან კაი სავაჭრო სახლში ნოქრად თუ არის-მეთქი. მეწვრილმანისთვის თქვენ მეტად კარგათ გამოიყურებით.

— მე სისუფთავე მიყვარს, —უთხრა ილიამ. მას საშინლად დასცხა და სუნნელოვანმა ჰაერმა თავს ბრუ დაახვია.

— სისუფთავე გიყვართ? ეგ კარგია... თქვენ მიხვედრილი კაცი ხართ?..

— როგორ მიხვედრილი?

— თქვენ მიხვდით თუ ჯერ ვერა, რომ ამხანაგს უშლით? —დაეკითხა ქალი.

— კი!.. ამსაათში წავალ!..—მიუგო დარცხვენით ილიამ.

— დაიცადეთ! ვერა, ხომ არ გამიწყრები, რომ ეს ყმაწვილი მე მოგტაცო?

— წაიყვა, თუ კი წამოგყვება!—სთქვა ვერამ და გაიცინა.

— სად უნდა წამოვიდე?—დაეკითხა აღელვებული ილია.

— წაჰყე, შე სულელო,—დაუყვირა პავლემ.

ილია იდგა თავ-ბრუ დახვეული და დაფანტულად იღიმებოდა, ქალმა ხელი წაავლო და დინჯი ლაპარაკით გაიყვანა ოთახიდან.

— თქვენ ველური კაცი ყოფილხართ, მე კი ჯიუტი და ჩემი ნება ვარ. თუ ჩავიდე გულში მზის ჩაქრობა, შევძვრები სახლის სართულზედ და იმდენ ხანს ვუბერავ, სანამ სული არ გამძვრება.. გაიგეთ, როგორი ვყოფილვარ?

ილია მისდევდა ხელი ხელს ჩაჭიდული, არ ესმოდა, თითქმის არც კი უგდებდა ყურს იმის ლაპარაკს და ჰგრძნობდა მხოლოდ ერთს, რომ მის გვერდზედ მდგარი ქალი თბილია, რბილი და სუნნელოვანი...

—

ამ მოულოდნელმა და ჯიუტმა კავშირმა, პირველ ხანებში სულ მთლად მოიცვა ილიას ბუნება და ამაყი კმაყოფილების გრძნობა დაჰბადა მასში. ამან, ცოტა არ იყოს, თითქოს დაუსალბუნა დაკოდილი გული და ცხოვრებისგან მიღებულ იარებს მალამო წასცხო. ის გრძნობა და ფიქრი, რომ ლამაზი და ფაქიზად ჩაცმული ქალი თავისუფლად, თავისნებით ეძლევა მას და თვის ძვირფასს კოცნის სანაცვლოდ არრას თხოულობს მისგან, უფრო უმატებდნენ ილიას სიამპარტავნეს და თვის ღირსებებზედ უფრო მაღალ აზრისას ხდიდნენ. ამ დღის შემდეგ ილიამ ისე დაიწყო ცხოვრება, თითქოს დიდს, განიერ მდინარეში შესცურებულიყოს და მის მშვიდ ტალღებს მისცემოდეს და ტალღები თითქოს მის სხეულსა და ჯანს იდუმალად ეალერსებიან და სიფხიზლე, სიმამაცეს ერთი-ათად უორკეცებენო.

— ჩემო ძვირფასო ჟინო!—ეტყოდა ხოლმე ოლიმპიადა და თან ან მის ხუჭუჭ თმებს ეთამაშებოდა, ან ახლად ამოხეთქილ კოკორ ულვაშს გადუსვამდა ხოლმე ხელსა.—რაც ხანი გადის, თან-და-თან უფრო ძლიერ მიყვარდები... საიმედო მძლავრი გული გაქვს და ვხედავ, რომ თუ მოინდომე რამე, უეჭველად მიაღწევ შენს მიზანს... ო, ეს ძალიან კარგი თვისებაა... მეც ეგრეთი ვარ... და ცოტა რომ ყმაწვილი ვყოფილიყავ, უსათუოდ ცოლად მოგთხოვდებოდი... მაშინ... ოო, მაშინ მთელ ჩვენ სიცოცხლეს ნოტებზე ჩავატარებდით...

ილია დიდის პატივისცემით და მოკრძალებით ეპყრობოდა ოლიმპიადას: ის ჰხედავდა, რომ ქალი ჭკვიანი იყო და, მიუხედავად თავისს უწმინდურ ცხოვრებისა, თავის მოყვარეობა ძლიერა ჰქონდა განვითარებული. სხეული ისეთივე მოქნილი და მაგარი ჰქონდა, როგორიც ძლიერი, გულის სიღრმიდან ამონახეთქი ხმა და იგეთივე მწყობრი და მოყვანილი, როგორც ხასიათი. ილიას ძალიან მოსწონდა ქალის ფულის ყადრი, სისუფთავის და რიგიანობის სიყვარული, მისი დამოუკიდებელი ლაპარაკი და თავის ამაყად დაჭერა. მაგრამ ხანდახან, ლოგინში მწოლარეს რომ მოასწრობდა და მის დათეთქვილ, დაჭმუჭვნილ სახეს და გაწეწილ თმას დაინახავდა—გულში ამ ქალისადმი რაღაც ბასრი ზიზღის გრძნობა დაებადებოდა და მის მღვრიე, თითქოს გახუნებულ თვალებს მკაცრად და ჩუმად ჩააცქერდებოდა და მისალმების სურვილიც კი ვერ მოეძებნა ხოლმე გულში.

ქალი უსათუოდ ჰხედავდა მის ამგვარ გრძნობას და ყოველთვის, ამისთანა შემთხვევებში, თავზედ საბანს წაიხურავდა და ეტყოდა:

— ვერასთან გადი!. ბებერს უთხარი, თოვლიანი წყალი შომიტანოს...

ილია გავიდოდა პავლეს მეგობრის სუფთა ოთახში და დაინახავდა თუ არა ვერა ილიას უკმაყოფილო და წარბ-შეკრულ სახეს, ისე გაილიმებდა, თითქო ეს ყოფილიყოს დამნაშავე და

ამას მიეყენებინოს მისთვის უსიამოვნება. ერთხელ, ამისთანა დროს ვერა დაეკითხა ილიას:

— რა, ილია იაკოვლევიჩ, ტკბილი ვერ არის განა ჩვენთან ცხოვრება?

— ეჰ, ვერა!—მიუგო ილიამ:—თქვენ ცოდვაც კი თოვლსავითა გაქვთ... ერთს გაიღიმებთ და შემოგადნებათ...

— რა საცოდავები ხართ შენ და პავლე!—შეიცოდა ქალმა.

ვერა უყვარდა ილიას, ბავშვსავით ებრალებოდა და წრფელის გულითა სწუხდა, როცა პავლესა და იმას უსიამოვნება მოუხდებოდათ ხოლმე და ყოველთვის გაბუტულ მეგობრებს ეს არიგებდა. მას ძალიან უყვარდა ვერას ოთახში ჯდომა და ცქერა, როცა ის თვის ოქროს ფერ თმებს ივარცხნიდა, ან და, როცა იკერავდა რამეს და ჩუმად ღიღინებდა. ხანდახან ქალის თვალებში ილია გულის დამწველ და დამდაგ სევდას ამოიკითხავდა, ხან უიმედო, მწარე ღიმილს შეასწრობდა ხოლმე თვალსა. ამისთანა წუთებში ილიას უფრო მეტად მოსწონდა ვერა და უფრო მძლავრადა ჰგრძნობდა მის უბედურებას და როგორც კი შეეძლო, ნუგეშსა სცემდა ხოლმე. ქალი კი ამბობდა:

— არა, არ შეიძლება ასეთი ცხოვრება, ილია იაკოვლევიჩ, არა. აბა, დაფიქრდით ერთი!.. მე კიდევ ჯანი გამვარდეს... მეტის ღირსიც არა ვარ, მაგრამ პავლე რაღად უნდა იღუპებოდეს ჩემთან ერთად?

— კაცია და ბუნება... თავისს ნებაა და იტანჯვის..

— თავისს ნება კია მერე?—ჩაეკითხა ქალი.

მათს მასლაათს ოლიმპიადა დაარღვევდა ხოლმე, როცა მთვარის ცივ შუქსავით უხმაუროდ, განიერ ცის-ფერ კაბაში გამოწყობილი გამოჩნდებოდა კარებში და ეტყოდა:

— წამო, ჩემო კარგო, ჩაი დავლიოთ!.. მერე შენც მოდი, ვერა...

ცივი წყლისაგან შეწითლებული, ჯანსაღი, მძლავრი და მშვიდი ბავშვივით გაიყოლებდა ხოლმე ილიას. ილია უყურებდა და თავისს თვალებს აღარ უჯერებდა—ნუ თუ ეს

იყო, ამ ერთი საათის წინ, რომ ვნახე მითეთქვილი, გაბურძგნული და ჭუჭყიანიო?

ჩაის სმის დროს ოლიმპიადა ეტყოდა ხოლმე:

— ეჰ, აფსუს, რომ გლეხი ხარ და ცოტა გისწავლია... ძნელია შენთვის ცხოვრება. ვაჭრობას კი მაინც უნდა დაანებო თავი და სხვა რამე უნდა სცადო. ცოტა დამაცა, მე გიშოვნი კაი ადგილს. როგორმე უნდა მოგაწყო... პოლუეკტოვს რომ გავყვები, მაშინ ადვილად მოვახერხებ ყველას...

— რა, იძლევა ხუთიათასსა?—ჰკითხა ილიამ.

— ჯანიც არ გავარდება,—სთქვა დარწმუნებით ქალმა.

— მაგრამ, იცოდე, თუ მოვასწარი როდისმე შენთან, წიწილასავით წავგლიჯავ თავსა...—ზიზღით წარმოსთქვა ილიამ.

— რადა? ის შენ რას დაგიშლის?..

— ალბათ, რომ დამიშლის..

— ეჰ, კარგი ერთი და! იმ საზიზღარმა ბებრუკუნამ რა უნდა დაგიშალოს?—უთხრა ღიმილით ოლიმპიადამ.

— ილაპარაკე! მე ჩემ ხელებსა და ღონეს არ დავიშურებ და ცოდვა კიდევ დიდი არ იქნება, რომ მრუშე ბებერი გავსრისო...

— ის მაინც დააცალე, რომ ფულები მომცეს!—იცინოდა ქალი.

ვაჭარმა ყველაფერი აუსრულა, რასაც კი ოლიმპიადა სთხოვდა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ილია ოლიმპიადას ახალ სახლში იჯდა და იატაკზედ დაფენილ სქელ ხალიჩებს, ხავერდ გადაკრულ ძვირფასს ავეჯეულობას ათვალიერებდა და საყვარელის მშვიდ ლაპარაკს ყურს უგდებდა. ოლიმპიადას დიდ სიხარულსა და ბედნიერებას ვერ ამჩნევდა ილია. ის ისევე მშვიდი და დინჯი იყო, როგორც წინათ; კაცს ეგონებოდა, კაბა გამოუცვლია მხოლოდ და არა მთლად ცხოვრებაო.

— ეხლა ოც-და-შვიდის წლისა ვარ, ოცდა ათისას ათი ათასი მექნება. ამოვკრავ მაშინ ბებერს ჭიტლაყსა და გავნთავისუფლდები... შენ მომებარე, მე გასწავლი ცხოვრების უნარსა!..

მართლაც, ილია მისგან სწავლობდა მიზნის მისაღწევათ შეუდრეკლად მისწრაფებას. მაგრამ ხანდახან, გაიხსენებდა თუ არა რომ ოლიმპიადა თვის ალერსს ორადა ჰყოფს და ერთ ნაწილს სხვასაც აძლევსო, მძიმე შეურაცხებას იგრძნობდა და თავს დამცირებულად იცნობდა ხოლმე. მაშინ უფრო ნათლად და აშკარათ აენთებოდა და აღეგზნებოდა პატარა დუქნის და სუფთა, კოპწია ოთახის ოცნება, სადაც ოლიმპიადას მიიღებდა და მასთან ყოფნით, მისი ალერსით დასტკბებოდა. ილია ჯერ არ იყო დარწმუნებული, უყვარდა ოლიმპიადა თუ არა, მაგრამ ეს კი იყო, რომ ეგონა—ეს ქალი, როგორც ჭკვიანი და კარგი ამხანაგი, ჩემთვის უსაჭიროესობას შეადგენსო... ასე ამ ყოფით ორმა თუ სამმა თვემ გაიარა.

—

ერთხელ, ვაჭრობის შემდეგ, შინ რომ დაბრუნდა ილია, მეჩექმის სარდაფში ჩავიდა და გაკვირვებული შეჩერდა—მაგიდას ბედნიერად მოლიმარი ფერფიშკა და იაკობი ულხდნენ და წინ დიდი ბოთლით არაყი ედგათ. იაკობი გულით მაგიდას დაჰბჯინებოდა, თავს ჭქანდურებდა და ენის დაბმით ლაპარაკობდა:

— კიდე კარგი, თუ ღმერთმა ყელაფერი უწყის... და ყველასა ჰხედავს... მაშინ მეც დამინახავდა... ყველამ ხელი აიღო ჩემზედ... და მარტოდ მარტო ვარ!.. მამასაც ვეჯავრები... ის დიდი გაიძვერაა, ყაჩაღი და უსინიდისო,—არა?

— მართალია, იაშა! კარგი კი არ არის, მაგრამ მართალია, რასაც ამბობ!—უთხრა მეჩექმემ.

— ჰო და!.. როგორ იცხოვროს კაცმა? რა უნდა სწამდეს?...— თავის ქანდურით ეკითხებოდა იაკობი და თან ძლივს აბრუნებდა ენას.

— მამას ვერ დავუჯერებ, მე იმის რჩევაზედ ვერ წავალ... ილია მოგვშორდა... მაშო პატარაა... სად არის ხალხი, პერფიშკა? არა, არავინაა ქვეყნიერობაზედ, არავინ!..

ილია იდგა კარებში, ამხანაგის ლაპარკს ყურს უგდებდა და რაღაც ისეთ უსიამოვნობას ჰგრძნობდა, რომ სული ეხუთე-

ბოდა, თითქოს გულზედ ჭახრაკები მოუჭირესო. ილია ჰხედავდა, რომ იაკობის წვრილ კისერზედ თავი უიმედოთ ქანაობდა, ჰხედავდა პერფიშკას გამხდარ და გაყვითლებულ სახეს, ნეტარის ღიმილით განათებულს, ჰხედავდა ყველა ამას, მაგრამ როგორღაც არ უჯერებდა თავის თვალებს; მას არა სჯეროდა, რომ მის წინ მშვიდი და ჩუმი იაკობი იჯდა ამ მდგომარეობაში. ილია მიუახლოვდა იაკობს და საყვედურით ჰკითხა:

— მაგას რას სჩადი, ჰა?

იაკობი შეკრთა, შეხედა შეშინებულის თვალებით ამხანაგს და, ძალ-დატანებულის ღიმილით, შესძახა:

— ოჰ, ილია?.. ეგ არაფერია! მე მამა მეგონე...

— მაინც, რას სჩადი-მეთქი?—დაეკითხა მეორედ ილია.

— შენ ილია იაკოვლიჩ, იაკობს თავი დაანებე,—დაიწყო პერფიშკამ, წამოდგა სკამიდან და ქანაობით სიარული დაიწყო:—მაგას სრული უფლება აქვს... კიდევ მადლობა შენთვის, ღმერთო, რომ სვამს....

— ილია!—შეჰღრიალა ტირილით იაკობმა.—მამამა... მცემა!

— ჭეშმარიტებაა,—მე მოწამე ვარ!—გამოაცხადა პერფიშკამ და გულში მუშტი ჩაირტყა:—მე ყველაფერი დავინახე... თუ გინდა, დავიფიცავ! კბილებიც ჩაამტვრია და ცხვირიც გაუტეხა... ჰო..

მართლადაც იაკობს სახე დასიებული და ჩალურჯებული ჰქონდა, ზეითა ტუჩი გადმოვარდნოდა, იდგა ამხანაგის წინ, საბრალოთ იღიმებოდა და ეუბნებოდა:

— განა, შეიძლება ეხლა ჩემი ცემა?—მე ცხრამეტი წლისა ვარ... არც არაფერი დამიშავებია.

ილია ჰგრძნობდა, რომ ვერც ნუგეშსა სცემდა ამხანაგს და ვერც გაამტყუნებდა.

— რისთვისა გცემა?..

იაკობმა ტუჩები ააცმაცუნა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. სახე დაეღმიჭა, დავარდა სკამზედ, წაივლო თავში ხელები და სლოკინ-სლოკინით შეჰღრიალა. სკამზე როცა

ეცემოდა, პერფიშკამ შეიმაგრა, მაგრამ იმ წუთსვე მოშორდა, არაყი დაისხა და სთქვა:

— დეე იტიროს... კარგია, როცა კაცს ტირილი შეუძლიან... მაშოც გაჰკივის რაც ძალი და ღონე აქვს... თვალებს ამოგაკაწრავო —ჰყვირის! ხე, ხე!.. მატიცასთან გავგზავნე...

— რაზედ მოუვიდა იაკობს მამასთან უსიამოვნება?— იკითხა ილიამ.

— ე მაგას მე გიამბობ... მივიდა ბიძა შენი, ტერენტი პეტრუხასთან და ეუბნება: ნება მომეცი კიევში წავიდე, წმინდანებს თაყვანი ვცე და ჩემი ცოდვილი სული შევავედროვო... პეტრუხას გაეხარდა კიდეც: დიდი ხანია მისი კუზი თვალებსა სჩხვლიტავდა და, სული სწორედ უნდა ამოვიდეს, დიდი ხანია ტერენტის მოშორება უნდოდა... ყველა საქმეში როდია ამხანაგი კარგი და სასურველი, ხე, ხე!.. კარგი, წადიო და მეც არ დაგავიწყდე, მეც შემავედრეო... უცბათ იაკობიც გაჩნდა იქა, მეც გამიშვი, მამაო...

პერფიშკამ თვალები გადმოიბრუნა, ბრაზიანი სახე გაიხადა და ყრუ ხმით შეჰღრიალა:

— რაო?.. მეც გამიშვი, მამაო?.. როგორ თუ გამიშვიო?— მეც შენთვის მინდა ვილოცო, რომ გეპატიოს შენი ცოდვებიო... პეტრუხამ შეჰყვირა: მე შენ გალოცებ! იაკობი თავისას გაიძახის —გამიშვი, შვილის ლოცვას შეიწყნარებენ წმინდანნიო... აქ კი ჩასცხო პეტრუხამ ცხვირპირში, ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი...

— აღარ შემიძლიან იმასთან ცხოვრება!—შეჰღრიალა იაკობმა,—მე წავალ! თავს ჩამოვიხრჩობ! რისთვისა მცემა? რისთვის? მე წრფელის გულით ვუთხარი...

ილიამ ველარ აიტანა მეგობრის ყვირილი და მხრების აშმუშვნით სარდაფიდან გავიდა. ის ამბავი, რომ ბიძა სალოცავად მიდიოდა, მისთვის სასიამოვნო იყო: წავა ბიძა და ესეც მოშორდება ძლივს ამ დაწყევლილ სახლს, დაიჭერს ცალკე პაწაწა ოთახს და იცხოვრებს მარტო...

ილია რომ შევიდა თავისს ოთახში, უკან ტერენტი მიჰ-ყვა. სახე გაბრწყინვებული ჰქონდა, თვალები უცინოდნენ; მიუახლოვდა ილიას და უთხრა:

— მივდივარ, ძმაო! ღმერთო, რა მიხარიან... თითქოს ორმოდან ამოველი, ან ეს არის ეხლა გამომიყვანეს სატუსა-ღოდან თავისუფალ ჰაერზედ... ალბათ, მიიღებს ის ჩემ ლოცვა-ვედრებას, რომ ეხლავე გამანთავისუფლა და შემიმსუბუქა ტანჯვა..

— იცი, იაკობს რა უქნია?—დაეკითხა უგულოთ ილია.

— რა?

— გამობლეჩილა...

— ოოო! კარგი ვერ უქნია! აბა უყურე, ჯერ პირზედ დედის რძეც არ შეშრობია და ლოთობს კიდეცა, ჰა!.. ჩემთან კი უნდოდა წამოსვლა...

— მამამ ხომ შენთანა სცემა იაკობს?

— ჰო.. მერე რა იყო?

— მერე ვერ შეგიგნია, რომ იმიტომ დამთვრალა?—დაეკითხა მკაცრად ილია.

— მითომ მაგიტომ? მართლა, შეიძლება...

ილია ნათლადა ჰხედავდა, რომ იაკობის სვე-ბედი ბიძას სრულიად არ ეკითხებოდა და ამან უფრო შეაძულა ტერენტი. ილიას ჯერ არც ერთხელ არ ენახა ტერენტი ასე გახარებული და ეს სიხარული, იაკობის ცრემლების შემდეგ, რალაც გაუგებარ მღვრიე გრძნობას იწვევდა მასში. ილია ფანჯარას მოუჯდა და ბრძანების კილოთი უთხრა:

— წადი დუქანში..

— იქ თითონ პეტრუხაა... მე შენთან მოსალაპარაკებლად მოველი...

— რა იყო..., რა გინდა?

კუზიანი მიუახლოვდა და საიდუმლოებით დაიწყო:

— მე საცაა წავალ და შენ მარტოკა დარჩები აქ, მაშასადამე...

— სთქვი, რალა ენა გებმის?— დაუყვირა ილიამ.

— ბარემ მეც მინდა, რომ უცბად გითხრა...—თვალების ხშირი ხამხამით, დაბალის ხმით უთხრა ტერენტიმ, — ადვილი არ არის...

— ჩემ შესახებ გინდა მითხრა რამე?

— ჰო, შენ შესახებაც... მაგრამ სხვა რამეც.. აქ ყოფნის დროს ცოტა ოდენი ფული მოვაგროვე..

ილიამ შეხედა და ცუდათ ჩაიცინა.

— რა იყო?—დაეკითხა შემკრთალი ბიძა.

— ვიცი... კარგი, ვსთქვათ, მოაგროვე, მერე?—უთხრა ილიამ ისე, რომ სიტყვა „მოაგროვე“ უფრო მკაფიოდ და გარკვევით გამოსთქვა.

— ჰო და...—დაიწყო ტერენტიმ და თან თვალი აარიდა ილიას:—ორასი მანათი მონასტერს მინდა შევწირო...

— მერე?

— ასი შენ მინდა მოგცე...

— ასი?—აჩქარებით დაეკითხა ილია და მიხვდა, რომ ბიძისგან თურმე უფრო მეტის მოლოდინი ჰქონოდა გულში. ილიას ეწყინა და შერცხვა ამ ცუდი იმედისაც და ბიძის მაგიერადაც, რომ ასე ცოტას მაძლევსო. ილია ფეხზედ წამოდგა, წელში გაიშალა და მკაფიოდ, ბოროტად წარმოსთქვა:

— არ მინდა მე შენი მოპარული ფულები... გესმის?

კუზიანმა წაიბორძიკა და გადაფითრებული ლოგინზე ჩამოჯდა. მთლად მოკრუნჩხული და პირ-დაღებული შესცქეროდა ილიას, რალაც სულელურის გამომეტყველებით და სდუმდა.

— რალას მიყურებ? არ მინდა-მეთქი, მგონი, აშკარად გითხარი.

— ეჰ, ღმერთო ჩემო!—ხრინწიანის ხმით წამოიძახა ტერენტიმ:—დაიცა, ჩემო კარგო! მერე, როგორ არ გინდა?

— რაი?—დაეკითხა ილია, როცა შეატყო, რომ ტერენტის რიღასიც თქმა უნდა და ვერ მოუხერხებიაო.

— ილიკო... შენ შვილის მაგიერი იყავი ჩემთვის... მძიმე ოხვრით და თითქმის ჩურჩულით ამბობდა ტერენტი.—მე მხოლოდ შენთვის, შენი ბედისთვის ჩავიდინე ცოდვა...

გამომართვი ფული... გამომართვი, თუ ღმერთი გწამს!.. თორემ არ შემინდობს მე ღმერთი...

— ჰოოო? —დაცინვის კილოთი შესძახა ილიამ. —ანგარიშებით მიდიხარ ღმერთთანა, ჰა?.. ე, თქვე ავაზაკნო! მე გთხოვე, პაპა ერემეის ფულები მოჰპარე-მეთქი? მერე რა კაცი გასცარცვეთ, რა კაცი?

— ილიკო! შენ არც ის გითხოვნია, რომ ეშვეთ შენ დედ-მამას—ხელის გაწოდებით უთხრა ბიძამ,—არა, ფული გამომართვი, თუ ქრისტე გწამს, გამომართვი! ნუ წამწყმინდავ... დავბრუნდები და სულ შენ მოგცემ... მანამ კი ეგ იკმარე... ჩემო კეთილო! ღმერთი არ შემინდობს ცოდვას, თუ შენ არ გამომართვი...

ტერენტი ემუდარებოდა თავის ძმისწულს, ტუჩები უცახცახებდნენ და თვალებიდან შიში გამოსჭვიოდა. ილია უყურებდა და ვერ გაეგო—ეცოდებოდა ბიძა თუ არა?

— კარგი! გამოგართმევ...—უთხრა ილიამ და იმ წამსვე კარში გავიდა. თავისი გადაწყვეტილება თითონაც არ მოეწონა, რადგან თავისსავე თვალში ამდაბლებდა მას. ან რაში ეკნაჭება ასი მანათი? ასი მანათით რა გაკეთდება? აქ გაიფიქრა, ბიძას ასი მანათის მაგიერ რომ ათასი მაინც მოეცა, ჩემს მოუსვენარ, ბნელ ცხოვრებას სუფთა და ადამიანურ ცხოვრებაზედ შევსცვლიდიო, რომელიც უსათუოდ ხალხის მოშორებით და განმარტოებით დაიწყებდა დენასაო. რა იქნება, რომ ვკითხო: მეძონძის ფულებიდან შენ წილად რამდენი შეგხვდა - მეთქი? მაგრამ ეს აზრი იმ წუთსვე საზიზღრად ეჩვენა...

იმ დღის შემდეგ, რაც ილიამ ოლიმპიადა გაიცნო, ფილიმონოვის სახლი უფრო ჭუჭყიანად და საძაგლად ეჩვენებოდა, ვიდრე წინად. სივიწროე და მისი მუდმივი ჭუჭყი რაღაც გულის ამრევ საზიზღარ გრძნობებს ჰბადავდნენ მასში. ამ გრძნობებმა დღეს უფრო შეაწუხეს ილია, უფრო მძლავრად დაუწყეს მის გულს ქენჯნა და სული შეუხუთეს. გულის გადასაყოლებლად, სახლში რომ ველარ გასძლო, მატიცასთან წავიდა, თუმცა საქმე არაფერი ჰქონდა მასთან. კიბეზე რომ მიდიოდა, რაღაც

წინასწარმეტყველურმა გრძნობამ გაუელვა გულში და გაიფიქრა—ეს სახლი ოდესმე რაღაც საშინელს და მოულოდნელს რამეს ჩამადენინებსო.

ამისთანა აზრებით შევიდა მატიცასთან და დედაკაცი საწოლის გვერდით სკამზე მჯდარი დაინახა. ქალმა გადახედა ილიას და თითის ქნევით, სისინით რაღაც წაიჩურჩულა, თითქოს ქარმა დაჰქროლაო:

— ჩუ! სძინავს!..

ქალის ლოგინზედ მაშო მოკუნტულიყო და ეძინა.

— როგორ მოგწონს?—ჩურჩულებდა მატიცა, მკაცრად გადმობრუნებული თვალებით.—ეხლა ბავშვების ცემაც და გაწყვეტაც დაიწყეს. მაგ დაწყევლილმა ეროდებმა. ოი, გაუსკდეთ მაგათ დედამიწა და ჩაიტანოს თანა...

ფეჩთან მდგარი ილია ყურს უგდებდა, ათვალიერებდა რაღაც ძონძებში გახვეულ მაშოს და ჰფიქრობდა: რა მოელის ეხლა ამ გოგოს და რა გადახდება კიდევ ცხოვრებაშიო?..

— იცი, რომ ნაწნავები დააგლიჯა ამ საბრალოს იმ უსინიდისო ქურდმა და მტაცებელმა? შვილსაცა სცემა, ამასაც და იმუქრება სახლიდან გაგრეკავთო? იცი? სად წავა ეხლა ეს საბრალო?

— იქნება მე ვუშოვნო ადგილი...—სთქვა ჩაფიქრებულმა ილიამ და მოიგონა, რომ ოლიმპიადა მოსამსახურე - გოგოს დაეძებდა- იმ ჟამად.

— შენა?—საყვედურით ჩურჩულებდა მატიცა:—შენ ისე დადიხარ, გეგონება დიდი ბატონიაო... იზდები, როგორც ახალგაზდა მუხა, არც ჩრდილი ვიცით შენგან, არც სოკო... შენ დიდი ხანია შეგეძლო ეგ გექნა... განა არ გებრალება საცოდავი ბავშვი?..

— დაიცა, ნუ კი სისინებ!—უთხრა გაჯავრებულმა ილიამ და დაინახა, რომ მშვენიერი მიზეზი გაუჩნდა ოლიმპიადასთან წასასვლელად.

— რამდენი წლისაა მაშიკო?—იკითხა ილიამ.

— თხუთმეტისა.. მა რამდენისა იქნება? მერე რა არის, რომ თხუთმეტისაა? თორმეტიც ბევრია ამისთვის... სუსტია, სულ ბავშვია ჯერა! რის მაქნისია?! რა საციცოცხლოა? სძინებოდა ესე და აღარ გამოღვიძებოდა მეორედ მოსვლამდის— ის ერჩივნა...

ილია გაბრუებული თავით გავიდა მატიცას ოთახიდან.

ერთს საათს შემდეგ კი ოლიმპიადას კარებთან იდგა და ელოდებოდა, როდის შემიშვებენ სახლშიო. კაი ხანი იცადა, ბოლოს კარებს უკან ვილასიც წვრილი და უკმეხი ხმა გაისმა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ..—მიუგო ლუნევმა და თან უკვირდა, ვინ არის ეს და ვინ მეკითხებაო. ოლიმპიადას პირ ნაყვავილარი დედაკაცი ბოხის ხმით ლაპარაკობდა და ხმა ამოუღებლივ აღებდა ხოლმე კარებს.

— ვინ გინდათ?—გაიმეორეს კარებს იქით.

— ოლიმპიადა დანილოვნა შინ არის?

კარები გაიღო და უცბათ ილიას სახეში სინათლემ შეუჭვრიტინა—ყმაწვილმა უკან გადასდგა ნაბიჯი და თვალებს არ დაუჯერა.

მის წინ განიერ მაყვლის ფერი ხალათით და აცახცახებულს ხელში სანათით პატარა ტანის მოხუცი იდგა, თავი თითქმის სულ მთლად მოტვლეპილი ჰქონდა, მხოლოდ ერთი ყურიდან მოყოლებული მეორემდის თხელი თმა ჰქონდა ამოსული და ნიკაპზედაც რამდენიმე ჭალარა ბანალი ეკიდა, რომელნიც საცოდავათ უცანცარებდნენ. მოხუცი შეჰყურებდა ილიას, წვრილი თვალები ეშმაკურად უბრწყინავდნენ და ჯაგარსავით მაგარი ბანლით დაფარული ზედა ტუჩი უთამაშებდა. გამხმარ ხელში სანათი უცახცახებდა.

— ვინა ხარ, შემოდი... შემოდი.,—ამბობდა მოხუცი აკანკალებულის ხმით,—ვინა ხარ?

ილია მიხვდა, ვინც იდგა იმის წინ. მან იგრძნო, რომ სისხლი ეცა სახეში და გულში რაღაც საძაგელი და საზიზღარი

გრძნობა აემღვრა.—აა, აგერ თურმე ვინა ყოფილა მისი თანამოზიარე სუფთა და ლამაზი ქალის ალერსში.

— მე ვაჭარი გახლავართ...—ყრუდ წაილაპარაკა ილიამ და გადააბიჯა კარის ზღურბლს ფეხი.

მოხუცმა ჩაუკრა ცალი თვალი და გაუცინა. პოლუეკტოვს უწამწამო თვალის ქუთუთოები წითლები ჰქონდა; პირში რამდენიმე ყვითელი კბილი-ღა შერჩენოდა.

— აა, ახალგაზდა ვაჭარი? ხე, ხე! რის ვაჭარი ხარ, ჰა? ეშმაკურის ღიმილით ეკითხებოდა მოხუცი და თან სანათს უახლოვებდა სახესთან, რომ უკეთ გაეშინჯა მოულოდნელი სტუმარი.

— მეწვრილმანე ვარ... ვვაჭრობ დუხებით, ძაფებით, ნემსებით და სხ.-და-სხ. წვრილმანი საქონლით...— ბუბნებოდა ილია თავ-ჩაღუნული და ჰგრძნობდა, რომ თავ-ბრუ ეხვეოდა და თვალები უჭრელდებოდნენ.

— ეგრე, ეგრე.. ლენტები, ბუზმენტები... სულიკოები, მეგობრები.. ჰო, რა გინდა მერე?

— მე ოლიმპიადა დანილოვნა მინდა ვნახო.

— ჰოო? ოლიმპიადა? მერე რისთვის გინდა?

— მე... ფული მაქვს მისაღები..—ძლივს წარმოსთქვა ილიამ.

ილია რაღაც გაუგებარს და მისთვისვე უცნობ შიშსა ჰგრძნობდა ამ მოხუცის წინ და იმოდენად ეზიზღებოდა, რომ მის ცქერასაც კი ვეღარ იტანდა. მის დაბალ და წვრილ ხმაში, ისევე, როგორც მის გაიძვერა თვალებშიც, იყო ისეთი რაღაც, რაც გულს ულრღნიდა, ამცირებდა და გესლსა ჰგვრიდა ილიას.

— ფული? ვალი... ჰა? კარგი...

მოხუცმა უცბათ სანათი ჩამოაშორა, ფეხის თითებზედ შესდგა, მიუახლოვა თვისი დამჭკნარი ყვითელი სახე და გესლითა და შხამით სავსე სიცილით ჰკითხა:

— ბარათი სადღაა? მომე ბარათი!

— რა ბარათი?—შეშინებულმა უკან გაიწია და დაეკითხა ილია.

— შენი ბატონისაგან! ბარათი ოლიმპიადა დანილოვნასთან გამოტანებული? ხომ მოიტანე? ჰმ? მოიტა! მე გადავცემ, აბა, ჩქარა, ჩქარა!—ბებერი ზედ ვარდებოდა და ილია კარებთან მიჭუჭკნა. საცოდავს შიშისაგან პირი გამოუხმა.

— მე არაფერი ბარათი არა მაქვს! —მაღლა და სასოწარკვეთილად შესძახა ილიამ და იგრძნო, აი, ამ საათში რაღაც არა ჩვეულებრივი მოხდებაო.

მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდან მაღალი და წერწეტა ტანის ოლიმპიადა გამოჩნდა. ქალი მიუახლოვდა და დამშვიდებული გაჩერდა—თვალების დაუხამხამებლივ გადახედა ილიას მოხუცის მხრებიდან და მშვიდის, უშფოთველის ხმით დაეკითხა:

— რა ამბავია, ვასილ გავრილიჩ?

— ვაჭარი გახლავთ. აი! ვალი გქონიათ რაღაცა. რაღაცეები გიყიდნიათ ამისგან და ფული კი არ მიგიციათ... ხე, ხე! ჰო, და აგერ მობრძანებულა ეხლა...

მოხუცი ქალის წინ ტრიალებდა და გესლიანი თვალებით ხან ილიას აკვირდებოდა, ხან ოლიმპიადას. უკანასკნელმა ხელით ჩამოიშორა მოხუცი, ჩაიყო ჯიბეში ხელი და მკაცრის ხმით დაელაპარაკა ილიას:

— რა, სხვა დროს ვერ მოხვიდოდი?

— ჰო! —შეჭკივლა მოხუცმა. — სულელი. იმ დროს მოდიხარ, როცა საჭირო არა ხარ, ჰა? ვირი!

ილია გაქვავებულსავით იდგა.

— ნუ ჰყვირით, ვასილ გავრიელიჩ! არ შეგფერით,— სთქვა ოლიმპიადამ და მიუბრუნდა ილიას: —რა გეკუთვნის, სამი და ორი აბაზი, არა? აჰა, მიიღე...

— და გაიგავე! —კიდევ დაიყვირა მოხუცმა, —მოითმინეთ, მე თითონ დავკეტავ, მე... მე!..

მოხუცმა ხალათი მოიხურა, გააღო კარი და დაუყვირა ილიას:

— გასწი!

ილია მოკეტილ კარებთან იდგა ყინვაში, გამოყრუებულად შეჰყურებდა მას და არ ესმოდა, ცუდი სიზმარი ნახა,

თუ ცხადი იყო ყველა ეს? ერთ ხელში ქუდი ეჭირა, მეორეში კი მაგრა ჩაებღუჯა ოლიმპიადასაგან მიღებული ფული. კაი ხანს იდგა ასე, სანამ ყინვამ ჭახრაკები არ მოუჭირეს თავში და ფეხებმა ტეხა არ დაუწყეს. მაშინ კი დაიხურა ქუდი, ჩაიდო ფული ჯიბეში, ხელები პალტოს სახელოებში შეჰყო, მოიკრუნჩხა და თავ-ჩალუნულმა გასწია ქუჩისაკენ. მას ეგონა, გული გამყინვია, მისი ძგერა შემჩერებია და თავში რალაც მძიმე რამეები მიგორავენ და საფეთქელში მცემენო... მის წინ ცივი სინათლით განათებული მოხუცის ბნელი ფიგურა მისცურავდა... და მისი გამარჯვებული სახე გესლიანად და ეშმაკურად ულიმოდა....

(შემდეგი იქნება)

ხ ე ნ თ ი*)

რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის
დროის ისტორიული რომანი

რ ა ფ ფ ი ს ა

(თარგმანი სომხურიდან)

XXII

ბ. სალმანის ბაგრევანდის მაზრაში შესვლის ერთი თვის წინათ არზრუმელმა მექარვანე ჰაჯი. მისაქამ თავისი ჯორების ქარავანი დააბარგა და არზრუმის გზას გაუდგა. მისაქას „ჰაჯი“ მიტომ დარქმეოდა, რომ წმ. იერუსალიმს ორჯელ ყოფილიყო სალოცავათ და თუ ღმერთი აღირსებდა—ერთხელ კიდევ აპირებდა წასვლას, რათა აღთქმული რიცხვი შეემთავრებინა. საზოგადოთ მისაქა კეთილი ქრისტიანი იყო, მისი ღვთის მოსავობა ხომ თითქმის ფანატიკოსობამდე მიდიოდა.

გზათ მდებარე ყოველ ქალაქში, სოფელში თუ სადგურზე ჰაჯი მისაქას ყველა იცნობდა. ოც წელზე მეტი იყო, რაც თავისი კირკიტი ჯორებით ქსელავდა მცირე აზიისა და სომხეთის გზებს და ერთი ადგილიდან მეორე ადგილს მძიმე საპალნეები გადაჰქონდ-გადმოჰქონდა. იგი ერთი ჩასხმული, მაგარი, შუათანა ტანისა და საშინელი სხლარტი (მსწრაფლ-მოძრავი) ვინმე იყო. მისი სახის მოყვანილობის გარჩევა სწორეთ

*) იხ. „მოამბის“ მე-10 №-რი.

შეუძლებელი იყო, რადგან მთელი სახე ხშირი ბალნითა ჰქონდა დაფარული; მარტო ოდენ უშველებელი სომხური ცხვირი უჩანდა, აგრეთვე მოელვარე თვალები, რომელთა სილრმეშიაც მუდამ გულ-კეთილობის ბრწყინვალე შუქი გამოკრთოდა.

რომელ მხარესაც-კი ჰაჯი მისაქა გაივლიდა, ყოველგან საერთო მხიარულებას იწვევდა. ვინ გინდა, რომ მის მოლოდინში არ ყოფილიყო? ვაჭარი საქონელს ელოდდა, ცოლი—შორს გადახვეწილი ქმრის წერილს, გზათ მყოფი წვრილი და მსხვილი მოხელენი-კი სხვა და სხვა საქმელ-სასმელისა და ჩაცმა-დახურვის საგნებს. მისაქას ქარვანის მისვლასვე ელოდდა აგრეთვე მრავალი ავადმყოფობისაგან დასუსტებული, გზათ დავარდნილი ბედის მძებნელი სომეხი, რომ სამადლოთ სასურველ ადგილს მიეყვანა. რადგან ჰაჯი მისაქა მუდამ მზათ იყო გაჭირვებულს დახმრებოდა, ამიტომ ნაცნობთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.—„ჰაჯი მისაქ დაბრუნებისას რამდენიმე ოყა (3 გირვანქაა) თუთუნი მომიტანე“,—„ჰაჯი მისაქ, ყავა გაგვთავებია, მოგვიტანე“,—„ჰაჯი მისაქ, ეს ზეითუნის ზეთი ჩვენსა წაიღე,“—ამ გვარ დანაბარებს ყოველთვის დაუზარებლივ უსასყიდლოთ ასრულებდა და თუ საჭირო იქნებოდა—თავისასაც ზედ ადებდა. ამიტომაც იყო, რომ გზების მცველნი ცუდათ არ ეპყრდბოდნენ: საბაჟოებს მუდამ უვნებლათ სცილდებოდა და არც თუ მოხელენი აწუხებდნენ.

მექარვანეს, მეტადრე ცნობილს მექარვანეს აღმოსავლეთში დიდი ნდობი აქვს მოპოვებული. მას ატანენ უძვირფასეს საქონლის ცალებს, ოქრო-ვერცხლით სავსე პარკებს და სხ. არც ბარათი, არც არა სხვა რამ თამასუქი, მიაქვს მიბარებული საქონელი თუ ფული და უვნებლათ აბარებს დანიშნულებისამებრ.

ყველგან იცოდნენ, ჰაჯი მისაქას როდის უნდა გაევლო. მისი ქარვანის მისვლა-მოსვლა იმდენათ წესიერი იყო, რომ, თუ არ რაიმე შემთხვევა, დანიშნულ დროს ერთი საათითაც არ გადააცილებდა. მაგრამ ამ ხელათ-კი მისი ქარვანი ძალიან მძიმეთ მიემართებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ საპალნე თვალით პატარა ჩანდა, სიმძიმით კარგა მძიმე იყო. საპალნის მე-

ტი წილი რკინის სალტებით დაშარტული ოთხ-კუთხა და მოგრძო ყუთები იყო, რომლებსაც ინგლისურად ეწერა: „სპარსეთს“ და „თეირანს“. ქარვანი უფრო ღამით დადიოდა. ჰაჯი მისაქა გაიძახოდა—დღის საშინელ სიცხეში ჯორებს ვერ დავტანჯავო...

ქარვანზე ერთი სხვა პირიც იყო, რომელიც თავის თავს მელიქ-მანსურს უწოდებდა. ხელობით ვაჭარი იყო და, როგორც თითონ ამბობდა—სპარსელი სომეხი.

უკანასკნელი 20-30 წლის განმალობაში სპარსეთის მთავრობამ შეიარაღების საქმეში კარგა დიდი ცვლილება მოახდინა, ასე რომ ამ საქმეს ევროპიული სახე მისცა. ამ გარემოებამ სომხებს ვაჭრობის სულ ახალი ასპარეზი გადუშალა წინ და იმათაც მთავრობისთვის საჭირო იარაღის ზიდვას მიჰყვეს ხელი. მელიქ-მანსურიც სწორეთ ამ გვარ ვაჭართა რიცხვს ეკუთვნოდა და ჯორებზე გადაკიდებული მძიმე ყუთებიც მის საკუთრებას შეადგენდა. საბაჟოებში ამ ყუთებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან, როგორც „ტრანზიტის“ საქონელი, სპარსეთში უნდა გაეტანათ. ტრაპიზონისა, არზრუმისა და ბაიაზეთის გზით ამ გვარი საქონლის შეტანა სპარსეთში ახალი საქმე არ იყო.

მელიქ-მანსური ასე 36 წლის კაცი იქნებოდა, საკმაოთ სანდომიანი სახისა; მისი მუდამ მხიარული, სიცილის მომგვრელი ხასიათი და, ცოტა არა, ყბედი ენა რაღაც სიცოცხლის ელფერს აძლევდა მისსა და ჰაჯი მისაქას საუბარს, მეტადრე როდესაც შორს ქვეყნებში მოგზაურობის დროის შემთხვევებით სავსე თავგადასავალს უამბობდა. ქარვანის მომაბეზრებელი და გულის გამაწვრილებელი მგზავრობის დროს ამ გვარი ამბების თხრობა სწორეთ მისწრებაა ხოლმე. უფრო საყურადღებო იყო იმ სომხის „მატანტალა ურიის“, (როგორც მას უწოდებდნენ) მარცხენა ხელის სამი თითის მოჭრის ამბავი, რომელიც ინდოეთში შემთხვეოდა ველურებთან ბრძოლის დროს.

მელიქ-მანსური მრავალ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ენაზე ლაპარაკობდა და რადგან მთელი თავისი სიცოცხლე

ადამიანთა შეხლა-შეჯახებაში გაეტარებინა, ამიტომ ყოველი მათი ეშმაკობა-გაიძვერაობა კარგათ ჰქონდა შესწავლილი და ისიც კარგათ იცოდა, სად როგორ უნდა მოქცეულიყო. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ნამდვილათ ისეთი არ იყო, როგორიც გარეგნულათ გამოჩანდა. ამ საიდუმლოებით მოცულ ადამიანს ჰაჯი მისაქა მაინც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ მარტო იმიტომ-კი არა, რომ, როგორც ქარვანის მეპატრონე მოვალე იყო თავისი მოქირავნესთვის პატივი ეცა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამ კაცში კიდევ რაღაცას ჰპოვებდა, რაც მართლა პატივ საცემი იყო.

რომელ ქარვასლაშიაც-კი მელიქ მანსური ჩამოხტებოდა, მებაკეები ძალიან ემადლიერებოდნენ, რადგან ხელ გაშლილათ იქცეოდა და ფულს ბზესავით აბნევდა.

— ძალიანა რყვნით მაგათ, შენიშნავდა ხოლმე ჰაჯი მისაქა:—მაგ ავაზაკებისაგან შემდეგში ერთი ჭიქა წყლის თხოვნაც-კი გაგვიძნელდება.

— არა უშავს-რა, სიცილით მიუგებდა, —ოქროს ბზინვა ადამიანს თვალს უბამსო...

ქარვანმა არზრუმი უენებლათ გაიარა და ერთი კვირის შემდეგ ბაიზეთის მაზრაში შევიდა. აქ-კი მელიქ-მანსურის საქონელს რაღაც ცვლილება დაეტყო: ღამ-ღამე ყუთები სადღაც იყლაპებოდა და სანაცვლოდ სულ სხვა გვარი ცალები ჩნდებოდა. ეს ცვლილება სწორეთ მაშინ ხდებოდა, როცა ქარვანი ამა თუ იმ სომხის სოფელში შევიდოდა ხოლმე. ხშირათ მელიქ-მანსურთან ერთგვარი უცნობი პირები მოდიოდნენ, რომელიღაც უცნობ ენაზე ესაუბრებოდნენ და ისევ სადღაც ჰქრებოდნენ. ბოლოს ქარვანი ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვარს მიუახლოვდა, საზღვარს გასცილდა და სპარსეთის სამფლობელოში გაჩერდა. მაგრამ ვიდრე ამ ადგილს მიაღწევდა, ჰაჯი მისაქას ჯორების ზურგს არც ერთი იმ ყუთ თაგანი აღარ შერჩენია, რომელსაც ინგლისურათ ეწერა: „სპარსეთს“ და „თეირანს“. თითონ ვიფიქრდა ვაჭარი მელიქ-მანსური-ც სადღაც ჩაიყლაპა...

III X X

მოხუცი ხაჩოს ოჯახის უკანასკნელი დროის ჩვეულებრივი ცხოვრება საკმაოთ შეცვლილიყო. ბ. სალმანი (სახლში ჯერ ისევ ბ. დუდუკჩიანს უხმობდნენ) ხშირათ სადღაც იყლაპებოდა. ხან და ხან ისა და ვარდანი სოფ. ო...დან სადღაც მიდიოდნენ და მთელი დღეობით აღარ ბრუნდებოდნენ. ჰაირაპეტა და აპო ძალიან დაღვრემილიყვნენ და რაღაც ფიქრებს მისცემოდნენ. ორი უცხო სტუმრის იქ ყოფნა დანარჩენი ძმებისთვის აუტანელი გამხდარიყო, რადგან მათი ყოფა-ქცევა და „სისულელეები“ ჭკუაში არ უჯდებოდათ. თითონ მოხუცი ხაჩოც სოფლის საქმეებში იყო გართული, რომლებიც დღე და დღე უფრო რთულდებოდა, მძიმდებოდა და მოხუცისთვის თავსახეთქი ხდებოდა. ამიტომაც მისი ოდა სიცოცხლეს თითქმის მთლათ მოჰკლებოდა და ის ბოლო დროინდელი ღამეების სჯა-ბაასი და არა ჩვეულებრივი მსჯელობაც იშვიათი შექმნილიყო.

მარტო ერთი „საქალებოს“ ცხოვრება მიმდინარეობდა უცვლელათ; თავისი ერთფერობა საუკუნოებითა ჰქონდა დაცული და ამ ჩვეულებას არც ეხლა ჰღალატობდა. სომხის ოჯახის ხსენებული ნაწილი მთლათ განმარტოებულია, დაშორებული და მამაკაცთა წრეს სრულიათ მოწყვეტილი; ამიტომაც არავითარ მონაწილეობას არ იღებს იმაში, თუ მამაკაცები რას ლაპარაკობენ ანუ რას ჰფიქრობენ. გარეშე დიასახლისობისა და ოჯახის შინაური საქმის ფიქრისა სხვა არავითარი ფიქრ-აზრი არ იტაცებთ. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ოდაში მომხდარ მსჯელობა-თათბირობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მამასახლისის ოდა, რომელიც ნამდვილ სოფლის კლუბის მაგიერობას ეწეოდა, ჯერ სადედაკაცოთ არ გამხდარიყო.

— საქალებოს ოთხ-კედელ შუა ჩაკეტილი მათი ძალლონე და უნარიც უნდა ჩავითრიოთ საქმეში, მაშინ, უეჭვე-

ლია, გამარჯვებაც ჩვენ მხარეს იქნებაო... ხშირათ იტყოდა ხოლმე ბ. სალმანი.

— ჯერ ადრეა, უპასუხებდა ვარდანი,—უპირველესად ყოვლისა მათი მომზადებაა საჭირო.

— შეუძლებელია რაიმე განახლების შეტანა რომელიმე ერის ცხოვრებაში, თუ დედაკაციც არ იღებს მონაწილეობას,— თქვა ბ. სალმანმა:—ჩვენი ერის ასეთი უმოძრაობის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ საზოგადო საქმეში ქალი არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ეს ძალა, ეს მაცოცხლებელი ნექტარი საქალებოს ოთხ-კედელ შუა ილევა და უქმად იკარგება. თუ-კი საჭირო იქნებოდა ჩვენი ერის განათლების საქმის დაწყება, საძირკველის ჩაყრა უეჭველათ ქალების განათლებიდან უნდა დაგვეწყო. ამ ხელათ მთელი სომხეთი მოვიარე და ყველგან იმას ვცდილობდი, რომ სომხის ქალი დაწვრილებით შემესწავლა. ამ შესწავლისა და დაკვირვების შედეგი ძლიერ სანუგეშოა. რამდენადაც მამაკაცი ოსმალოთა გავლენით დაცემულა, გაფუჭებულია; რამდენათაც მას თავისებურობა დაუკარგავს,—იმდენათ ქალს შეუმწიკვლელ ზნეობასთან ერთათ თავისებურობაც შეურჩენია. არ არის ბოროტება, რომელსაც თან სიკეთეც არ სდევდეს. თუმცა საქალებოს ოთხ-კედელ შუა შეკეტილი ქალი საუკუნოებით იტანჯა, დაჩლუნგდა და საზოგადოებრივ კაცად ყოფნასაც მოსწყდა,—მაგრამ სამაგიეროთ ამ კარ-ჩაკეტილობამ სომხობა შეანარჩუნა. ეს-კი დიდი საქმეა.

— რამდენათაც მამაკაცი გარეთ, მაჰმადიანების ზეგავლენის ქვეშ განსაკუთრებულ ეროვნულ თვისებებსა ჰკარგავდა, იმდენათ ამ გავლენას დაშორებული ქალი ეროვნობას იფარავდა, განაგრძო ბ. სალმანმა.—ამ გვარათ ეროვნული განძი უნებურათ ინახებოდა და მამაკაცის დანაკარგსაც დედაკაცი იბრუნე და. ეს თვით უბრალო წვრილმანებშიაც-კი ემცნევა. მაჰმადიანობისადმი დედაკაცის ზიზღი საშინელ ფანატიკოსობამდინ მიდის; ყველაფერი, რაც-კი მაჰმადიანის ხელიდან გამოდის, მურტლათ, წაპილწულათ მიაჩნია: არც მის დაკლულ ხორცს,

არც მის გამომცხვარ პურს, არც მის გაკეთებულ ყველს ახლოს არ ეკარება. მამაკაცები-კი ამას არ დაგიდევენ. ასობითაა იმისთანა მაგალითები, რომ მაჰმადიანის მიერ მოტაცებული ქალიშვილი თუ დედაკაცი ან გაიქცევა და, თუ ეს ვერ მოახერხა, თავს იკლავს. მამაკაცთა შორის-კი ამ გვარი მაგალითები ძლიერ იშვიათია. არის კიდევ ერთი რამ, რაც უფრო მეტათ საყურადღებოა: ბევრგან, მეტადრე ქალაქებში, ოსმალოს ენა მამაკაცს სავსებით შეუთვისებია. დედაკაცი-კი ერთიც ვერ ვნახე, რომ ამ ენაზე ელაპარაკნოს ანუ სცოდნოდეს მაინც. ოჯახში სომხური ენის დამცველი და ბავშვის პირში შთამბერველიც დედაკაცია. ამ თვისებას არც მაშინ ივიწყებს, როცა საქმე უცხოებთანა აქვს. სომხების მოსამსახურე ქურთები, ქალი იყოს გინდა მამაკაცი, სომხურათ ლაპარაკობენ. დედაკაცმა შეგვინახა ენა, ეროვნება, და სომხის ოჯახის ზნეობრივი საფუძველიც მხოლოთ მან დაიცვა. ჩვენ ხელში ეხლა იგი შეუმწიკვლელი, გაუფუჭებელი და დაუმუშავებელი მასალაა, რომლისგანაც შეიძლება საოცარი რამ შეიქმნას...

უკანასკნელ დროს ბ. სალმანი სულ ამ გვარ საგნებზე ლაპარაკობდა. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ სომხის დედაკაცს ასეთი კარგი თვალით უყურებდა, მოხუცის ოჯახის ქალებს მაინც არ მოსწონდათ იგი.

რაღა თქმა უნდა, მისი შინაგანი, ზნეობრივი და გონებრიები ღირსებათა დიფასება იმათ არ შეეძლოთ, მაგრამ ბ. სალმანს გარეგნულათაც ჰქონდა ბევრი იმისთანა ღირსება, რომელსაც შეეძლო ყოველი ქალის ყურადღება დაემსახურებინა. მაგრამ მამაკაცის შეყვარებისა და მის ღირსებათა დაფასების საქმეში, განათლების სხვა და სხვა საფეხურისა და ხალხის წოდების ანუ კლასის სხვა და სხვაობისა გამო, დედაკაცის გემოვნებაც სხვა და სხვა გვარია, ამიტომაც არ უნდა გაიკვირდეს, რომ მოხუცის რძლები ვარდანს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ბ. სალმანს.

ერთხელ, საღამოხანზე, რძლებს დარბაზში მოეყარათ თავი და ჩვეულებრივ საქმობდნენ: ერთი მატყლსა სჩეჩავდა, მეორე

თითის ტარით დაჩეჩილ მატყლს ართავდა, მესამეს საფეიქრო გაება და მშვენიერ ფერად ხალიჩასა ქსოვდა, მეოთხე თავის ბავშვებს ტანისამოსს უკერავდა, ერთი სიტყვით, ყველა სხვა და სხვა საქმეში იყო გართული. ლაპარაკის საგანი ბ. სალმანი იყო.

— სარა, ეგ კაცი ჩვენ სოფელში რა საქმეზეა მოსული? ჰკითხა ახალგაზდა ფარიშანმა თავის უფროს რძალს.

— ამბობენ, სკოლა უნდა გახსნასო, მიუგო სარამ.

— მერე და დიაკვანი ხომ არ არის? ჰკითხა ფარიშანმა, რომლის აზრითაც მასწავლებელი უეჭველათ დიაკვანი უნდა იყოს.

— დიაკვანია მაშ! სტამბოლის დიაკვანია, მიუგო სარამ.

— მაშ რატომ საყდარში არ დადის და შარაკანს*) არ ამბობს?

სარამ სხვა ვერა მოახერხა რა და დაუფიქრებლათ მიუგო:

— ეგ სულ სხვანაირი დიაკვანია.

ლაპარაკში აპოს მეუღლე, ლამაზი მარო ჩაერია:

— ჩემმა ქმარმა მითხრა, რომ ქალებსაც უნდა ასწავლოსო.

მაროს სიტყვებმა საერთო სიცილი გამოიწვია.

— ქალს რათ უნდა სწავლა? ღვდლათ ან ბერათ ხომ არ უნდა ეკურთხოს? უპასუხეს მაროს.

ერთი რძალი იქ მდგომ პატარა ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

— გესმის, ნაზლუ? დღეიდან სკოლაში უნდა იარო და ან-ბანი ისწავლო.

ნაზლუ ჰაირაპეტას ქალი იყო; თავის ძალუას მამაცათ უპასუხა:

— რა უშავს? ვისწავლი, შემდეგ წირვაზე წავალ, დიაჩოკის პერანგს ჩავიცვამ და ვიგალობებ.

— მეხი-კი დაგაყარე მაგ თავზე! ეგლა გაკლია! მიაძახეს საბრალო გოგონას.

---

*) საეკლესიო საგალობელია. მთ.

ფარიშანმა ახლა სხვა კითხვა მისცა სარას:

— ჩვენ შვილებს ხომ სიმონა დიაკვანი ასწავლის, სხვა მასწავლებელი რაღათ გვინდა? მაგას ხომ სიმონაზე მეტი არ ეცოდინება?

— რასაკვირველია, არა,—მიუგო სარამ,—სიმონა დიაკვანია ძალიან ნასწავლია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: საძაგლათ ითვრება და ბავშვებსა სცემს ხოლმე. ხომ გახსოვს, გასპარას ბიჭისთვის როგორ ეცემნა? საბრალო გვერდებ ჩამტვრეული მიიყვანეს შინა და რამდენიმე დღის შემდეგ სულიც განუტევა.

— სიმონა დიაკვანმა რაქნას? ბავშვს თუ არა სცემო, მაშ როგორ უნდა ასწავლო?

ამ მითქმა-მოთქმასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. იმ დღეებში ბ. სალმანს გლეხებთან სჯა-თათბირი ჰქონდა და ურჩევდა, რომ ორი სკოლა გაეხსნათ—ერთი ქალებისთვის და მეორე ვაჟებისთვის. პირობას აძლევდა, რომ მასწავლებლებს მე თითონ მოგიყვანთ, თქვენ არაფერი დაგეხარჯებათ და თქვენი შვილები წერა-კითხვას უფასოთ შეისწავლიანო. საჭირო სასწავლო საგნებსაც უფასოთ ჰპირდებოდა. მაგრამ მუქთს გლეხი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს. ამიტომ გლეხთა მოდრეკას, დარწმუნებას დიდი შრომა სჭირდებოდა, მეტადრე უფრო იმიტომ, რომ ქალების სკოლის გაგონებაც-კი ბრაზსა ჰგვრიდა მათ. ხალხი მისჩვეოდა მღვდლებისა და დიაკვნების მასწავლებლობას, ამიტომ თავისი შვილების აღზრდის საქმის იმისთანა კაცის ხელში ჩაგდება, რომელიც საყდარში არ დაიარება, საგალობლებს არ ამბობს და, როგორც ესმოდათ,—მარხვასაც არ ინახავს,—ამისთანა კაცის ხელში ჩაგდება არა თუ შეუფერებლათ, არამედ დიდ ცოდვათ მიაჩნდათ.

მოხუცი ხაჩო, რომელიც ბ.სალმანს თითქმის ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა, სკოლების გახსნის საქმეში დაეთანხმა. როგორც სოფლის თავმა და მამასახლისმა, გლეხობა დაიყოლია და სოფელს ერთი ნაჭერი მიწა გამოაღებინა, რომელზედაც ბ. სალმანს სკოლებისთვის სახლი უნდა აეგო. საქმეს კიდეც

შეუდგნენ და საჭირო საძირკველი გათხარეს; მაგრამ უცებ ხალხი რაღაცაზე აღელდა, ღამით შეიკრიბა და საძირკვლის ორმოები ისევ მიწით ამოავსო. მეორე დილითაც სამუშაოთ არავინ მივიდა, თუმცა ბ. სალმანი სამუშაო ფასს უმატებდა.

რა მოხდა?

როგორც დედაკაცების ლაპარაკიდან შევიტყეთ, სოფელში ცხოვრებდა ერთი სიმონა დიაკვანი, რომელიც მასწავლებლობის მაგიერობასაც ეწეოდა: ზამთრობით ბავშვებს თავს უყრიდა ერთ გომურის მზგავს ფარდულში და დავითს, ლოცვანსა და მაგვარ წიგნებს აკითხებდა; გაზაფხულზე კი, როცა სოფელში მუშაობა გახურდებოდა, შეგირდებს ითხოვდა, და რადგან ბავშვები შემოდგომამდინ წიგნს თვალითაც ველარ ხედავდენ, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ავიწყდებოდათ. ეს სიმონა დიაკვანი იმ სოფლის მღვდლის, ტერ-მარუქას სიძე იყო—ერთი მუდმივი ლოთი და ხალხის ამრევ-დამრევი. ახალი სკოლების დაარსება თავისი პირადი ინგარიშების საზარალოთ მიიჩნია და ამიტომ ხალხი ააჯანყა, რომ საქმე როგორმე ჩაფუშულიყო.

ხალხის ფანატიკოსობისა და საქმის ჩაშლისათვის მხოლოთ ერთი სიტყვა იყო საჭირო. თავის ქადაგებაში ძღვდელი ბ. სალმანს შეეხო და გამოაცხადა, რომ ეგ კაცი „ფარმასონია“ (პროტესტანტი), სომხის ღმერთი არა სწამს და შვილებსაც სულ გადაგვირჯულებსო. თან დაუმატა: ქალების წიგნის სწავლება დიდი ცოდვაა, სოლომონ ბრძენმა და იოანე ნათლის მცემელმა დედაკაცი დასწყევლეს, რადგან იოანე ნათლის მცემელის თავის მოკვეთის მიზეზი დედაკაცი იყოვო. შემდეგ სამღვთო წერილიდან მოიტანა მაგალითები: სამსონ წინასწარმეტყველის (?) სიკვდილის მიზეზიც ქალი იყო, ადამიც ევამ შეაცდინა და იმიტომაც სამოთხიდან განიდევნენო. ერთი სიტყვით, თავისი ქადაგება ათასი ამ გვარი მაგალითებით შეამკო და ბოლოს თქვა, ქალების სწავლება ძალიან საშიშოა, რადგან ბევრს რომ ისწავლიან, ეშმაკებათ გადიქცევიანო.

გარდა ამისა, სიმონა დიაკვანს სოფლის ქალებზე გავლენა სხვაფრივაც ჰქონდა: უწერდა სხვა და სხვა ავგაროზებს, თილისმის ქალალდებს, აგრეთვე მკითხაობდა, მისნობდა და ამ გვარათ მათი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ დდაკაცებმა თავიანთი ქმრები უფრო ააღელვეს, რომ დიაკვანს დახმარებოდნენ და ლუკმა არ გაეწყვიტნათ.

ხალხის აჯანყების საქმეში მღვდელსა და დიაკვნს დიდი დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე თომას ეფენდიმაც, რომელსაც სასწავლებელი და საზოგადოთ სწავლა-განათლება ჭირივით ეჯავრებოდა. გარდა ამისა დიაკვანი მისი უფასო მწერალიც იყო: ანგარიშებს უწერდა და კალოობას სოფლიდან სოფლათ დასდევდა მოსავლის ათის-თავის ასაკრებათ.

ამ ამბებმა გულკეთილ ხაჩოზე საშინლათ იმოქმედა, ბ. სალმანის მტკიცე ხასიათი და რწმენა-კი ვერაფრით შეარყია. სალამოზე რომ შინ დაბრუნდა, ვარდანს უთხრა:

— ამ საძაგლებს მისიონერივით უნდა მოვექცე. რომელ ხალხსაც-კი მისიონერი მიმართავს, მისი უპირველესი მოწინააღმდეგენი სასულიერო წოდება და მწიგნობრებია ხოლმე. მაგრამ მისი პირველი მიმდევარნიც სწორეთ ისინი შეიქმნებიან ხოლმე, რომლებიც პირველში ეწინააღმდეგებიან. მისიონერი მათ სხვა და სხვა თანამდებობას აძლევს, ე. ი. თანამდებობას-კი არ აძლევს, არამედ მხოლოთ ჯამაგირს უნიშნავს. ამ გვარათ ახალი სარწმუნოებისა თუ აზრის მდევნელი მის გატაცებულ დამცველათ გარდაიქმნება ხოლმე.

— ეგ მართალია,—მიუგო ვარდანმა,—მაგრამ რას აპირებ?

— აქ საქმიანობაა საჭირო,—თქვა ბ. სალმანმა იმ გვარი კილოთი, რომელშიაც საკუთარი ძალ-ღონის იმედი გამოიხატებოდა.—იმ საიდუმლოებას უნდა მივაგნო, რითაც ხალხს იმხრობენ. საყურადღებოა აგრეთვე ვიცოდეთ—მაგ სულელ დიაკვანს თავის შეგირდებისაგან რა შემოსავალი ჰქონდა: მე მინდა წინადადება მივცე, რომ ის ფული ჩემგან მაიღოს, ვითარცა ჯამაგირი, და სკოლებში ერთ ერთი თანამდებობა ასრუ-

ლოს, ე. ი. არაფერი აკეთოს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წინადადების შემდეგ დილით ადრე თითონვე მოვა, ბარსა და ნიჩაბს მოიტანს და ჩემ მუშებთან ერთათ სკოლების შენებას შეუდგება.

—მეც მაგ აზრისა ვარ,—მიუგო ვარდანმა,—მაგრამ მღვდელსაც პირში ცოტა ერბო უნდა გამოვუსოთ.

— ეგეც ადვილია.

მიუხედავათ ამ უსიამოვნო შემთხვევისა ბ. სალმანი მაინც ჩვეულებრივზე მხიარულათ იყო. საქმის დასაწყისშივე დაბრკოლებათა შეხვედრამ ენერგია უფრო აღუნთო, გაუათკეცა და მომავლის ბრწყინვალე იმედებმაც გული განუსაზღვრელი სიხარულით აღუვსო.

— იცი, ვარდან, სკოლა რა ბედნიერსა და აყვავებულ მომავალს გვიქადის? ჩვენს ნატვრა-სურვილს სულ ის შეგვისრულებს! ჩვენს საუკუნოთა წყლულებსაც მხოლოთ ის გაჰკურნავს და სალი, ახალი ცხოვრებისთვის რიგიან ახალ თაობას მოგვიმზადებს... მართალია, ჩვენმა წინა მორბედებმა საუკუნო უმოქმედობისა გამო შრომა გაგვიათკეცეს, საფიქრებელი და საზრუნავი საქმე არაფრით შეგვიმსუბუქეს,—მაგრამ არა უშავს-რა: ჯერ კიდევ შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ მომავალი ჩვენია. მხოლოთ მტკიცე და შეუდრეკელი შრომაა საჭირო. ჩემი აზრით, მარტო ის არ კმარა, რომ გონება განათლდეს და სული გაკეთილშობილდეს: სხეულის განკურნება, გახალისებაც საჭიროა. უეჭველია, შენც შეგინიშნავს, ვარდან, აქაური ყმაწვილები რამდენათ სუსტი და დუნეები არიან. საჭიროა მათი სხეულის გამაგრება, კუნთების დაჭიმვა და ნერვების დონეზე დაყენება. ამ მხრივ ჩვენ სკოლებში ფიზიკურმა ვარჯიშობამ მიზნის შესაფერი ადგილი უნდა დაიჭიროს; მან ჩვენს ბავშვებს უნდა განუვითაროს მამაცობა, გამბედაობა და დაჩაგრულ-დასუსტებული გულიც გაუმთელოს...

— მართლა, ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გიამბო, ვარდან,—განაგრძო ბ. სალმანმა:—დღეს შემთხვევით რამდენსამე ქურთს გამოველაპარაკე; ჩემი ლაპარაკი შვილების განა-

თლების სარგებლობას შეეხებოდა. წარმოიდგინე ჩემი განცვიფრება! პასუხათ მითხრეს. თუ სწავლა მართლა მაგეთი სასარგებლოა, მზათა ვართ ჩვენი შვილები სომხების სკოლებში მივაბაროთო. მათი ლაპარაკიდან ჩანდა, რომ არც თითონ არიან მადლობელნი, შვილები რომ ავაზაკები გამოსდიან. მართლაც და ეს ხალხი რითია დამნაშავე, რომ ველურათ დარჩენილა და საზრდოს ავაზაკობითა და კაცის მკვლელობით შოულობს? დამნაშავენი ჩვენა ვართ, რომ მათს განათლებაზე დღევანდლამდინ არაფერი გვიზრუნია. ამას თვით ჩვენი საკუთარი სარგებლობა მოითხოვდა. თუ გვინდა მხეცთა გაფთრებამ არაფერი გვავნოს, უნდა მოვაშინაუროთ, უნდა ვეცადნეთ, რომ უფრო მშვიდობიანსა და განვითარებულ ცხოვრებას შეეჩვიოს. ქურთების განათლებისთვის ოსმალეთი არაფერს ზრუნავს, და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მისთვის ქურთების ველურობა უფრო ხელსაყრელია. გარნა ამ საგანზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რადგან მათი გაუნათლებლობის შედეგი ჩვენ გვიკაკუნებს თავში. მათს სარწმუნოებას ნუ შეეხებით, ჩვენ მხოლოდ განათლება უნდა მივცეთ და როდესაც ამას მოვახერხებთ, მაშინ „წყალი თავის კალაპოტში ჩადგება“....

XXIV

საომარი სამზადისის ნიშნები ოსმალეთის მთავრობას აშკარად ემჩნეოდა. ეს ნიშნები უფრო საგრძნობი იყო ბაგრევანდის მაზრაში, რომელიც რუსეთის საზღვარს არც ისე შორავს. ხარჯის კრებას ძალიან სასტიკად ეპყრობოდნენ; იმ წლის ხარჯს რომ აღარ ჯერდებოდნენ, ძველ ჯარიმებსა და მომავალი რამდენიმე წლის ხარჯსაც ერთად ახდევინებდნენ. ხალხის ოხვრა-გმინვასა და უკმაყოფილებას საზღვარი არა ჰქონდა. ვისაც ხარჯის გადახდა ფულით არ შეეძლო, უყიდდნენ სახლის ავეჯს, სულადს და ხარ-კამბეჩსაც კი აღარ ინდობდნენ, იმ ხარ-კამბეჩს, რომელიც გლეხის მარჯვენას წარმოადგენს! ამასაც ხომ არ აკმარებდნენ, გლეხებს ავალებდნენ, რომ ამდენი

და ამდენი ოყა სუხარი დაემზადებინათ. ან კიდევ მთლად ართ-მევდნენ, რაც კი სახლში დამზადებული სურსათი გააჩნდათ: საკორკოტეს, შინაურ დამზადებულ ვერმიშელს, ერბოს, ყველს, ბრინჯსა და სხ... გლეხთა ტირილის, ცრემლისა და ხვეწნა-მუდარას პასუხად გაიძახოდნენ: „მთავრობას ომი აქვსო“....

ხსენებულ უწესოებათა გამო თომას-ეფენდის მოღვაწეობის სულ ახალი და ფართო ასპარეზი გადაეშალა. როგორც სახაზინო ხარჯის მკრებავს, დავალებული ჰქონდა ხარჯები და სხვა გარდასახადები დროით მოეკრიბა და თანაც ჯარებისთვის სურსათის ერთი ნაწილი შეემზადებინა. თომას-ეფენდის წინ გადაშლილი იყო თვალ-გადუწვდენელი სამკალი და მისი მჭრელი ნამგალიც დაუღალავად მოქმედებდა... მთავრობისაგან „ბუირულთუ“ (открытый листъ) მოსვლოდა და ორი პოლიციელის ნაცვლად ნება ჰქონდა, რამდენიც თავის სურვილი იქნებოდა იმდენი ჰყოლოდა.

ყველა ეს რბევა-ზარალი მთლად სომხებს ატყდებოდა, რადგან მუსულმანები საომრად ემზადებოდნენ და მათგან მეტს არაფერს თხოულობდნენ.

გარდა იმისა, რომ სომხის გლეხობა იძარცვებოდა და ათიოცი წლის ნაშრომ-ნაღვაწზე ხელს იღებდა,—ამ მწარე გაღარიბების გარდა ყველა საშინელ შიშსა და საგონებელს მისცემოდა, რადგან უფრო შემზარავ უბედურებას მოელოდდა. მაჰმადიანობას ემჩნეოდა მხეცური გააფთრება წინააღმდეგ ქრისტიანებისა, წინააღმდეგ ყველა „გიაურებისა“. ყვულას პირიდან საშინელი და თავზარ დამცემი სიტყვა—„ჯიჰთ“ ი ისმოდა. მოლები, მუფთები, ყადები და შეიხები ისედაც გზა-დაბნეულსა და გაფანატიკებულ ბრბოს უფრო მეტად აღელვებდნენ. აქეზებდნენ, უქადაგებდნენ, რომ ეს ომი სარწმუნოებრივია, სტამბოლში ჩქარა „სანჯაკ შერიფს“*) აღმართავენ, წმინდა ომს გამოაცხადებენ, ამიტომ მთელმა ისლამმა ხმალი უნდა აიღოს ქრისტიანების გასაჟლეტადაო...

---

*) დროშაა, რომელსაც მაჰმადიანები სარწმუნოებრივი ომის დროს აღმართავენ ხოლმე. მთარგ.

ამ ამბებმა ბ. სალმანი დიდ საგონებელში ჩააგდო, რადგან ამგვარი მოძრაობის მნიშვნელობა კარგად ესმოდა და ისიც კარგად იცოდა, ადგილობრივ სომხებისთვის რა საშინელი შედეგიც მოჰყვებოდა.

— ბოლგარიის ხოცვა-ჟლეტა ჩქარა აქაც მოხდება,— უთხრა მან ერთ დილით ვარდანს,—თავის დასაცველად ხალხის მომზადება უნდა დავაჩქაროთ.

— მეც სწორედ მაგგვარი მტარვალობის სუნი მოდის... მიუგო ვარდანმა.

ამგვარი ლაპარაკით ოდიდან გამოვიდნენ და ტერ-მარუქას სახლისკენ გაემართნენ. რამდენიმე დღის წინად გადაწყვეტილი აზრი სისრულეში უნდა მოეყვანათ, ესე იგი, როგორც ვარდანმა სთქვა—მღვდლისთვის „პირში ცოტა ერბო გამოესოთ“, რომ გაჩუმებულიყო. სიმონა დიაკვანი მუშების ზედამხედველად უნდა დაეყენებინათ და შემდეგისთვის მომავალ სკოლებში რაიმე თანამდებობას დაჰპირებოდნენ.

უცებ რაღაც ხმაურობა შემოესმათ; სოფლად ერთი უცნობი ჩარჩი დადიოდა და თავის სავაჭრო საქონლის სახელებს თითო თითოდ გაჰყვიროდა, რომ მუშტარი მიეზიდნა.

— ლამაზო ქალებო, წითურო რძლებო! გამოიტანეთ ფარები, მტერს დაუყენეთ თვალები, საბადლოდ მოგცემთ ნემსებსა, ლამაზ ჭრელ-ჭრელსა ძაფებ'ა, ოქროს ბჭყვრიალა ბეჭდებსა...

ჩარჩი თავიდან ფეხებამდინ კონკმანებში გახვეული ერთი ბრგე კაცი იყო. ზურგზე თუმცა საწვრილმანოს ვეება ყუთი ეკიდა, მაგრამ მის უშველებელ ტანთან შედარებით ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც აქლემის ზურგზე გადაკიდებული საცერი. მარცხენა თეძოთი საშინლად კოჭლობდა და რამდენჯერაც ამ მხარეს გადირწეოდა, ასე გეგონებოდათ, ეს გოლიათი კაცი ეს არის გაგორდებაო, მაგრამ ხელში უშველ'ელი კეტი ეჭირა და ზედ ებჯინებოდა.

ამ ხმის გაგონებაზე ბ. სალმანს ტანში სიამოვნების რაღაც ჟრუანტელმა დაუარა, თითქო ქვეყნის სიკეთესა და ბედ-

ნიერებას მის გულში დაუბუდნიათო. ამ მატანტალასა და ბ. სალმანს რა უნდა ჰქონოდათ საერთო? ჩარჩი კვალად გასძახოდა საწვრილმანოს სახელებს და მძიმე ნაბიჯით სოფლის ვიწრო ქუჩებსა ქსელავდა. ბ. სალმანმა გვერდზე გაუარა, უცნობთა თვალები ერთმანეთს შეეჯახა. არც ერთს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ერთი შეხედვითაც ერთმანეთს ბევრი რამ გარდასცეს... ვარდანმა ვერაფერი შენიშნა.

— ამასაც დრო შეურჩევია ნემსებისა და ძაფის გასაყიდათ! საბრალო გლეხებს ერთი ფარაც კი აღარ შერჩენიათ და რიღათი უნდა იყიდონ?—სთქვა ვარდანმა სიცილით, როდესაც ჩარჩს დაშორდნენ.

— მის ყუთს, ჩემო მეგობარო, „ჟულიკების“ ყუთივით ორი ძირი აქვს,—მიუგო ბ. სალმანმა:—ძირითა განყოფილებაში ისეთი საგნები უწყვია, რომლის გასასაღებლად საუკეთესო დრო სწორედ ახლაა...

ამ მრავალ-მნიშვნელოვან სიტყვებს ვარდანმა ყურადღება არც კი მიაქცია, მისი მთელი ფიქრი და გონება სულ სხვა აზრით იყო შეპყრობილი. მისი საფიქრებელი მხოლოდ ლალა იყო. საქმეთა უეცარი ცვლილება და არეულობის ნიშნები მოსვენებას არ აძლევდა; არ იცოდა, ლალას ბედ-ილბლისთვის რა მალამო დაედო, სად დაემალნა, ან რა მოეგვარებინა, როდესაც დღეს თუ ხვალ იძულებული იქნებოდა სხვა საქმეს გამოჰკიდებოდა?...

— კარგი ნემსები, ჭრელ-ჭრელი ძაფები, ლამაზი ღილები!..—შორიდან კვლავ გაისმა კოჭლი ჩარჩის ბოხი და გაქანურებული ხმა.

სწორედ ამ დროს ბ. სალმანი და ვარდანი თომას-ეფენდის შეეხეჩნენ. მის წინ ლამაზი ცხენი გაეჩერებინათ და შეჯდომას აპირებდა. გარშემო შემოხვეულ გლეხებს სხვა-და-სხვა ბრძანებასა და განკარგულებას აძლევდა. ბ სალმანი და ვარდანი რომ დაინახა, შეგროვილ ხალხს ჩამოშორდა, თავისი ჩვეულებრივი იუდის ღიმილით ყმაწვილი კაცებისკენ გაეშურა და შორიდანვე გამოეხმაურა:

— დიდი ხანია გულით მინდოდა თქვენი ნახვა, ბატონო დუდუკჩიანო (ჯერ არ იცოდა, რომ მისი ნამდვილი გვარი სალმანი იყო)! — ოჰ, ჩემო საყვარელო, რამდენად ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ხილვის შემთხვევა მომეცა! იქნება არც კი იცით, რომ მეც კოსტანტინეპოლელი ვარ?

ეფენდის ამგვარმა ქლესობამ ბ. სალმანი არა თუ გააოცა, არამედ საშინელი ზიზღიც კი მოჰგვარა, რადგან სრულიად არ იცნობდა და ეხლა მხოლოდ პირველად ხედავდა. პასუხი არა გასცა-რა. ეფენდიმ კი ხელი დაუჭირა და განაგრძო:

— იმედი მაქვს, ნებას მომცემთ, რომ გადაგეხვიოთ, როგორც კოსტანტინეპოლელი. ამის თხოვნის ნებას მე თითონ ვაძლევ ჩემს თავს. დიდი ხნით მოწყვეტილ სამშობლოს წყურვილს თქვენი ცქერით ვიკლავ.

ვარდანი შორი-ახლო იდგა და ამ კომედიას გაჩუმებული უცქეროდა. ბ. სალმანმა არ იცოდა ამ უხერხული მდგომარეობისგან თავი როგორ დაეხწია. ეფენდი ახლა ვარდანს მიუბრუნდა:

— ახლოს მოდი, ჩემო შლეგიანო (ხენთო) მეგობარო! ხომ იცი, რომ ბავშვის გული მაქვს: ერთ წამს რომ გავჯავრდები, მეორე წამს ყველაფერი მავიწყდება. „ქურთი თავის თღეში არ იტყვის, ჩემი ხარშო მჟავეაო.“ შენც ისევ ჩემი ხარ, ავი ხარ თუ კარგი, მაინც ჩემი ხარ. ყველაფერი დავიწყებას მივეცი. ხელი გამომიწოდე.

ვარდანმა სიბრაზისგან თავი ძლივს შეიმაგრა. მაგრამ რადგან კარგათ იცოდა, რომ ეფენდი ჭრელ-ჭრელ სიტყვებს უმიზეზოთ არ დახარჯავდა, მიუახლოვდა და ხელი ჩამოართო.

ეფენდი ისევ ბ. სალმანს მიუბრუნდა:

— ბატონო დუდუკჩიანო, თქვენზე ძლიერ გულ-ნაკლულათა ვარ, — თქვა მან უფრო სერიოზული კილოთი: — ოსმალური ანდაზა ხომ გაგიგონიათ? „ჯერ მამასახლისი ინახულე და მერე სოფელი გაძარცვეო“. ამ ქვეყანაში თომას-ეფენდიც კაცათ იხსენიება. თქვენ რომ პირველშივე ჩემთან მოგელაპარაკნათ, ყველა თქვენს განძრახვას ისე მოვაგვარებდი, რომ ეგ

ულიამოვნება აღარ შეგმთხვეოდათ. ჰეი, ყმაწყილებო, ყმაწვილებო! გული კარგი გაქვთ, მაგრამ მოქმედების ჰანგი არ იცით! მართალს არ ვამბობ?

— მე სწორეთ არ მესმის, რაზე მელაპარაკებით! მიუგო ბ. სალმანმა.

თითქო ბ. სალმანის სიტყვები არ გაუგიაო, ეფენდი მიბრუნდა იქ შეგროვილ გლეხებისკენ და წარმოსთქვა:

— ოჰ, თქვე ავაზაკებო, ავაზაკებო! ჭკუაზე როდის უნდა მოხვიდეთ?—ახლა ისევ ბ. სალმანს მიუბრუნდა და განაგრძო: ადამიანმა განა თავის ხელით თვალი უნდა გამოითხაროს? ესენიც (გლეხები) სწორეთ ისე იქცევიან. მე მხოლოთ დღეს შევიტყე და, სწორე გითხრა, თმა სულ ყალხზე დამიდგა. ჩვენ ვცდილობთ, რომ სასწავლებლები გავუხსნათ, სწავლა-განათლება მივაღებინოთ, თვალები გავუხილოთ, რა არი ბრმათ არ დარჩნენ, ქვეყნის ავი და კარგი გაიგონო და მაგათ-კი არაფერი ესმით, ისევ თავისას გაიძახიან: „გამიშვით, ცხვარი წამივიდაო“...

— „ჩვენ ვცდილობთ“!..—გაიმეორა გუნებაში ბ. სალმანმა —მაგრამ ეს „ჩვენ“ ვინ არიან, რომ თომას-ეფენდი ასე ყოყოჩობსო.

თომას-ეფენდი-კი თავისას არახუნებდა:

— ბ. დუდუკჩიანო, სულით და გულით გავიხარე, როდესაც თქვენი განძრახვანი შევიტყე. და აი სწორეთ ამიტომაც მოგმართეთ, რომ უღრმესი მადლობა გამოგიცხადოთ. ჩვენი ხალხი სიბნელეშია, მისთვის სინათლეა საჭირო. მათი ხსნა მხოლოთ სასწავლებელს შეუძლია. რამდენიმე დღის წინათ მომხდარი უწესობა გულს ნუ გაგიტეხთ: ყოველ კეთილ საქმეს დასაწყისში ეკლები სდევს ხოლმე. როგორც თქვენი სამშობლოს ქვეყნელი, თანაგრძნობასა და დახმარებას არ მოგაკლებთ და ჩემს მცირე დახმარებას ნურც თქვენ იუკადრისებთ. დღეს დრო არა მაქვს, მახლობელ სოფელში მივდივარ, ხვალ-კი, დავბრუნდები თუ არა, შევყრი გლეხობას, მე თითონ დავადგები თავზე და სა-

ძირკვლის თხრილებს ამოვაწმენდინებ. აქ ისეთი არავინაა, რომ თომას-ეფენდის წინააღმდეგობა შეიძლოს.

— მადლობელი ვარ,—მიუგო ბ. სალმანმა, —იმდენი საქმეები გაქვთ, რომ არ მინდა ძვირფასი დრო დაგაკარგვინოთ,

— არაფერია,—თქვა ხარჯის მკრებავმა განსაკუთრებული სიამოვნებით:—კეთილი საქმისთვის დროს ყოველთვის ვიპოვი.

ამის შემდეგ ორივეს ხელი ჩამოართვა და გაემართა გლეხებისკენ, რომელნიც იქვე ელოდდნენ.

— საძაგელი... მატყუარა!.. უკან მიაყოლა ვარდანმა.

— ამგვარ ადამიანთაგან შეიძლება რამე ვისარგებლოთ. უთხრა ბ. სალმანმა.

— ნუ თუ მაგის სიტყვებისა გჯერათ რამე! ვინ უწყის, რა ქსელს აბამს?

ამ ლაპარაკში ტერ-მარუქას სახლს მიადგნენ და კარები დააკაკუნეს.

— ლამაზი ნემსები... ჭრელ-ჭრელი ძაფები... კარგი ხრიკები... კვლავ გაისმა ქუჩაზე მიმავალი ჩარჩის ხმა.

— ვარდან, მოდი ტერტერას ნახვა სახვალიოთ გადავდოთ, უთხრა ბ. სალმანმა.

— რათა? ჰკითხა ვარდანმა.

— ამ ჩარჩისგან შინდა რამდენიმე რამ ვიყიდო...

მეგობრის უადგილო სურვილზე ვარდანს ჩაეცინა.

— მომყევით, აქ სხვა საქმეა... უთხრა ბ. სალმანმა ისეთი კილოთი, რომ ვარდანი უნებურათ დაემორჩილა.

ტერტერას სახლის კარებიდან გამობრუნდენ, მეორე ქუჩა გაიარეს და ჩარჩს შორი-ახლო აედევნენ. ჩარჩს სოფლის ბიჭები ასდევნებოდენ და ჟრიამულით ეღიჯინებოდენ—ცოტა კევი მოგვეცი, ცოტა კევი მოგვეცო. ჩარჩმა ჯიბიდან კევის ნატეხი ამოიღო და ბავშვებს გაუნაწილა.

— ეს კაცი ამ ერთი კვირის წინათაც ვნახე, ვანის მახლობელ სოფლებში დაჰქონდა საწვრიმალო, უთხრა ერთმა გლეხმა მეორეს.

— ამ გვარი ჩარჩები ყველგან დატანტალებენ,—მიუგო მეორემ.—რა საშინელი შეხედულობა აქვს! ერთი შეხედე, გრიგოლ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ღამით არა ვნახო! თითქო წყეული ეშმაკიაო.

ეს კოჭლი ჩარჩი მთელ სოფელს უვლიდა. ხანდა ხან აქეთ იქიდან სახლებში ეძახოდნენ რისამე საყიდლათ და მთელი საათობით აბანდებდნენ; ხან-კი ქუჩაზევე გაახსნევინებდნენ საწვრილმანოს ყუთს, შემოეხვეოდნენ სოფლის დედაკაცები და გაბამდნენ ერთ გაუთავებელ ყატყატს. ამ გვარათ ჩვენი კოჭლი ჩარჩი საღამომდის ძლივს მორჩა თავის სავაჭროს. ასე რომ სოფლიდან გაშოსვლისას კარგათ იყო შებინდებული. მახლობელ სოფელში მიმავალ პირდაპირ გზას მხარი აუქცია და გასწია ღრმა ღელესკენ, რომელიც გაზაფხულის ნიაღვრებს ძალზე დაეხრამა, თუმცა ეხლა წყალი აღარ მოდიოდა. თავ აუღებლივ წინ მიდიოდა, მაგრამ მის სიარულს რაღაც ცვლილება დასტყობოდა. მართალია, წინანდელებს ისევე მძიმეთ მიაბიჯებდა, რადგან ზურგზე მოკიდებული ყუთი კარგა მძიმე იყო, მაგრამ კოჭლობით-კი სრულებით აღარ კოჭლობდა. ღელეში რომ ჩავიდა, მოიხსნა საპალნე, მარცხენა ხელის ორი თითი ტუჩებზე მიიდო (დანარჩენები თითქო დაჭრილი ჰქონდა) და რაღაც მნიმვნელობიანი ხმით გაუსტვინა. ცოტა ხნის შემდეგ ღელეშივე გაჩნდნენ ვარდანი და ბ. სალმანი. ეს უკანასკნელი ჩარჩს გადაეხვია, კარგა ხანს იყვნენ ასე გადახვეული.

— ახლა-კი დავსხდეთ, თქვა ბ. სალმანმა და ქვაზე ჩამოჯდა.—მიამბე, ვაჭრობა კარგი გქონდა?

— ძალიან კარგი,—მიუგო ჩარჩმა მხიარულათ:—ვასპურაკანის მეტი წილი სულ ჩემი საქონლით მოვფინე...

— რასაკვირველია, უფასოთ, არა?..

— რაღა თქმა უნდა... მთელ საწვრილმანოს სულ მუქთად ვარიგებდი...

მეგობრების ლაპარაკს ვარდანი გაშტერებული უგდებდა ყურს და არაფერი ესმოდა.

— ეხლა ხომ გჯერა, რომ ჩემი მეგობრის ყუთს „ჟულიკის“ ყუთსავით ორი ძირი ჰქონია? უთხრა ბ. სალმანმა.

— ძალიან მინდა ვიცოდე, თვალთ-მაქცობის უმთავრეს განყოფილებაში რა იყო დაფარული? იკითხა ვარდანმა.

— იარაღი...

ვარდანი მიხვდა ყველაფერს და თითონაც გადაეხვია ვითომდა ჩარჩს.

ეს ჩარჩი გახლდათ მელიქ-მანსური.

თვით დიდბუნებოვან კაცთაც-კი მოეპოვებათ დიდი ნაკლი. მართალია, თომას-ეფენდი ამ გვარ კაცთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ალაშკერტის მაზრაში-კი დიდათ მიაჩნდათ. სადაც ლომი არ არის, იქ მელიაც დიდი მხეცი ჰგონიათ. მიუხედავათ იმისა, რომ თომას-ეფენდი ბეჯითი საქმის მოყვარე და მოხერხებული კაცი იყო, მაინც თავისი ნაკლულევნება ჰქონდა. მთელი დღეობით სამსახურის აღსრულებაში გართული, ღამეებს სხვა-და-სხვა უზნეო ქეიფებში ატარებდა. აჰყოლოდა ოსმალოს მოხელეთა ზნე-დაცემულებას, ძალზე ლოთობდა, ზნე-დაცემულ ქალებსა და ბიჭებს დასდევდა და თავს სხვა და სხვა დამკვრელებით ირთობდა. რომელ სოფელშიაც უნდა შესულიყო, ყველას კარი მისთვის ღია იყო. აბა, ამ მაღალ ხარისხოვან სტუმარს ვინ არ მიიღებდა! პირ-იქით, ყოველ გლეხს დიდ პატივისცემათ მიაჩნდა, თუ-კი თომას-ეფენდი იკადრებდა და მისი კარის ზღურბელს გადააბიჯებდა. მართალია, არავითარი სარგებლობა არ ჰქონდა,—მუქთათ აჭმევდა, ასმევდა,—მაგრამ ის იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ თომას-ეფენდი შემდეგში „კარგი თვალით“ დაუწყებდა ყურებას.

ერთს საღამოს ერთი ღარიბი გლეხის ოჯახს გზირმა შეატყობინა, რომ ამაღამ ეფენდი უნდა გეწვიოთო. ამ ოჯახის შამაკაცი რამდენიმე სოფლის ერთათ-ერთი ხელოსანი იყო. სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღებს აკეთებდა, ანახლებდა დაძ-

ველებულ გუთნებს, სახნის-საკვეთსა და სხ. მეტი წილი შინ არ იყო, სამუშაოზე დადიოდა სოფლიდან სოფლათ. ხსენებულ საღამოსაც შინ არ იყო. ხელოსნის ცოლმა უპასუხა გზირს, ქმარი შინ არა მყავს და უიმისოთ ეფენდი როგორ უნდა მივიღოვო.

— ქმარი თუ შინ არ არის, სახლი ხომ არსად გარბის? უპასუხა გზირმა უზრდელათ.

ეს გზირათ წოდებული ვაჟ-ბატონები გლეხისათვის ნამდვილ სასჯელს წარმოადგენენ. მოხელეთა ნამდვილი მწევარ-მეძებრები არიან: საშინელი სუნის აღება იციან და ისე არიან გაგეშილნი, რომ ერთხელაც არ შესცდებათ მსხვერპლს საიდან უნდა მოუარონ...

ხელოსნის ცოლი გამშრალი იდგა და არ იცოდა, რა პასუხი მიეცა.

გზირმა-კი მოვალეობა აღსრულებულათ დასახა და გამობრუნებისას უთხრა:

— იცოდე, ეფენდი სანთლების ანთების უმალვე გეწვევათ.

საბრალო ქალი კარგა ხანს გაქვავებული იდგა ქოხის კარებთან და არ იცოდა რა ექნა. ქმარი შინ არა ჰყავდა და მეტად შეუფერებლათ შიაჩნდა ვიღაც უცხო და უცნობი სტუმრის მიღება. ბოლოს მეზობელ ოჰოსთან მივიდა და ნაღვლიანათ სთხოვა:

— ძმაო ოჰო, გზირმა შემატყობინა, რომ ამაღამ ეფენდი გეწვევათო; ჩუმი ქმარი-კი შინ არ არის. თუ ღმერთი გწამთ, მობძანდით და გაუმასპინძლდით.

— ეს რა ამბავია?—მიუგო გაჯავრებულმა ოჰომ,—ამ სოფელშა სხვა ველარავინ ჰპოვა?

— არ ვიცი,— თქვა დედაკაცმა ნაღვლიანათვე,—გზირმა-კი ასე მითხრა და!

მეზობელი შეჰპირდა, სტუმარს მე დავუხვდები და შენ მარტოს არ დაგტოვებო.

თომას-ეფენდის მთელი მაზრის სოფლები ისე ჰქონდა შესწავლილი, რომ რომელ სოფელშიაც-კი შევიდოდა, ძალიან კარგათ იცოდა ვისთან სჯობდა ჩამოხდომა და ღამეს სად უფრო მხიარულათ გაატარებდა. ამ მხრივ ჩვენ ეფენდის გემოვნება ჩინებულათა ჰქონდა განვითარებული. მისი მოთხოვნილების პირველი მუხლი ის იყო, რომ მასპინძელი ღარიბი და ცოტა სულელი ყოფილიყო, სულელი თუ არა, ღვინის სმა მაინც ჰყვარებოდა (ეს ორი თვისება ერთმანეთისგან არც თუ ბევრით განირჩევა); ყველაზე უპირველესი-კი ის იყო, რომ სახლში უეჭველათ ლამაზი ქალი ყოფილიყო და მისი სახის ყურებით დამტკბარიყო.

გარნა იმ ღამის არჩეული ბინა ეფენდის გემოვნებას სავსებით ვერ აკმაყოფილებდა; სახლის უფროსი, ოსტატი პეტრე. პატიოსანი და შრომის მოყვარე ხელოსანი იყო, არც სულელი და არც ღვინის სმის მოყვარული. ეს ხომ ასეა, მაგრამ ეფენდი რის ეფენდი იქნებოდა, რომ არჩევანში მოტყუებულიყო? კარგათ იცოდა, რომ პეტრე შინ არ იყო და მისი ცოლი-კი საკმაოთ ლამაზი ქალი იყო, პეტრეს ჰასაკში მოსულ დას ხომ სილამაზით სოფელში არავინ სჯობდა.

სოფლის ქოხებში ჭრაქები აინთო. ხელოსნის ცოლი, შუშანა, ქურაზე საჭმელებს ამზადებდა; მისი მული, ახალგაზდა ბარბარე ვარიის ტაბაკებსა ხრაკავდა; მეზობელი ოჰო-კი სხვა და სხვა განკარგულებას ახდენდა, რომ ღირსეული სტუმრის დასახვედრათ ყველაფერი მზათ ყოფილიყო და არაფერი დაკლებოდათ. ის იყო ყველაფერი მოამზადეს, რომ თომას-ეფენდი გზირის წინამძღოლობით ქოხში შებრძანდა. ამ ხელათ ზაფთები თან არ ახლდნენ, სხვა გლეხისთვის ესტუმრებინა.

მეზობელი ოჰო მიეგება და სრულის მორჩილებით მიიღო ეფენდი, რომელიც მძიმე ნაბიჯით გაემართა და მისთვის გამზადებულ მუთაქაზე ჩამოჯდა.

— სად არის ოსტატი პეტრე, რომ არა სჩანს? — იკითხა ეფენდიმ და იქაურობას თვალი გადაავლო: — მისი ნახვა მინდოდა, ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

ოჰომ უპასუხა, რომ მახლობელ სოფელშია სამუშაოთაო.

— ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ ვერა ვნახე! საჭირო საქმე მქონდა, გაიმეორა ეფენდიმ: — სეხელმწიფო ჯარების სურსათის გადასაზიდათ ბევრი ურმები მჭირდება და ამიტომ მინდოდა მუდმივ ოსტატი დამეჭირა, რომ გზაში გაჭირვების დროს, ე. ი. ურმების ფაფუჭების დროს, გამომდგომოდა. ამ საქმისთვის ოსტატ პეტრეზე შესაფერს კაცს ვერსად ვიშოვნი და მიტომ მინდოდა მისთვის „კეთილი მექნა“, რომ ესარგებლნა და რამდენიმე თვე გამოულეველი საქმე ჰქონოდა.

თუმცა ეფენდიმ კარგათ იცოდა, რომ პეტრე შინ არ იყო და არც ოსტატი იყო მისთვის საჭირო, რადგან ჯარების სურსათის გადასაზიდათ გლეხების ურმებსა და საქონელს ამუშავებდა, ისიც სრულიად უსასყიდლოთ, და თუ ვისიმე ურემი გატყდებოდა, თითონ პატრონებივე აკეთებდნენ, დიაღ თუმცა ეფენდიმ ყველა ეს კარგათ იცოდა, მაგრამ მას სულ სხვა აზრი ჰქონდა. ღარიბი ხელოსნის ცოლმა რომ ეფენდის დაპირებით სავსე ლაპარაკი მოისმინა, ძალიან გაეხარდა და გაიფიქრა: ამ სტუმრისაგან დიდი სარგებლობის ნახვა შეიძლებაო, თუმცა არა-მკითხე სტუმრის წვევა პირველში დიდ უსიამოვნებასა ჰგვრიდა. არა რომ რაიმე იმედით უნდა გაებრწყინებინა გულუბრყვილო დიასახლისის გული? — აი რა იყო საჭირო ეფენდისთვის!

მხოლოდ ეფენდი იჯდა. მეზობელი ოჰო ჯერ ისევ ფეხზე იდგა და მის ნება-რთვას ელოდდა, რომ თითონაც დამჯდარიყო. ეს წყალობა მიიღო. გზირი-კი ისევ ფეხზე იდგა და მოსამსახურის მაგიერობას ეწეოდა, რადგან ხელოსნის სახლში არც მოსამსახურე ჰყავდათ და არც მოსწრებული ვაჟიშვილი. მართალია, პეტრეს რამდენიმე შეგირდი ჰყავდა, მაგრამ სადაც მიდიოდა სამუშაოთ, იმათაც თან ატარებდა. დიასახლისი და ბარბარე არსად ჩანდნენ, იგინი შემალულიყვნენ მეორე პატარა ოთახში, რომელიც თხელი ფიცრის ღობით იყო განცალკევებული უმთავრეს ოთახისგან; ეს ფიცრის ღობეც ჭერამდის არ იოყ

ამართული და ამგვარათ მხოლოთ „შირმის“ მაგიერობას ეწეოდა.

მაგრამ რადგან საჭირო იყო, რომ ძვირფასი სტუმრისთვის თავიანთი პატივისცემა გამოეცხადებინათ, ამიტომ შუშანა და ბარბარე თავიანთი საფარიდან გამოვიდნენ, ეფენდის მიუახლოვდნენ, გულზე ხელები მიიწყეს და უხმოთ თავი დაუკრეს. ამით ეფენდის განუცხადეს: „შვიდობა თქვენი მობრძანებაო“.

— გაიზარდენით, უთხრა ეფენდიმ პასუხად და თან ალმაცერათ შეჰხედა.

დიასახლისს პირ-ბადე ეფარა, ახალგაზდა ქალს-კი სახე ღია ჰქონდა. ქალები გაბრუნდნენ და სუფრის გაშლის თადარიგს შეუდგნენ.

ქოხში ღრმა სიჩუმე სუფევდა, ყველა გაჩუმებულიყო და იმის ლოდინში იყო, რომ ლაპარაკი ეფენდის დაეწყო.

— რა საქმეში ხარ, ოჰო? ჰკითხა ეფენდიმ.

— უსაქმოთა ვარ, აღა,—მიუგო ოჰომ და თან კისერი მოიფხანა:—ღმერთმა დამსაჯა და ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე უბედურება დამატყდა თავს: უფროსმა შვილმა „შენი ჭირი წაიღო“... საქონელი „თავს შემოგევლო“ (ვითომ გამიწყდაო)... ეხლა გუთანიც ველარ შემიბამს... ვარ ესე უსაქმოთ!..

— მეწყინა, ძალიან მეწყინა,—უთხრა ეფენდიმ გულმტკივნეულათ:—კარგი კაცი ხარ, ოჰო, მე კარგათ გიცნობ. ნუ გეშინია, უსაქმოთ არ გაგიშვებ, ეხლა ჩემთვის ბევრი კაცია საჭირო, რაიმე საქმეს გაგიჩენ.

ოჰოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— აღა, თქვენ მხოლოთ მომანდეთ რამე, მაშინ ნახავთ როგორი სამსახურიც ვიცი.

— „ვირი რამდენიც კარგად იმუშავებს, იმდენი ქერს ჭეტს მიიღებს“...

— ჰაი ჰაი, რომ მაგრეა.

ეფენდი იმ ჯურა კაცთაგანი იყო, რომელიც ალაგას ისე გაიბერება, გაამაყდება და თავის თავს ისე მაღლა ასწევს,

რომ უშველებელ კარებშიაც კი ვერ შეეტევა; ხან კი ისე დაპატარავდება, ისე დაწვრილდება, რომ ნემსის ყუნწშიაც კი გაძვრება. ეფენდი გლეხის ქოხში ხშირად იმდენად თავდაბალი იყო და სწორედ ისევე შინაურულად იქცეოდა, როგორც იქცევიან ხოლმე ცნობილ სახლში, რომლის მდგმურთაც სირცხვილით ქუჩაში თავსაც კი არ უკრავენ!..

ოჰოს გულიც რითიმე უნდა მოეგო, რადგან იმ ღამეს მასპინძლის მაგიერობას ეწეოდა. გულ-უბრყვილო გლეხს ეფენდის სიტყვები სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, ამიტომ დიდი მადლობა გადუხადა და უთხრა:

— ღმერთმა დიდხანს გადღეგრძელოთ, აღა, მამა უფალმა თქვენი მარჯვენის მადლი უკლებელი ამყოფოს ჩვენზე.

ვახშმობის დროც მოვიდა. ბარბარე ოთახში შეევიდა, თან ხელსაბანი შეიტანა, კოპწია მოძრაობით ეფენდის წინ დადო და ხელი დააბანინა. შემდეგ სუფრა გაშალა, დააწყო ზედ პური, მარილი და მთელი საჭმელები, რაც კი მზათ ჰქონდათ. ამ მოძრაობის დროს უმანკო ქალის სახეზე შიშსა და მორცხვობასთან ერთათ რაღაც გაუბედაობა იხატებოდა, რაც კარ-ჩაკეტილობისა და ვაჟთა საზოგადოებაში გამოუსვლელობის უეჭველი შედეგი იყო.

— შვილო! — მიმართა ეფენდიმ ყმაწვილ ქალს, — სახელად რა გქვიან?

ქალი გაწითლდა, დაიბნა და დამფრთხალ ირემივით აქეთ-იქით დაიწყო ყურება, რომ პასუხი სხვა ვისმეს გაეცა. ოჰომ უპასუხა, რომ ბარბარე ჰქვიანო.

— რა მშვენიერი სახელია! ჭეშმარიტათ ძლიერ მშვენიერი სახელია! — გაიმეორა ეფენდიმ აღტაცებით: — მე ერთი და მყავს, მისი სახელიც ბარბარეა.

ბარბარეს გამშრალ სახეზე ღიმილის მსგავსად რაღაცამ გაიბრწყინა; უეჭველია, გაეხარდა, რომ იმისთანა დიდი კაცის დის სეხნია ყოფილიყო. მართალია, ეფენდიმ იცრუვა და არც თუ და ჰყავდა, მაგრამ ბარბარეც უნდა რითიმე გაეხარებინა თუ არა!..

სუფრაზე მარტო ეფენდი და ოჰო ისხდნენ. ამ ქვეყანაში დედაკაცები მამაკაცებთან ერთათ პურს არა სჭამენ.—„უწყლო წისქვილი პურს ვერ დაფქვავსო“,—შენიშნა ეფენდიმ.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ვითომ უღვინოთ პური არ იჭმევაო. ამიტომ გზირს უბრძანა, რომ წასულიყო და არაყი მოეტანა. ოჰომ ბოდიში მოიხადა: უკაცრავად, ეგ აღარ გაგვახსენდაო. დიასახლისმა, რომელიც სრულიად ხმას არ იღებდა, თავის ქნევით გააგებინა, რომ სასმელს ამ საათში მოვატანინებო.

— არა,—მიუგო ეფენდიმ,—ჩემი ჩვეულება ასეთია: საღაც და ვისთანაც უნდა ვიყო, არაყი და ღვინო ჩემი ხარჯია.

ეფენდი მართალს ამბობდა: იმისთანა ღარიბ ოჯახში ყოფნის დროს სასმელს თითონ ატანინებდა, მხოლოდ საფასურს კი სოფლის ხარჯებს აკერებდა. მაგრამ ამ საქმეში მისი ეშმაკური ხრიკიანობა იმაში გამოიხატებოდა, რომ, რადგან სასმელს თითონ ყიდულობდა, რამდენიც თავის სურვილი იყო, იმდენს შეექცეოდა.

გზირი ჩქარა დაბრუნდა და ვეებარა დოქით არაყი შემოიტანა.

— ეხლა კი შენც შეგიძლია დაჯდე და მერიქიფობა (ღვინის დამსხმელი) გაგვიწიო,—უბრძანა ეფენდიმ გზირს.

გზირმა სუფრის ბოლოს მოიკალათა და არყით სავსე დოქიც გვერდით მოიდგა. გზირს კარგად ახსოვდა ეფენდის ჩვეულებრივი დარიგება: „როცა ვისიმე სახლში შედიხარ და გინდა კარგი დროება გაატარო, ჯერ მასპინძელს პირში ბამბა უნდა დაუცოვო“, ესე იგი ტვინი უნდა შეუხუროო, ღვინით უნდა დაათროვო. თუმცა მასპინძელი არსად იყო, მაგრამ მის თანა მდებობას მეზობელი ოჰო ასრულებდა. ამიტომ გზირიც სავსე ჭიქებს იმას უმარჯვებდა.

მეზობელ ოჰოს, ცოტა არა, გადაკვრა უყვარდა. უკანასკნელ უბედურობათა შემდეგ ხომ არაყი მისი სალოცავი შეიქნა, რომლითაც დარდების განქარვებას ცდილობდა. ამიტომაც ყოველ გაწვდილ ჭიქას ისე ჟურავდა, თითქო ბამბა გამოუვლიათო. ცალკე არყის ძალამ, ცალკე ეფენდის დაპირებამ—

საქმეს გაგიჩენ და გამუშავებო,—ისე შეახურა, ისე გაამხიარულა ჩვენი ოჰო, რომ დარდ-ვარამი ყველაფერი დაავიწყდა და სხვა-და-სხვა ოსმალური სიმღერები მოაყოლა.

— „კბილის ჩიჩქნით მუცელი არ გაძღებაო“—სთქვა ეფენდიმ და გზირს უბძანა—დამკვრელები მოიყვანეო.

ეს დამკვრელები ადგილობრივი სომხები იყვნენ, რომელნიც სხვა-და-სხვა აზიურ საკრავებს უკრავდნენ და თან მღეროდნენ. ადგილას ამ დამკვრელებს „ჩალკებს“ უწოდებენ. რომელ სოფელშიაც უნდა წასულიყო ეფენდი, ეს ჩალკები განუშორებლივ თან დასდევდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ეფენდი „უქეიფოდ“ ღამეს არ გაატარებდა—ალხენდნენ, ართობდნენ და მით ფულებს შოულობდნენ.

„ჩალკებმა“ არ დაახანეს, მივიდნენ, ეფენდის თავი დაუკრეს და სუფრას შემოუსხდნენ. დიასახლისი იძულებული იყო საჭმელების რაოდენობა გაედიდებინა.

— სხვა რასა იქთ, როგორა ხართ?—მიმართა ეფენდიმ „ჩალკებს“.

— თქვენი წყალობით ყველანი კარგათ გახლავართ,—მიუგეს დამკვრელებმა.

როდესაც კარგა ლაზათიანად გამოძღნენ, ბარბარე ხელახლად გამოვიდა თავის საფარიდან და სუფრას ალაგება დაუწყო. არყის დოქი კი იქვე დარჩა. იგი სამიკიტნოში რამდენჯერმე ცარიელი წაბძანებულიყო და უკან სავსე დაბრუნებულიყო. ჭიქები ისევ ხელიდან ხელში გადადიოდა. ამასობაში „ჩალკებსაც“ თავი შეუხურდათ.

— ეხლა კი დაიწყეთ,—უბრძანა ეფენდიმ.

იმათაც დაიწყეს. პატარა ქოხი აზიური საკრავების დამაყრუებელმა და შეუწყობელმა ხმებმა ცოტა არა გაამხიარულა.

ეფენდი ისეთს კარგს გუნებაზე იყო, რომ მხიარულებისგან აღარ იცოდა რა ექნა.

ცოტა ხნის შემდეგ ოსტატი პეტრეს ქოხს მეზობლის დედაკაცები და ყმაწვილი ქალები შემოეხვივნენ და ფანჯრები-

დან და ქოხის ჭუჭრუტანებიდან ჭვრეტა და ყურის გდება დაუწყეს, რომ მუსიკას დანატრულებული სმენა დაეტკბოთ. სოფლის ქალს ისე არა ართობს-რა, როგორც მუსიკა, რომელსაც დიდი ხნობითაა მოკლებული, და თუ მისი მოსმენის ბედნიერება ეძლევა,—ისიც მხოლოდ ზამთრობით, ქორწილების დროს.

„მეჯლისი“ თან-და-თან გახურდა და უფრო გაერთიანებული ხასიათი მიიღო. არყისაგან გალექილთა და „ჩალკების“ ხმას საერთო ღრიანცელიც ზედ დაერთო. რომ იტყვიან ხოლმე: ძაღლი თავის პატრონს ველარ სცნობდაო, სწორედ ისეთი ამბავი იყო. მამაკაცებს აღარაფერი გაეგებოდათ, მხოლოდ ერთი ეფენდი იყო ფხიზელი და თავის შეკავებაც მარტო იმასღა შეეძლო. გარედ მდგომმა მეზობლის დედაკაცებმა და ქალიშვილებმა ამ გარემოებით ისარგებლეს და ნება-ნება შიგნით შელაგდნენ, მივიდნენ და შუშანა და ბარბარესთან ჩამოსხდნენ, რომ საკრავების ხმა უფრო კარგად მოესმინათ.

— ცეკვა, ცეკვა!—წამოიძახა ეფენდიმ ტაშის ცემით— ცეკვა გაიმართოს!

ამ დროს წამოდგა ოჰო, რომელიც სიმთვრალისგან ფეხზე ძლივსღა დგებოდა, სეირის მაყურებელ ქალებთან მივიდა, ორ პატარა ქალს ხელი მოჰკიდა და თითქმის ძალით ქოხის შუა ადგილს მიათრია. დამკვრელებმა რომ ეს ნახეს, ადგილობრივი სათამაშო გაახურეს. პატარა ქალებს ჯერ ცოტა შერცხვათ, ცოტა კიდეც წამოწითლდნენ, თან ცოტა კიდეც გაინაზნენ— „არ ვიცითო“,—მაგრამ ბოლოს მაინც ჩამოუარეს.

— შაბაშ, შაბაშ!*)—ღრიალებდნენ დამკვრელები და თან დაკვრას ახურებდნენ.

ეფენდიც ყოველ მოთამაშეს მუჭაში თითო ვერცხლის ფულს უდებდა, რომელიც მაშინვე დამკვრელთა ჯიბეში გადადიოდა.

---

*) „შაბაში“ იმ ფულს ჰქვიან, რომელიც მოცეკვავეს ეძლევა საჩუქრად. ეს ფული ბოლოს დამკვრელების საკუთრებაა.

ჩვეულებისამებრ ცეკვა პატარებიდან დაიწყო და თან-დათან დიდებსაც იყოლიებდა. პირველი მოცეკვეთა წყვილი რომ დაიღალა, ხელსახოცი ახლა სხვა ორ ქალს გადუგდო იმის ნიშნად, რომ ახლა თქვენ ითამაშეთო. ამგვარად ჯერი ჯერზე იცვლებოდა და სათამაშოდ თითო წყვილი ქალი გადადიოდა. ეფენდიც უხვად ირჯებოდა და მოცეკვავეთ შაბაშით მუჭებს უვსებდა. ეს გარემოება დამკვრელებს უფრო აქეზებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, აწრიპინებდნენ თავიანთ საკრავებს.

ბოლოს ჯერი ბარბარეზე მიდგა. ლამაზმა ქალმა თავისი საუცხოვო ცეკვა-თამაშით ყველა დაჩრდილა. მის ყოველ მიხვრა-მოხვრაში თვალწარმტაცი სიკეკლუცე და მომჯადოებელი მიმზიდველობა იხატებოდა. პირველში ცოტა მორცხვობა ეტყობოდა, შემდეგ კი გაშალა ხელები და ისე დაცქრიალებდა, თითქო გაზაფხულის მერცხალიაო. ეფენდი აღტაცებაში მოვიდა და, რომ როგორმე ახლოს მიიკაროს, წარმოსთქვა:

— ჩვენი მხრის სომხებში ერთი ჩინებული ჩვეულებაა: ქალი რომ თამაშობას მორჩება, მიუახლოვდება სახლის საპატიო სტუმარს, დაიჩოქებს მის წინ, თავს კალთაში ჩაუდებს და იმ დრომდე არ ადგება, ვიდრე კარგ საჩუქარს არ მიიღებს *).

— ეგ ძალიან კარგი ჩვეულება ჰქონიათ,—ბანი მისცეს დამკვრელებმა:—უეჭველად აქაც შემოვიღოთ.

— ბარბარე, პირველი მაგალითი შენ უნდა მისცე ხალხს!— უთხრა ეფენდიმ:—მაშ მომიახლოვდი, შვილო!

ბარბარე სირცხვილისგან მთლად დაიბნა და გაშეშდა. მისთვის უმჯობესი იყო მიწა გაჰხეთქოდა და თან ჩაეტანა, ვიდრე თავი უცხო კაცის კალთაში ჩაედო. გარნა აქეთ-იქიდან წააქეზეს, ხელი წაჰკრეს და თან ყურში წასჩურჩულეს: „მიდი, ქალო, ნუ გრცხვენია! საჩუქარს მოგცემსო“.—ბოლოს ხელი მოჰკიდეს და ეფენდისთან მიიყვანეს. ბარბარემაც ნახა, რომ

*) სომხეთში არსად ამნაირი ჩვეულება არა აქვთ; მხოლოდ აზიის ბოშათა ქალები და ბიჭები ხმაროობენ ამ საშუალებას ფულების დასაცინცლად. ავტორი.

ველარას გააწყობდა, დაიჩოქა და მშვენიერი თავი ეფენდის კალთაში ჩაუდო. სიამოვნებისგან ცამდინ აწეულმა ეფენდიმ მშვენიერ წაბლის ფერ თმაზე ალერსიანად ხელი გადაუსო და მუჭაში ორი ოქრო ჩაუდო.

ეფენდი რომ ამ ქეიფში იყო, ერთი მისი პოლიციელთა განი ოთახში შევიდა, მიუახლოვდა და ყურში წასჩურჩულა:— „თქვენ რომ გვიბრძანეთ, ის კაცი ვიპოვნეთო“.—ამ საათში შეიპყარით და, ვიდრე დაილაზე რაიმე განკარგულებას მოგცემდეთ, ძლიერ სიფრთხილით იყავითო.—უბრძანა ეფენდიმ ჩუმათვე.

პოლიციელი წავიდა.

ეს ჩურჩული და განკარგულება ვის შეეხებოდა?—ვერავინ შეიტყო.

შუალამე გადასული იყო. ოსტატი პეტრეს ქოხი თან-დათან ცალიერდებოდა. დამკვრელებიც წავიდნენ. სიმთვრალისაგან უგრძნობლად მყოფი ოჰო თავის სახლში ძლივს მიიტანეს. აღარც მაყურებელთაგანი დარჩა ვინმე.

ქოხში მარტო ეფენდი და გზირი-ღა დარჩნენ. ამ უკანასკნელს იმდენი დაელია, რომ ერთად-ერთი საღი თვალითაც ველარას არჩევდა. შუშანამ ეფენდის ლოგინი გაუშალა. ჭრაქებიც ჩააქრეს და იქაურობა სრულ მყუდროებამ მოიცვა.

რაც იმ ღამეს იქ მოხდა, ეს ერთმა ღმერთმა უწყის. მხოლოდ ეს კია, მეორე დილით ბარბარე ძალიან დაღონებული იყო და საბრალოს რამდენსამე დღეს თვალზე ცრემლი არ შეშრობია...

იმავე დილით, ბინდ-ბუნდისას, სოფელში ერთი სხვა სამწუხარო ამბავიც მოხდა: ერთი ახალგაზდა კაცისთვის ფეხში ბორკილი გაეყარათ და იმ სამხედრო საქმეთა მწარმოებელთან ძიჰყავდათ, რომელიც ახლათ იყო დანიშნული ომიანობის დროისათვის საჭირო განკარგულებათა მისაცემად.

გლეხთაგან არავის შეუნიშნავს; მარტო ერთი თომას-ეფენდი მისდევდა შორი-ახლო და თან რაღაც ამაყური სიამოვნე-

ბით ამბობდა გუნებაში: „წადი ეხლა და იმდენი უბერე მაგ შენ დუდუკს, ვიდრე მოგბეზრდებოდესო“...

ახალგაზდა კაცი ბ. დუდუკჩიანი იყო, ანუ ახლანდელი ჩვენი ბ. სალმანი.

XXVI

მოხუცი ხაჩოს სახლში ჯერ არაფერი იცოდნენ, მხოლოთ ძალიან-კი სწუხდნენ, რომ ბ. სალმანი ღამე შინ არ დაბრუნდა. ყველაზე მეტათ კი ვარდანი, ჰაირაპეტა და აპო სწუხდნენ, რადგან კარგათ გრძნობდნენ, რომ რაღაც ცუდი რამ უნდა შემთხვეოდესო. დილით ადრე სამნივ ერთათ გავიდნენ სოფელში, იქნება რამე შევიტყოთო.

შუადღის ხანს მოულოდნელათ თომას-ეფენდი გაჩნდა. მოხუცმა რომ შეხედა, ძალიან ეუცხოვა, რადგან თან არც შახური და არც ზაფთები ახლდა; ეფენდი-კი მუდამ განსაკუთრებული ამალით დაბძანდებოდა. მოხუცს მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა, ვითომდა საიდუმლო რამე მაქვს სათქმელიო.

— იცი, „მედუდუკე“ დაატუსაღეს და წააბძანეს „წიალსა შინა აბრაამისასა“, უთხრა დამცინავი და თან ვითომ სერიოზული კილოთი.

მოხუცი მიუხვდა, შეეზარა და მთლათ კანკალმა აიტანა, ასე რომ ცოტას გასწყდა, არ წაიქცა.

— გული შეიმაგრე, მამასახლისო, კანკალის დრო არ არის: ჯერ ბევრ მაგისთანებს შეიტყობ!—განაგრძო ეფენდიმ და თან შემდეგი უამბო:—„ბ. სალმანი თურმე ერთ სოფელში მისულა, ერთ სახლში რამდენიმე ახალგაზდა მუშა შეუგროვებია და სხვა და სხვა საგნებზე ულაპარაკნია, მაგალითათ „კაცთა პიროვნულ უფლებაზე“, მუშათა „შრომაზე“, „ძალ-მომრეობაზე“, აგრეთვე იმაზე, თუ ადამიანმა „უფრო თავისუფალ და უფრო ბედნიერ ცხოვრებას რა საშუალებით უნდა მიაღწიოს“... ერთი სიტყვით, ვინ მოსთვლის, რამდენ ამ გვარ „სისულელეზე“ არ

ულაპარაკნია! უცებ რამდენიმე პოლიციელი თავს წამოსდგომოდა და დაეტუსაღებინა. თურმე მთავრობა მაგ „ხენთსაც“ დიდი ხანია დაეძებდა, რადგან რამდენიმე მაგისი ამხანაგი უკვე შეუპყრია. ამ გვარათ ეგ წრიპინაც მოჰყოლია ხაფანგშიო“. თომას ეფენდიმ ყველაფერი უამბო, მხოლოთ იმისი-კი არა სთქვა-რა, რომ ბ. სალმანის დამსმენი თითონ ეფენდი ბრძანდებოდა.

პატარა ხანს უკან ხელ-ახლა დაიწყო:

— ახლა-კი ახალ არაკს შევეხოთ,—თქვა მან მეტათ დამცინავი ღიმილით, თითქო განგებ ცდილობს მოხუცს გული უფრო მეტათ დაუკოდოსო:—ჩქარა პოლიციელები მოვლენ და შენს სახლს გასჩხრეკენ. როგორც შენი მეგობარი, მოველი, რომ გაგაფრთხილო.

სიტყვა „მეგობარი“ რაღაც განსაკუთრებული კილოთი წარმოსთქვა. მიუხედავათ ამისა, პოლიციელებისა და გაჩხრეკის გაგონებაზე მოხუცს მთლათ თავზარი დაეცა.

— ხსნა ჯერ კიდევ შესაძლებელია,—განაგრძო ეფენდიმ უფრო ცივათ:—შენ მხოლოთ ის მითხარი, დუდუკჩიანისა აქ ხომ არაფერია დარჩენილი?

თუმცა ეს ამბავი მოხუცისთვის მეტათ საშინელი იყო, მაგრამ მაინც ცოტა დამშვიდდა, როდესაც ნახა, რომ ეფენდისთანა დიდი კაცი ამისთანა გაჭირვების დროს „სამეგობროდ“ ხელს უწვდიდა.

— მარტო ერთი ხურჯინია დარჩენილი, მიუგო მოხუცმა და თან აქეთ-იქით მიიხედა, არავინ გაიგონოსო.

— მოდი ეხლა და ვირი ტალახიდან ამოიყვანე! — თქვა თავისთვის ეფენდიმ:—მარტო ხურჯინია დარჩენილი!.. თითქო ხურჯინი ცოტა რამ იყოს!..

თვალები უფრო დააჭყიტა და ისევ მოხუცს მიმართა:

— ჩვენთვის ერთი წუთიც-კი ძვირათ ღირს, ჩქარა წავიდეთ და ის ხურჯინი სადმე მივმალოთ, ვიდრე პოლიციელები არ მოსულან.

ეფენდის გულწრფელობაზე საბრალო მოხუცს ეჭვიც-კი არ შეჰპარვია, ოდაში შეუძღვა და ბ. სალმანის სამგზავრო ხურჯინი უჩვენა.

— კარები ჩაკეტეთ, ურჩია ეფენდიმ, თითონ-კი ხურჯინი გახსნა და შიგ მყოფ საგნებს სინჯვა დაუწყო.

ხურჯინში აღმოჩნდა სხვა და სხვა მინდობილებათა წერილები, სხვა და სხვა პირებთან მიწერილი ბარათები, რომლებითაც გაჭირვების დროს ბ. სალმანს ფულის მიღება შეეძლო, სხვა და სხვა ინსტრუქციები, პროგრამები და სხ. იყო აგრეთვე დაბეჭდილი რვეულები, წიგნაკები, რომლებსაც ახალგაზდა პროპაგანდისტი სოფლელთა შორის ავრცელებდა. ერთი სიტყვით, ხურჯინში ქაღალდების მეტი არა იყო-რა. ეფენდი ყველაფერს დიდი ყურადღებით სინჯავდა და თან მძიმეთ თავს იქნევდა.

— ეს რომ მთავრობას ხელში ჩაუვარდეს,— თქვა მან,— ამ ქაღალდების თვით ერთი ცალიც-კი საკმაოა, რომ შენა და შენი შვილები თოკზე ჩამოგაკონწიალონ და მთელი შენი სიმდიდრე ხაზინას მიაკუთნონ.

მოხუცი მთლად გაქვავდა, პასუხის მიცემა ველარ მოახერხა; ეფენდის უკანასკნელმა სიტყვებმა მთლათ დავთრები დაუბნია და გონს ველარ მოსულიყო.

— ყველაფერი უნდა ცეცხლს მივცეთ, წარმოსთქვა ეფენდიმ და ქაღალდები ხურჯინშივე ჩააწყო.

— არაფერი არა მესმის-რა, თავში ჭკუა აღარ შემრჩენია! წამოილუღლუღა ცახცახით საბრალო მოხუცმა და მიმქრალი თვალები ცრემლით აევსო.

ეფენდიმ გადიფიქრა: „დაწვა რა საჭიროა? ფიქრობდა იგი,—კარგათ უნდა გავჩხრიკო; უეჭველია, რისთვისმე გამომადგება... რათ გავაუქმო“-ო?

შემდეგ მოხუცს შეეკითხა:

— ამ სახლში ისეთი საიდუმლო ადგილი არაფერია, რომ ეს ხურჯინი დროებით დავმალოთ?

— არის, მიუგო მოხუცმა.

მოხუცის სახლს მართლაც რამდენიმე საიდუმლო საკუჭნაო ჰქონდა, რომლებშიაც შიშიანობის დროს ძვირფას ნივთეულობას ინახავდნენ. რადგან ამ ქვეყანაში შიშიანობა ყოველთვის იყო,—მეტადრე სომხებისთვის,—ამიტომ რამდენიმე მათგანი დაებანდებინათ და ცარიელი მხოლოდ ერთი ღა იყო, რომელიც შეიძლებოდა ეფენდისთვისაც ეჩვენებინა.

ასწიეს საუბედურო ხურჯინი და გაემართნენ სარდაფისკენ, რომელშიაც ზეთს, ერბოს, ღვინოს და სხვა ოჯახში საჭირო საგნებს ინახავდნენ. სარდაფი ბრტყელი ქვებით იყო დაგებული. მოხუცი მივიდა და ორი ქვა ახადა. ქვების ქვეშ ორი პატარა რკინის კარები გამოჩნდა, რომლებიც საიდუმლო საკუჭნაოს შესავალს ციაგათ ჰქონდა გადაფარებული. მოხუცმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო, ჭუჭრუტანაში ჩაუყარა და რამდენჯერმე გადაატრიალა; უცებ რკინის კარები თავის თავად აიხადა და რაღაც ქვესკნელის მსგავსი ხარო გამოჩნდა. ვიწრო კიბის საშუალებით ორივენი ძირს ჩავიდნენ და ხურჯინიც თან ჩაიტანეს.

ხაროში ისე ბნელოდა, რომ შეუძლებელი იყო რისამე გარჩევა. ნოტიო ჰაერი-კი ადამიანს სულს უხუთავდა. ხურჯინი გვერდზე მიაგდეს და მაშინვე მაღლა ამოვიდნენ. მოხუცმა კარები ისევ დაჭკეტა და ზედაც კვალად ბრტყელი ქვები დააწყო, რომლის შემდეგაც ძნელათ შეატყობდით, რომ ქვეშ რაიმე სამალავი არსებობდა.

— მომეცი გასაღები,—უთხრა ეფენდიმ:—მე შევინახავ. ამის შემდეგ ჩემზე სანდო კაცი ნულარ გინდა.

მოხუცი სწორეთ არც-კი დაფიქრებულა, აიღო და მაშინვე გადასცა. საბრალო მოხუცი შიშს იმდენათ შეეპყრო, რომ მზათ იყო ეფენდის ყოველი სურვილი აღესრულებინა.

— შენთან ბევრი სალაპარაკო მაქვს, ხაჩო, მაგრამ დროება ნებას არ მაძლევს: ვაი თუ გამჩხრეკავებმა მოგვისწრონ,—სთქვა მან საჩქაროდ:—ჯერ ხნობით-კი რამდენსამე რჩევას მოგცემ. მაშ ყური დამიგდე: არავინ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ერთმანეთი გვინახავს; ყველა ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს;

თვით შენმა შვილებმაც-კი არაფერი უნდა იცოდნენ. გამჩხრეკავები რომ მოვლენ, ეცადე რაც შეიძლება გულგრილათა და არხეინათ ეჩვენო. დეე რამდენიც უნდათ, ჩხრიკონ, ეძიონ, აქოთონ, ძაღლის კუდი (ხურჯინი) ისეთს ალაგასა გვაქვს დამარხული, რომ ეშმაკიც-კი ვერ მიაგნებს. უარს ნუ იტყვი, რომ ის „მედუდუკე“ შენს სახლში ყოფილა, მხოლოთ უთხარი: არც ვიცნობ და არც ვიცი რა მიზნითაა მოსული ამ ქვეყანაში, არც არა ჩემმა შვილებმა იციან-თქო.

ეფენდიმ რომ რჩევა-დარიგება გაათავა, სარდაფიდან მაღლა ამოვიდა.

— ახლა ერთი სხვა გზა მიჩვენე, რომ აქედან საიდუმლოდ გავიდე,—თქვა მან და თან გარემოს თვალი მოავლო:—უნდა ვეცადო, რომ აქედან გასვლისას არავინ მნახოს.

მოხუცი გაუძღვა ეზოს უკანა კარებისაკენ, საიდანაც საქონელს რეკავდნენ მინდვრათ.

— ახლა-კი მშვიდობით. როდესაც გამჩხრეკავები თავიანთ საქმეს შეასრულებენ, მაშინ კიდევა გნახავ. შენ არხეინათ იყავი, როგორმე პირში ბურთს დავუცემ.

ეფენდი წავიდა. გზაში წამდა-უწუმ გუნებაში იმეორებდა: „ჩემო ბებერო ხაჩო, შენი სული ეხლა ჩემ ხელშია: რასაც მინდა, გიზამო“...

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა. ვარდანი ჰაირაპეტა და აპო ჯერაც შინ არ დაბრუნებულიყვნენ. მოხუცის დანარჩენი შვილები-კი ჩვეულებრივ მინდვრათ მუშაობდნენ. დედაკაცებიც თავიანთ საქმეში იყვნენ გართულნი: მინდორში მომუშავეთ ჯერს უმზადებდნენ. გლეხები სადილს თითქმის მუდამ მინდვრათა სჭამენ და შინ მხოლოთ ვახშმობისას ბრუნდებიან. ჯერ არავინ იცოდა, რაც სახლში მომხდარიყო.

მოხუცი ხაჩო გამჩხრეკავებს ისე მოუთმენლათ ელოდდა, როგორც სასიკვდილოთ გამზადებული კაცი სასჯელს მოელის, რადგან არსაიდან ხსნის იმედი არა აქვს. მომხდარი ამბის შესახებ სახლში არაფერი სთქვა, რადგან არ უნდოდა წინათვე შეეშინებინა.

ბოლოს მოვიდა ნახევარ ასის-თავი, რომელსაც თან პოლიციელები, ჟანდარმები და რამდენიმე ჯარის კაცი ახლდა.

ამ დაუპატიჟებელ სტუმრების დანახვა სახლში მყოფთ პირველში არც ისე შეშინებიათ, რადგან ჯერ ერთი, მიზეზი არ იცოდნენ და მეორეც—იმათი სახლი ამგვარ სტუმრებს ჩვეული იყო: მოდიოდნენ, ხშირათ მთელი დღეებით რჩებოდნენ, სჭამდნენ, სვამდნენ და უკანვე მიდიოდნენ. ოსმალოს ჯარის კაცთა ჩამოხდომა გლეხის სახლში, მეტადრე მამასახლისის სახლში, ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა.

— ნაბძანები მაქვს, რომ თქვენი სახლი გავჩხრიკო,— უთხრა მოხუცს ნახევარ ასის-თავმა.

— ჩემი სახლი თქვენთვის მუდამ ღიაა, სადაც და რაც გნებავდეთ, გასჩხრიკეთ,— მიუგო მოხუცმა და თან ცდილობდა გულგრილათ სჩვენებოდა.

ნახევარ ასის - თავმა კარები ჩააკეტინა, ყოველ მხარეს მცველები დააყენა და ჩხრეკას შეუდგა. ჯერ ოდაში შევიდა, შემდეგ სხვა ოთახებიც დაიარა, ყოველი კუნჭული გაჩხრიკა, ყოველ საგანს თვალი გადავლო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ჰპოვა. ამის დანახვაზე დედაკაცები მიხვდნენ, რომ აქ რაღაც არა ჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყოს და ტირილ-ღრიალი გააბეს. მოხუცმა შეტუქსა—„დაჩუმდითო“ და თან დაამშვიდა: საშიში არაფერიაო.

ნახევარ ასის თავმა რომ გაჩხრეკა გაათავა, ახლა გამოკითხვას შეუდგა:

—მიხეილ დუდუკჩიანის სახელით აქ ცხოვრებდა ვინმე?

— აქ მხოლოთ რამდენსამე ღამეს დარჩა.

— წინათაც იცნობდით მას?

— პირველათ ვნახე.

— მაშ სახლში რაღათ იღებდი?

— მე ამ სოფლის მამასახლისი ვარ და თქვენც კარგად მოგეხსენებათ აქაური ჩვეულება: მამასახლისის სახლი ერთგვარი ქარვასლაა, სასტუმრო, რომელშიაც ყოველი უცხო მგზავრი,

უცნობი კაცი ბინას შოულობს. ამიტომ საიდან უნდა ვიცოდე, ან ვინ მოდის ან ვინ მიდის?

— აქ არაფერი დაუტოვებია?

— არაფერი.

— ვერ შეიტყეთ, რა აზრით დადიოდა აქეთ?

— ჩვენთვის არაფერი უთქვამს. მხოლოთ ეს ვიცი, რომ მასწავლებელი იყო.

— არ იცით ვის მეგობრობდა ან ვის[illegible] დაიარებოდა?

— როგორც მასწავლებელი, ყველასთან დაიარებოდა, რომ შეგირდები ეშოვნა.

— იცით ეხლა სად არის?

— არ ვიცი.

— დატუსაღებულია.

— უფრო კარგი, თუ მართლა ცუდი ვინმეა.

ამ დროს სახლის კარები ვილაცამ დააკაკუნა.

— სახლში არავინ შემოუშვათ! ბრძანა ნახევარ-ასის თავმ:.

კარის მცველმა მოახსენა, რომ თომას-ეფენდი ბრძანდებაო.

— შეუძლია შემოვიდეს.

ეფენდი შევიდა და, ნახევარ ასის-თავი რომ თავისი ამალით დაინახა, ვითომდა გაოცდა, თითქო არაფერი იცისო.

— მშვიდობა აქა მყოფელთა.—რა ამბავია? იკითხა ეფენდიმ სერიოზულათ.

ნახევარ ასის-თავმა თავისი მოსვლის მიზეზი უამბო. ეფენდის უხეშ სახეზე ცრუ ღიმილმა გადაჰკრა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— თავს მოვიჭრი, თუ მამასახლის ხაჩოს სახლში საეჭვო რამ იპოვებოდეს. თქვენ არ იცნობთ, როგორი კეთილი და კარგი კაცია!

ეფენდიმ ნახევარ ასის-თავი ოდაში შეიყვანა, პოლიციელები, ჟანდარმები და ჯარის კაცები-კი გარეთ დარჩნენ და კვალათ სახლის კარებებს დარაჯობდნენ.

— მამასახლისო! მიუბ'უნდა ეფენდი მოხუცს, — ეს კაცები მშივრები იქნებიან, უბრძანე, რომ სადილის სამზადისს შეუდგნენ. არაყი ჭარბათ უნდა იყოს, გესმის?

უკანასკნელი სიტყვები ეფენდიმ სომხურათ უთხრა. გახარებული მოხუცი გარეთ გამოვიდა. დიაღ, გ ხარებული, რადგან ქარიშხალი უკვე ჩამდგარი ეგონა.

მაგრამ არა, ქარიშხალი ჯერ არ ჩამდგა-იყო! ოსმალები მოხუცის საკინძეს ხელიდან ასე ადვილათ არ გაუშვებდნენ: ჯერ უნდა ეწვალებინათ, ეტანჯნათ, მთელი თვეობით ციხეში ჩაელპოთ და შემდეგ როგორც მათი სურვილი ამხილებდათ, ისე მოეპყრობოდნენ. მართალია, მოხუცის სახლში საეჭვო არაფერი უპოვნიათ და არც თუ სხვა რაიმე გასამტყუნებელი საბუთი ეპყრათ ხელთ, რომ მისი საძართალში მიცემა შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ ისიც ჰკმაროდა, რომ სომეხი იყო და ამას გარდა—მდიდარიც... ამისთანა მსუქანი მსხვერპლი-კი ოსმალეთის მოხელისთვის დიდი ბედნიერებაა.

ეს „ბოზბაში" თითონ თომას-ეფენდიმ „მოხარშა", ბ. სალმანიც თითონვე დაასმინა ახლათ მოსულ სამხედრო საქმეთა მწარმოებელთან. მოხუცის სახლის გაჩხრეკის ქსელიც ეფენდიმ გაბა, ამიტომ მოხუცის ამ ქსელიდან გამოხსნაც ადვილად შეეძლო. მაგრამ არა! თავისი ჯოჯოხეთური მიზნის მისაღწევად სცდილობდა საქმისთვის უფრო რთული ხასიათი მიეცა.

სადილის განკარგულების მისაცემათ რომ მოხუცი ოდიდან გამოვიდა, ნახევარ ასის-თავმა ეფენდის ჰკითხა:

— ეფენდი, თქვენ რას იტყვით? მე მგონია, ეს მოხუცი არაფერშია დამნაშავე.

— თქვენთვინაც ცხადია, ბეგო, — მიუგო მელა ძუამ, — რომ თომას-ეფენდი საქმის ასე ადვილათ გადამჭრელთაგანი არ არის. ჩემთვის საქმე ჯერ ისევ ბნელითაა მოცული. დარწმუნებული ვიყავი, რომ სახლში რაიმე საეჭვო საგანს ვიპოვნიდით, ანუ

რაიმე სამზადისის ნიშანს, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო იმის აღსნა, თუ რამდენათ თანაუგრძნობდნენ დატუსაღებულის (ბ. სალმანის) აზრებს,—მაგრამ გაოცებული ვარ, რომ სამართალში მისაცემათ ჯერ ხნობით არავითარი გამამტყუნებელი საბუთი არ აღმოჩნდა! მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავ: ჩვენ, სომხებს, ერთი საეკლესიო წესი გვაქვს, რომელსაც „განდობა“ ეწოდება,—მეც ესენი კარგათ უნდა გავანდო.... ეჭვი უფრო მოხუცის ორ შვილზე მაქვს და ერთს უცხოელზე, რომელიც აქვეა ჩამომხდარი.

— ეგ რომელი უცხოელია? — ჰკითხა ნახევარ ასისთავმა.

— ერთი რუსეთელი ახალგაზდაა, წრეს გადასული საშიშო ვინმეა და ჩვენი მთავრობის დაუძინებელი მტერი. აქეთ მხარეს ვაჭრის ნიღაბით დატანტალებს, მაგრამ ნამდვილათ-კი რუსეთის ჯაშუშია.

— თუ მართლა რუსეთის ქვეშევრდომია, მისი დატუსაღება ცოტა არა გაგვიძნელდება, უპასუხა ბეგმა.

— ომიანობის დროს ჯაშუშების დატუსაღება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. თქვენც ხომ იცით, რომ ჩქარა ომი უნდა გამოცხადდეს?

— ეგ ვიცი....

— ხსენებულ ახალგაზდის შესახებ მე კიდეც მოველაპარაკე მათ აღმატებულებას, სამხედრო საქმის მწარმოებელ ფაშა-ეფენდის. ნუ თუ თქვენთვის არაფერი უბრძანებია?

— ფაშა-ეფენდიმ მხოლოთ ის მიბრძანა, რომ ყოველი თქვენი განკარგულება აღსრულებაში მოვიყვანო.

— ძალიან კარგი,—თქვა ეფენდიმ და თან სახეზე სიამოვნების ღიმილი გამოეხატა: — რაც საჭირო იქნება, გეტყვით. მაგრამ ერთი სხვა საქმეცა მაქვს, ამას-კი შემდეგ გეტყვით.

— არა, ეფენდი, მე ძალიან მოუთმენელი კაცი ვარ,—უპასუხა ოსმალოს მოხელემ:—„შემდეგების“ ლოდნა არ შემიძლია.

— მაშ ყურში გეტყვით.

ბეგმა ეფენდის ყური მიუშვირა, თუმცა ოდაში სხვა არავინ იყო, რომ მათი ლაპარაკი გაეგონა. ეფენდიმ წასჩურჩულა: „მოხუცი კარგა მდიდარია. მოწველა უნდა“-ო...

ოსმალეთის მოხელეთა სუსტ მხარეს ეფენდი კარგად იცნობდა და ისიც ძალიან კარგად იცოდა, რომ მოქრთამე მხეცები საქმის ვითარებასა და მის დაწვრილებით და მიუდგომელ გამოკვლევას იმდენ ყურადღებას არ აქცევდნენ, რამდენსაც იმ გარემოებას, თუ საქმეს რა მიმართულება და რა სახე უნდა მისცემოდა, რომ ბრალდებულისაგან მეტის გამორჩენა შესძლებოდათ. ამიტომ თომას-ეფენდი ცდილობდა მოხელეთა აღნიშნულ ნაკლულევანებით ესარგებლნა და დაგებული მახე მიზნის შესაფერად ეთამაშებინა. ეფენდის ძალიან გაეხარდა, როდესაც შეატყო, რომ ნახევარ ასის თავს მისი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა.

— ეფენდი, როგორ გნებავთ, რომ საქმეს ისეთი მსვლელობა მივცეთ. უთხრა პასუხად ბეგმა?

— ბატონო ნახევარ ასის-თავო, თან საკმაო კაცები გყავთ, უბძანეთ, რომ მოხუცსა და მის ორ შვილს, ჰაირაპეტასა და აპოს, სასტიკი თვალყური ადევნონ. გარდა ამისა, უბძანეთ, რომ დაატუსაღონ რუსის ჯაშუშიც, რომელსაც სახელათ ვარდანი ჰქვიან.

ნახევარ ასის-თავმა ჰაირაპეტასი, აპოსი და ვარდანის სახელები ჩაიწერა.

— დღევანდელი თქვენი მოვალეობის აღსრულება—განაგრძო ეფენდიმ,—მარტო ერთი უბრალო გაჩხრეკა იყო, გამოძიება-კი ჯერ დასრულებული არ არის. მაშ ასე: ხსენებული პირები თქვენს მხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ, ვი-

დრე მათი აღმატებულება ფაშა - ეფენდი გამოძიებას დაამთავრებდეს.

— კეთილი.—უპასუხა ნახევარ ასის-თავმა.

— მე-კი სანამ შუამავლის როლი უნდა ვასრულო: თავი ისე უნდა მოვაჩვენო, ვითომ ბრალდებულთა მფარველი ვარ, რათა საჭირო სიტყვები და საბუთები დავაფქვევინო. გესმით?

— მესმის... გაიმეორა ნახევარ ასის-თავმა.

ბ. ეგნ[illegible]გულოვი

მეფე ლირი

„მეფე ლირი“ შეუძლებელია დაწერილიყო 1603 წელზე ადრე, რადგან ამ წელს გამოვიდა გარსნეტის წიგნი „გამხილება პაპის მაცთურებისა“, საიდანაც შექსპირმა ისესხა სხვა და სხვა მავნე სულების სახელები, რომლებსაც ასახელებს ედგარი თავის მოგონებულ სიგიჟის დროს. გარდა ამისა ვიცით, რომ „ლირი“ წარმოდგენილი იყო „გლობის“ თეატრში 1606 წლის 26 დეკემბერს; ასე რომ ლირი უნდა იყოს დაწერილი ამ ორის წლის შუა, ერთსა და იმავე დროს „მაკბეტთან“. მალე ამ წარმოდგენის შემდეგ გამოვიდა (1608წ.) სამი გამოცემა ამ ტრაგედიისა in 4⁰: ეს იმას ამტკიცებს, რომ პიესა ყველასათვის სასიამოვნო საკითხავი წიგნი იყო.

გადმოცემა მეფე ლეირის და მის ქალიშვილებს შესახებ ნაამბობი აქვს გოტფრედ მონმოუსს, რომლის სიტყვით ეს მეფე უნდა გარდაცვლილიყო 800 წელს ქრისტეს დაბადებამდის. მონმოუსიდან ლეირის ლეგენდა შეიტანა თავის წიგნში გოლინშედმა. ჯერ კიდევ შექსპირამდის იყო გადაკეთებული ეს ლეგენდა დრამათ. სტივენსმა ხელახლა გადაბეჭდა იგი თავის გამოცემაში: six old plays etc. დრამა პირველათ გამოვიდა 1594 წ. მაგრამ ალბათ უფრო ადრე იყო დაწერილი და ეწოდებოდა სახელათ: „the true chronicle history of king Le-

ir and his three daughters".*) დრამაში მოხუცი მეფე კითხვას აძლევს ქალიშვილებს, თუ რამდენათ უყვართ მათ მამა. მეფეს უნდა მშობლიურათ გამოეთამაშოს უმცროსს ქალს, მოატყვილოს, დაიჭიროს სიტყვაზე, როდესაც იგი დაუწყებს სიყვარულის მტკიცებას, რაიც სრულიათ მოსალოდნელია, და მისის სურვილის წინაამდეგ მიათხოვოს ბრიტანიის მეფეს. მაგრამ მეფე მოტყვილდება, წაართმევს მემკვიდრეობას უმცროსს ქალს და უკანასკნელი მითხოვდება საფრანგეთის მეფეს, რომელიც მოდის ინგლისში პილიგრიმის ტანისამოსში გამოწყობილი და შემთხვევით შეხვდება ლეირის ქალს. სუსტს და მოხუცებულს მეფეს ჯერ გონერილა გააგდებს სახლიდან; მერე ორივე და ტ მკვლელს მიუგზავნის მამას, რომელმაც უნდა მოჰკლას მეფეც და მისი ერთგული პერილლაც (იგრვეა, რაც კენტი შექსპირის პიესაში); მეფე და პერილლა ერთი-ერთმანეოისათვის შეეეედრებიან ჰკვლელს და იგიც შეიბრალებს მათ. ორივენი გაიქცევიან საფრანგეთში, სადაც შეხვდებიან მეფეს და კორდელიას, რომლებიც უბრალო სოფლელებათ გამოწყობილნი ზღვის პირად დასეირნობენ. შემდეგ ლირი დაბრუნდება ინგლისში და ქალიშვილები კი და მათი ქმრები განდევნილნი იქნებიან. ამ რომანტიულის თვისებიდან ეტყობა პიესას, რომ იგი უფრო ნაზის შინაარსისა, ვიდრე შექსპირის ტრაგედია. მისი მოქმედება ქრისტიანობის დროსაა; გონერილა იმას უჩივის მოხუცებულს, ჭკუათხელს და უდანაშაულო მამას, რომ ყოველთვის მლანძღავ, როდესაც ახალს ტანისამოსს ვიკერავ, ან ნადიმს ვმართავო. ლირი ტირილით წავა მისგან და ცრემლებიანი მიადგება კარს რეგანას, რომელიც ალერსით მიიღებს მამას, მუხლებზე დაუჩოქებს, გულში კი განიზრახავს მის მოკვლას.—საკვირველი არ არის, რომ ჩვენმა პოეტმა, რომელიც ცხოვრობდა უფრო განვითარებულს დროს, უფრო შესაზარად დაგვიხატა უმადურის შვილების ისტორია ვიდრე იმ პოეტმა, რომელიც განუვითარებელს დროს ეკუთვნის?

*) მართალი ისტორია მეფე ლეირის და მისის სამის ქალის შესახებ.

შექ პირმა მეტი სისასტიკე შეიტანა ტრაგედიაში ჯერ მით, რომ გააფართოვა პირვანდელი შინაარსი. ლირის ამბავს მიუმატა ეპიზოდი გლოსტერის შესახებ, რომელიც ამოიღო სიდნეის არკადიიდან (II, 10). კიდევ ერთის ოჯახის დაქცევა, სადაც ერთის მხრით საძაგელი შვილი წინააღუდგება მამას და ძმას, მეორეს მხრით მოტყვილებული მამა ამხედრდება უდანაშაულო შვილის წინააღმდეგ,—ყველაფერი ეს მშვენიერათ შეეფერება იმ უსამართლობას, რომელიც ლირმა მიაყენა თავის ქალს და რომელსაც განიცდის თვითონაც უმადურ ქალიშვილებისაგან. ეს ეპიზოდი, რომელიც ასე უახლოვდება ტრაგედიის უმთავრეს შინაარსს, შექსპირმა ნიჭიერათ და მოხერხებულათ შეუსისხლხორცა დრამის უმთავრეს მოქმედებას, ისე რომ ორი სიუჟეტი შეერთდა, გარდაიქმნა ერთათ; მაგრამ შეერთების გამო შექსპირს არ შეეძლო არ მიეცა ტრაგედიისათვის უფრო სასტიკი ხასიათი. მართლაც, იმ სიყვარულისა და სამსახურისა გამო, რომლით შეუკავშირა შექსპირმა გლოსტერის უკანონო შვილი საშინელს დებს, გონერილა განიზრახავს თავის ქმრის მოკვლას და დის მოწამვლას. ეს სიყვარულივე იწვევს კორდელიის სიკვდილით დასჯას და თვითონ ლირის სიკვდილს. ამ სამის და ოთხის ოჯახობის დაქცევას უფრო ლრმა საფუძველი აქვს,—სახელმწიფო განხეთქილება. ლირის ქალიშვილებს საიდუმლო შეთქმულობით განუზრახავთ შეაერთონ დანაწილებული სახელმწიფო, რომელსაც გარედან საფრანგეთი ემუქრება. საიდუმლო შეთანხმება, რომელიც არსებობს კორდელიასა და ინგლისის დიდკაცობასა შორის, იწვევს გლოსტერის მხეცურად დაბრმავებას და შემდეგ კორნვალის ჰერცოგის სიკვდილს. თუ ეს პიესა შექსპირის სხვა პიესებზე უფრო საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს თავის მრავალის ველურ და ბუნების წინააღმდეგის დანაშაულობით, კიდევ უფრო საზიზღარია ეგი იმ საშუალებებით, რომლითაც სრულდება სხვა-და სხვა დანაშაულობა პიესაში. გლოსტერის დაბრმავებას, როდესაც მის თვალებს ფეხით გასრესენ სცენაზე, თვითონ კოლრიჯი—მუდმივი დამცველი შექსპირისა, სთვლიდა ისეთ სცენათ, სა-

დაც ტრაგიკული მოქმედება მიყვანილია უკიდურესობამდი, შეშაძრწუნებელის ეფექტის nec plus ultra-მდის. ბევრის კრიტიკოსის აზრით უნაყოფოთ სასტიკია ის საშუალება, რომლითაც მოკლავენ კორდელიას, და თვითონ სიკვდილიც კორდელიის. ერთი ინგლისური ბალლადა, რომელიც, ეტყობა, ტრაგედიის შემდეგაა შეთხზული, გვიხატავს კორდელის სიკვდილს. უფრო კეთილშობილურად — კორდელია კვდება ბრძოლის ველზე. რესტავრაციის დროს საზოგადოებისათვის აუტანელი იქნებოდა ასეთი ტრაგიკული კატასტროფაც. ამიტომ გადააკეთეს ეს პიესა ტეტმა და კოლმენმა, და ბევრს გადაკეთებულ პიესებში ჩვენ ვხედავთ, რომ ედგარდს უყვარს კოდელია, და ტრაგედიას შერიგებითი დასასრული აქვს მიცემული, როგორც სჩვევია კომედიებს. ჯონსონმა და ზოგიერთმა სხვა კრიტიკოსებმა მოიწონეს ასეთნაირი გადაკეთება და გარრიკის დროსაც „ლირს“ ამ სახით არდგენდნენ: აღტაცებით ეგებებოდა საზოგადოება „კორდელიის მოსაკლავათ მოგზავნილ მტარვალის მოკვლას თვითონ ლირის მიერ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაკი შექსპირმა დასწერა ასეთი პიესა და იგი მოსწონდათ მის დროს, ეს დრო ბარბაროსული დრო იყო? ან ის რომ შექსპირი, თუმცა მაღალის ნიჭის პატრონი იყო, მაინც ვერ აცდა თავის დროის გავლენას? ან შეიძლება, შექსპირმა განგებ აამა მაშინდელ დროის გემოვნებას? ჩვენ არ ვეთანხმებით არც ერთს ამ აზრს. რომ მაშინდელი დრო განვითარებას არ იყო მოკლებული, ეს სჩანს იმ დროის მდიდარ მწერლობიდან; მართალია, მაშინდელს დროს ემჩნეოდა ცოტაოდენი ველურობა, მაგრამ უსამართლობა იქნება ველურის სახელი ვუწოდოთ იმ საუკუნეს, როდესაც გაჩნდა ასეთი საკვირველი კაცი, როგორიც იყო შექსპირი? უფრო მართალი იქნება, ვსთქვათ, რომ მაშინ ნერვები უფრო მაგარი და ჯანმრთელი ჰქონდათ, საზოგადოების სულიერი მდგომარეობა და ისტორიული სინამდვილე წარმოადგენდა მეტს ტრაგიკულს შინაარსს, ადამიანის სიცოცხლეს-კი იმდენი ფასი არა ჰქონდა, და ყველაფერი ეს ხელს უწყობდა

ტრაგიკულის პოეზიის განვითარებას. ტრაგედია მხოლოთ მაშინ განვითარდება და აყვავდება და იქ, სადაც მას ხელს უწყობს საზოგადოების სულიერი მდგომარეობა: წყნარი, ბედნიერი მშვიდობიანობის დრო ვერასოდეს ვერ დაბადებს დიდებულ ტრაგედიებს. მაგრამ შეიძლება ვსთქვათ, რომ შექსპირი დროებით დაემორჩილა თავის დროის ველურ ხასიათებს, როდესაც სწერდა „ლირს“? შეუძლებელია, ასეთი დაცემა ვიფიქროთ იმ შექსპირის შესახებ, რომელმაც დასწერა რამეო და ჯულიეტა, ჰამლეტი და ციმბელინი. თუ დავეთანხმებით კოლრიჯს, რომ შექსპირმა განავითარა „ლირში“ ტრაგიკული შინაარსი უკიდურესობამდის, მაშინ ხომ იმის ბრალი უნდა დავდვათ შექსპირს, რომ მან, მხატვარმა, ხელოვნების ღირსება მსხვერპლათ შესწირა გაველურებულ შეხედულობას. თუ ცოტაც არის, რაშიმე დაამცირა მან თავის ხელოვნების ღირსება, მაშინ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ბრბოს საამოთ სწერდა. მაგრამ თუ დაკვირვებით შევისწავლით შექსპირის პიესებს, დავინახავთ, რომ უბრალო სახალხო პიესების ქუჩურ კარიკატურებსაც-კი ჯკეთილშობილებდა კომედიებში და აძლევდა მათ მაღალის მხატვრობის თვისებებს. და განა არ შეეძლო ამ პოეტს სულ სხვა ხასიათი მიეცა თავის შემოქმედებისათვის და უმაღლესის სამხატვრო და ზნეობრივ მიზნებისათვის ესარგებლნა იმ საშინელის ამბებით, რომლებით სავსეა მის წინა დროის ველური ტრაგედიები? განა მას არ ჰქონდა უფლება გაეხადა თავის ხელოვნურ ნაწარმოების უმთავრეს საგნათ უკიდურესობამდის მოსული საშინელი და ველური ვნება? შეიძლება, ასეთს დიდებულს პოეტს არ ეგრძნო, რომ უმაღლეს გენიოსურ მოქმედებას შეუძლია სავსებით გაშალოს ფრთები და თავისუფლათ იმოქმედოს მხოლოდ უკიდურესის და უძლიერესის ვნების გამოხატვაში? განა შეიძლება, ვიფიქროთ, რომ შექსპირმა არ იცოდა, თუ ძველი ტრაგიკოსები რისთვის იღებდენ შინაარსს უძველესის გმირულ დროიდან, სადაც მათ შეეძლოთ დაეხატათ ძლიერი ადამიანები, აღჭურვილნი ძლიერის სულით, ვნებით და მისწრაფებით? ნამდვილათაც ყველასგან

აღიარებულია, რომ შექსპირის მხატვრულმა ნიჭმა იმ ტრაგედიებში მიაღწია უმაღლეს ხარისხამდის, სადაც გვიხატავს ამ აღვირ-აშვებულს კაცობრიობას: მაკბეტში, ჰამლეტში და განსაკუთრებით „ლირში“. ყოველს შემთხვევაში, როგორც ეს გვესმის და ვკითხულობთ ყველგან, „ლირი“—შექსპირის უდიდებულესი და უმაღლესი ტრაგედიაა. რა აღტაცებით ლაპარაკობს, მაგალითათ, შლეგელი ამ „გენიოსის არა- ადამიანურ აღმაფრენაზე“, „მიუწდომელის სიმაღლის და განუზომელის სიღრმის სულის შთაჭვრეტაზე“. ასეთი და სხვა მრავალი აღტაცება წარმოუთქვამთ ან უსაყვედურო შინაარსის გადამეტებულის სასტიკობის წინაამდეგ ან თვითონ ასეთის საყვედურების წინაამდეგ, ამიტომ უფლება გვაქვს ვკითხოთ ჩვენს თავს: ამ აღტაცების მიზიზი ხომ არ არის სიდიადე შინაარსისა, საშინელება და სისასტიკე ტრაგედიისა და აგრეთვე მისი მოქმედების უკიდურესი განვითარება?

ტრაგედიას ყოველთვის სულ სხვა (წინაამდეგი) საგანი ჰქონდა, ვიდრე ეპოსს. ეპოსი გვიხატავს ადამიანების დიდებულს საქმეებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება განგების კეთილს განზრახვას და მიზანს, იმ ადამიანებისა, რომლებიც არიან იარაღნი ბედის წერისა, საყვარელნი პირნი ღმერთებისა. ტრაგედია, პირიქით, გვიხატავს ყოველთვის ადამიანის უთანხმოებას განგებასთან, ბედის წერასთან. ტრაგედიაში ყოველთვის ვხედავთ ამაყს, ამპარტავანს და მასთან ძლიერს ადამიანებს, რომლებიც წინააღუდგებიან ღვთისა და კაცის კანონებს, რისთვისაც ღმერთები სჯიან მათ. ბედის წერას, განგებას ჩვენ აქ ვეწოდებთ არა იმ ბრმა გარეგან ძალას, რომელიც ათამაშებს ადამიანს, როგორც ყოველგვარს ნებას და დამოუკიდებლობას მოკლებულს. შექსპირის ბედის წერა იგივეა, რაც ადამიანის საკუთარი ბუნება. ასეთი ბედის წერა ბატონია ჰამლეტის, ოტელოს და მაკბეტის. საკუთარი ვნებანი,—აი ის ძაფები, რომლებისაგან მოქსოვილია მათი ცხოვრება. რაც უფრო ძლიერია ეს ვნება, მით უფრო—იზიდავს იგი ჩვენს ყურადღებას; რაც უფრო გაბედული იყო ის დანაშაულობა,

რომელსაც იწვევდა ვნება, მით უფრო სწრაფი იყო დრამატიული მოძრაობა, მით უფრო რთული იყო ნასკვი, მით უფრო ცხადი იყო მოქმედების საშინელება, მით უფრო ტრაგიკული იყო კატასტროფა. მეორეს მხრით, რაც უფრო კეთილშობილური იყო ენების საფუძველი, მით უფრო დიდი იყო შტაბეჭდილება შეცდომისა და დანაშაულობისა, მით უფრო ღრმა იყო ჩვენი თანაგრძობაც. ჩვენ ვხედავთ, რომ იმდენათ ღრმაა შთაბეჭდილება სასცენო მხატვრულ ნაწარმოებისა, რამდენათ ფართოა, ძლიერი, ღრმა წარმოდგენილი ვნება. მაგრამ შთაბეჭდილება თუ უდრის დახატულს საგანს, მიტომ რომ აქ პოეტური გენიოსებაც, რომელმაც ახმარს საგანს მთელს თავის ღრმა სულს და გონებას. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ პოეტი თან და თან მაღლდება, როდესაც გვიხატავს იმ საშინელის ცთუნებას, რომელიც აცდენს ისეთს კეთილშობილს ადამიანს, როგორიც არის მაკბეტი და სხ. ეს ამაღლება პოეტისა უფრო და უფრო ძლიერდება „ლირში“ საგნის გაფართოვების დაგვარათ. ჰამლეტსა და მაკბეტში, ოტელლოსა და ტიმონში ყველაფერი ერთის უმთავრესის ხასიათის გარშემო ტრიალებს. „ლირსა“ და ციმბელინში-კი შექსპირს უფრო ვრცელი შინაარსი აქვს აღებული. თუ იმ ტრაგედიებში საქმე ერთის ვნების განვითარებაა, „ლირსა“ და ციმბელინში დახატულია მთელი საუკუნეები და თაობანი. ორი და სამი მოქმედება შეერთებულია აქ; ერთნაირის მნიშვნელობის და ერთნაირათ მიმზიდავი ხასიათები მოძრაობენ ერთათ; ეს მეტს ღირსებას აძლევს დრამის ფაქტიურს მხარეს. კარგათ და განცალკევებით რომ დაუკვირდეთ რომელისამე კენტის ან ოსვალდის მოქმედებას, დავინახავთ, რომ ძლიერ ბევრი ფაქტიური შინაარსია უბრალო რამეებშიც, რაიც მკითხველმა, შეიძლება, არც-კი დაინახოს პირველის შეხედვით. აი ამიტომ ეს პიესები (ლირი და ციმბელინი) უფრო მდიდარია მოქმედებით ვიდრე სხვა პიესები, ამიტომ უფრო მეტი ეპიკური ხასიათი აქვს მათ, ვიდრე ისტორიულ პიესებს, ამიტომაც უფრო არა ჰგვანან ისინი ანტიკურს დრამას, ვიდრე

სხვა პიესები შექსპირისა. ეს შინაარსის სიმდიდრეა მიზეზი, თუ რატომა ცოტა ამ პიესებში სენტენცია, რომელმაც უნდა განმარტოს ტრაგედიის აზრი; ამ პიესებში თვითონ მოქმედებამ უნდა აგვიხსნას ყველაფერი, ამიტომაც აქ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფაქტიურს მხარეს ისე, როგორც ხასიათების ფსიხილოგიურს განვითარებას.

მაგრამ ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, თუ როგორ ნაზათ და თან და თან უახლოვდება შექსპირი ამ თავის ძლიერ და მაღალ ტრაგიკულ ხასიათების დახატვას. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენის პოეტის წინანდელ ნაწერებს, დავინახავთ, რომ რომეოში დაგვიხატა ვნება თუმცა მშვენიერი და სწრაფი, მაგრამ არა მამაცურ-დიადი; დავინახავთ, რომ მისი რიჩარდა II—სუსტი ადამიანია: რიჩარდ III არა ჩვეულებრივი ადამიანია მხოლოთ თავის სიმდაბლით, და მეფე იოანნე მცირედაა დამოუკიდებელი პირი. და როდესაც პოეტმა მიიხედ-მოიხედა საზოგადოებასა და ისტორიაში ისეთის ხასიათების გამოსანახავათ, რომელნიც აღჭურვილნი უნდა ყოფილიყვენ სრულის ძალით, რომ ამ ძალიდან აღმოცენებულიყო დემონური ვნება, რაც ესაჭიროებოდა პოეტს უმაღლეს ტრაგიკულ მიზნისათვის,—მან ვერ ჰპოვა ასეთი ხასიათები ვერც მისის დროის განათლებულ საზოგადოებაში და ვერც ახლობელ წარსულში. თუ დიდმა ომებმა არ შეარყიეს ჩვენი მყუდრო ცხოვრება, ჩვენ ვხედავთ ტრაგიკულ და უსაზღვრო ვნებას მხოლოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საზოგადოების ველურ წრეებში. ასეთი შემთხვევები იშვიათია და თან საზიზღარი; ამიტომ ძალდატანება და არა-ბუნებრივობა ემჩნევა იმ ხელოვნურ ნაწარმოებს, რომელსაც შემოაქვს ეს ველურობა ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში, როგორც ეს არის შილლერის „ყაჩაღებში“.

ასეთი განსაკუთრებული შემთხვევა ჰპოვა შექსპირმა ოტელოში: აქ დაგვიხატა ველური ადამიანი ევროპის განათლებულ საზოგადოებაში, მაგრამ აქაც, ვგონებთ, უმრავლესობა შეურაცხყოფილი იყო უფრო იმ არევ-დარეულობით, რომელიც შეი-

ტანა საზოგადოებაში ამ მოშინაურებულმა ველურმა, ვიდრე იაგოს საზიზღრობით, იმ იაგოსი, რომელიც ეკუთვნოდა ამ საზოგადოებას. იულიოს კეისარში კი შექსპირს ჰქონდა უკვე ისეთი ეპოქა და წრე, რომელიც შესაფერისია ტრეგიკულ ამბებისათვის. გმირული ხალხი შორებული წარსულში, განათლებული, თუმცა მეტად მებრძოლი დრო, განხეთქილება მოქალაქობრივის ომების და სახელმწიფო არეულობის გამო—ყველაფერი ეს წარმოადგენს ისეთს ნიადაგს, რომელსაც ეძებდა შექსპირი და რომელსაც კიდევ დაუბრუნდა შემდეგ ორჯერ. მაგრამ ასეთი ხანაც ჯერ კიდევ ძლიერ განვითარებული იყო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მაშინ ვნება თავის ბუნებრივის ძლიერებით და სრულიად თავისუფალი და აღვირაშვებული. მხოლოდ თავის მაკბეტისა და ჰამლეტისათვის მიმართა შექსპირმა გალების და გერმანელების გმირულს და მითიურს ეპოქას. ამ გვარათვე ძველი მწერლები ეძებდნენ ტრაგიკულ შინაარსს ცივილიზაციის გაღმა, ტროის დროის წინა საგებში და საშინელი ისტორია ლაის და ტანტალის ოჯახობათა იყო ის წყარო, რომლითაც ყველაზედ უფრო სარგებლობდა ანტიკური ტრაგედია. როდესაც პოეტი გადაგვასახლებს ხოლმე ასეთს ეპოქაში, ისტორიული ტაქტი გვაგრძნობინებს სიამოვნებას ამ გმირულ პირებს ხილვით, ამ უზომოთ ამაღლებულის კაცობრიობით, ამ ნახევარ-ღმერთებით და ტიტანებით; ბუნებრივათ მიგვაჩნია ასეთის ადამიანების ვნებათა და მისწრაფებათა ძლიერი განვითარება; ჩვენ არ გვაწუხებს მათის მოქმედების გადამეტებული სისასტიკე, რადგან ვგრძნობთ, რომ იმ დროში უფრო მეტის ტვირთის და ტანჯვის ატანა შეეძლოთ. ამასთანავე შეცდომაში არ შევყავართ იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ადამიანების არსებობა მითია, შეთხზული ამბავი, და ვითომც იმდენათ განსხვავდებიან ისინი ნამდვილ ადამიანის ბუნებისაგან, რომ შეუძლებელი იყოს მათი არსებობა. დანამდვილებით ვიცით ბურგუნდიის და მეროვინგთა სამეფო სახლის ისტორიიდან, რომ ასეთი ეპოქები და ასეთი საშინელი ოჯახური ამბები, რომელთა, შესახებ ვკითხულობთ „ლირში“, რამდენისამე საუკუნის

განმავლობაში არსებობდა ქრისტიანე ადამიანებსა შორის; რომ ძველის ტრაგედიის ტანტალის ბოროტებანი ბუნებითათ სრულებით არ წარმოადგენს არც მითს და არც გამოგონებულს ამბავს. აი ასეთს დროში გადაგვიყვანა შექსპირმა ყველა თავის ტრაგედიაზე უფრო ტრაგიკულ ნაწარმოებში და შეიძლება მისის გენიოსობის ინსტიქტიური სიდიადე არსათ არ გამოხატულა ისე, როგორც ამ პიესაში. უკვე აღვნიშნეთ ზევით, რომ მაკბეტსა და ჰამლეტში შექსპირმა მიგვიყვანა ამ ეპოქების სამზღვრამდე, თითქოს იმ განზრახვით, რომ მოამზადოსო განვითარებული საზოგადოება უფრო სასტიკის შინაარსის შესათვისებლათ.

ჰამლეტში შექსპირმა წარმოგვიდგინა ისეთი ადამიანი, რომელიც განშორებია ამ გვარ ველურ დროს!, მაკბეტში კი დაგვიხატა მეორე ადამიანი, რომელიც ეწინაამდეგება მოახლოებულ მშვიდობიან საუკუნის გავლენას და მტკიცეთ იცავს ველურის დროის ჩვეულებებს. „ლირში“ გადავყავართ ამ ველურ საუკუნეში და გამოჰყავს ჩვენს წინაშე ადამიანები, რომლებშიც მკვდარია და ულონო გონება და სინიდისი და რომელთააც არ ძალუძთ რაიმე წინაამდეგობა გაუწიონ სისხლის დუღილს. ასეთივე ადამიანები დაგვიხატა ციმბელინშიც, მხოლოდ იქ ისინი უფრო განვითარებულნი არიან და წინაალმდეგ „ლირისა“, მოეპოვებათ ზნეობრივი ენერგია, რომელიც მეტად ძლიერია და შეუძლია დასძლიოს ამგვარათვე ძლიერ ვნებათა ღელვა. აქედან სჩანს, რომ „ლირში“ პოეტს განზრახ უნდოდა ვნების უზომოთ განვითარება, შემთხვევით არ არის აგრეთვე დახატული ამ პიესაში კორნვალისის ჰერცოგის ბარბაროსობა: მეორე ასეთი მაგალითი არ მოიპოვება ჩვენის პოეტის არც ერთს პიესაში.

კენტსავით კადნიერს და თავზე ხელ-აღებულს არ დაგვიხატავდა სხვა დროის ადამიანს; შვილების უმადურობას და უძლიერესის ბუნებრივის მამაშვილურის კავშირის გაწყვეტას არ წარმოგვიდგენდა სხვა ცხოვრების დახატვის დროს. მისის პიესების მომქმედ პირთა უმრავლესობა არაა საზიზღარი და

მოკლებული ყოველსავე სინიდისის ნასახს. პირიქით ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც რიჩარდი და იაგოა, არ არიან მთლად მოკლებულნი სინიდისს: „ადამიანი არის ისეთი, როგორიც არის მისი დრო“. ამბობს ედმუნდი ჩვენს პიესაში: „ხმალს არ შეჰფერის ნაზი გრძნობანიო“.

ჩვენის პოეტის შეხედულობითაც ნაზი გრძნობები არ შეჰფერის რკინის დროს, როდესაც ენება უზომოთ განვითარებულია და ბიწიერებას არ აქვს საზღვარი.

რომ ამ პიესაში ჩვენ გადავდივართ ასეთ საუკუნეში, ეს მაყურებელმა უნდა იგრძნოს თავიდანვე სცენის მოწყობილობით. ტიკმა სთქვა ამ პიესის შესახებ: ტანისამოსები სულ ერთიაო. ამაზე უფრო შემცდარი აზრი შეუძლებელია. როდესაც „ლირში“ ვხედავთ პარიკების დროის სახლებს, სახლის ბრწყინვალე მოწყობილობას და რაინდების ისპანურ ტანისამოსებს, მაშინ ყოველივე ილუზია იკარგება. პირიქით, უშნო არქიტექტურის ოთახებს, ველურ და უდაბურ ადგილებს, ჭუნნურ სისასტიკეს სახეებისას და ტანისამოსების ველურობას, რომელსაც ცოტათი აღმოსავლეთის მედიდურობაც უნდა ემჩნეოდეს,—ყველაფერს ამას შეუძლია იქონიოს ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც მოგვამზადებს იმ შთაბეჭდილებისათვის, რომელსაც იქონიებს ჩვენზე ამ პიესის ადამიანების მოქმედება. შექსპირი, რომლის დროს არ იყო ასეთი სასცენო მოწყობილობა, თვითონ ხედავდა საჭიროთ, დაეხატა პიესის დროის თვისებები პირველ სცენებში მოქმედ პირების სიტყვებით მაინც. ედმუნდი უხატავს ძმას ამ დროს, როდესაც მოუყვება გამოგონებულ წინასწარმეტყველობას, რომელიც უქადის ქვეყანას სიკვდილს, სიმშილს, ძველებურ მეგობრობის მოსპობას, განხეთქილებას სახელმწიფოში, წყევას და მუქარას მეფეს და თავად-აზნაურობას, უნდობლობას, მეგობრების განდევნას, უთანხმოებას ჯარებში და ცოლ-ქმრების განშორებას. მოხუცი გლოსტერიც ამბობდა წინათ (და ამბობდა, რაც ნამდვილად იყო), რომ აღარ არის სიყვარული და მეგობრობა, ძმები

შორდებიან ერთმანეთს; ქალაქებში ამბოხებაა, სახელმწიფოში განხეთქილება, სასახლეებში ღალატი. გაწყვეტილია კავშირი შვილსა და მამას შორის. მის საკუთარ სახლში შვილი წინა აღუდგება მამას; მეფემ დაჰკარგა სამართლიანობის გრძნობა და მამამ აღმართა ხელი შვილის წინააღმდეგ. „ჩვენ ვნახეთ, ამბობს გლოსტერი: „ჩვენი დროის სიმშვენიერე: ვერაგობა, ღალატი და ყოველგვარი უგულობა“.

ეს არის იმ დროის მკრთალი სურათი, რომელიც შემდეგ უფრო ფართოთ და გარკვევით გადაიშლება ჩვენ წინ, და ჩვენ ვხედავთ უსაშინლეს სასტიკობას, დემონურ ვერაგობას, უდიდეს უმადურობას, უსაზღვრო რისხვას და სიფიცხეს. ეს დრო კერპთაყვანის მცემლობის დროა და შექსპირი დიდს ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას. ბუნება არის ლირის ღვთაება ისე, როგორც ედმუნდისათვის; შემთხვევა მეფობს ცათა შინა, დედამიწაზე-კი გაბატონებულია ძალა და ძალმომრეობა. ამ დროის საუკეთესო ადამიანებს არა აქვთ არავითარი წარმოდგენა არც შინაგან ძალაზე, არც კეთილშობილურ მოსწრაფებაზე, არც თავის დაჭერაზე, არც ზნეობრივ საფუძველზე, რომლებითაც შეიძლება ადუღებულის სისხლის დამშვიდება, გადამეტებულის ვნების შეკავება. ყოველი საქმე, საუკეთესო ადამიანების ყოველივე საქციელიც კი ფატალისტურად ბუნების და ვარსკვლავების ბრალია. გლოსტერის შეხედულობით მზისა და მთვარის დაბნელება იწვევს ყოველგვარს უბედურებას; პატიოსანი კენტის აზრით კი ლირის ქალიშვილების ხასიათების სხვა და სხვაობა გვიმტკიცებს, რომ არც აღზრდა, არც სისხლი არა ჰქმნის ადამიანის ხასიათს, არამედ ვარსკვლავები. მხოლოთ ყველაზე უფრო ბოროტი, თავისუფალის აზრის ედმუნდი დასცინის ბიწიერების და ვნების ასეთნაირათ გამართლებას, დასცინის მიტომ, რომ კარგათ გრძნობს თავის ნებას და სულის ძალას, თუმცა ამ ძალას ბოროტ საქმეებისათვის ხმარობს. მან თუ გააბატონა თავისი ეგოიზმი თითქოს რაღაც მოსაზრების გამო, სხვები კანონათ აღიარებენ ბოროტ ცხოვრებას და არ იციან სრულებით, თუ რა არის სინდისის ქენჯნა და ზნეობრივი

ტანჯვა. ეს ისეთი დროა, რომლის შესახებ მაკბეტმა თქვა: თუ დასჭრიდენ ვისმე, დასჭრიდენ სასიკვდილოთ". არც ერთს ავაზაკს არ სტანჯავს სინიდისის ქენჯნა არც დანაშაულობამდის, არც დანაშაულობის ჩადენის დროს, არც შემდეგ. არავითარი შიში შედეგებისა არ აკავებს ამ დროის ადამიანებს. აქ ვერ შევხვდებით ძლიერის ფანტაზიის, მაღალის წარმოდგენის, ნაზის ზნეობრივის ბუნების ჰამლეტს და მაკბეტს. ეს ქალიშვილები ლირისა, ედმუნდი, ეს კორნვალი, ეს ოსვალდი,—კვდებიან სრულიათ უსინანულოთ მას შემდეგ, რა-კი ვერ განახორციელეს თავიანთი სურვილები. საუკეთესო ადამიანები, როგორც ლირი და გლოსტერი, მაშინ როდესაც მათი ბიწიერება მათშივე ჰპოვებს ბუნებრივს სასჯელს, ბედნიერებიდან სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და ერთი ჭკუიდან შეიშლება და მეორეს ღმერთების სათამაშოთ მიაჩნია ადამიანები. ეგევე მოუვიდა მაკბეტს: მასაც უნდოდა თავში მსხვერპლათ შეეწირა მომავალი ცხოვრება, რათა აქ დამსტკბარიყო ბრწყინვალე ცხოვრებით; მაგრამ როდესაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ის ცხოვრება, რომელსაც ოდესღაც გაბრწყინვებულათ ხედავდა, ეხლა მოეჩვენა მხოლოთ ჩრდილათ მოარულათ, სულელის ენით მოთხრობილ ამბათ, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთ დროში ყოველი ადამიანის თვისება უკიდურესობამდის ვითარდება. სიკეთეც, სადაც-კი არის, ერთგულობა, გულ-ახდილობა, სიმშვიდე—ყველაფერი გადამეტებულია. ამ დროის კაცობრიობა ისეთია, რომელსაც არ შეხებია არავითარი კულტურა, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც რელიგიის დადგენილებაზე, არცა ზნეობის კანონზე.

პირველ დროში ერთათ ერთი კანონი, ერთათ ერთი გამაწესრიგებელი და გამსაზღვრელი არის ოჯახი. ეს სისხლის ნათესაობა ამშვიდებს კერძო პირებს ეგოიზმს და პატივის წყურვილს. მაგრამ აქ („ლირში") ეგოიზმი სწყვეტს ბუნების ამ უძლიერესს კავშირსაც. ფიცხს მამას უნდა ყველაფერი შესწიროს შვილებს და უმადურობას კი მოიპოვებს მათის მხრით, განრისხებული

წინააღუდგება სიმართლეს და ერთგულობას და თავის გულ-კეთილობას იჩენს პირფერობასა და სიცრუეს თან, რის გამო თვითონაც უსაშინელეს შეურაცხყოფას მიიღებს. ამასთანავე წყნარმა მამამ აღზარდა გველი—თავისი უკანონო შვილი, რომელსაც უნდა დაღუპოს იგი და მისი კანონიერი შვილიც. ძმა ძმის წინაამდეგ, და დის წინაამდეგ, შვილები მშობლების წინაამდეგ და მშობლები—შვილებისა, ყველანი ერთმანეთის წინამდეგ მიდიან, ერთი მეორეს დევნის: ესაა უსაშინელესი სურათი ადამიანის სიმხეცისა! ისეთი ადგილი უკავია ოჯახების განხეთქილებას პიესაში, რომ კაცს ეგონება, ვითომც შვილების უმადურობა შეადგენდეს პიესის უმთავრეს იდეას. მაგრამ პიესის აზრი ნამდვილათ უფრო ფართოა და ოჯახური განხეთქილება უფრო სხეულია პიესისა, ვიდრე სული. ამგვარ განხეთქილების გამო შინაარსი მეტს საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე მოახდენდა მაშინ, როდესაც ასე დაახლოვებული პირები არ იქნებოდენ ერთმანეთის ძტრები. მრავალი ბოროტება, რომელიც ხდება ახლო ნათესავებსა შორის, შლეგელის სიტყვით, წარმოგვისდგება რაღაც დიად ზნეობრივ ამბოხებათ; საშინელი სურათი გვეხატება წინ და ვგრძნობთ ისეთს შიშს, რომელსაც ვიგრძნობდით, პლანეტები რომ თავის წრიდან გამოვიდნენ და სულ სხვა გზით დაიწყონ სიარული.“

(შემდეგი იქნება).

უცხოეთის მიმოხილვა

1. რუმინიის მეფე კარლოს ჰოჰენცოლერნი.—2. ირლანდია.—3. გერმანიის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა.—4. „ევროპის ფედერაცია“.

ეხლახან შტუტგარტში გამოსულა ოთხ-ტომიანი მოგონებანი რუმინიის ეხლანდელ მეფის კარლოს ცხოვრებიდან. როგორც სჩანს, ავტორი ამ წიგნისა თვით მეფე უნდა იყოს, რომელსაც ბავშვობიდან ჩვეულება თურმე აქვს „დღიური“ იქონიოს.

„მოგონებანი“ ბევრის მხრით არის საინტერესო; ბევრ შესანიშნავ პირების წერილია შიგ მოყვანილი (ვილჰელმ პირველის, ბისმარკის, ნაპოლეონ მესამის, ალექსანდრე მეორის, კრონპრინც ფრიდრიხის და სხვების); განსაკუთრებით ძვირფასია ეს წიგნი რუმინიის ახალ ისტორიისათვის 1866 წლიდან დაწყებული.

როცა სამოცდა ექვსში კარლოს ჰოჰენცოლერნი რუმინიის მეფედ აირჩიეს, მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა; განსაკუთრებით წინააღმდეგი ავსტრია იყო. პრუსიის მეფე ვილჰელმ პირველი ვერ ურჩევდა თავის ნათესავს რუმინიის ტახტის მიღებას. სამაგიეროდ ბისმარკი სულ სხვა აზრისა იყო და შეაგონა კიდეც კარლოსს რუმინიაში წასვლა. „მთელმა ერმა აგირჩიათ მთავრად და თქვენც მიჰყევით ამ მოწოდებასო, ეუბნებოდა ბისმარკი კარლოსს; წადით იმ ქვეყანას, რომელმაც ამოგირჩიათ. რა კი თქვენი უმაღლესობა რუმინიაში იქნება, კითხვაც გადაწყდება: წინააღმდეგი სახელმწიფოები, რასაკვირ-

ველია, პროტესტს განაცხადებენ, მაგრამ პროტესტი ქაღალდზე იწერება და სინამდვილე კი სინამდვილედ რჩება—მას ველარ გამოაბრუნებენ“ო.

ბისმარკი კარგად იცნობდა ევროპას საერთაშორისო დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების ხასიათს და მისი წინასწარმეტყველებაც გამართლდა; პროტესტი ცალიერ პროტესტად დარჩა და კარლოს ჰოჰენცოლერნი რუმინიის მეფედ.

რუმინიის ახალი მთავარი გონიერი და წინდახედული მართველი გამოდგა. დიდ ღირსებად ჩაეთვლება კარლოსს, რომ არასოდეს არ უღალატნია ფიცისათვის და არ დაურღვევია თავის სამეფოს კონტიტუცია, თუმცა შემთხვევა ბევრი ჰქონდა ჯერ კიდევ მოუწყობელ და კანონიერებას არ შეჩვეულ რუმინიაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო რუმინიის გარეშე პოლიტიკა გვაინტერესებს.

ავიდა ტახტზე თუ არა, კარლოსს ყოველის მხრიდან ურჩევდნენ რუსეთის დაახლოებას და მეგობრობას; ასეთ მრჩეველთა შორის იყვნენ ვილჰელმ პირველი და ბისმარკიც, მაგრამ ახალმა მთავარმა მრჩეველებს არ დაუჯერა—იგი მუდამ ეჭვის თვალით უცქეროდა რუსეთის პოლიტიკას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ძლიერი რუმინია სრულებით არ იყო სასურველი რუსეთის იმპერიისათვის.

მართალია, კარლოსმა სიხარულით მიიღო მონაწილეობა რუს-ოსმალთა უკანასკნელ ომიანობაში (1878), რომ რუმინიის სრული დამოუკიდებლობა ეშოვა (მანამდე რუმინია სამთავრო იყო და არა სამეფო და ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა), მაგრამ ბერლინის კონგრესიდან დაწყებული რუმინიის პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგია უცვლელად. რუსეთის დიპლომატიამ ბერლინის კონგრესზე ისე იმოქმედა რუმინიის საზოგადოების აზრზე, რომ რუსოფილებმა სრულებით დაჰკარგეს ნიადაგი და ამ გვარად მომზადდა ჯერ ავსტრიასთან და შემდეგ სამთა კავშირთან დაახლოვება და დაკავშირებაც, როგორც ეს ეხლა ხან გამომჟღავნდა.

1878-იდან რუმინიის გარეშე პოლიტიკა არ შეცვლილა

წინააღმდეგ ბალგარიის და სერბიის პოლიტიკისა, რომელიც მუდამ რყევაში იყო და ეხლაც არის.

მეტად საინტერესო ცნობები და დოკუმენტებია ხსენებულ წიგნში 1878 წლის ომიანობის და ბერლინის კონგრესის შესახებ.

როცა რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, რუსის ჯარების ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასაყვანად საჭირო შეიქნა რუმინიაზე გავლა, რისთვისაც რუსეთისა და რუმინიის მთავრობანი ერთმანერთს პირობით შეეკვრენ. ერთი მუხლი ამ პირობისა ამბობს—„მის უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის მთავრობა პირობას სდებს, რომ რუმინიის ტერიტორია ხელ-უხლებელი და დაურღვეველი დარჩება“. როცა ომი ატყდა, თავადმა გორჩაკოვმა, რუსეთის იმპერიის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ რუსეთი უარს ამბობს რუმინიის სამხედრო დახმარებაზე, რადგან არ სურს დავალებული იყოს ამ სამთავროსაგანო. რუსეთის სამხედრო მართველობა სულ სხვა აზრის იყო ვიდრე გორჩაკოვი, რაც რუსის ჯარების მთავარ სარდალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს პირდაპირ, გულ ახდილად ეთქვა რუმინიის მთავრისათვის. მთავარ სარდალი კარგად ხედავდა, რომ რუსეთი არ იყო იმდენად ძლიერი, რომ უარ ეყო რუმინიის დახმარება. მართლაც, როცა რუსის ჯარი მეორედაც დამარცხდა განთქმულ პლევნასთან, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ არა თუ სთხოვა რუმინიის მთავარს დაუყოვნებლივი დახმარება ჯარით, პლევნასთან თავმოყრილ ყველა ჯარების მთავარ სარდლობაც მას გადასცა.

რუმინიის მთავარმა და მისმა ჯარმა თავი ისახელეს ბრძოლის ველზე და რუსის ჯარს გაამარჯვებინეს. მაგრამ ბერლინის კონგრესზე რუსეთის დიპლომატია იმდენს ეცადა, რომ რუმინიის სამფლობელო ბესარაბია თავის იმპერიას შეუერთა. რუმინიის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა გორჩაკოვს და მოაგონა ზემოდ მოყვანილ პირობის მუხლი, მაგრამ არა გაუვიდა რა: ბესარაბია, რუმინიის ტერიტორიის ნაწილი და რუმინელე-

ბით დასახლებული, დღესაც რუსეთის ხელშია. ეს გარემოებაა, რომ შეუძლებელად ხდის რუსეთისა და რუმინიის დაახლოებას. რუმინია რუსეთის მეტოქეებისაკენ არის მუდამ.

კარლოს ჰოჰენცოლერნის გარეშე პოლიტიკა მისი პირადი პოლიტიკა არ არის, იგი რუმინიის ეროვნული პოლიტიკაა, რაც ხშირად მოწვეულ, უცხო, დინასტაის კი არა, ეროვნულ დინასტიასაც არ სჭირს.

ირლანდიელ გლეხის მდგომარეობის შესახებ მკითხველს ბევრი რამ ექნება წაკითხული; მას ეცოდინება, რომ ირლანდიელი გლეხი მოკლებული იყო და არის მიწას, რომ ირლანდიის მთელი ადგილ-მამული ინგლისელ მემამულეების საკუთრებაა და ირლანდიელი მხოლოდ მოიჯარადრეა. 1870 წლამდე ირლანდიელი ფერმერი მემამულის თვითნებობის უუფლებო მსხვერპლი იყო—უნდოდა განდევნიდა მიწიდან, უნდოდა იჯარას მოუმატებდა. მხოლოდ ამ წელს მიხედა ინგლისის მთავრობამ ირლანდიელ გლეხის ულიდურეს გაჭირვებას და გამოსცა პირველი აგრარული კანონი, „ლანდაკტ“ად წოდებული. ამ კანონით მემამულეს უფლება არ ჰქონდა გლეხისთვის მიწა წაერთმია, თუ მას მამულზე დანახარჯს არ აუნაზღაურებდა. მაგრამ „ლანდაკტ“მაც არაფერი უშველა გლეხის გაჭირვებას: მემამულე ო

ისუფალი იყო, როგორიც უნდოდა ისეთ იჯარის პირობით შეკვროდა გლეხს და როცა მის განდევნას მოისურვებდა, ისეთ პირობებს მოსთხოვდა, რომ გლეხი იძულებული ხდებოდა უარი ეთქვა ახალ კანონის სარგებლობაზე.

სანამ შესანიშვავი მოღვაწე პარნელი არ გახდა ირლანდიელების მეთაური, გლეხის მდგომარეობის გამუჯობესობაზე ინგლისელი არ ჰფიქრობდა. პარნელი მოურიდებლად, მედგრად შეებრძოლა ინგლისელ მთავრობის უსამართლობას. მას მხარს აძლევდა გაჭირვებული ირლანდიელი გლეხი და ამ სასტიკ ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ ინგლისელმა ძალა-უნებურად მიაქცია ყურადღება ირლანდიელ გლეხის მდგომარეობას; მთავრობა ძიძულებული გახდა დაენახა ამ მდგომარეობის აუტანე-

ლობა. 1881 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო მეორე აგრარული კანონი: დაარსდა საგანგებო საადგილმამულო სასამართლოები; ამათი დანიშნულებაა იჯარის რაოდენობის სამართლიანი განსაზღვრა, თუ ფერმერი და ლენდ-ლორდი თვითვე ვერ მორიგდებოდნენ; ფერმერს ეძლეოდა უფლება არენდის გაყიდვისა; სასტიკად იყო განსაზღვრული ორივე მხრის უფლებანი და მოვალეობანი: ლენდლორდს არ ჰქონდა განუსაზღვრელი უფლება ფერმერის განდევნისა.

ორს გამჭვრეტი პარნელი კარგად ხედავდა, თუ რამდენად სასარგებლო იყო ახალი კანონი ირლანდიელ გლეხებისათვის, მაგრამ ისე შეხვდა მას, რომ ყველა გააკვირვა: იგი თხოულობდა, რომ იჯარაში, რომელსაც გლეხი იხდიდა, ადგილის ღირებულობის წილიც ყოფილიყო, რომ ოცდაათის წლის განმავლობაში გლეხი მესაკუთრე გამხდარიყო. გლადსტონმა არ მიიღო პარნელის წინადადება და პარნელმაც ახალ კანონს „შესაბრალისი ხრიკი“ და „ნახევარი წამალი“ უწოდა. შესანიშნავ მოღვაწის პრაკტიკულ პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი იყო— რამდენს მეტს დაუთმობდნენ, იმდენი მეტი მოეთხოვა. მას არ ეშინოდა ინგლისის მთავრობის გაჯავრებისა, რადგან სიმართლის და კანონის გზაზე იდგა და მთელი ირლანდია ზურგს უმაგრებდა!

თუ შესანიშნავი იყო პარნელის მოღვაწეობა, არა ნაკლებ შესანიშნავი იყო ირლანდიელების თავგამოდება, და მათი მომზადება ბრძოლისათვის. ბოიკოტის ამბავი მკითხველს ეცოდინება—უსამართლოდ განდევნილ გლეხის ფერმას არც ერთი ირლანდიელი გლეხი არ მიეკარებოდა და თუ გამოჩნდებოდა ასეთი მოღალატე, ისე გაუჭირვებდნენ საქმეს, რომ იძულებული იქნებოდა, ისევ თავი დაენებებია „აკრძალულ“ ფერმისათვის.

პარნელი რომ ციხეში ჩასვეს (1881 წელს) და ირლანდიაში სასტიკი საგანგებო კანონები შემოიღეს, პარნელმა სატუსაღოდან შეუთვალა ხალხს—არ გადაიხადოთ იჯარა, სანამ მთავრობა უარს არ იტყვის სასტიკ კანონებზეო; მთელ ხალხის

პასიურ წინააღმდეგობასთან მთავრობის სამხედრო ძალა უიარაღოა"-ო. ხალხი, როგორც ერთი კაცი, დაემორჩილა თავის საყვარელ გმირის სიტყვას.

ასეთ მეთაურსა და ასე მომზადებულ ხალხს მთავრობა წინააღმდეგობას კი გაუწევს, მაგრამ შეჩერებით ვერასოდეს ვერ შეაჩერებს.

1881 წლის აგრარულ კანონის შემდეგ პარნელის და ირლანდიელების ბრძოლის საგანი უფრო ირლანდიის თვითმართველობა იყო.

პარნელის სიკვდილისა და ირლანდიის პარტიის დასუსტების შემდეგ როგორც ჰომრულის საქმე, ისე აგრარული კითხვა წინ არ წასულა. მაგრამ როცა ირლანდიელების პარტია ისევ გაერთიანდა და მხნედ, გაბედულად შეებრძოლა ინგლისის მთავრობას, ირლანდიის საქმე ისევ წინ წაიწია.

კონსერვატიული სამინისტრო, *) რომელიც ჯერ კიდევ ინგლისის მართველია, იმ აზრის იყო, რომ ხსენებულ აგრარულ კანონების შემდეგ ირლანდიელ გლეხების მოძრაობა „რევოლიუციონერების" და აგიტატორების საქმე იყო და არა ნამდვილ გაჭირვებით გამოწვეული. ამიტომ იყო, რომ იგი სასტიკ ღონისძიებით, ტერორით სცდილობდა გლეხების მოძრაობის მოსპობას. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ პოლიციისა და ჟანდარმების საშუალებით საქმეს არაფერი ეშველება.

ინგლისი სხვა სახელმწიფოს არა ჰგავს—იქ რომ შეცდომას დაინახავენ, როდი რცხვენიათ ან ეშინიათ გამოტყდნენ და შემდეგ ეცადონ მის გასწორებას. ეხლაც ეგრე მოხდა: რაკი მთავრობა დარწმუნდა, რომ მთელი ირლანდია თხოულობს ნამდვილ აგრარულ რეფორმას, დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის შესწავლას, რომ ახლო მომავალში შესაფერი პროექტი წარმოუდგინოს პალატას.

მანამდე უნდა მოხდეს ირლანდიაში მოლაპარაკება მემამულეთა და გლეხებ შორის. ორივე მხარე თანახმაა, რომ არსებული ფორმა მიწად-მფლობელობისა ყოვლად უვარგისია და რომ მიწა იმის ხელში უნდა გადავიდეს, ვინც მას ამუშავებს.

---

*) აქედან დაწყებული მე-22 გვერდის მე-15 სტრიქონამდე „ცნ. ფურც."დან არის ამოღებული.

გარდა ამისა, საჭირო აღარ იქნება ილაპარაკონ მიწის იძულებით გაყიდვაზე, რადგან მემამულეთ ისევე სურთ მოიშორონ მიწა თავიდან, როგორც გლეხებს მისი შეძენა. მაგრამ დიდ სიძნელეს წარმოადგენს საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს მემამულეთაგან მიწის გამოყიდვა. მემამულეების სურვილია, რომ პირდაპირ გლეხებთან დაიჭირონ საქმე; მხოლოდ იმასაც ამბობენ, რომ მიწის გამოსასყიდათ დადებული გადასახადი არ უნდა იქნეს იმაზე მეტი, რასაც გლეხები წინად წლიურად იხდიდნენ იჯარაშიო. გლეხები კი თხოულობენ, რომ ეს გადასახადი უდრიდეს იმ იჯარას, რომელსაც საადგილ-მამულო კომისია ნიშნავს (ირლანდიაში კანონით მიწის იჯარის რაოდენობას მემამულე როდი ნიშნავს, არამედ საგანგებო საადგილ-მამულო კომისია). საადგილ-მამულო კომისიამ კი 340,000 შემთხვევაში დაუკლო წინანდელ იჯარას 20% ან ერთი მეხუთედი და 80,000 შემთხვევაში კიდევ მეტიც. ჩვენ ისე ძალიან გვინდა მიწის საკუთრებად შეძენაო, ამბობენ გლეხები, რომ თუ პირდაპირ ლენდლორდებთან გვექნა საქმე, დიდ ფულს გამოგვტყვეულებენო, ამიტომ მიწის გამოსასყიდ ფულის რაოდენობის დანიშვნა ლენდ-ლორდების საქმე ნუ იქნებაო.

მეორე ძნელი საკითხი საქმის ფინანსიური მხარეა: საიდან იშოვონ მიწის გამოსასყიდი ფული? მემამულენიც და გლეხებიც იმის მსურველი არიან, რომ ხაზინა დაეხმაროს მათ ამ საქმეში.

სიძნელე ბევრი არისო, ამბობს აგრარულ რეფორმის მხურვალე მომხრე როსელი, მაგრამ არც ერთი არ არის ისეთი, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელი იყოსო. „გაიხსენეთ მთელი საუკუნეები სასოწარკვეთილებისა და ტანჯვისა; გაიხსენეთ შეურიგებელი მტრობა, რომელიც ხშირად ავკაცობის ხასიათს იღებდა! და ბოლოს კი ორივე მხრის წარმომადგენელნი ერთად იკრიბებიან სათათბიროდ! დუბლინში ბევრი მნიშვნელოვანი კრება ყოფილა, მაგრამ ის, რომელიც 1903 წლის დასაწყისში უნდა მოხდეს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია“.

ირლანდიის ეროვნული პრესა ამბობს, რომ ეხლა განზრახულ აგრარულ რეფორმის გამო ჰომრულის საქმე დროებით გადადებული იქნებაო. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მიწის გამოყიდვა არა თუ არ მოსპობს ირლანდიის თვითმართველობის კითხვას, პირ იქით, გააძლიერებს კიდეც, როგორც 1898 წლის საერობო თვითმართველობის კანონმა გააძლიერა. „და ადვილად შესაძლებელი არისო, ამბობს „რუს. ვედ.“ ის კორესპონდენტი, რომ კონსერვატიული სამინისტრო იძულებული გახდეს წარუდგინოს პალატას ირლანდიის ჰომრულის ბილი. ვისაც პარადოქსალურად ეჩვენება ეს მოსაზრება, შემდეგ ფაქტს გავახსენებ: ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში ლორდ სოლსბერი ამტკიცებდა, რომ მუნიციპალური (ქალაქების) თვითმართველობა ირლანდიაში ჰომრულზე უფრო საშიში არისო. არ გასულა ექვსი წელიწადი და ეს „საშიში“ რეფორმა განახორციელა თვით სოლსბერის სამინისტრომ“.

საკუთრების უფლება მიწაზე უსაზღვროდა და ხელშეუხებლად იყო აღიარებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. სახელმწიფო მთელ თავის ძალ-ღონით უძლური იყო საკუთრების პრინციპის წინაშე. საკუთრება წმინდათა-წმინდა იყო. ეხლა კი არა თუ თეორეტიულად, პრაკტიკულადაც მიღებულია პრინციპი სახელმწიფოს ჩარევისა საკუთრების საქმეში.

გერმანიის ეხლანდელი მთავრობა შეიქნა სრული მორჩილი პრუსიის თავად-აზნაურობისა; კათოლიკე პარტია, რომელიც ბისმარკის დროს „თავისუფლების“ მოტრფიალე და დამცველი იყო, ეხლა მთავრობის მონა-მორჩილი გახდა და მთავრობასთან ერთად თავად-აზნაურობის მხარეზე გადავიდა; ნაციონალ-ლიბერალები დიდი ხანია დამოუკიდებლობას მოკლებული არიან და იმ მხარეზე გადადიან, საითაც მინისტრები უქნევენ თვალს, და ყველა დასახელებული პარტიები, გერმანიის საუბედუროდ, რეიხსტაგის უმრავლესობას შეადგენენ.

უცხოელ პურის ბაჟის გადიდება, რომელიც ხსენებულ უმრავლესობამ ახალ სადამოჟნო პროექტის დაკანონებით შე-

მოიღო, მხოლოდ თავად-აზნაურობის ჯიბეს გაასუქებს. მთავრობამ, თავად-აზნაურობამ, კათოლიკე პარტიამ და ნაციონალ-ლიბერალებმა ხალხის არსებითი ინტერესები მსხვერპლად შესწირეს ბარონების და გრაფების ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრებას. ესეც არ იკმარა რეიხსტაგის უმრავლესობამ: როცა დაინახა, რომ ოპოზიცია (სოციალ-დემოკრატები და თავისუფალ-მოაზრენი) მზად არის იხმაროს ყოველი კანონიერი საშუალება და უკიდურესი წინააღმდეგობა გაუწიოს ხალხის წინააღმდეგ მიმართულ კანონ-პროექტს, უმრავლესობამ არსებული კანონი დაარღვია და ამით ხალხის ინტერესების დამცველს ბრძოლის იარაღი წაართვა: მთავრობის პროექტში ცხრაასზე მეტი მუხლი იყო და კანონით თითეული მუხლი რეიხსტაგს ცალკე უნდა განეხილა და მიეღო ან უარეყო. უმრავლესობამ მოსპო კერძო მუხლების განხილვა და პროექტს ერთბაშად უყარეს კენჭი; რეიხსტაგის თავმჯდომარეს მიანიჭეს თითქმის უსაზღვრო უფლება სიტყვის ნების მიცემისა თუ არ მიცემისა მსურველისათვის.

ამ გვარად უმრავლესობამ ფეხ ქვეშ გათელა ხალხის ინტერესებიცა და არსებული კანონიც, რომ თავად-აზნაურობამ ერთი-ორი გროში კიდევ ამოაცალოს ჯიბიდან საწყალ ხალხს. და ხალხი, რასაკვირველია, ამას არ დაივიწყებს!

აღსანიშნავია ერთი საყურადღებო მოვლენა გერმანიის ეხლანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში: ერთი ნაწილი გერმანიის საზოგადოებისა აღარ უყურებს სოციალ-დემოკრატიას როგორც ისეთ რევოლიუციონურ პარტიას, რომელთანაც კავშირის დაჭერა „ქვეყნის ღალატი“ და „ქვეყნის დანგრევაა“.

სახელგანთქმულმა მომსენმა ეხლახან დაბეჭდა გაზეთ „ნაციონ“-ში მეტად საყურადღებო წერილი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელ გერმანიის იმპერიაში და საზღვარ-გარედაც. მოგვყავს უმთავრესი ადგილები შესანიშნავ ისტორიკოსის წერილიდან, რომელსაც სათაურად აქვს—„რამ უნდა გვიშველოს?“

„იმპერიის კონსტიტუციის დარღვევა სიჩქარით მიდის წინ... გერმანიის რეიხსტაგში ლაპარაკის უფლება უკვე რეიხ-

სტაგის თავმჯდომარის ნებაყოფლობისაგან არის დამოკიდებული და მაშასადამე აღარც უფლებას შეადგენს. ადვილი მისახვედრია, თუ რა უნდა მოჰყვეს ასეთ ნაბიჯს. ეს მხოლოდ დასაწყისია კონსტიტუციის დარღვევისა და გერმანიის იმპერატორი (?) და გერმანიის ხალხის წარმომადგენლები უნდა დაემორჩილონ ბარონებისა და ბერების ინტერესების აბსოლიუტისმს.

ძველ მონარხიის აბსოლიუტისმი იმასთან შედარებით, რომელიც ჩვენ მოგველის, რბილი და ჰუმანური მთავრობა იყო. მეფე არც ვაჭარია, არც მემამულე (?) და არც მღვდელი და კერძო ინტერესების მაღლა სდგას (?). ეხლა უმდაბლეს ხარისხის ინტერესების კოალიციამ უნდა გადასწყვიტოს, საჭიროა თუ არა არხების გაყვანა და ფლოტის გაძლიერება, ან როგორ უნდა გაძვრეს ტყავი მოქალაქეს და მეცნიერებს როგორ უნდა ამოდონ ლაგამი პირში.

თუ არის კიდევ რაიმე საშუალება კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ, ეს არის ყველა იმ პარტიების კავშირი, რომელნიც „შეთქმულება“-ში ჯერ იღებენ მონაწილეობას; რასაკვირველია, ამ კავშირიდან უნდა გამოირიცხოს ის პარტია, რომელმაც სახელი გაუტეხა და პატივი ახადა როგორც „ლიბერალი“ს ისე „ნაციონალისტის“ სახელსაც, და სამაგიეროდ უნდა მიღებულ იქმნას სოციალ-დემოკრატია“. მომზენი მტკიცედ თხოულობს სოციალ-დემოკრატიასთან კავშირს, როგორც აუცილებელ შედეგს ეხლანდელ მდგომარეობისას. მომზენის აზრით, აღარ არსებობს სინამდვილეში ძველი განაწილება „წესის მომხრე“ და „წესის წინააღმდეგ“ პარტიებად, ან უკედ რომ ვსთქვათ, არსებობენ მხოლოდ წესის წინააღმდეგი პარტიები: არც ერთ პარტიას არ შეუძლია უსაყვედუროს ძეორეს რევოლიუციონერობა, რადგან ყოველი პარტია იმის მეცადინეობაშია, რომ არსებული დაწესებულებანი შესცვალოს“. შემდეგ მომსენი განაგრძობს: „არსებულ მძიმე და საშიშ პირობებში ისე არაფერი არ არის საჭირო, როგორც კავშირი ლიბერალებისა, რომელნაც ჯერ კიდევ უფლება აქვთ ატარონ ეს სახელი, სოციალ-დემოკრატიასთან.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ სოციალ-დემოკრატი და არც ვფიქრობ, რომ შემდეგში გავხდე, მაგრამ სამწუხაროდ სოციალ-დემოკრატია ერთად-ერთი პარტიაა, რომელსაც უფლება აქვს პოლიტიკურ პატივისცემაზე. რაც შეეხება ნიჭს, ტალანტს, აქ ლაპარაკიც მეტია. გერმანიაში ყველამ კარგად იცის, რომ ბებელისებურ თავის ტვინი თორმეტ ბარონს რომ გაუნაწილონ, თავიანთ წრეში ბრწყინვალე ვარსკვლავები იქნებიან. სოციალ-დემოკრატ ამომრჩევლების თავდადება, მსხვერპლისათვის მზად ყოფნა პატივისცემას იწვევს მათ შორისაც კი, ვინც მათ სრულებით არ ეკუთვნის. პარტიის დისციპლინა ეხლანდელ ძნელ პირობებში, როცა მის კონგრესებზე ამდენი სიძნელე იჩენს თავს, საშურველი მაგალითი უნდა იყოს ლიბერალებისათვის"...

მომზენი და მისი თან-მოაზრე დეპუტატი ბარტი ეხლა იმ აზრს დაადგნენ, რომელიც უკვე განახორციელა ვალდეკ-რუსომ საფრანგეთში. როცა ბნელი ძალა საფრანგეთის კონსერვატორებისა და კლერიკალებისა აშკარად, პირდაპირ შეებრძოლა რესპუბლიკას და დემოკრატიულ პრინციპს და მას მხარი მისცა გადაგვარებულ რესპუბლიკელების ერთმა ნაწილმა, ვალდეკ-რუსომ ცხადათ დაინახა მდგომარეობის მთელი საშიშროება და გაბედვით მიჰმართა რესპუბლიკისა და დემოკრატიისათვის თავ-დადებულ სოციალისტებს და მათის დახმარებით ძირს დასცა თავაღებული და გალაღებული რეაქცია.

ერთსა და იმავე მიზეზებს ერთი და იგივე შედეგი მოჰყვება ხოლმე. გერმანიაში შეერთდნენ თავადაზნაურობა და ერთ დროს ვითომ თავისუფლების დამცველი ცენტრი, ამათ მიემხრნენ გადაგვარებული ძველი ლიბერალები და შეერთებულის ძალით იერიში მიიტანეს ხალხის არსებით ინტერესებისა და უფლების წინააღმდეგ. რა საკვირველია, რომ ყველანი, ვისთვისაც ხალხის ეს ინტერესები და უფლება ძვირფასია, სცდილობდნენ შეერთებას გალაღებულ მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ეხლანდელი მთავრობა ასე ქომაგობს.

ევროპის სახელმწიფოების საურთიერთო დამოკიდებულების აწეწილ-დაწეწილობა ცნობილია. ერთი მეორეს უნდო

თვალით უყურებს და მტრობს, სადაც კი ეხერხება და შეუძლია. თვით „მოკავშირენიც“, რომელთაც ენაზე „გულითადი მეგობრობა და სიყვარული“ აკერიათ ენაზე, ერთმანერთის წინააღმდეგ მოქმედებენ, სადაც ამას მათი ინტერესი მოითხოვს. მიუხედავათ ასეთ საერთა-შორისო პირობებისა, არიან პირები, რომელთაც სწამთ, რომ ევროპის სახელმწიფოების „ფედერაცია“ ადვილათ შესაძლებებელი საქმეა. ასეთ პირებს ეკუთვნის ფრანგი დე სტურნელ დ, ეკონსტანიც. მოგვყავს დ, ეესტუნელის მოსაზრებანი.

„არ არის საკმარისი ვაქოთ და ვადიდოთ მშვიდობიანობა; ჩვენი დანიშნულება და მოვალეობაა მისი ორგანიზაცია, მოწყობა. მე არა ვარ მომხრე ტოლსტეისებურ მშვიდობიანობისა; არ ვამბობ—იყოს მშვიდობიანობა, რაც უნდა დაჯდეს იგი, ავიყაროთ იარაღიო. ეს ვზა პირდაპირ მონობისაკენ და ომი საკენ წაგვიყვანდა. არც იმის მსურველი ვარ, რომ ქვეყანა განაზდეს, მაგრამ ვამტკიცებ, მშვიდობიანი მუშაობა, შრომა საუკეთესოდ მოამზადებს სამშობლო ტერიტორიის დაცვას. მშვიდობიანობის ორგანიზაცია პატრიოტისმს კი არ შეასუსტებს, პირიქით გააძლიერებს კიდეც...

მშვიდობიანობა ოცნება არ არის; იგი სინამდვილე ხდება, მას ეძლევა ფორმა, სახელი, იგი კავშირია სიცოცხლისათვის, რომელიც წინააღმდეგია არსებობისათვის ბრძოლისა, კავშირი ევროპიელ ხალხებისა, მათი ფედერაცია.

ფედერაცია აუცილებელი საჭიროება ხდება წინააღმდეგ მსოფლიო კონკურენციისა, წინააღმდეგ ამერიკელების გაბატონებისა დღეს და ყვითელკანიანებისა (მონგოლებისა) ხვალ. არც ერთ ხსენებულ მოვლენის წინააღმდეგ იარაღი არ გვაქვს. არ გვიშველის არც თავისუფალი ვაჭრობა, არც მფარველობითი სისტემა. დიდ სამსახურს გაგვიწევდა ჩვენ ეროვნულ საშუალებათა და სიმდიდრეთა მოხმარება, მაგრამ ამასაც დიდი ღონისძიება სჭირდება და ჩვენი წლიურ შემოსავალ ის 54 პროცენტი კი ხმარდება „შეიარაღებულ მშვიდობიანობას“, ე. ი. ისეთ საქმეს, რომელიც არაფერს აწარმოებს. ღონისძიებათა ამ ფლან-

გვას, უწარმოო ხარჯვას, ზედ ერთვის ჩვენი ახალგაზდობის ძალთა ფლანგვაც—ვამზადებთ ომს, რომელიც არავის უნდა, რომელზედაც არც კი სურთ ილაპარაკონ. ამ ორგვარ ფლანგვას შედეგად ეთუოდ უნდა მოჰყვეს დემორალიზაცია და არეულობა. არ გვაქვს ნამდვილი პოლიტიკა, მოქმედების პროგრამა, არც შინ და არც გარეთ. ევროპა ხელ-ფეხ შეკრულია ასეთ პოლიტიკის არ-ქონებით, რასაც ვმალავთ სხვა და სხვა ვითომდა პოლიტიკის სახით.

მე კარგად ვხედავ იმ სიძნელეთ, რომელთაც შევუკრავართ, განსაკუთრებით ჩვენ ფრანგები; მე არავის საყვედურს არ ვეუბნები და დიდათ ვაფასებ იმ შრომას, რომელმაც 30 წლის განმავლობაში აღგვიდგინა ფინანსები და ჯარი, შეგვძინა მოკავშირე. მაგრამ ეს ყველა ხომ მოქმედების საშუალებაა და არა მიზანი; და დღეს ყველა კარგად ხედავს, რომ, ეროვნულ სიმდიდრისა არ იყოს, ვერც ამ საშუალებას ვხმარობთ შესაფერად. რუსეთთან კავშირს უნდა გაესწორწონავებია ევროპის სახელმწიფოების ძალები და ამით შესაძლებელი უნდა გამხდარიყო თავისუფალი ეკონომიური განვითარება და გაერთიანებული მოქმედება ევროპის გარეთ. ნამდვილად კი სულ სხვა მოხდა: „შეიარაღებული მშვიდობიანობა“ ისევ მძიმე დარჩა ხალხებისათვის; ჩინეთზე გალაშქრებამ და ოსმალეთის მიტოვებამ ყველასათვის ცხადი გახადა უძლურება პოლიტიკისა, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლია მოქმედება, როცა ფაკტი უკვე მოხდა და დასრულდა.

მიუხედავათ ამისა, ყველა გრძნობს, რომ დადგა მომენტი, როცა შემთხვევის აყოლას თავი უნდა დაანებონ და სხვებთან ერთად შეებრძოლონ საერთო გაჭირვებას. ყველგან იჩინა თავი ფედერაციის ნიშნებმა. ჩინეთის და კრეტის ექსპედიციებს ის კარგი მხარე ჰქონდათ რომ, აიძულა სახელმწიფოები საერთაშორისო ჯარი შეექნათ, ჰააგისა და შაქრის კონფერენციებზე მოხდა ისეთი დადგენილებანი, რომელიც წინეთ ყოველ სახელმწიფოს თავის შინაურ საქმედ მიაჩნდა. მსოფლიო საფოსტო კავშირი? რკინის გზებისა და ჰიგიენის ბიუროები? პარლა-

მენტის წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირები? კონგრესები?

ჩნდება ფედერაცია, რომელსაც ჯერ განსაზღვრული ფორმა არ მიუღია, და არც შეიძლება, რომ არ ჩნდებოდეს.

გაყოფილი, დანაწილებული ევროპაა პარადოქსი და ჭეშმარიტებაა გაერთიანებული, დამშვიდებული ევროპა. ამას ყველა გრძნობს ეხლა გარდა მთავრობებისა. მთავრობების პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება ლოდინში და გაჩუმებაში, უარყოფილია როგორც საღის გონებისაგან, ისე კიდევ უფრო თავის უნაყოფობით. ასეთმა პოლიტიკამ დაგვაკარგვინა ეგვიპტე, მანვე შექმნა ახალი იმპერია ბრიტანიის აფრიკისა.

ეგვიპტის დაკარგვას ალზას-ლორენის საქმით ხსნიან ჩვენი პოლიტიკოსები მაგრამ ამ კითხვაშიც ხომ ლოდინისა და გაჩუმების მეტს არას ვაკეთებთ. გაგვიზეპირებია გამბეტას განთქმული სიტყვები—მუდამ მაზედ (ალზასზედ) ვიფიქროთ, ნუ ვილაპარაკებთ კიო—და მეტს არაფერს ვაკეთებთ. ეგ ხომ უფრო მიძინებაა ეროვნულ მგლოვიარებისა ვიდრე მისი გულწრფელი პატივისცემა!

ალზას-ლორენის კითხვაა ერთად ერთი მიზეზი რომ აფერხებს ევროპის კონფედერაციას და რამდენად ცოტას ლაპარაკობენ მაზედ, იმდენად ნაკლები იმედია იმის გადაწყვეტისა

პოლიტიკა ლოდინისა და გაჩუმებისა თავის მოტყვილებაა. სად მიგვიყვანს ასეთი პოლიტიკა? დავიწყებასთან თუ რევანშთან? ერთიცა და მეორეც შეუძლებელია. როგორ დავივიწყოთ, როგორ არ ვილაპარაკოთ იმათზე, ვინც დაგვიკარგავს! ეგ ხომ ორჯელ დაკარგვა, წარსულის მოსპობა იქნება! ალზასის დაკარგვით ჩვენ დავკარგეთ ეროვნულ ერთობის ერთი ელემენტი.

გარდა ამისა დავიწყება დაგვამცირებდა მეტოქის თვალში, რომელიც ეხლა პატივისცემით გვიყურებს, და დამცირებას ჩვენი აბუჩად აგდება მოჰყვება.

ერთის სიტყვით, დავიწყება, რომლისკენაც მივყევართ ჩვენ სიჩუმის „პატრიოტულ“ პოლიტიკას, მეტად საშიში იქნება საფრანგეთისთვისაც და მშვიდობიანობისთვისაც საზოგადოდ.

მაშ ომისთვის უნდა მოვემზადოთ? არა. ომი კითხვას ვერ გადაწყვეტს, რადგან იგი გაუთავებელია: როსბახს იენა მოჰყვა, იენას ვეტერლოო და სხვა. მერე სად უნდა მოხდეს ომი? ალზას-ლორენში, სადაც ამდენი უბედურება დატრიალებულა? არა, ეს ომი საშინელება იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ალზასელები ორივე ჯარში იქნებოდნენ. მაშ როგორღა გნებავთო, მკითხავენ ის პირები, რომელნიც ჩვეული არიან აბსოლუტურად კითხვის გადაწყვეტას; ან ერთი უნდა იქნეს, ან მეორეო. აბსოლუტური გადაწყვეტილებანი მეტ წილად ბუნების წინააღმდეგია. მივბაძოთ ბუნებას. ნუ თუ შეუძლებელია შეთანხმება იმისა, რაც ორივე მხარეს კანონიერი და პატივსაცემი აქვთ თავიანთ მოთხოვნებში?

პირველად საფრანგეთმა უნდა დაიწყოს საქმე და აუხსნას გერმანულ საზოგადოების აზრს საქმეთა მდგომარეობა. ჩვენ უნდა ავუხსნათ და შევაგნებინოთ გერმანელებს, რომ არსებული განხეთქილება ხელს უწყობს და ამარჯვებინებს ზღვის იქითა კონკურენციას, რომელიც ჯერ გერმანიას ჩანთქავს და მერე ჩვენ. რაკი ამას გაიგებენ, დასკვნა თავისით მოვა. ორივე მხარე იძულებული გახდება ერთმანერთს დაუთმოს, რომ შეიმსუბუქოს საერთო ტვირთი. ორივე მხარე თან-და-თან მივა შეთანხმებამდე, რაც, გერმანელებს რომ ჰგონიათ იმაზე ბევრით ადრე მოხდება, რადგან წარღვნის ზვირთები გვიახლოვდება.

ევროპისათვის შეუძლებელია სხვა პოლიტიკა, გარდა მშვიდობიან პოლიტიკისა, რომლის საფუძველი აუცილებლად ევროპის ფედერაცია არის. ფედერაცია კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ალზას-ლორენის კითხვის გადაწყვეტის შემდეგ. ამას უნდა მიხვდეს ევროპის საზოგადოებრივი აზრი და შემდეგ მიახვედროს მთავრობანიც“.

საქებურია ავტორის ასეთი იდეალისმი და ჰუმანური გრძნობანი, მაგრამ საბუთები, რომელიც მას მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად, მიზანს ვერ აღწევენ.

საერთაშორისო ჯარის მოქმედებამ ჩინეთში ბრმასაც კი დაანახვა, თუ რამდენად შეურიგებელია ევროპის სახელმწიფოების ინტერესები. ხშირად საქმე პირდა-პირ შეტაკებამდე და სისხლის ღვრამდე მიდიოდნენ „მოკავშირენი“ ჩინელების სასიხარულოდ და სასიამოვნოდ.

ჰააგის კონფერენციის მნიშვნელობა და შედეგი იქიდან სჩანს, რომ ერთად-ერთი საქმე, რომელიც უნდა განეხილა „საერთაშორისო სამართალს“—ბურებისა და ინგლისელების საქმე—სამართალმა არ მიიღო—ჩემს კომპეტენციას არ ეკუთვნისო. ჯერ ამ სამართლის გასამართლებული საქმე არავის უნახავს.

კონგრესებს დიდი სარგებლობა მოაქვთ საერთაშორისო დამოკიდებულობისათვის, მაგრამ იგი ვერ გახდება ევროპის ფედერაციის საფუძველი.

დ'ესტურნელს ერთი ავიწყდება კიდევ—ევროპაში ბევრი ერია ალზას-ლორენისთანა და ბევრად უარეს მდგომარეობაშიაც, და განა შესაძლებელია იქ ფედერაცია, სადაც ამდენი უკმაყოფილო ელემენტებია? სანამ ეროვნული კითხვა არ გადაწყდება საბოლოოდ, ხალხთა ფედერაციაზე ლაპარაკი უნიადაგო ოცნებაა. ფედერაცია შესაძლებელია დამოუკიდებელ, თანასწორ-უფლებიანებ შორის. ბატონ-ყმობა ვერაფერი ნიადაგია ფედერაციისათვის.

„მოამბის“ შინაარსი 1902 წლისა

არაგვისპირელი შ.—ბედის მსჯავრი (ეტიუდი). № VII.
— ეეს, მეტივე (ლექსი ბრიზად). № VI.
— ანტონ ზურაბიანი (ეტიუდი). № V.
— კურცხალია და ხატი (გაგონილი ამბავი). № VIII.
— დიდიდედა მარიამი და ხატაურა, მოთხრობა. № III, IV.
ახობაძე.—მგოსანს (ლექსი). № VII.
ბზიანი.—ცოდვა—სცენები. № I.
ბარნოვი ვ.—დაეწოთა სურვილით. № VII.
— სოკო, სოკო, მოთხრობა.
გოგოლი ა.—ტარას ბულბა—თარგ. ინ-ანისა. № VI, VII, VIII. IX, X, XI.
გორკი ძ.—სამნი, თარგ. ივ. ბოლუმორდვინოვისა. № VII, VIII, IX, X, XI და XII.
გერგინიუსი.—ჰამლეტ. № VI, VII.
— მაკბეტ. № VIII, IX, X.
— მეფე ლირი. XII.
გრიბოედოვი.—ვაი ჭკუისაგან.—კომ. თარგ. კანდეგიდისა. № XI, და XII.
ჭერბიცკაია.—უყვართ ერთმანეთი? (ეტიუდი) თარგ. ნინოსი. № III.
ვიქტორ ჰიუგო.—ტორკვემადა დრამა 5 მოქ. კ. ეიფეიანისა. № IV, V და VI.
ზუდერმანი.—სასიკვდილოდ განწირულნი. თეია (ისტორიული დრამა) ინ-ანისა. № VIII.
თაყაიშვილი ე.—არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. № II, VII, X და XI.
— ბრძენი ადამიანისა ანუ განზრახვაი მისი. № II.

კოვალევსკი. — წინაპრების ოაუვანისცემა კავკასელებში. თარგ.— ასსი. № IV.

მარკ ტვენი.—სიკვდილის წრე, თარგ. ალ. სასთაშვილისა. № I.

მელანია.—ლადიკო—მოთხრობა. № II.

პუშკინი.—*** ლექსი, თარგ. კონ. ნიკოლაძისა. № II.

რაფფი.—ხენთი—რომანი სომხურიდან. თარგ. ევანგულოვისა. № VIII, IX, X, XII.

სახოკია თ.—მებრძოლნი (ამბავი ბურ-ინგლისელთა ომიდან). № V.

ფრონელი ს.—დიდებული მესხეთი. № III.

ჩეხოვი ან.—შიში—თარგ. ს. მეთასშვილისა. № VI.

ციცინათელა (ეტიუდი) ***-სა № VI.

ხახანაშვილი ს.—თელავის რექტორის კაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ. № V.

ჯორჯაძე არჩ.—ირლანდია მეცხრამეტე საუკუნეში. № I.

— თეატრი და მწერლობა. № II.

ჯანაშვილი მ.—ვახუშტი და მისი შრომა. III.

ჯიოვანნა ვერგა.—ევა—რომანი. თარგ. ალ. დ. წინამძღვრიშვილისა. № II.

ჭაუტაძანი გ.—დაძირული ზარი—დრამა 5 მოქმ. თარგმანი ინ-ანისა. № II, III და IV.

უცხოეთი 1901 წელს.—1. საერთაშორისო დამოკიდებულებანი: სამთა კავშირი.—რუს-ფრანგთა კავშირი.—ინგლისი. — სამხრეთ-აფრიკის ომიანობა.— ჩინეთის ამბები.—2. ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების შინაური საქმეები; ავსტრია და ეროვნული კითხვა. ინგლისის პარტიები, ირლანდია, გერმანია და ეროვნული კითხვა. დემოკრატიული პარტია. საფრანგეთი № I.

უცხოეთის მიმოხილვა № II.

უცხოეთის მიმოხილვა.—1. კიდევ საერთაშორისო კითხვებზე: ორთა კავშირი და სამთა კავშირი.—2. ამერიკელი მრეწველი № III.

უცხოეთის მიმოხილვა —1. აგრარიული კითხვა იტალიაში.—2. მფარველობით სისტემა (პროტექციონისმი) ინგლისში.—3. საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები.—4 კა-

თოლიკური პარტია (ცენტრი) გერმანიაში და პოლონელები; პოლონელი წარმომადგენლები პრუსიის ზემო პალატაში № IV.

უცხოეთის მიმოხილვა.—სამხრეთ-აფრიკა და ინგლისი № V.

უცხოეთის მიმოხილვა.—პოლონელები პოზნანში.—საფრანგეთის საქმეები № VI.

უცხოეთის მიმოხილვა.—ინგლისი: ლორდ-სოლსბერის სამსახურიდან გამოსვლა.—ბალფური—მისი მემკვიდრე —გაცრუებული იმედი.—ჩემბერლენის გავლენა ძველ და ახალ პრემიერზე. — რამ გააძლიერა კონსერვატორთა პარტია. — რამ დაასუსტა ლიბერალები.—წარსული კაბინეტის რეაქციონური პროგრამმა. — ნიშნები ოპპოზიციის გაძლიერებისა. — მეფე ედუარდ VII დაგვირგვინება. — საფრანგეთი. ბრძოლა კონგრეგაციების წინააღმდეგ.—კლერიკალების ოინები და მათი მოქმედება პროვინციაში.—როიალისტური ხასიათი მოძრაობისა.—აფიცერის პროტესტი. № VII.

უცხოეთის მიმოხილვა.—გერმანია.—სამთა კავშირის განახლება. — ვილჰელმ II პოზნანში. — გერმანელების აღტაცება.—როგორ ჰქმნიან „აღტაცებას“.—პოლონელების სიჩუმე.—ლანდმარშალის სიტყვა.—იმპერატორის პასუხი.—რუსის აფიცრები პოზნანში.

საფრანგეთი.—დე-სენ-რემის საქმე.—ორგვარი დისციპლინა.—ვიქტორ-ჰიუგოს ძეგლი ბეზანსონში. № VIII.

უცხოეთის მიმოხილვა. — 1. რუსეთი და ჩინეთი.—2. ალზას ლორენი და საფრანგეთი. — 3. ირლანდია. — 4. სლოვინები. — 5. კრამარჯის წერილი. — 6. ერთი იუბილეი № IX.

უცხოეთის მიმოხილვა.—1. სერბია.—2. რუმინია—3. Laissr faire, laisser passer.—4. მაკედონია.—5. კლერიკალიზმი. № X.

უცხოეთის მიმოხილვა. — 1. ავღანისტანი.—2. ინგლისის ლიბერალები. — 3. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი რუზველტი და პატრიოტიზმი.—4. დელკასე და პელტანი.—5. გერმანელი კათოლიკე და პოლონელი № XI.

უცხოეთის მიმოხილვა.—1. რუმინიის მეფე კარლოს

ᲰᲝᲰᲔᲜᲪᲝᲚᲪᲠᲜᲘ.—2. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ.—3. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ.—4. „ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ“. № XII.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ.—ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲛᲓᲔ. Გ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ. № II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ.—ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ Д—ᲠᲘ ᲤᲝᲡᲢᲔᲠᲘᲡᲐ. (ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ) ᲗᲐᲠᲒ. Ი. Ს. ᲤᲐᲜᲪᲮᲐᲕᲐᲡᲘ. № I.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲐᲚ. ᲭᲘᲝᲠᲜᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ
ᲐᲚ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ

საქმეს კი ერთობ ცოტას აკეთებენ: ღარიბი ათინელი მოქალაქე სჩივის ხოლმე, რომ შვიდზე მეტი მონა ვერ შეუნახავს. როგორც აღმოსავლეთში, საბერძნეთშიაც იყო მონების ბაზარი, რომელსაც კვე ავდა ომი ან მეკობრეობა. ამ გვარად თვით ბერძნები იყვნენ შიშში, რომ დღეს არა ხვალ დაჰკარგავდნენ თავისუფლებას, რასაც, შეიძლება, გავლენა ჰქონდა მონების მდგომარეობაზე—ისე სასტიკად აღარ ეპყრობოდნენ. ათინაში, მაგალითად, მონების მდგომარეობა არ იყო მაინცა და მაინც ძნელი: პატრონს უფლება არ ჰქონდა სიკვდილით დაესაჯა მონა, რომელსაც ამასთანავე შეეძლო მოეთხოვა პატრონისაგან თავის გაყიდვა. ძნელია იმის გამოანგარიშება, თუ განსაზღვულ დროს რამდენი მონა იყო საბერძნეთში; მაგრამ შესაძლებელია დაახლოვებით წარმოვიდგინოთ მათი რაოდენობა შემდეგის ფაქტიდან: 309 წელს ქრისტეს დაბადებამდე ათინაში იყო 400,000 მონა, 21,000 სრულუფლებიანი მოქალაქე და 20,000 მეტეკი.

7. **კერძო სახლები.** კარგათ არ ვიცით, თუ რა ფორმა და წყობილება ჰქონდა კერძო სახლს საბერძნეთში; საზოგადოთ კი ვიცით, რომ კერძო სახლი პატარა, უშნო და ცუდათ აშენებული იყო. ბერძენი, რომელიც ასეთის ზრუნვით ეკიდებოდა საზოგადო მონუმენტებს, უყურადღებოდ სტოვებდა თავის სადგომს, რაც სრულებით წინააღმდეგია ეხლანდელ ცხოვრებისა. ბერძნულ სახლის უმთავრესი ნაწილი ეზოსაკენ ქალებისა იყო. თავდა-პირველად სახლი კირით იყო შელესილი; პირველად ალკიბიადემ შემოიღო კედლების მხატვრობით შემკობა და ისე მალე გავრცელდა ეს ჩვეულება, რომ უმხატვრო სახლი დიდი სისაწყლის ნიშანი იყო. მაკედონიის ეპოქიდან ბერძნებმა მეტი ყურადღეაა მიაქციეს თავის სახლს და უკეთ ჰქონდათ მოწყობილი.

8. **ავეჯი.** ავეჯიც სახლის შესაფერი ჰქონდა ბერძნებს: სკამი, ტახტი და სტოლი. სკამი მეტ წილად ჩვენი დროის ტაბურეტის მზგავსი იყო, იყო აგრეთვე დასაკეცი სკამი, რომელიც მონას მიჰქონდა ხოლმე თავის ბატონისათვის, და სავარ-

ძელიც, ხისა—კერძო პირებისათვის და მარმარილოს—საზოგადო შენობებისათვის, თეატრებისათვის, სასამართლოებისათვის და სხვა. ცივ მარმარილოზე ჯდომა სასიამოვნო არ არის და ამიტომ ზედ ბალიშს სდებდნენ ხოლმე. ლოგინი, საბანი, ბალიშები დიდათ არ განირჩეოდნენ ჩვენი დროის ამ გვარ საგნებიდანვე; სტოლი, რგვალი თუ ოთხკუთხი, უფრო დაბალი იყო ვიდრე ეხლა: ბერძნებს ერთი ჩვენთვის გაუგებარი ჩვეულება ჰქონდათ—ნახევრად წამოწოლილი (მხარ თეძოზე) ჰკითხულობდნენ, სწერდნენ და სჭამდნენ. ბერძნებს ჰქონდათ აგრეთვე პატარა ყუთები ნივთებისათვის და ზანდუკები (სკივრი) ტანისამოსისათვის.

9. ჭურჭლეულობა. მეტი იქნებოდა ბერძნულ ჩვეულებრივ ჭურჭლეულობაზე ლაპარაკი, რომ ერთხელ კიდევ არ გვინდოდეს იმის აღნიშვნა, თუ რამდენი გემოვნება და შნო ჰქონდა ბერძენს უბრალო ყოველ დღიურ ცხოვრებაშიაც. აღარებელი სხვა-და-სხვაობა და მრავალ ფეროვნება ბერძნულ თიხის ჭურჭლეულობის ფორმისა ერთხელ კიდევ მოწმობს ბერძნის გამოხატულების სიმდიდრეს.

ღვინის დიდი ჭურჭელი იმოდენა იყო, რომ ადამიანს ადვილად იტევდა; **ქოვრი**, რომელშიაც დიოგენე ცხოვრობდა, ცნობილია ისტორიაში; ეს ქვევრი თიხისა იყო. შემდეგ მოდის **ამფორა**, ორ ყურიანი ქილა სხვა და სხვა სიდიდისა, **კრატერი**, რომელშიაც ღვინოს წყალს ურევდნენ ძველთა ჩვეულებისამებრ, **დეკითი**, ზეთის ჭურჭელი, ათასგვარი სასასმო ფიალა, ყანწები და სხვა. წნული არ ჩამოუვარდებოდა თიხიდან ნაკეთებს არც მრავალგვარობითა და არც სილამაზით. ათინელ ქალებს ძაფის მურგისათვის (დახვეული ძაფი) ჰქონდათ პატარა კალათები (ბერძნულად kalathos) დიდის ხელოვნებით დაწნულები. სხვა კალათები დაჰქონდათ თავზე, როგორც ეს ეხლაც არის ხოლმე სამხრეთ ქვეყნებში. ათინისა და დიონისის დღესასწაულზე წარჩინებულ ათინელების ქალებსაც ედგათ თავზე კალათები, სადაც ქადები და გუნდრუკი ეწყო: აქედან წარმოსდგა ამ ქალების სახელი—„კანეფო-

რეს“ ე. ი. კალათის მიმქონნი. სანათიც ბევრგვარი და ხვლოვნურად ნაკეთები იყო, მაგრამ თვითონ განათება კი მეტად პრიმიტიული იყო. პირველში ხმარობდნენ ნაძვის ან ვაზის ლიფლიფას; შემდეგ, სპარსელებთან ომის დროს, შემოიღეს მეტად პრიმიტიული ზეთის ლამპა, რომელსაც ორი ნახვრეტი ჰქონდა, ერთი ზეთის ჩასასხმელი და მეორე პატრუქისათვის. მიუხედავათ ჰაზისა და ელექტრონისა, ჯერ კიდევ ხმარებაშია ასეთი ლამპა.

10. ტანისამოსი. ბერძნული ტანისამოსი უბრალო, ბუნებრივი და მოხდენილი იყო. ძველი ბერძენი რომ გაცოცხლდეს და ჩვენი ქუდები და ტანზე შემოტნასული ტანისამოსი დაინახოს, სიცილისაგან მეორეთ მოკვდებოდა. ძველი ბერძნული ტანისამოსი კაცისა და ქალისათვის იყო: 1) **ხიტონი** (პერანგი)—ოთხ კუთხი ნაჭერი, რომელსაც სურვილისამებრ შემოიხვევდნენ. დორიელების ხიტონი გრძელი იყო, იონიელების მოკლე. პელოპონეზის ომიანობის დროს ათინელი კოხტა ყმაწვილები დორიულად იცვამდნენ ან თავისებურ პროტესტის გამოსაცხადებლად (არისტოკრატები იყვნენ) ან და იმიტომ, რომ არ უნდოდათ ისე ჩაცმა, როგორც ყველანი იცვამდნენ: 2) **ჰიმატიონი**—მოსახურავი, რომელსაც დიდის შნოითა და მოხდენილობით გადიგდებდნენ ხოლმე მხარზე. დორიელების ჰიმატიონი მოკლე იყო, იონიელების გრძელი. ჩვენამდე მოულწევია თიხიდან გაკეთებულ ქალის ფიგურას, რომელიც სულ ერთიან გამოხვეულია ჰიმატიონში. ამტკიცებდნენ, რომ ეს ფიგურა წარმოადგენს დანიშნულ ათინელ ქალს, მაგრამ შესაძლებელია, რომ იგი მხოლოდ სიცივისაგან შეწუხებული ქალი იყოს. იყო აგრეთვე **ხლამიდა**, მოსახურავი, რომელსაც ომში ან მგზავრობის დროს ხმარობდნენ. მასალა, რომლიდანაც იკერავდნენ ბერძნები ტანისამოსს, იცვლებოდა დროის მიხედვით—ზამთარში ხმარობდნენ შალს, ზაფხულში წმინდა ტილოს, ბამბას, აბრეშუმს. საზოგადოთ ბერძენს თეთრი ტანისამოსი უყვარდა, მაგრამ ქალები კი რჩეობდნენ ფერად ტანისამოსს. ქუდს მხოლოდ სოფელში ან მგზავრობის დროს ხმარობდნენ; ხელთა-

თმანი, რომელიც სპარსეთში უკვე შემოღებული იყო, ბერძენ-
მა არ იცოდა. რაც შეეხება ფეხსაცმელს, ბერძენს ფეხ-შიშვე-
ლი სიარული ერჩია ან თუ ეცვა გარეთ, შინ მისვლისას უთუ-
ოდ გაიხდიდა, ჩვეულება, რომელიც ეხლაც არის აღმოსავლე-
თში. რომ წვრილმანიც მოვიხსენოთ, ათინელ ქალებს ქოლ-
გაც ჰქონდათ და მარაოც, ვაჟები კი უჯოხოთ სახლიდან არ
გამოვიდოდნენ.

11. პურის ჭამა. ისტორიულ დროის ბერძენი ჩვეულე-
ბრივ სამჯერ სჭამდა პურს: ერთს დილით ადრე, მეორეს შუა-
დღეზე და მესამეს მზის ჩასვლისას. ნამდვილი სადილი საღა-
მოს პურის ჭამა იყო. ბერძენი იშვიათად სჭამდა სადილს მარ-
ტო. მეგობრებისა და ნაცნობების მიწვევა ჩვეულებრივი იყო
და სადილის დროს ტკბილი და მხიარული საუბარი იცოდნენ.
პლატონის დიალოგი „ნადიმი“ საუკეთესო ნიმუშია იმისი, თუ
როგორ გონივრულად და გემოვნებით ატარებდნენ ბერძნები
სადილს. ხანდახან სადილის დროს შემოჰყავდათ ჯამბაზებიც
გრძელ და სერიოზულ ბასით დაღლილ სტუმრების გასამხია-
რულებლად. ბერძნები მხართეძოზე წამოწოლილნი სჭამდნენ.
ეს ჩვეულება აღმოსავლეთიდან გადმოვიდა და ისე გავრცელდა.
რომ თვით სასტიკი სპარტანელებიც იძულებული შეიქნენ
დამორჩილებოდნენ მას. ქალები და ბავშვები დამსხდარნი
სჭამდნენ და როცა სტუმრები იყვნენ, მონაწილეობას არ იღ-
ებდნენ სადილში. ჩანგალი არ იყო; დანას ცოტას ხმარობდ-
ნენ, რადგან ხორცი დაჭრილი შემოჰქონდათ. წვენზე ყოვე-
ლთვის კოვზს ხმარობდნენ; სხვას კი ხელით სჭამდნენ, რო-
გორც ამას ეხლაც შვრებიან აღმოსავლეთლები; ხელს პურის
გულზე ან დამზადებულ ცომზე იწმენდნენ.

ბერძნული სადილი, როგორც სჩანს, ორ ნაწილად იყო-
ფებოდა: პირველი ნაწილი შესდგებოდა პატარა საუზმისა,
ხორცისა, თევზისა და წვანილისაგან; მეორე ნაწილი დესერ-
ტისაგან შესდგებოდა. ამ ნაწილისათვის მოსადილენი სურნე-
ლებას გადაისხამდნენ და გვირგვინებს გაიკეთებდნენ.

ბერძნებს ბევრგვარი საჭმელი ჰქონდათ. პური ქერისა და ხორბლის იცოდნენ; აკეთებდნენ აგრეთვე ქადებსა და ფაფას; ეს უკანასკნელი საჭმელი ძალიან გავრცელებული უნდა ყოფილიყოს ღარიბებ შორის; არისტოფანე ხშირად იხსენიებს ფაფას თავის კომედიებში. მცენარეულობიდან ბერძნები სჭამდნენ ლობიოს, ცერცვს და ყველაზედ უფრო მუხუდოსა და ოსპს, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი საჭმელი იყო გავრცელებული ათინელებ შორის. ბერძენი წვანილის დიდი მოყვარული იყო. ულისი, აქილესი და აგამემნონი სალათს არ სჭამდნენ, მათი ჩამამავალნი კი სიამოვნებით მიირთმევდნენ სალათას, ვარდ-კაქკაჭას და არტიშოკს. ხილის ჭამაც ძალიან გავრცელებული იყო ბერძენთა შორის, განსაკუთრებით ლეღვი, ნედლი თუ გამხმარი, უყვარდათ ბერძნებს; ბევრ სოფელში ლეღვი პურის მაგიერი იყო. ატამი და ლიმონი მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის დროს შემოვიდა საბერძნეთში. ინდის ხურმა ჯერ კიდევ პერიკლეს დროს მოჰქონდათ ფინიკიელ გემებს. ზეთის ხილს დამარილებულს სჭამდნენ.

რაც შეეხება ხორცეულობას, ჰომიროსის დროს ხარის ხორცი იყო გავრცელებული და ილიადის გმირები დიდის მადით შეექცეოდნენ მას. მაგრამ უკვე ოდისეაში ვხედავთ, რომ ლორის ხორცი უფრო მოწონებაშია. თხისა და ცხვრის ხორცი ნაკლებ გავრცელებული იყო. ყურდგელი, ბაჭია, ქათამი ხოხობი და სხვა ფრინველი ხშირად ამშვენებდა ბერძნის სუფრას. თევზეულობის ჭამაც დიდათ გავრცელებული ყოფილა. ათინელ დაბალ ხალხის საყვარელი საჭმელი სარდინის თევზი ყოფილა. არისტოფანეს ერთ კომედიაში კლეონის მოკილე აგორაკრიტესი სხვათა შორის იმით სცდილობს გაიმარჯვოს მეტოქეზე, რომ ხალხს სარდინის თევზის ფასის დაწევას ახარებს. რძისა და ყველის ხმარებაც ძალიან გავრცელებული ყოფილა.

12. მგზავრობა და სტუმართ მოყვარეობა. თემის მიტოვება და სამოგზაუროთ წასვლა ყველგან თავისუფალი არ იყო. მაგალითად, სპარტაში ეფორების განსაკუთრებული ნებართვა

იყო საჭირო. ათინაში კი მეტი თავისუფლება იყო და ამ თავისუფლებამ დიდი სარგებლობაც მოუტანა ათინას. მოგზაურობდნენ მეტ წილად ფეხით, რაც სასარგებლო იყო ფიზიკურ განვითარებისათვის. მოგზაურს უკან დატვირთული მონა მისდევდა და, რასაკვირველია, მას არაფერად მოსწონდა ფეხით მოგზაურობა. იშვიათად ცხენითაც მოგზაურობდნენ, მაგრამ უნაგირი და უზანგები არ იცოდნენ.

პირველ ხანებში სასტუმროები არ ყოფილა. სამაგიეროთ გავრცელებული იყო სტუმრათ-მოყყარეობა: მოგზაურს უთუოდ ჰყავდა უცხო ქალაქში ისეთი ვინმე, რომელსაც დიდი ხანია კავშირი ჰქონია მის ოჯახთან და რომელიც თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა მის მიღებასა და პატივისცემას. ევრიპიდეს დრამა „ალცესტა“ ში ჰერკულესი სტუმრად მიდის ადმეტესთან, რომელსაც ისიც იყო ცოლი მოუკვდა. ადმეტესი მეტად მწუხარეა, მაგრამ არც კი ატყობინებს ჰერკულესს თავის უბედურებას, რომ არ შეაწუხოს იგი. ბოლოს სასტუმროებიც შემოიღეს, მაგრამ ხალხი მათ ცუდის თვალით უცქეროდა. არეოპაგმა ერთი თავისი წევრი გააგდო, რადგან მას სასტუმროში ესაუზმა. ეხლაც რომ ეგრე იყოს, არეოპაგი უწევროდ დარჩებოდა.

13. მკურნალობა. იმ თავითვე არიან საბერძნეთში მკურნალები და ლეკრები (ხირურგები). ილიადის მახაონი და პოდალირი ჩვენი მკურნალების წინაპრები არიან. მაგრამ დიდის ხნის განმავლობაში წამლობას შემთხვევითი და ემპირიული ხასიათი ჰქონდა. წამლობის საიდუმლო ესკულაპის ქურუმებმა იცოდნენ. თვითონ ტაძარში უვლიდნენ ავათმყოფებს. ჯერ მოამზადებდნენ ავათმყოფს და ამ მომზადებაში პირველი ადგილი დიეტას ეკავა. შემდეგ მსხვერპლს შესწირავდნენ ღმერთს და ლოცულობდნენ; ღმერთი თვითონ უნდა გამოცხადებოდა ავათმყოფს და ეთქვა, თუ რა წამალი არგებს. მეხუთე საუკუნეში ჰიპოკრატ კოსელის წყალობით მკურნალობამ უფრო მეცნიერული ხასიათი მიიღო; გაჩნდნენ საზოგადო და კერძო ექიმები, რომელნიც წამალს თვითონვე ამზადებდნენ.

14. სიკვდილი და დასაფლავება.— ექიმები, როგორც ეხლა, მაშინაც ვერ შველოდნენ ყველა ავათმყოფებს. მოკვდებოდა თუ არა, თვალებს დაუხუჭავდნენ, პირში ერთ ობოლს ჩაუდებდნენ მდ. სტიქსის ბებერ მენავის მისაცემად (ისე არ გადაიყვანდა იმ ქვეყანაში), ტანზე თეთრ სუდარას შემოახვევდნენ. თავდაპირველად დასაფლავება ათინაში მეტად უბრალო იყო: დამარხავდნენ მიცვალებულს და საფლავზე პურის მარცვალს მოაბნევდნენ; შემდეგ გაიმართებოდა ქელეხი, რომლის დროსაც გარდაცვალებულის ღირსებებს იგონებდნენ და აკრძალული იყო ვისმე ჭეშმარიტებისათვის ეღალატნა. როგორც ვხედავთ, ეს ნამდვილი პირვანდული ზნე-ჩვეულებაა. შემდეგში კი დასაფლავება უფრო რთული და მდიდრული იყო ხოლმე: წინ დაქირავებული მოტირალნი მიდიოდნენ და სინიდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას; მათთანვე იყვნენ ფლეიტის დამკვრელნი, რომელნიც შემთხვევის შესაფერ ხმებს უკრავდნენ; მათ მოსდევდნენ თავმოპარსული და შავში ან ნაცრის ფერ ტანისამოსში გამოწყობილი კაცები; ბოლოს ნათესავებსა და მეგობრებს მოჰქონდათ თვით მიცვალებული.

მიცვალებულებს ჩვეულებრივ ასაფლავებდნენ ქალაქის კარებთან შარა გზის გაყოლებით. რაც შეეხება მიცვალებულის დაწვას, ეს ჩვეულება უძველეს დროიდანვე არსებობდა. ილიადაში აქილესი სწვავს თავის მეგობარ პატროლოსის გვამს და ფერფლს ოქროს ურნაში (ქოთანი) ინახავს. მაგრამ ეს ჩვეულება გავრცელებული არ ყოფილა და მშობლებისა და ნათესავების სურვილისაგან იყო დამოკიდებული, დაეწვათ თუ დაემარხათ მიცვალებული. სიტყვის თქმა დასაფლავების დროს მაშინ იყო მიღებული, როცა დასაფლავება თემის ხარჯით ხდებოდა.

თავი მე-XXIII-ე

„ოლიგარხიის“ მართველობა ათინაში — „ათი ათასის“ უკან დახევა.—სპარტას პოლიტიკა ანტალკიდას ხელშეკრულებამდე*).

სარჩევი. 1. ოლიგარხიის უკიდურესობანი ათინაში.—2. განხეოლილება ოლიგარხებ შორის.—3. ბრძოლა კრიტიასსა და თერამენეს შორის.—4 თერამენეს სიკვდილი.—5. ოლიგარხების ახალი უკიდურესობანი; მათი ტირანიის დამხობა. ათინის აღება თრაზიბულოსის მიერ.—6. „ათი ათასის“ გალაშქრება. კიროსის განზრახვანი.—7. კიროსის ჯარების გალაშქრება არტაქსერქსეს წინააღმდეგ. კუნაქსის ბრძოლა (401).—8. „ათი ათასის“ უიმედო შდგომარეობა. ქსენოფონი ამხნევებს ჯარს; უკან დაბრუნება.—9. ლიზანდროსის ძლიერება და ამ ძლიერების დაცემა.—10. სპარტას პოლიტიკა აზიაში —11. აგეზილაოსი.—12. აგეზილაოსის გალაშქრება მცირე აზიაში.—13. საბერძნეთის აჯანყება სპარტას წინააღმდეგ.—14. აგეზილაოსის აზიიდან გამოწვევა.—15. ანტალკიდას ხელშეკრულება.—17. იონიის ქალაქების დამონავება სპარსელების მიერ. საარტას ძლიერება ევროპაში.

1. ოლიგარხიის უკიდურესობანი ათინაში. სპარტანელების გამარჯვების შემდეგ და მათის დახმარებით საბერძნეთის უმრავლეს ქალაქებში არისტოკრატია გაბატონდა. მაგრამ არსად ისე დაბლა არ დაცემულა იგი, როგორც ათინაში, სადაც ლაზანდროსმა მის დასახმარებლად 700 ლაკედემონელი დასტოვა. არის-

*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები— პლუტარხოსის ბიოგრაფიები—ლიზანდროსი, აგეზილაოსი და არტაქსერქსეს; ქსენოფონი—საბერძნეთის ისტორია, წ. II და III და ანაბაზისი; კორნელიუს ნეპო—კონონის ცხოვრება. ეხლანდელი ავტორები: კურციუსი ტ. 4 და დიურუი თ. XXVII და XXVIII.

ტოკრატიამ შეადგინა „30-ის რჩევა“, რომელიც ტერორის საშუალებით განაგებდა ქალაქს. კრიტიასი, თერამენე და მათი თანამოაზრენი ნამდვილი მტარვალები იყვნენ; სახალხო კრება არც ერთხელ არ მოუწვევიათ; ყველა თანამდებობაზე სულ ულირს პირებს ნიშნავდნენ, ოღონდ მათი ერთგული მომხრე ყოფილიყო; ზაბეზღრებისა და ჯაშუშების რიცხვი გამრავლდა და დაიწყეს ნადირობა. დემოკრატების ერთი წილი დაიღუპა; სხვები, როგორც მაგალითად თრაზიბულოსი, გადახვეწილები იყვნენ. ალკიბიადე ფარნაბაზს მოაკვლევინეს. არც სიცოცხლე და არც ქონება უზრუნველ-ყოფილი არ იყო. მოქალაქეთ ბორებისა და ტაძრების გარეთ მიათრევდნენ და ხოცდნენ; თან ნათესავებს უკრძალავდნენ მათ დასაფლავებას. ბოლოს „ოცდაათნი“ ხოცდნენ მდიდარ ხალხს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ქონება ეგდოთ ხელში: გადაწყვეტილი იყო, რომ რჩევის თითეულ წევრს უნდა მოეკლა თითო მეტოქე და მის ქონებას დაპატრონებოდა.

2. განხეთქილება ოლიგარხებ შორის. „რჩევის“ წევრებ შორის რომ თანხმობა და ერთობა ყოფილიყო, ათინა სრულებით დაღუპული იქნებოდა; მაგრამ თვით მათ შორის იყო განხეთქილება; ერთი წილი ბრმად ემორჩილებოდა კრიტიასს, ამ ალვირ ახსნილ მტარვალს, დანარჩენები შიშით შეჰყურებდნენ მომავალს და სურვილი ჰქონდათ შეჩერებულიყვნენ. ამათ მოთავეობდა თერამენე, უმთავრესი იარაღი ოლიგარხების გამარჯვებისა. თერამენე გაქნილი, გაიძვერა, სინიდისს მოკლებული და ყალბი კაცი იყო, მაგრამ მას შურდა კრიტიასის გავლენა. ერთი უფრო ურცხვი იყო, მეორე შემპარავი და მლიქვნელი. ერთხელ კრიტიასმა უთხრა თერამენეს: „შენ გინდა გაიმარჯვო და ის კი არ გინდა მოწინააღმდეგენი მოიშორო თავიდან? თუ იმას ჰფიქრობ, რომ, რადგან ჩვენ ოცდაათი ვართ და არა ერთი, ტირანსავით არ გვეჭირვება სიფრთხილე, ვულუბრყვილო ბავშვი ყოფილხარ“. გულუბრყვილობა არ უშლიდა ხელს თერამენეს!

3. კრიტიასისა და თერამენეს ბრძოლა. კრიტიასი და თერამენე მალე აშკარა ბრძოლამდე მივიდნენ. მომხრეების უფრო გულის მოსაგებად „ოცდაათმა“ შეადგინა 3000 მოქალაქის სია; მხოლოდ ამათ ჰქონდათ უპირატესობა სამართალში მიუცემელად არ ყოფილიყვნენ დასჯილი; დანარჩენები კი მართველების სრულ თვითნებობის ქვეშ იყვნენ. თერამენე წინააღმდეგი იყო ამ ღონისძიებისა და ამ დროიდან დაუღალავად ებრძოდა მართველ ოლიგარხების ყოველ ბოროტ-მოქმედებას, თუმცა უფრო ჩვეული იყო ბოროტების მრჩეველად ყოფნას. ეხლა იგი ხელს უშლიდა მტარვალებს და ამათაც გადასწყვიტეს მისი თავიდან მოშორება.

4. თერამენეს საკვდილი. კრიტიასი მოქმედების კაცი იყო; მან დასცა ძირს თავისი ძველი მეგობარი და თანამოაზრე გულცივად, უპირფეროდ, გრძნობიერ სიტყვების წარმოუთქმელად. ერთ დღეს კრიტიასმა მოუწოდა რჩევას, იქვე დააყენა ხანჯლებით შეიარაღებული ახალგაზდანი და, როცა თერამენე შემოვიდა, იგი წამოდგა და სასტიკის ლოღიკით პირდაპირ დაუწყო ბრალდება: „რევოლიუციის მოხდენა უმსხვერპლოდ შეუძლებელია; გარს მტრები გვახვევია და ძირს უნდა დავსცეთ ისინი. თუ მტერი ჩვენ შორისაც არის, არც ის უნდა შევიბრალოთ; თერამენე ჩვენი მტერია და მე ვითხოვ მის სიკვდილს. პირველად იგი შეეკრა კავშირით ლაკედომონელებს, პირველად მას სურდა დემოკრატიის დამხობა; სხვაზე უფრო ეგ თხოულობდა ბრალდებულთა სასტიკ დასჯას და ეხლა, როცა ჩვენ ხალხის აშკარა მტერი შევიქენით, მას აღარ მოსწონს, რაც ხდება; რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ ჩვენ გაგვხადოს მომხდარის პასუხის-მგებელი და თვითონ კი განზე გადგეს“. შემდეგ კრიტიასმა ზიზღით დაუმატა: „ეს კაცი იქითკენ არის, საითაც ქარი დაუბერავს. სასაცილო სახელად მას კოტურნს (ქოში) ეძახიან, კოტურნს, რომელიც ორივე ფეხს ერთნაირად უდგება. თერამენე, კაცი, რომელიც ღირსია სიცოცხლისა, არ უნდა ხმაობდეს თავის ნიჭს მომხრეების ისეთ საქმეში ჩათრევისათვის, რომელსაც თვითონ თავს ანებებს, როცა შემა-

ფერხებელი რამ გამოჩნდება. იგი, ეგრე ვსთქვათ, გემზეა და მანამ უნდა იმუშაოს, სანამ საჭირო ქარი ჰქრის. თუ ეს ასე არ იქნება, თუ ყოველ შემაფერხებელ გარემოების გამო უკან დაბრუნდებიან, მიზანს თავის დღეში ვერ მიაღწევენ". დასასრულ ერთხელ კიდევ მოითხოვა კრიტიასმა თერამენეს სიკვდილი: „თუ ეგ დარჩა ცოცხალი, ჩვენი მტრების რიცხვი და გაბედულება იმატებს; თუ მოკვდა, ქალაქში და ქალაქ გარეთ მყოფთათ მოესპობათ ყოველ-გვარი იმედი".

ასეთ საშიშ ბრალდებასა და ადვილად მოსალოდნელ სიკვდილს არ შეუშინდა თერამენე და ხერხიანად შეუდგა თავის დაცვას. მან ახსნა, რომ წინააღუდგა კრიტიასის ღონისძიებათ, რადგან ისინი ააღელვებენ ყველას — არისტოკრატიას, ხალხსა და მეტექებს. „კრიტიასი კოტურნს მეძახის იმიტომ, რომ ვითომ მე ვსცდილობდე ორივე პარტიის კაცად ყოფნას, მაგრამ, რა დავუძახოთ იმას, რომელიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის? დემოკრატიის დროს შენ გთვლიდნენ ხალხის უდიდეს მტრად და ეხლა არისტოკრატიის დროს კი ყოველ პატიოსან კაცის უსაშინელესი მტერი ხარ".

რჩევა უფრო თერამენეს მხარეზე იყო. მაშინ კრიტიასმა უბრძანა დაქირავებულ ახალგაზდებს მზად ყოფნა და ხმა მაღლა სთქვა: „ახალ კანონების ძალით სამიათას მოქალაქეთაგან ვერც ერთი ვერ დაისჯება სიკვდილით თქვენ ნება დაურთველად, დანარჩენებს კი „ოცდა ათიც" გადაუწყვეტს სიკვდილით დასჯას. თანახმად ყველა ჩემი ამხანაგებისა, მე ვშლი თერამენეს სამიათასის სიიდან და სიკვდილით დასჯას ვუწყვეტთ მას." ტყვილა ებღაუჭებოდა თერამენე ჰესტიას (ვესტა) საკურთხეველს, ტყვილა უყვიროდა და იწვევდა თანამოქალაქეთ; ყველა გაჩუმებული და გაშეშებული იდგა. შემოვიდნენ „თერთმეტნი" და კრიტიასის ბრძანებით თერამენე საკურთხეველს მეაშორეს. იგი გაიყვანეს მთრთოლვარე ხალხს შუა — არავის ხმა არ ამოუღია. საპატიმროში თერამენე დამშვიდდა და როცა საწამლავი დალია, რამდენიმე წვეთი მიწაზე დაღვარა და სთქვა — „მშვენიერ კრიტიასის სადღეგრძელოდ".

5. ოლიგარხების ახალი უკიდურესობანი. მათი ტირანიის დამხობა. ათინის აღება თრაზიბულოსის მიერ. თერამენეს სიკვდილმა ჩააჩუმა ყველა ისინი, ვინც უკიდურეს მტარვალობის წინააღმდეგი იყო. არა საიმედო პირები განდევნეს ათინიდან, მათი ქონება დაურიგეს მთავრობის წევრებს; არსენალები დაანგრიეს; ორატორების ტრიბუნა აკროპოლისისაკენ მიაბრუნეს, რომ ზღვის დანახვა და ათინის წარსულ დიდების მოგონება შეუძლებელი ყოფილიყო. მაგრამ „ოცდაათს“ არც ამან უშველა. ათინიდან განდევნილებმა, თრაზიბულოსისა და ანიტოს მეთაურობით, ხელში იგდეს ციხე ფილე, რომელიც თებაში მიმავალ გზას ბატონობდა; შემდეგ იერიშით მივიდნენ პირეოსზე. კრიტიასი, რომელმაც ელევზისში 300 დემოკრატი ამოჟლიტა, მამაცობას მოკლებული არ იყო—იგი ომის ველზე მოკვდა პირეოსის დაცვის დროს. ოლიგარხებს სპარტანელების დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ—ამათ არჩიეს ათინის თავის დანებება. ამ გვარად თრაზიბულოსი და მისი ამხანაგები შევიდნენ ათინაში და აღადგინეს ძველი კონსტიტუცია (403).

6. „ათი ათასის“ გალაშქრება. ციროსის განზრახვანი. სწორეთ ამ დროს მოხდა საბერძნეთის ისტორიის ერთი შესანიშნავი ეპიზოდი—„ათი ათასის გალაშქრება და უკან დაბრუნება“. ამ ლაშქრობას ჩვენ შევყავართ ნაკლებად ცნობილ აღმოსავლეთის იმპერიის შუა გულში და ამასთანავე იგი მეტად საინტერესო თავია ბერძენთა სამხედრო ხელოვნების ისტორიისა. დარიოსს, რომელიც 404-ში მოკვდა, დარჩა ორი შვილი და ორივე მაცადინი იყო მამის ტახტი ხელში ჩაეგდო: არტარქსერქსე უფროსი იყო, მაგრამ უნცროსს კიროსს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ დაიბადა იმ დროს, როცა მამა სამეფო ტახტზე იჯდა. არტაქსერქსე გაიმარჯვა და იგი მზად იყო იქვე მოეკვლევინებია თავისი ძმა, მაგრამ დედა მათი პარისატიდა ჩაერია საქმეში და არა თუ იხსნა უნცროსი შვილი, არამედ კარგი თანამდებობაც მიაღებინა: არტაქსერქსემ დანიშნა ძმა მცირე აზიის სატრაპად (მმართველად). ესეთმა

სულგრძელებამ ვერ დააწყნარა კიროსი—მცირე აზიაში იგი შეთქმულებას აწყობდა ძმის წინააღმდეგ. ვინც კი განდევნილი მოიპოვებოდა, ყველას სარდაში იწვევდა. კიროსი იცნობდა ბერძნებს, ბერძნულსაც კარგად ლაპარაკობდა და იცოდა ბერძნების უპირატესობა სამხედრო საქმეში. მოკლე დროში ჯ. სარდი აივსო მრავალ გვარ ბედის მაძიებელთაგან; აქ იყვნენ სამშობლოდან დევნილები, ჯარის კაცები, რომელთაც ხმლისა და ფარის მეტი არ გააჩნდათ რა ცის ქვეშეთში, ძლიერ შთაბეჭდილებათა და უცბად გამდიდრების მსურველნი, ერთის სიტყვით სულ დიდის მადისა და ცალიერ კუჭის პატრონი ხალხი. ესენი ისე მოდიოდნენ მცირე აზიაში, როგორც თაგვები სანოვაგით სავსე საკუჭნაოში. კიროსი ყველას იღებდა. „ვინც ფეხით მოვა, ცხენს მივცემო, ამბობდა იგი; ვინც ცხენს მოიყვანს, ცხენის იარაღს ვაჩუქებ; ერთი ყანის პატრონს, სოფლებს მივცემ, სოფლებისას—ქალაქებს. ქირა დასათვლელი კი არ იქნება, არამედ ჩანახით დასარწყავი". ასეთი ღაპირება თავბრუს ახვევდა დამშეულ ბედის მაძიებელთ და კიროსთან დიდძალი ხალხი მოდიოდა. მაგრამ ბერძენთა უმთავრესი თემები ფრთხილად იყვნენ; მაგალითად, სპარტა შიშობდა საქმეში გარევას.

7. კიროსის ჯარების გალაშქრება არტაქსერქსეს წინააღმდეგ. კუნაქსის ბრძოლა (401). 401 წლის გაზაფხულზე კიროსი დაიძრა თავის ჯარებითა და 10.000 დაქირავებულ ბერძნის ჯარით. საით მიდიოდა კიროსი, არავინ იცოდა. გალაშქრების მიზანი ჯერ პისიდია ეგონათ, მაგრამ აქ არც კი შეჩერებულან. კილიკიაში ეჭვი აიღეს ექსპედიციის მიზანზე და კიროსმა ჯამაგირი მოუმატა ჯარს დასამშვიდებლადა და დასაწყნარებლად, არტაქსერქსეს თითქოს ეძინა ან შეშინებული იყო და არ იძვროდა. არც ტავრის მთებთან, არც ამანთან, სირიასა და კილიკიას შუა, კიროსს მტრის ჯარი არ შეხვედრია. ბოლოს მიაღწიეს ეფრატამდე, მაგრამ არც აქ შეხვედრიათ მოწინააღმდეგე. წყალი პატარა იყო და მარცხენა ნაპირზე ფონში გავიდნენ. არც აქ იყო არტაქსერქსეს ჯარები. მხო-

ლოდ კუნაქსის ახლო დაინახეს სპარსეთის მეფის უზარ-მაზარი ჯარი—900,000 კაცი: კიროსის ჯარის მარცხენა მხარე არც კი უწვდებოდა მტრის ჯარის შუა ნაწილს. ბერძენთა ჯარის უფროს კლეარხოსს რომ კიროსის დაეჯერებინა და მტრის შუა გულს დაუყოვნებლივ დატაკებოდა, არტაქსერქსე დამარცხებული იქნებოდა, მაგრამ კლეარხოსს შეეშინდა გარს არ შემორტყმოდა მტერი და მარცხენა მხარეს დაეტაკა. გაბრაზებული კიროსი სცდილობდა ვაჟკაცობით გაესწორებინა თავის ჯარის სიმცირე და პირდაპირ არტაქსერქსეს მიაშურა. მივიდა კიდეც ძმასთან, მაგრამ ამ დროს იგი სასიკვდილოთ დასჭრეს (სეპტემბერი 401 წ).

8. **„ათი-ათასის“ უამედო მდგომარეობა. ქსენოფონი ამხნევებს ჯარს. უკან დაბრუნება.** კიროსის მომხრე სპარსელი ჯარი გაიფანტა; ბერძნები კი მტკიცედ იდგნენ ომის ველზე, რადგან არ დამარცხებულან. კიროსის სიკვდილმა ვერ დასძლია მათი მხნეობა და სპარსეთის ტახტი ამაყად კიროსის მეგობარს არიეოსს შეაძლიეს. არიეოსმა არა თუ უარი სთქვა ბერძნების წინადადებაზე, გასცა კიდეც ისინი. ტისაფერენემ მიიწვია სათათბიროდ ბერძენი სარდლები და ყველა დახოცა. ეხლა კი დაინახეს ბერძნებმა თავიანთი უკიდურესი მდგომარეობა: უპატრონოდ დარჩენილი ერთი მუჭა ჯარი მტრულად განწყობილ სპარსელებ შუა. ბერძნების სასოწარკვეთილება აუწერელი იყო მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის ყველა ათას გაჭირვებისა და უბედურების მნახველი და გამონაცადი იყო; უასოსოოდ ეყარნენ მიწაზე და არაფერი არ აგონდებოდათ; ძილსაც კი ვერ ახერხებდნენ. რომ ერთი კაცი არა, ბერძნების ჯარი უეჭველად დაიღუპებოდა. ეს კაცი იყო ქსენოფონ ათინელი, სოკრატეს მოწაფე და მეგობარი, რომელმაც დაგვიტოვა ამ სამახსოვრო ლაშქრობის აღწერა—Anabasis'-ი. ქსენოფონი გამოყვა ამ ლაშქრობაში ერთ თავის მეგობარს სარდალ პროქსენეს, გაეცნო კიროსს და დაუახლოვდა. იგი ნამდვილი ათინელი იყო—მოქნილი, გონება მახვილი და შორს გამჭვრეტი, მაგრამ ამასთან ქსენოფონი მეტად მხნე, მტკიცე, დაკვირვებული და სინამდვილის ამწონ-დამწონი

იყო. ამიტომაც „ათი ათასის“ ნამდვილი სარდალიც იგი იყო, თუმცა შორს ეჭირა თავი და მხოლოდ გაჭირვების დროს წამოიწევდა წინ: ბერძნების შურიანობასა და მტრობას ერთმანეთისადმი ამ საშინელ მდგომარეობის დროსაც არ მიუძინებია და ქსენოფონს, როგორც ათინელს, ეჭვის თვალით უყურებდა ჯარი, რომელიც მეტ წილად პელოპონეზლებისაგან შესდგებოდა.

სარდლების დახოცვის დღეს საღამოთი ქსენოფონმა დაუძახა პროქსენეს ზოგიერთ მხედარებს და უთხრა: „მე არ შემიძლია არც წოლა, არც ძილი, ისე როგორც თქვენ, რადგან ვხედავ, თუ რა მდგომარეობაში ვართ. ცხადია, მტერი ეგრე აშკარად არ გამოგვიცხადებდა ომს, რომ ყოველი ღონისძიება მიღებული არ ჰქონდეს. ჩვენ შორის კი არავინ ჰფიქრობს წინააღმდეგი რამე მოისაზროს“. შემდეგ ქსენოფონმა დაანახვა მათ, რომ სპარსეთის მეფისაგან ცუდის მეტს არაფერს არ უნდა მოელოდნენ და რომ საშინელ მდგომარეობისაგან თავის დახსნისათვის საჭიროა უაღრეს სულის ძალით გამსჭვალვა. „ვეცადოთ დავაყენოთ ბერძნები სახელისა და პატიოსნების გზაზე. რაც მე შემეხება, მზად ვარ გამოგყვეთ, თუ იქეთ წახვალთ, საითაც მე გეუბნებით; და თუ მიბრძანებთ მე წაგიყვანოთ, მოხუცებას არ მოვიმიზეზებ და უარს არ ვიტყვი, რადგან, ჩემის ფიქრით, ჯერ კიდევ საკმაო ძალა მაქვს თავიდან ავიცილო მოსალოდნელი უბედურებანი“. მხედრებმა მოიწონეს ქსენოფონის სიტყვა, თან და თან გამხნევდნენ და მალე მთელი ბანაკი მიემხრო მათ. აირჩიეს ახალი სარდლები და მათ შორის საქმის ინიციატორი ქსენოფონიც, დასწვეს ყველაფერი, რაც კი ჯარს დაამძიმებდა, და გაუდგნენ გზას.

მძიმე და სამწუხარო იყო ამ ჯარის ოდისეა. ჯარი ჩრდილოეთისაკენ გაემართა, უკან მისდევდნენ სპარსელების რაზმები და მოსვენებას არ აძლევდნენ. მაგრამ აქაც იჩინა ცხადათ თავი ბერძნების ჯარის წესისა და დისციპლინის უპირატესობამ ბარბაროსების პირვანდულ ომის წესთან შედარებით: სპარსელები ახლო მოსვლას ვერ ბედავდნენ და შორი-ახლო მის-

დევდნენ. ბერძნების ჯარის გაჭირვება მთებისა და ცუდი გზების მიზეზი უფრო იყო, ვიდრე სპარსელ რაზმებისა. ბერძნები მიდიოდნენ მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე იმ მთებამდე, სადაც კარდუქები (ქურთი) სცხოვრობდნენ, რომელნიც, ეხლანდელების არ იყოს, ძარცვა-რბევითა და აბრაგობით სცხოვრობდნენ. კარდუქებმა რამდენიმე ჯარის კაცი მოუკლეს ბერძნებს, მაგრამ ვერ დაუშალეს კი სომხითში გადასვლა. აქ დიდი ზარალი და გაჭირვება ნახეს ბერძნებმა სიცივეების გამო —დაიხოცა ბევრი საქონელი, მონები და ჰოპლიტებიც კი. ქსენოფონმა დიდი სამსახური გაუწია ბერძნების ჯარს ამ ქვეყანაში: მან შეამჩნია, რომ ვინც თოვლში ჩაჯდებოდა დასასვენებლად და დაიძინებდა, მას აღარ შეეძლო ადგომა და ილუპებოდა; ამიტომ როგორც კი შეამჩნევდა, რომ ვინმე დაჯდებოდა დასასვენებლად, ნებას არ აძლევდა, ლანძღავდა, აგინებდა და სცემდა კიდეც, სანამ არ ააყენებდა. ბერძნის ხასიათის გასაცნობად უნდა ვსთქვათ, რომ ჯარის სამშვიდობოში გასვლის შემდეგ, როცა სარდლები თავის მოქმედების ანგარიშს იძლეოდნენ, ქსენოფონისაგან სიკვდილს გადარჩენილებმა ბრალდება წამოუყენეს ქსენოფონს—გზაში გვცემდაო. ჯარი სულ ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა; ბოლოს გადაიარეს სომხითი და მიაღწიეს შავის ზღვის სიახლოეს. „როცა ჯარის პირველი წყება ავიდა მთის მწვერვალზე და ზღვა დაინახა, საშინელი ყიჟინა შეიქნა. ქსენოფონსა და ჯარის უკანა ნაწილს ეგონა, რომ ახალი მტერი გამოჩნდა საიდგანღაცო... ყიჟინა თან და თან უფრო ძლიერდებოდა, რადგან მოწინავეებს ახალი ჯარისკაცები ემატებოდნენ. ქსენოფონი რაღაც საშინელებას მოელოდ; ამიტომ იგი შეჯდა ცხენზე და მისაშველებლად გაეშურა; მაგრამ მისვლამდე გაიგონა ჯარის კაცების ყვირილი—„ზღვა, ზღვა“-ო. ჯარის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა—სიხარულის კრემლებ თვალმორეულები ერთმანერთს ეხვევოდნენ და ულოცავდნენ. ... „კმარა ამდენი ბრძოლა, ამდენი ტანჯვა! ჩვენ გვსურს დავბრუნდეთ საბერძნეთში ოდისესავით—გემზე გაწოლილი და მძინარე“. მაგრამ ეს ხომ ოცნება

იყო; ნამდვილად გემზე ავიდნენ ქალები და ბავშვები; ჯარის კაცები კი ბოსფორამდე ხმელეთით წავიდნენ და ათასი გაჭირვება გამოსცადეს. აქაც კი არ გათავებულა მათი ტანჯვა: საჭირო შეიქნა სპარტიატების მტრობის წინააღმდეგ ბრძოლა და თრაკიის ერთ მეფის სამსახური. მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესო ჯარის კაცების ბედი როდია, არამედ ის სიმამაცე, მოთმინება, სიმტკიცე და საზოგადოთ ყველა სამხედრო ღირსება, რომელიც „ათი-ათასმა“ გამოიჩინა უკიდურეს გაჭირვების დროს. დანარჩენ ბერძნებმა კი დაინახეს, რომ სპარსეთი სრულებით ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც ეგონათ: ათი ათასმა ბერძენმა გაიარა მთელი სპარსეთი ისე, რომ ვერ შეაჩერეს. ეს გაკვეთილი არ დავიწყებია არც აგეზილაოსს და არც ალექსანდრეს.

9. ლიზანდროსის ძლიერება და ამ ძლიერების დაცემა. ლიზანდროსმა სძლია ათინა და არგუნა ჰეგემონია სპარტას. ეს ყველამ კარგად იცოდა და თვით ლიზანდროსმა ყველაზე უკეთ. ამ გარეგნად აღუშფოთებელსა და ცივბუნებოვან კაცს გამარჯვებამ თავბრუ დაასხა. უფრო მძიმე და გონიერ კაცსაც აუბამდა თვალებს ქება-დიდების გუნდრუკი, რომელსაც ასე უხვად უკმევდნენ ბერძნები.

საბერძნეთში და მცირე აზიაში ლიზანდროსი დადიოდა როგორც გამარჯვებული ბატონი; თან ახლდნენ ყოველთვის პირფერი მეგობრები, მგოსნები და დამკვრელები. ყველგან, სადაც კი გაივლიდა, საკურთხეველს უდგამდნენ და ღმერთივით მსხვერპლებს სწირავდნენ, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო. სამოსლებმა ყველას გადააჭარბეს—ჰერას დღესასწაულს ლიზანდროსის სახელი უწოდეს. ის კი არ გადმოუციათ, თუ როგორ მიიღო ქალ-ღმერთმა ასეთი უპატივცემულობა. მშვენიერი იქნებოდა, რომ ასე გაღმერთებულ კაცს არ ეღალატნა სპარტანელების ძველ სიმარტივისათვის. მაგრამ ლიზანდროსი ეგეთი არ იყო: იგი სცხოვრობდა სპარსელ სატრაპივით—შეუბრალებელი, ამაყი, ამაოების მოყვარე და აუტანელი. გასაკვირველი იქნებოდა, რომ სპარტაში ყურადღება არ მიექციათ ლიზან-

დროსის ასეთ გაძლიერებისათვის, მით უმეტეს, რომ გაგებული ჰქონდათ, თუ როგორ სცდილობდა ლიზანდროსი მომხრეების შეძენას მეზღვეურთა შორის: ასეთ კიკისაგან მოსალოდნელი იყო სახელმწიფო წესწყობილების, წინააღმდეგ მოქმედება. სპარტანელ ეფორების პოლიტიკა ასეთ შემთხვევებში ყოველთვის გაბედული და სწრაფი იყო: ამათ დაუყოვნებლივ გაუგზავნეს ლიზანდროსს „სკიტალოსი“ (ჯოხი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა დაწერილი ბრძანება) სამშობლოში დაბრუნებისა. რადგან ლიზანდროსს თავის თავი აუცილებელი ეგონა სპარტასთვის, საწინააღდეგოდ არაფერი ჰქონდა მომზადებული. ამიტომაც გადასწყვიტა დამორჩილებოდა ბრძანებას. სპარტაში წასვლამდე იგი მივიდა ფარნაბაზთან და ეფორებთან დახმარება სთხოვა. სპარსელმა მოატყვილა ბერძენი: ჯერ დასწერა ქებით აღსავსე წერილი, მაგრამ იქვე შეუმჩნევლად გამოუცვალა და გაატანა მეორე, რომელიც გარეგნად პირველს ჰგავდა, მაგრამ შინაარსი კი სულ სხვა იყო. ლიზანდროსმა დამშვიდებულად და გაბედვით მიუტანა ეს წერილი ეფორებს და წააკითხა: მელა მოტყვილებული შეიქნა, მაგრამ იმდენი ძალა კიდევ გამოიჩინა, რომ არაფრად შეიმჩნია, და მოიგონა, ვითომც მას ძევს ამონის მსხვერპლი ემართა, რისთვისაც იგი ლიბიაში წავიდა.

10. სპარტას პოლიტიკა აზიაში. სპარტამ ათინის ადგილი დაიკავა იონიაში. ამ ახალმა მდგომარეობამ ერთიანად შესცვალა მისი პოლიტიკა; იგი იძულებული შეიქნა გაეჩინა ფლოტი, მზად ჰქონებოდა ფული და საომარ ფეხზე მდგარიყო, რადგან სპარსელები მუდამ სცდილობდნენ იონიის ქალაქების დაპყრობას. საბედნიეროდ, თუ ბერძნები ერთობას იყვნენ მოკლებული, ნაკლები განხეთქილება არც სპარსელებ შორის ყოფილა: თითეული სატრაპი თავის სატრაპიაში დამოუკიდებელ მეფესავით იქცეოდა. ტისაფერნესა და ფარნაბაზის შურიანობისა და მეტოქეობის გამო სპარტა გამარჯვებული იყო, მაგრამ ასეთ გამარჯვებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, სანამ არ გამოჩნდა კაცი, რომელიც შიხვდა სპარსეთის ნამდვილ სისუსტეს: ეს კაცი იყო სპარტას მეფე აგეზილაოსი.

11. აგეზილაოსი. მეფე აგისი, პროკლიდების გვარიდან, მოკვდა 399-ში. მას დარჩა ერთი შვილი ლეოტიხიდასი და ძმა აგეზილაოსი. ტახტის კანონიერი მემკვიდრე პირველი იყო, მაგრამ ლიზანდროსის მოხერხებით ხალხმა მეფედ იცნო აგეზილაოსი. ლიზანდროსს იმედი ჰქონდა, რომ მისი გაზრდილი აგეზილაოსი სრული მორჩილი იქნებოდა გამზრდელისა. შორს გამჭვრეტი სპარტანელები, რომელთაც ეშინოდათ ლიზანდროსის პატივმოყვარეობისა, ბევრს ეცადნენ აგეზილაოსი არ გამხდარიყო მეფედ; სხვათა შორის მოიგონეს მისნის რჩევა, რომელიც უკრძალავდა სპარტანელებს კოჭლ მეფის ყოლას და აგეზილაოსი კი კოჭლი იყო. „თქვენ არ გესმისთ მისანის სიტყვებიო, უთხრა მათ ლიზანდროსმა თავისებურის ურცხვობით; მისნის „კოჭლი მეფე“ ნიშნავს უკანონოდ შობილს და არა ჰერკულესის ჩამომავალს“. ხალხმა მიოიწონა ლიზანდროსის მოხერხებული ახსნა და აგეზილაოსი შეიქნა მეფე.

არჩევანი მეტად კარგი გამოდგა, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ლიზანდროსი მოელოდა. ამას ეგონა რომ აგეზილაოსი მისი მონა მორჩილი იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა. რომ სუსტ სხეულში ძლიერი სული იფარებოდა. ენერგიული და მტკიცე ხასიათის პატრონი სპარტანელი ბავშობიდან პატიოსნების მიმდევარი იყო; გონება მახვილი და მოქნილი მეფე ადამიანის კარგი მცნობი იყო. ლიზანდროსმა მალე იგრძნო, თუ რა კაცი იყო მის დახმარებით გამეფებული აგეზილაოსი. ლიზანდროსი გაჰყვა მეფეს იონიაში, ისე როგორც აღმზრდელი გაზრდილს გაჰყვება ხოლმე. ყველგან, სადაც კი გაიარეს, ლიზანდროსს დიდის ამბით დახვდნენ; ყველა მას მისდევდა და პატივს სცემდა; აგეზილაოსი კი მარტო რჩებოდა. ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გასტანდა და ეს მალე აგრძნობინა აგეზილაოსმა ლიზანდროსს: მეფემ არ მიიღო არც ერთი წინადადება ლიზანდროსისა. ერთ დღეს გულმოსულმა ლიზანდროსმა უთხრა: „აგეზილაოს, შენ მეგობრების დამდაბლება გისწავლია“.—„ძევსსა ვფიცავ, რომ მართალია, მაგრამ მე ისეთებს ვამდაბლებ, ვინც თავის თავს ჩემზე მაღლა აყენებს; რაც

შეეხება იმათ, ვინც ჩემ განდიდებას სცდილობს, მათი პატივისცემა რომ არ ვიცოდე, ჩემი თავი მევე შემზიზღდებოდა“-ო, უპასუხა აგეზილაოსმა. ლიზანდროსი მიხვდა, თუ რისი თქმა უნდოდა აგეზილაოსს, და რადგან მისთვის მოუხერხებელი იყო მეორე პირად ყოფნა, ჰელესპონტში გააგზავნინა თავი. მის მაგიერ მრჩევლად აიყვანა მეფემ ქსენოფონ ათინელი, რომელმაც სოკრატეს სიკვდილის შემდეგ თითქმის სრულებით მიატოვა თავისი სამშობლო.

12. აგეზილაოსის გალაშქრება მცირე აზიაში. აგეზილაოსი ამ დროსათვის მზად იყო მცირე აზიაში გასალაშქრებლად და არც საკვირველია—სატრაპები ერთმანერთს ეომებოდნენ, ქეეყანა მდიდარი იყო და სამეფო კი დასუსტებული, როგორც ეს „ათი ათასის“ ნაამბობიდან სჩანდა. სპარტას მეფე წავიდა მცირე აზიაში 396 წელს. ჯერ ჰელესპონტის მხარე მოიარა, შემდეგ აგეზილაოსი გამაგრდა ეფესში და აქედან იწყო ლაშქრობა. საბერძნეთის ყოველ კუთხიდან მოდიოდნენ მეფესთან მეომრები. 20,000 ჯარის კაცით გასწია აგეზილოსმა მდ. კაისტაროსის ჭალისაკენ; აქედან იგი გადავიდა მდ. ჰერმოსის ჭალაში, სადაც ტისაფერნეს ჯარი დაამარცხა. დავლა აუარებელი იყო. აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ ტისაფერნემ დამარცხებისათვის თავი წააგო. მისმა მემკვიდრემ ოცდაათი ტალანტი მისცა აგეზილაოსს და სთხოვა ფარნაბაზის სატრაპიაში გადასულიყო. მაგრამ რადგან ასეთი საშუალება ყოველთვის გამოსადეგი არ იქნებოდა, უფრო საზრიან ხერხს მიჰმართა: მისმა აგენტმა ტიმოკრატემ შემოიარა საბერძნეთის ქალაქები და ბევრი სპარსული ოქრო დაარიგა. ათინას, თებას, კორინთს და სხვებსაც ერგოთ წილი. შედეგმაც მალე იჩინა თავი.

13. საბერძნეთის აჯანყება სპარტას წინააღმდეგ. ქ. თებამ, რომელიც შურის თვალით უყურებდა სპარტას გალაღებულ ბატონობას, პირველმა აიღო იარაღი ხელში და კავშირით შეეკრა ათინას. ეს კაი გაბედვა იყო; ლიზანდროსი საჭირო შეიქნა სპარტასთვის; იგი გაელაშქრა ჰალიარტას სიმა-

გრისაკენ ბეოტიაში. ბრძოლა სიმაგრის კედლების ახლო მოხდა და ლიზანდროსი მოჰკლეს. ამ ამბავმა გაამხნევა აჯანყებულები. თებამ, არგოსმა, კორინთმა და ათინამ შექმნეს ლიგა, რომელსაც საერთო კასა ჰქონდა; ლიგის საბჭო კორინთში იყო. მალე ლიგას სხვებიც შემოუერთდნენ, მაგალითად თესალიელები. სპარტა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ქ. კორინთს კორინთის ყელი ეჭირა და სპარტა პელოპონეზში მოემწყვდა. ეფორებმა ბრძანება გაუგზავნეს აგეზილაოსს საბერძნეთში დაბრუნებულიყო.

14. აგეზილაოსის აზიიდან გამოწვევა. ბრძანება მიუვიდა აგეზილაოსს მიზიის ბანაკში. გული სიბრაზით ევსებოდა მეფეს, როცა იგი სტოვებდა ასე მდიდარსა და ადვილ საშოვარს. მეფე წამოვიდა იმ გზით, რომელიც წინეთ ქსერქსემ გაიარა. ამფიპოლისში მან გაიგო, რომ ლიგის ჯარი დამარცხდა ნემეის წყაროსთან, კორინთსა და სიკიონს შუა. გაძხნევებულმა აგეზილაოსმა გაიარა მაკედონია და თესალია, თუმცა თესალიელები ბევრს ეცადნენ მის შეჩერებას. თერმოპილიც ადვილად გადაიარა და მოვიდა ბეოტიაში, სადაც მას კორონეს ველზე დაბანაკებული მტერი ელოდა. შეტაკება საშინელი იყო და აგეზილაოსი დასჭრეს. მართალია, გამარჯვება უფრო აგეზილაოსის მხარეზე იყო, მაგრამ მაინც სპარტას ვარსკვლავს ბრწყინვალება ეკარგებოდა: ევროპაში იგი გაჭირვებით ებრძოდა ლიგას და აზიაში კი ერთბაშად გამოჩნდა ძველი მისი მეტოქე—ათინა. გონიერმა და ხერხიანმა კონონ ათინელმა მიიმხრო ფარნაბაზი, დაამარცხა ლაკედემონელების ფლოტი და შეუდგა ათინის სიმაგრის ნანგრევების აღდგენას სპარსეთიდან მოტანილ ფულით.

15. ანტალკიდას ხელშეკრულება. სპარტანელები ხედავდნენ თავიანთ საშიშ მდგომარეობას. კონონის გამარჯვება სახეს უცვლიდა საბერძნეთს და ხანგრძლივ ომიანობის მთელი შედეგი იღუპებოდა. ათინამ თავი მაღლა აიღო: ზღვაზე კონონი სცდილობდა ძველ ძლიერების აღდგენას, ხმელეთზე სარდალი იფიკრატესი მარჯვედ ებრძოდა აგეზილაოსს. თუ ასეთი

მდგომარეობა გაგრძელდებოდა, სპარტა დაღუპული იყო. ერთმა პარტიამ ანტალკიდას მეთაურობით გადასწყვიტა დაბრუნებოდნენ ლიზანდროსის პოლიტიკას და ეფორებმაც გაგზავნეს ანტალკიდა სარდში სპარსეთთან ახალ ხელშეკრულების შესაკვრელად. აქ იგი კარგად მიიღეს, მაგრამ სუზაში უნდა წასულიყო თვით სპარსეთის მეფესთან მოსალაპარაკებლად (388). ყველა მისი წინადადება მოიწონეს და სატრაპ ტირიბაზემ მოიწვია სარდში საბერძნეთის უძთავრეს თემების წარმომადგენელნი იმ ხელშეკრულების მისაღებად, რომელიც ცნობილია ისტორიაში ანტალკიდას სახელით. ქსენოფონი ასე გადმოგვცემს მის შინაარსს: „მეფე არტარქსერქსე სამართლიანად სთვლის, რომ აზიაში მდებარე ქალაქები, აგრეთვე კლაძომენი და კიპროსი მისი საკუთრება იყოს. საბერძნეთის დანარჩენი ქალაქები კი, დიდი და პატარა, ყველა დამოუკიდებელი უნდა იქნეს, გარდა ლემნოსისა, იმბროსისა და სკიროსისა; ესენი, როგორიც წინეთ იყო, ათინელების საკუთრება იქნება. ვინც არ მიიღებს ამ ხელშეკრულებას, ომს დავუწყებ იმათთან ერთად, ვინც მიიღებს.“

16. ანტალკიდას ზავის შედეგი. საბერძნეთის არც ერთ თემს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ამ ხელშეკრულებისათვის. ათინას ჯერ არ მორჩენოდა ძველი იარები — ერთი სპარტანელი სარდალი უომრად მივიდა პირეოსში და გადაწვა სურსათისა და იარაღის საწყობები. დანარჩენი თემებიც უძლურები იყვნენ. ამიტომაც ყველა იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა სპარსეთის მეფისა და სპარტას სურვილს. საბერძნეთის ყოველი თემი დამოუკიდებელი შეიქნა; არგოსი იძულებული შეიქნა უარი ეთქვა კორინთზე, რომელიც მას შემოერთებული ჰქონდა; თებამ უარი სთქვა ბეოტიის ქალაქების ბატონობაზე. მარტო სპარტა იყო მოგებული, რადგან მისი მოკავშირე ქალაქები წინედაც სარგებლობდნენ ავტონომიით. აგეზილაოსის სიტყვებიც ამას ხატვენ: ერთხელ მასთან სთქვეს — „რა სირცხვილია! სპარტანელები სპარსელობენ;“ — სრულებითაც არა, უფრო სპარსელები ლაკონელობენო, უპასუხა აგე-

ზილაოსმა. მაგრამ ნამდვილად მოგებული სპარსეთის მეფე იყო; იგი მთელ საბერძნეთის სიუზერენი (უაღრესი ბატონი) შეიქნა. ეს შედეგი მოჰყვა ბერძნების დაუსრულებელ შურიანობას და უთანხმოებას.

17. იონიის ქალაქების დამონავება სპარსელების მიერ. სპარტას ძლიერება ევროპაში. იონიის ქალაქებმა მალე იგრძვნეს ხელშეკრულების სიმძიმე: სპარსელებმა ისევ დაიპყრეს ისინი და დიდი ხარკიც შეაწერეს. ევაგორასის წინააღმდეგობის მიუხედავად სპარსელებმა დაიკავეს (385) კუნძული კიპროსი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. საბერძნეთში სპარტა ისე ძლიერი სჩანდა, როგორც სპარსეთი აზიაში: სასტიკად დასაჯა ყველა, ვისიც ჯავრი სჭირდა. არკადიაში აგეზიპოლისმა აიღო ქ. მანტინეა, დაანგრია სახლები და მცხოვრებლები ოთხ პატარა ქალაქად დაასახლა, როგორც ერთ დროს ყოფილა. ქსენოფონი გვარწმუნებს, ვითომც მანტინეელები აღტაცებაში იყვნენ პირვანდულ ცხოვრების დაბრუნებით, მაგრამ ქსენოფონი, სპარსეთის მეფის არ იყოს, ლაკონელობდა. ასეთივე ბედი ეწვია ყველა იმ ქალაქებს, რომელნიც კი წინააღმდეგობას ბედავდნენ, მაგალითად ფლიონტს პელოპონეზში და ოლინთს თრაკიაში. თვით თებაში არისტოკრატებმა გადასცეს ციხე სპარტანელ სარდალს ფებიდასს. სპარტა ყველგან გაბატონებულ იყო: აზიაში სპარსეთის მეფე მეგობრობდა, საბერძნეთის ქალაქებში მისი მხარე ეჭირა ყველა არისტოკრატებს; მისივე მომხრე იყო სირაკუზის ტირანი დიონისი და მაკედონიის მეფე ამინტა. სპარტა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მისი მდგომარეობა დიდხანს გასტანდა. მაგრამ თებას აჯანყებამ დაანახვა მას, რომ სცდებოდა.

თავი XXIV.

თებას დროებითი მლაერება—ეპამინონდა და პელოპიდა.

სარჩევი. 1. თება და ბეოტია ეპამინონდამდე.—2. ეპამინონდა და პელოპიდა.—3. სპარტიატებმა დაიკავეს კადმეა; ამათი გაძევება (379).—4. ათინას გამარჯვება ზღვაზე; თება მოშორდა სპარტას.—5. თებას ჯარის რეორგანიზაცია.—6. ლევკტრას ბრძოლა; თებელების გამარჯვება. (371).—7. სპარტამ გაიგო ლევკტრას ამბავი.—8. შედეგი ეპამინონდას გამარჯვებისა.—9. თებელები პელოპონეზში; მეგალოპოლისის დაარსება.—10. ეპამინონდა სპარტას წინ (370).—11. თესალიის საქმეები; მეფე იაზონის განზრახვანი.—12. პელოპიდა თესალიაში.—13. ახალი ბრძოლა პელოპონეზში.—14. ეპამინონდა და არკადიელები.—15. მანტინეას ბრძოლა (362).—16. დიდი საბერძნეთის (სამხრეთი იტალია) არეული მდგომარეობა. კართაგინელები სიცილიაში.—17. დიონის უფროსი, სირაკუზის ტირანი (405-368).—18. დიონისის ბრძოლა კართაგინელებთან.—19. დიონის უმცროსი (368-358).—21. ტიმოლეონი.

1. **თება და ბეოტია ეპამინონდამდე.** ბეოტიას, გეოგრაფიულ მდებარეობისა და მიწის ნაყოფიერების მიხედვით, მეტი ადგილი უნდა ჰკავებოდა საბერძნეთის ისტორიაში. დორიელების შემოსევიდან ბეოტიაში დიდი განხეთქილება იყო მოსულებსა და მკვიდრ მცხოვრებლებ შორის. იქაც კი, სადაც დორიული ელემენტი გაბატონებული იყო, განსაკუთრებით თებაში, ბატონობა გაუნათლებელსა და მოუხეშავ არისტოკრატიის ხელში იყო. ხალხი სრულებით მოშორებული იყო ქვეყნის მართვა-გამგეობას. ქსერქსეს არ ჰყოლია თებელ არისტოკრატებზე უფრო ერთგული მოკავშირე. სპარსელების

შემდეგ თებელების პოლიტიკის ხელმძღვანელი შურიანობა იყო, რომელმაც მოწამლა საბერძნეთის თემების ისტორია. ყველაზედ უფრო ათინა იყო თებას მეტოქე და მტერი და სწორედ თებელი მეომრები იყვნენ, რომ ეგოსპოტამოსის ბრძოლის შემდეგ თხოულობდნენ მშვენიერებისა და განათლების დედაქალაქის ძირიანად დანგრევას. ათინის დაცემის შემდეგ თებელებმა შურის თვალით დაუწყეს ცქერა სპარტას: გაიღვიძა დემოკრატიულმა პარტიამ ხანგრძლივის ძილის შემდეგ და გაჩნდა ახალგაზდა ბეოტია, რომელიც წინააღმდეგი იყო ძველის თაობისა. ორი პიროვნება, ორი მეგობარი იყო თებას აღორძინების ბარაღი; ესენი იყვნენ ეპამინონდა და პელოპიდა.

2. ეპამინონდა და პელოპიდა. თავისებურობას და განსაკუთრებულ ადგილს საბერძნეთის გმირთა შორის აძლევს ეპამინონდას მისი მაღალი ზნეობა. იგი იყო აღზრდილი სერიოზულ დისციპლინის ზედ-გავლენის ქვეშ, რამაც განავითარა მისი გონება და განამტკიცა ბუნება, რომელიც იმ თავითვე გაჩენილი იყო აზროვნებისა და მოვალეობისა და პატიოსნების გრძნობისათვის. მამა მისი კარგის ჩამომავლობისა იყო, მაგრამ შეძლება ნაკლები ჰქონდა. მიუხედავათ ამისა შვილის აღმზრდელად ჰყავდა პითაგორას ფილოსოფიის მიმდევარი ლიზიასი. ასეთ აღმზრდელის შრომას შესაფერი ნაყოფი მოჰყვა: ზიზღი სიმდიდრისადმი, სამშობლოსათვის თავდადება, საკვირველი მეგობრული გრძნობა, იმ დროს მეტად გავრცელებული მთელ საბერძნეთში, თავდაბლობა და თავის-თავის უარისყოფა; თავის დასაკმაყოფილებლად როდი უნდოდა ეპამინონდას ყველა ეს ღირსებები, არამედ სამშობლოს სამსახურისათვის. იგი მეტად შეწუხებული იყო თებას დაცემით და გადაწყვიტა მისი აღორძინება სპარტას უღლის დამსხვრევით და შეასრულა კიდეც ეს თავისი გადაწყვეტილება. მისი მეგობარი და თანამშრომელი ამ სახელოვან საქმეში იყო პელოპიდა. არასოდეს არ ყოფილა ორი ასეთი მეგობარი და თან ასე განსხვავებული ერთმანერთისაგან. პელოპიდა გულღია და გატაცებული კაცი იყო; ვაჟკაცობა მისი სიგიჟემდე მი-

დიოდა; იგი ყოველთვის მზად იყო შეიაგულ ბრძოლაში გადავარდნილიყო; მას აკლდა ეპამონონდას ზომიერება; სამაგიეროდ აღსავსე იყო მხურვალებითა და სიცოცხლით; მას ყველაფერი მოსწონდა, რაც მშვენიერი იყო და ყოველივე დიდებული და კეთილშობილი საოცარის ძალით იზიდავდა. პელოპიდა არისტოკრატი იყო, მაგრამ არისტოკრატიის უკიდურესობამ მოწინააღმდეგე პარტიაში გადაიყვანა; იგი მდიდარი იყო, მაგრამ თავის მეგობრის სიღარიბე შურდა და ძალ დაუტანებლად კარგის ქმნის სურვილისა და კეთილ მაგალითის მიბაძვისათვის ეპამინონდასავით უბრალოდ ცხოვრობდა. სიმდიდრე სხვის სასამსახუროდ უნდოდა და „გონიერი“ თებელები თავის ქნევით უყურებდნენ მის ხელგაშლილობას. მით უარესი ამ „გონიერებისათვის“!

3. სპარტიატებმა დაიკავეს კადმეა; ამათი გაძევება (379). ეპამინონდას და პელოპიდას მეგობრობა დაიწყო მანტინეას ბრძოლის ველზე, სადაც ორივენი სპარტას მხარეზე იბრძოდნენ და ეპამინონდამ თავგანწირულებით სიკვდილიდან დაიხსნა დაჭრილი პელოპიდა. როცა სპარტამ კადმეა დაიკავა, პელოპიდა და ბევრი სხვაც იძულებული შეიქნენ ათინაში გაქცეულიყვნენ, რადგან ვერ დაჰფარეს თავიანთ აღშფოთება ასეთ ძალმომრეობის გამო. ეპამინონდასთვის ხელი არავის უხლია—მისი მშვიდობიანი ქცევა საეჭვოდ არ მიაჩნდათ თების ბატონებს. ორივე მეგობარი, ერთი ათინაში და მეორე თებაში, ემზადებოდნენ სპარტასთვის სამაგიეროს გადასახადელად; მაგრამ სანამ მიზანს მიაღწევდნენ, ოთხი წელი გავიდა. ბოლოს გაძევებულებმა გადაწყვიტეს პირდაპირ საქმეს შედგომოდნენ. ასამდე შეთქმული შეიკრიბა კითერონის ახლო; ამათგან თხუთმეტი გამოიყო და სცადა თებაში შესვლა, რომ ტირანებს მოულოდნელად თავს დასხმოდნენ. ამ თხუთმეტში პელოპიდაც ერია და სწორედ იგი იყო მიზეზი, რომ შეთქმულებმა გაიმარჯვეს. შეთქმულები წავიდნენ თებასაკენ ზამთრის ერთ ბნელ ღამეს, და თან მონადირე ძაღლები და ბადეები მიჰქონდათ მტრის თვალის ასახვევად.

ცივი ქარი ჰქროდა, ცა ბნელი იყო და დიდი თოვლიც მოდიოდა. შეთქმულები შეუმჩნევლად შევიდნენ ქალაქში და თავი მოიყარეს განზრახულ პირთან, რომელსაც ხარონი ერქვა. იმ წამსვე კარის კაკუნი მოისმა: პოლემარხები იბარებდნენ ხარონს. ხარონი წავიდა იმ სახლში, სადაც ტირანები სანადიმოდ იყვნენ შეკრებილი, და იმდენი მოახერხა, რომ მათი ეჭვი გააქარწყლა. როგორც კი ხარონი წამოვიდა, პოლემარხებს ათინიდან მოუვიდათ წერილი, სადაც დაწვრილენით იყო მოთხრობილი განზრახულ შეთქმულების ამბავი; მაგრამ პოლემარხები ბედის წერას აჰყოლოდნენ: ერთმა მათგანმა, არხისმა, არც კი წაიკითხა წერილი, აიღო ღვინით სავსე ფიალა და სთქვა—„სერიოზული საქმეები ხვალისთვის იყოსო“ და განაგრძო სმა. პოლემარხები და მათი სტუმრები კარგად შექეიფიანებული იყვნენ, რომ ქალურად გამოწყობილი და პირბადე ჩამოფარებული შეთქმულები მოვიდნენ. პოლემარხებმა სუფრაზე მიიწვიეს ვითომდა ქალები, მაგრამ შეთქმულებმა გადიძვრეს პირბადე, მიცვივდნენ ტირანებს და ხანჯლებით დაჰხოცეს. შემდეგ ქუჩაში გამოვიდნენ, დაუძახეს ხალხსა და ტირანებისაგან განთავისუფლება გამოუცხადეს. კადმეას გარნიზონი რომ დაუყოვნებლივ დატაკებოდა შეთქმულებს, საქმე დაღუპული იქნებოდა, მაგრამ სპარტანელებმა ეს ვერ გაბედეს და გათენებას უცდიდნენ. მაშინ კი გვიან იყო და გარნიზონი იძულებული შეიქნა შეთქმულებს დანებებოდა (379).

4. ათინის გამარჯვება ზღვაზე; თება მოშორდა სპარტას. თებას განთავისუფლებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ საბერძნეთში, მაგრამ ნამდვილი შედეგი თებელების გამარჯვებისა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა. თება არ იყო იმდენად ძლიერი, რომ მოუმზადებელად გამკლავებოდა ლაკონელების საშინელ ფალანგას; დანარჩენი თემები არ ინძრეოდნენ, რადგან ყველას ეშინოდა. მხოლოდ ათინამ ისარგებლა თებელების გამარჯვებით. ათინა ისევ დაადგა აკტიურ პოლიტიკის გზას, სამხედრო სახელოსნოებში გაცხარებული მუშაობა იყო და პირეოსსაც დროებით დაუბრუნდა

ძველი ბედნიერი დრო. სამი ნიჭიერი სარდალი — იფიკრატე ხაბრიასი და კონონის შვილი ტიმოთე—მარჯვედ უძღოდნენ ათინელებს. ათინა ისევ გაჩნდა ეგეის ზღვაში და დაარსდა ახალი საზღვაო ლიგა, რომელშიაც შევიდნენ ქიოსი, მიტილენე, ბიზანტიონი, ტენედოსი, როდოსი და სხვანი. ხაბრიასმა, რომელსაც მხარს აძლევდა თავის საკვირველის მამაცობით ახალგაზდა ფოკიონი, დაამარცხა სპარტას ფლოტი ნაქსოსსა და პაროსს შუა და სამი ათასი ტყვე მოიყვანა ათინაში (376). ტიმოთემა და იფიკრატემ გაიმარჯვეს იონიის ზღვაში; მაგრამ ასე მშვინიერად დაწყებული საქმე მალე ისევ უკან-უკან წავიდა. ათინას შემოაკლდა ფული და გარდა ამისა თებას გაძლიერება ბეოტიაში სასურველად არ მიაჩნდა. 371 წელს ათინამ მოციქულები გაუგზავნა სპარტას ზავის ჩამოსაგდებად და წინადადება მისცა თებასა და მოკავშირეებს მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებაში. თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს დაბრუნებოდნენ ისევ ანტალკიდას ზავის პირობებს, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ სპარტას არ ჰქონებოდა უფლება ზავის პირობების ასრულების ყურის გდებისა; ყოველ თემს შეეძლო თავის სურვილისამებრ მოქცეულიყო, როცა რომელიმე თემის უფლება შელახული იქნებოდა ვისმესაგან. ნამდვილად კი სპარტა მაინც რჩებოდა პელოპონეზის ლიგის მეთაურად და მეტი არც მას უნდოდა. მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო თებას მდგომარეობა? იგიც ხომ ჰფიქრობდა ბეოტიაში ბატონობას, როგორც სპარტა პელოპონეზში. თებას წარმომადგენელმა ეპამინონდამ, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, გამოაცხადა, რომ თებას გარეშე ბეოტია არ არსებობსო. ასტყდა ცხარე კამათი: აგეზილაოსმა ჰკითხა ეპამინონდას, სთვლის თუ არა იგი სამართლიანად რომ ბეოტია თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს. „შენ როგორ ჰფიქრობ, ჰკითხა ეპამინონდამ, სამართლიანია თუ არა რომ ლაკონია თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს?“ სიბრაზისაგან გაცეცხლებული აგეზილაოსი წამოდგა და სთქვა „პირდაპირ სთქვი, დასტოვებთ თუ არა თავისუფლად ბეოტიას?“

—„და თქვენ კი მისცემთ ლაკონიას თავისუფლებას?“ შეეკითხა ეპამინონდა. აგეზილაოსმა თავი ველარ შეიკავა და თავის ხელით ამოშალა ხელშეკრულებიდან თებას წარმომადგენლის სახელი. ეს ომის გამოცხადება იყო.

5. **თებას ჯარის რეორგანიზაცია.** ეპამინონდას ამაყი სიტყვები, რომელიც მან აგეზილაოსს უთხრა, ცალიერი სიტყვები არ გამოდგა. თება მზად იყო საბერძნეთის უძლიერეს თემთან საბრძოლველად. პელოპიდამ და ეპამინონდამ, კადმეას აღების შემდეგ, ნამდვილი რევოლიუცია მოახდინეს სამხედრო საქმეში. პელოპიდამ ახლად მოაწყო „სამასი“-ს წმინდა რაზმი, რომელიც საუკეთესო გვარის ახალგაზდებისაგან შესდგებოდა. ესენი ერთმანერთთან გაფიცულები იყვნენ, ყოველთვის წინა რაზმში იბრძოდნენ და დანარჩენებს მამაცობის მაგალითს უჩვენებდნენ. ეპამინონდამ გამონახა საშუალება სპარტანელების სამხედრო უპირატესობის წინააღმდეგ. სპარტანელების ფალანგა ერთი სისქისა იყო გვერდებზე და შუაშიც; ნამდვილი ტაქტიკა არც კი იცოდნენ სპარტანელებმა; ყველაფერი პირად ვაჟკაცობასა და მოხერხებაზე იყო დამყარებული; მთავარ სარდლის მოსაზრებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეპამინონდამ ახალი ტაქტიკა შექმნა: იმის მაგიერ რომ საომრად დარაზმული ჯარი ერთის სისქისა ყოფილიყო ყველა ნაწილებში, ეპამინონდამ მოუმატა ჯარის შარცხენა ან მარჯვენა მხარეს, რომელიც სოლივით შეიჭრებოდა მტრის რაზმში. ასეთმა სისტემამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა სპარტანელებთან ბრძოლაში, რადგან სპარტანელების რაზმი მხოლოდ მაშინ წარმოადგენდა ძალას, როცა იგი გაურღვეველი იყო. ეპამინოდამ გააძლიერა ცხენოსანი ჯარიც, რაც ყოველთვის სუსტი მხარე იყო ბერძნების ჯარისა.

6 **ლეგტრას ბრძოლა; თებელების გამარჯვება.** ამ გვარად მომზადებული ეპამონონდა იმედით შესცქეროდა მომავალს და არც გაცრუებია ეს იმედი. სპარტას მეფე კლეომბროტოსი ამ დროს ფოკიდაში იყო. იგი წამოვიდა იქიდან და დაბანაკდა ველზე ჰელიკონსა და კითერონს შუა. ეპამინონდას ჯარი

რიცხვით ნაკლები იყო, მაგრამ თებელების სარდალი ამას არ დაუშინებია; თავის ჯარით მტრისაკენ გასწია და პატარა ქალაქ ლეკვტრას ახლო დაბანაკდა. ბრძოლის დაწყებამდე სარდალმა გაუ ჭვა თესპიელების ჯარი, რადგან უგულოდ იღებდნენ მონაწილეობას საქმეში. ბრძოლა სასტიკი იყო. პირველად თებელებმა ვერც კი შეანძრიეს სპარტანელების სქელი კედელი. ბოლოს თვით ეპამინონდა გაუძღვა გაძლიერებულ მარცხენა მხარეს; საშინელის სიმძიმით დაეტაკა სპარტანელების მარჯვენა მხარს და გაარღვია იგი; მტერი აირია და გაიქცა. სპარტანელებს საშინელი ზარალი მოუვიდათ: 700 სპარტიატიდან 400 ბრძოლის ველზე დარჩა.

7. **სპარტამ გაიგო ლეგკტრას ამბავი.** ლევკტრას ბრძოლის ამბავი მოვიდა სპარტაში ერთ დღესასწაულის დროს, როცა სპარტანელები მხიარულებასა და ცეკვა-თამაშში იყვნენ გართული. საშინელ დამარცხების ამბავი სპარტანელებმა არა ადამიანურის სიმტკიცით მიიღეს; ასეთი სიმტკიცე სპარტანელის მეორე ბუნება იყო და მან სამართლიანად მოუპოვა სპარტანელებს დაუვიწყარი სახელი კაცობრიობის მახსოვრობაში. დღესასწაული და ცეკვა-თამაში არ შეწყვეტილა; დედები და დები მტკიცედ ჰფარავდნენ თავიანთ მწუხარებას და არ სტიროდნენ. მეორე დღეს, დილით, მოედანზე მხიარულის სახით გამოვიდნენ ისინი, რომელთა ახლობელნი ომის ველზე დაიხოცნენ; ისინი კი, ვისიც ნათესავები გამოიქცნენ და ცოცხალი გადარჩნენ, მწუხარე და დარცხვენილი იყვნენ. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანეს ეს საოცარი სიმტკიცე: ომიდან გამოქცეულებს კანონით მოქალაქის უფლება უნდა დაეკარგათ; ეს კანონი რომ სისრულეში მოეყვანათ, სპარტა თავის თავის მკვლელი იქნებოდა. აგეზილაოსმა წინადადება შემოიტანა, რომ ერთ დღეს კანონი მძინარე დაეტოვებინათ. ეს წინადადება მიიღეს.

8. **შედეგი ეპამინონდას გამარჯვების.** ლევკტრას ბრძოლის შედეგმა დაუყოვნებლივ იჩინა თავი: ბეოტია დამორჩილდა თებას, მეზობელი ტომები შეეკვრნენ მას კავშირით, რომლის

ცენტრი დელფი იყო. ბოლოს, როცა სპარტამ არ მიიღო წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ, ეპამინონდამ გადასწყვიტა გამოეგდო ლომი პელოპონეზის სოროდანაც, როგორც გააგდო იგი შუა საბერძნეთიდან. უბრალო შესევა როდი ჰქონდა განზრახული თებას სარდალს; არა, იგი უფრო შორს ხედავდა, აზრი მისი უფრო ვრცელი იყო. ეპამინონდას განზრახვა იყო მთელ ნახევარ კუნძულის რეორგანიზაცია და სპარტას ძლიერების საბოლოო დაცემა სტრატეგიულ პუნქტების წართმევითა და მესენიის აღდგენით. გარემოებამ ხელი შეუწყო ეპამინონდას. ამ დროს მთელი პოლოპონეზი არეულ-დარეული იყო. მიწის ძვრას, რომელიც ეხლაც ასე ხშირია ამ მხარეზე და რომელიც მეტად აშინებდა ცრუმორწმუნე ძველ ბერძენს, მიემატა უკიდურესი არეულობა, რომელიც გამოწვეული იყო ერთის მხრივ ქალაქების ერთმანეთთან მეტოქეობით და მეორეს მხრივ საზოგადოების სხვა და სხვა კლასების ბრძოლით. ყოველ ქალაქში დემოკრატია ებრძოდა არისტოკრატიას, რომელსაც მხარს აძლევდა სპარტა. სამარცხვინო და შემაძრწუნებელ უკიდურესობამდე მივიდა ბერძენთა კეთილშობილი და გონება მახვილი ტომი. ამ დროის ყველაზე ცნობილი და საოცარი შეთქმულება ეგრედ წოდებული „სკიტალისმოსი“ იყო: დემოკრატები ჯოხებით („სკიტალოს“) ხელში მივარდნენ მათთვის საეჭვო პირებს და დახოცეს. ათას ორასი მოქალაქე დაიღუპა ერთ დღეს. საბერძნეთის ისტორია სავსეა ასეთის კონტრასტებით, რომელნიც შესაზარად გვიხატავენ ამ სიმპატიურ, გონიერსა და ფაქიზ ტომს.

9. თებელები პელოპონეზში. მეგალოპოლასის დაარსება. ლევკტრასთან დამარცხების შემდეგ დასუსტებული სპარტა იძულებული შეიქნა გამოეყვანა თავის გარნიზონები დაპყრობილ სიმაგრეებიდან. ამით ისარგებლეს სპარტას მოკავშირეებმა და ქვეშევრდომებმა მძიმე უღლის თავიდან მოსაშორებლად. ყველას დაასწრო არკადიამ, სადაც მწყემსებისა და მეომრების ძლიერი რასა ცხოვრობდა. ამ ქვეყნის ერთად-

ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი მანტინეა სპარტანელებმა დაანგრიეს. მაგრამ გაიგეს თუ არა ლევკტრას ამბავი, ქალაქი ისევ აღადგინეს. აქამდე დაქსაქსული არკადიელები ეხლა გაერთიანებაზე ჰფიქრობდნენ; მაგრამ ამ გაერთიანებულ თემისათვის საჭირო იყო სატახტო ქალაქი. ეპამინონდას შეგონებით არკადიელებმა დაარსეს ქ. მეგალოპოლისი („დიდი ქალაქი") თვით ლაკონიის საზღვარზე. თვითონ თებას სარდალი მოვიდა ჯარით, რომ საქმე არ შეფერხებულიყო; გამოიარა კორინთის ყელი და უკუაგდო აგეზილაოსი, რომელიც მის შეჩერებას ლამობდა. ეპამინონდას სარდლობას ვადა გაუდიოდა, მაგრამ მაინც უკან დაედევნა სპარტას მეფეს, შევიდა ლაკონიაში და ევროტასის ჭალით სპარტამდე მივიდა: მხოლოდ ხიდი იყო თებელების ჯარსა და ქალაქ შუა; სპარტა ხომ გამაგრებული არასოდეს ერ ყოფილა.

10. ეპამინონდა სპარტას წინ (371). ეს პირველი შემთხვევა იყო. რომ ჰერაკლიდების შემდეგ ევროტასის ჭალაში მტრის ჯარი გაჩნდა. სპარტაში პირველად აუწერელი მდგომარეობა იყო: ქალები ტიროდნენ, მოხუცები აღშფოთებული იყვნენ, ვაჟკაცებს გული აღარ ერჩოდათ; პერიეკები თებელების ბანაკში გადავიდნენ; ჰილოტები სრულებით არ იყვნენ საიმედონი. აგეზილაოსმა საქმე გამოაბრუნა თავის საკვირველის შრომითა და მაცადინობით. სპარტას მეფე ამ დროს 76 წლისა იყო. მან დაიკავა სიმაღლეები, რომელნიც ქალაქს დაჰყურებდნენ და იქ უცდიდა თებელებს; შეთქმულები, რომელთაც მოინდომეს ესარგებლნათ არეულობით და მართველობის წესი შეეცვალათ, ყველა სიკვდილით დასაჯა. ეპამინონდა სცდილობდა ევროტასის გადასვლას და ბოლოს მოახერხა კიდეც სპარტას ქვემოდ. თებელები ამიკლეს ახლო დაეანაკდნენ. ბევრი ეცადა ეპამინონდა, მაგრამ ქალაქში შესვლა ვერ მოახერხა და იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო. მაგრამ პელოპონეზიდან გასვლამდე ერთი მწარე სამახროვრო დაუტოვა სპარტანელებს: აღტაცებულ მესენიელებით გარშემორტყმულმა სარდალმა ააშენა ითომეს [illegible] ციხე-ქალაქი მესენია. შემდეგ ისევ